საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№10 (101)

23 – 29 მარტი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

**30 მარტს «საქართველო და მსოფლიოს» სპეციალური ნომერი**

# ხომ გითხარი მე შენ? არ მაგდებ არაფრად? ძაღლი ვარ?

2



«ორი საათი ქე მყავდა სააკაშვილი კედელთან მიყენებული. მართალი ხარ, მართალი ხარ, მართალი ხარო. სიტყვას არ შეგიბრუნებდა».

საქართველოს ასობით მოსახლეს გაქალაქება ემუქრება 4

პატიმრებს სააკაშვილის სურათის კოცნას აიძულებენ 11

13 აჭარას თურქები დაეპატრონენ

ელიზბარ ჯაველიძე: რესპუბლიკელები და ალასანია ხელისუფლების დაკვეთით მოქმედებენ 16

17 GEOHAZARD

## მანევრი ტურებით

5



ნინო ბურჯანაძემ ახალი დავალება მიიღო და მერაბიშვილის უწყებას იმ ადამიანების სია „გაუმზადა", რომლებიც, შესაძლოა, საფრთხეს უქმნიდეს დღევანდელ რეჟიმს.

10

თემურ ჩალაბაშვილი:

# ინდაურით რომ მოისყიდი, ის კაცი ინტელიგენტი არ არის!



ვინც ამათი ნასუფრალით იკვებება, ყველა მათხოვარი ინტელიგენტია. მიშას სიტყვები «ჩარეცხილები» სწორედ მათზეა ზედგამოჭრილი

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ხომ გითხარი მე შენ? გითხარი, გითხარი, გითხარი. თუ არ მოგწონს ჩემი ნათქვამი, მაშინ შენ შენი მითხარი და გამოვძებნოთ რაღაცა საშუალო... არ მაგდებ არაფრად სულა? ძაღლი ვარ? ძაღლის ყეფასაც ვაქცევთ ჩვენ ყურადღებას.

პასტელის ფერების სითბო ეგებება ბატონ ოტია იოსელიანის საბრძანებელს მიახლოებულ სტუმარს. დადგები ჭიშკართან და ფაცურას ყეფა-წკმუტუნზე გამოსული თამარ გელოვანი განუმეორებელი იმერული სტუმარ-მასპინძლობის ხალასი უბრალოებით მიგიპატიჟებს:

— მობრძანდით! მე ბატონ ოტიას რეფერენტი ვარ.

— მე — ჩემი თავის.

ხუმრობა მიღებულია, მეც ცოტა გავშინაურდები და ბატონ ოტიას სახლის ზღურბლს ლამის ისე გადავაბიჯებ, როგორც კეისარი რუბიკონს — მოსახდენი, მოხდეს!

მოხდა კი ის, რაც ინტერვიუდ ჩამოყალიბდა — დიდი მწერლის მიმართვად ერისადმი.

მანამდე კი მისალმება და მოკრძალებული მოკითხვა:

— ხომ კარგად ხართ, ბატონო ოტია?

— კარგად ვინაა ამ ქვეყანაში?! თუ ვინმემ თქვა, კარგად ვარო, ცოტა შორს დაიკავეთ თავი, რამე არ მოგწიოთ...

— დიდი მადლობა, რომ ინტერვიუზე დაგვთანხმდით.

— ამ ბოლო დროს ინტერვიუებს არ ვაძლევ. შენ იყავი და უარი ვერ გითხარი, თვარა...

და იწყებს ემოციურ საუბარს, დამუხტულს აზრითა და გონიერებით, იფეთქებს უცებ მწერლის სათქმელი ანონიმი ადრესატისადმი, ვისი სახელი და გვარი ორივემ კარგად ვიცით და იცის ჩვენმა მკითხველმა.



## ოტია იოსელიანი:

# ხომ გითხარი მე შენ? არ მაგდებ არაფრად სულა? ძაღლი ვარ?

### აგიგდია თავი და აპარტყუნებ ყურებს

— ხომ გითხარი მე შენ? გითხარი, გითხარი, გითხარი. თუ არ მოგწონს ჩემი ნათქვამი, მაშინ შენ შენი მითხარი და გამოვძებნოთ რაღაცა საშუალო... შენ გეუბნები, შენ! არ მაგდებ არაფრად სულა? ძაღლი ვარ? ძაღლის ყეფასაც ვაქცევთ ჩვენ ყურადღებას. იქნება, რაცხა დავაშავე? ასე რატომ აგიგდია თავი, შვილო? ამაზე რატომ გელაპარაკები მე შენ — ჩემი სიამოვნებისთვის? ვინც უსიამოვნოს გელაპარაკება შენ, თვითონაც უსიამოვნებას გრძნობს. არ მირჩევნია შენი ქება-დიდება, კაი ხასიათი, და შენც კაი გუნებაზე და მეც კაი გუნებაზე? მაგრამ საქმეა დაქცეული და ქვეყანა არ გვაძლევს ამის უფლებას და საშუალებას, ხომ? ჰოდა, შენ აგიგდია თავი და საერთოდ არ აპარტყუნებ ყურს!

**— ბატონო ოტია, საეჭვოა ადრესატმა თქვენი შეგონება შეისმინოს...**

— ...ეროვნული გამოთაყვანება, კაი ხანია, გვჭირს უკვე. და, საერთოდ, ყველაზე დამღუპველი, რაც ამ ერს ჭირს, არის ის, რაც ილია ჭავჭავაძემ, რომელსაც არაფერი ესწავლებოდა, „ბედნიერ ერში“ ჩამოგვიყალიბა. ყოველ კედელზე უნდა გავუკრათ ჩვენ ხალხს ეს ლექსი.

მე პასუხი მაქვს ამის თაობაზე ბატონ ილიასთვის ლექსად დაწერილი — შენი „ბედნიერი ერი“ მართლა ბედნიერი იყო, უნდა ნახო, ახლა რა დღეშია. თქვენ — აკაკიმ, ვაჟამ, ილიამ მთაწმინდიდან გადმოხედვა რომ შეძლოთ, თავს თვითონ მოიკლავდით უმტროდ, უბერბიჭაშვილოდ, ისეთ დღეში ვართ.

ეს არის მათრახით სამართავი ერი, რავარც მიუშვებ, ცუდი გზით წავა.

**— ახლა მათრახსაც რომ ურტყამენ და ხელკეტებსაც?**

— გამოსათაყვანებლად ურტყამენ... რომ დაარტყა, მაინც ვერ გაიგებს... მე არ ვუშვებ სახლში... რა ქვიან? პოლიტიკოსებს. რაღაცნაირად შემოიპარებიან ხანდახან (შემდეგ გაირკვევა, რომ ირაკლი ალასანიაზე ლაპარაკობს). შენ, მე ვუთხარი, რა არჩევნებზე ლაპარაკობ? როგორ შეიძლება კაცმა არჩევანი გააკეთოს, თუ არ იცის, რას აკეთებს?! მე რომ ავირჩევ ამ კაცს, ჩემთვის დასაბუთებული მაქვს, ვიცი, ეგ კაცი რისი გამკეთებელია და ეგ კაცი უნდა ავირჩიო. ვერავინ გადამათქმევინებს. როგორ შეიძლება ძალა დაატანო — შენ ამას მიეცი ხმა, ამას და ამასო. შემოვა გამოთაყვანებული ვიღაცა:

— დია, სად ჩავაგდო ე ქაღალდი?

— მოდი აქანე, — აქ.

მან მისი ხელით კი ჩააგდო, მაგრამ რატომ ჩააგდო, არ იცის. არც დაინტერესებულა, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან მიჩვეულია, — უნდა ჩააგდოს რაცხა საცხა.

აგერაა, ჩემო ბატონო, ჩემი სოფელი გვიშტიბი. იმის მიღმა სოფელია გუბისწყალი. შევარდნაძის ბოლო არჩევნები რომ იყო, ჩავედი: მეთქი, კიდევ მივიდა ვინმე? გავიხედე, თითო-ოროლა დაღოლიალობს. 20 პროცენტი თუ მივიდოდა არჩევნებზე. 85 პროცენტი გაგზავნეს აქედან შევარდნაძის სასარგებლოდ (!). მე ვუთხარი, ამდენი მთლად არ მოსულა. ვინც მოვიდა, ყველამ მაგას ჩოუგდო, კი, მარა, ვინც არ მივიდა-მეთქი?! კაცო, იქიდან დარეკესო... არჩევნებზე არ შეიძლება ლაპარაკი ამ ქვეყანაში, სადაც ხალხი არ აზ-როვ-ნებს.

ტელევიზიამ მოსპო ყველაფერი, თუ რამე აზროვნების ნატამალი ჩარჩენილი იყო ჩვენში. მოათავა. რამდენიმე გაზეთია, რომ იბრძვის, საწყალი...

### „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა ამ ენაზე. შენ არ გეყო?!

— იქ რომ დაჯექი, შე ცეცხლმოკიდებულო, კაი, ჭკუა რომ არ გეკითხებოდა, იმიტომ დაჯექი, თორემ არ დაჯდებოდი, მაგრამ რას აკეთებ, რად გინდა, რას მოათრევ, რა უბედურება შემოყარე ესენი?

**— ინგლისურის მასწავლებლებზე ლაპარაკობთ?**

— კი. ან რა ქართულით ლაპარაკობ?! ანბანი არ უნდა იცოდე ქართული?! „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა ამ ენაზე. შენ არ გეყო?!

ესაა უბედურება...

**— ჩვენს დღევანდელობაზე საუბრისას თქვენ, ბატონო ოტია, ერთხელ ახსენეთ დავით კლდიაშვილი და მისი მოთხრობა „ბაკულას ღორები“. „ბაკულას ღორების საოხრებელი“ გახდა ჩვენი ქვეყანა?**

— ვახსენე, რატომ, იცი? დავით კლდიაშვილი დიდი მწერალი იყო და შესანიშნავად დაგვიხატა ხალხის გამოთაყვანების მაგალითი, როცა ადამიანი ჩინოვნიკობას აფეტიშებს. „ბაკულას ღორებში“ შაშა — ალექსანდრე შარაქაძე არის იმპერიის სამსახურში მყოფი ჩინოვნიკი. გალაქტიონი ამ შაშას ევედრება, ჩამობრძანდი, ერთი კაცი უნდა შემიშინო, რომლის ღორებმა ბოსტანი ამომიგდესო. და გაოცებულ ჩინოვნიკს აუხსნის — თქვენს სეკრეტართან ერთად მობრძანდით, დაგინახონ ჩემსას და მეტი არაფერია საჭირო.

„— შეშინდება მერე ამით ის შენი მეზობელი?

— კი შეშინდება!.. რას ბრძანებთ — თქვენ დაგინახავსთ და სული კოჭებში არ ჩოუვა?!“

აი, როგორაა გამოთაყვანებული ერი.

ხომ იყო მაშინ თავად-აზნაურთა სამხედრო რაცხა სასწავლებელი, არავინ გვერეკებოდა იქ, ჩვენ თვითონ მივძვრებოდით და ვხვდებოდით იმპერიის მსახურები. ეს ცუდ საქმედ კი არ ითვლებოდა! ეგ ჩინოვნიკიაო, გაჩხრიალებული აქვს ჩინ-მენდლებიო. ამას ვერ ვაცნობიერებდით.

**— ვერ ვაცნობიერებდით თუ შეგნებულად ვიქცეოდით, კარიერისთვის, ასე ვთქვათ?**

— აგერაა, ხელმისაწვდომია მაგის მაგალითი. ოთარ იოსელიანი რომ არის, ჩვენებური, დიდი კინორეჟისორი, გვიშტიბელია, ჩვენი განაყოფია. მაგისი ბაბუა, დიდი ჩინოვნიკი — კონსტანტინ ვარშავსკი! მუზეუმშიც კია მაგის სურათი. ვარშავსკი რატომ იყო? ვარშავა ჰქონდა აღებული...

### გამოჩნდებიან, როგორც ხსნა, რუსეთში ნასწავლი ახალგაზრდები

— ამ დროს საქართველოში ბრუნდებიან პეტერბურგში ნასწავლი თერგდალეულები. სასწაული, ღვთისგან მოვლენილი: ილია, აკაკი, ვაჟა, ნიკო ნიკოლაძე, კიდევ ვისაც გინდა, დაადე ხელი.

**— სერგი მესხი.**

— სერგი მესხი — რამხელა რედაქტორი და რამხელა მოაზროვნე. აქოურია, სოფელ რიონიდან. მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა: საქართველოს ვერ დავხერხავ და ვერც დავანაწევრებ!

ამ დროს იქუხეს ამგენმა!

გრიგოლ ორბელიანი, ამხელა პოეტი, რომელსაც დიდ პატივს სცემდნენ, როგორც პოეტს, იცოდნენ მისი ფასი, მთავარმართებელია არა მარტო საქართველოსი, მთელ ამიერკავკასიას განაგებს, მეფის ნაცვალია, მეფეა მის ტერიტორიაზე.

თვითონ დიდი მოაზროვნეა: „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“... ამის შედეგიც აღარა შეგვრჩა ხელში...

ამ დროს გამოჩნდებიან, როგორც ხსნა, რუსეთში ნასწავლი ახალგაზრდები.

**— იქნებ, უფრო დაწვრილებით თქვათ ამის შესახებ?**

— ეს თავისთავადი იყო, რადგან ჩვენ მიბმული ვიყავით რუსეთზე. იქ სწავლობდნენ ყველანი. შემდეგ ჩვენ აქ გავხსენით სასწავლებლები, იგივე რუსეთის მხარდაჭერით, სხვათა შორის. ამის უარყოფა როგორ შეიძლება?! გვინდოდა თუ არ გვინდოდა, მაშინ ეს იყო ერთი ქვეყანა. როგორ შე- ▶

---

მსოფლიო

## გერმანიამ ატომური სადგურები გააჩერა

იაპონიაში მომხდარმა კატასტროფამ ევროპა ატომურ სადგურებზე უარის თქმის საკითხზე დააფიქრა. გერმანიაში კი ატომური ელექტროსადგურების დახურვის გადაწყვეტილება უკვე მიიღეს. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა დაადასტურა, რომ ექსპერტებთან შეხვედრის შემდეგ შვიდი ატომური ელექტროსადგური დროებით გამორთვის გადაწყვეტილება მიიღო. ქვეყანაში ატომური ელექტროსადგურების მუშაობის ვადებთან დაკავშირებით სამთვიანი მორატორიუმია შემოღებული.



## ჰილარი კლინტონი ობამასთან აღარ იმუშავებს

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ 2012 წელს, არჩევნებში ობამას გამარჯვების შემთხვევაში, მის ადმინისტრაციაში აღარ იმუშავებს. აშშ-ის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის არც 2016 წელს იბრძოლებს მაღალი რანგის თანამდებობისთვის. „ამჟამად იმას ვაკეთებ, რაც მინდა, და განზრახული არ მაქვს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა“, — განაცხადა კლინტონმა.

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**მოწაფეები მოჰყავთ ჩემთან და მე ვლებულობ ყველას, იქნება ბავშვი რაცხაფერად დავარწმუნო — წიგნში ჩაიხედე, შვილო, რაც კაცობრიობას უაზროვნია, სულ მოქცეულია წიგნში. თუ არ წაიკითხავ, დაბრუნდები გამოქვაბულში!**



**მეცხრამეტე საუკუნე — პუშკინის, ტოლსტოის, დოსტოევსკის და სხვა კორიფეების საუკუნეა, ამის უარყოფა შეიძლება?! როგორ გეკადრება, როგორ გეკადრება! მწერლების და საერთოდ, შემოქმედი ადამიანების ურთიერთობა მჭიდრო იყო ყოველთვის — ჩვენც ჩავდიოდით, ისინიც ჩამოდიოდნენ.**

შეიძლება შენ რუსულ ლიტერატურაზე უარი თქვა, როცა კაცობრიობა თაყვანს სცემს?! აგერია გზა და კვალი და სულ გამოთაყვანდი? ხელოვნება საკაცობრიო განძია და ბედნიერება. დამოუკიდებლობა ერთია, მაგრამ რა, დამოუკიდებლად ჩვენ დავიწყეთ და ჩვენ დავამთავრეთ ყველაფერი?! მეცხრამეტე საუკუნე — პუშკინის, ტოლსტოის, დოსტოევსკის და სხვა კორიფეების საუკუნეა, ამის უარყოფა შეიძლება?! როგორ გეკადრება, როგორ გეკადრება! მწერლების და საერთოდ, შემოქმედი ადამიანების ურთიერთობა მჭიდრო იყო ყოველთვის — ჩვენც ჩავდიოდით, ისინიც ჩამოდიოდნენ. ვთარგმნიდით, გვთარგმნიდნენ. კულტურათა ურთიერთგამდიდრება მიმდინარეობდა.

**— ახლა მთელ მსოფლიოს ვართ მოდებული ლუკმაპურის საშოვნელად — გავაფართოეთ ჩვენი განსახლების არეალი.**

— ოცი ათასი ქართველი მარტო ბარსელონაში ცხოვრობს. მიმიწვიეს ამასწინათ ემიგრანტ ქართველებთან შესახვედრად. ხატი წავასვენეთ აქედან. უქირავებიათ რაღაც საერო დარბაზი, დაუსვენებიათ ხატები, ეკლესია არისო. ეს რა ეკლესია არის-მეთქი?!

ბარსელონაში ვაშენებთო ეკლესიას ახალს. ერთი ძველი, კათოლიკური ეკლესია აქვთ და ისიც უნდა ვთხოვოთ, ვაკურთხოთ, რადგან ბევრნი ვართ და არ გვეყოფაო.

**გამახარეს ვითომ, და სინამდვილეში რას ნიშნავს ეს, იცი? ეკლესიას იშენებენ, სალოცავს, მაშასადამე, იქ აპირებენ დაფუძნებას, აღარ დაბრუნდებიან საქართველოში.**

აღარ დარჩა ხალხი სოფლებში. ესპანეთიდან რომ დავბრუნდი, ჩემი თვალით უნდა ვნახო-მეთქი და ავედი — ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი ავიარე. სოფელი არისცანა (ცანისწყალია, ცხენისწყალი კი არა, ჩვენ რომ ვეძახით. სათავე იქა აქვს). ძალიან კარგი სოფელი იყო. კაცისშვილი აღარ არის. მთელი სოფელი მთლიანად იყო ცარიელი. ხიდიც გოუკეთებიათ, ჰესიც გოუშენებიათ, ეკლესიაც — ახალი, მოუთავებიათ ეს ყველაფერი. ერთი კაცი იყო — მინდია ჩარკვიანი, ფუტკარი ყავდა რამდენიმე სკა, ვასწავლიდი რაღაცას ფუტკარზე, იგიც წასულა ძმასთან თბილისში და გაგუდულა გაზით... უშგულში არიან დარჩენილი კიდევ ვილაცები, მაგრამ კალა ცარიელია, იფარი ცარიელია.

ამას ვერ ხედავენ ზევით?

## მთავრობიანად გამოქვაბულში შესული სააკაშვილი

— ჩხუტელია სოფელი აგერ, ლეჩხუმში, კარგი სოფელი იყო. 500 მოსწავლე ყავდათ, ახლა თხუთმეტია. მოწაფეები მოჰყავთ ჩემთან და მე ვლებულობ ყველას, იქნება ბავშვი რაცხაფერად დავარწმუნო — წიგნში ჩაიხედე, შვილო, რაც კაცობრიობას უაზროვნია, სულ მოქცეულია წიგნში. თუ არ წაიკითხავ, დაბრუნდები გამოქვაბულში!

**— აკი შევიდა თავის მთავრობიანად სააკაშვილი გამოქვაბულში.**

— მაგი შევიდა... მოვიდა ერთხელ ჩემთან. მე წინასწარ თუ არ ვიცი, ვერ შემოვუშვებ ვერავის სახლში. თავისი ბიოდენები შემოაქვს აქანე. რომ შემოიყვან იმ გათახსირებულს, შენ კი არ იცი, რა დაგემართა, მაგრამ შენ აღარა ხარ შენ. ამიტომ წინასწარ უნდა ვიცოდე, ვინ მოდის, ვინ არის, ვინაა ჩემი ქვეყნის ერთგული...

ეგი შაშიაშვილს მოჰყვა.

**— თემურს?**

— დიახ. არ იყო ჯერ პრეზიდენტი, შეწკიპული იყო საპრეზიდენტოდ. ხოდა, ეიტუზა აქანა კარებში. მაშინაც ქე ვიცინოდით — ხტუნაობდა რაცხას.

მოდი აქ შენ-მეთქი, ვუთხარი **(ჟესტით გვიჩვენებს, როგორ მოიხმო და ეშმაკური კომენტარი დაურთო თავის ამ ჟესტს: — თქვენ ჯვარი გწერიათ!).** დაჯექი აქ-თქო! დაჯდა: სად მიგყავთ ჩვენი ქვეყანა? ჯერ კიდევ მაშინ კარგად ჩანდა ყველაფერი. კაცო, რას სჩადიხართ? არ გინდათ ხელოვნება, არ გინდათ კულტურა, არ გინდათ ცოდნა, არ გინდათ განათლება, არ გინდათ აზროვნება, არ გინდათ საქმე. აბა, ენას რად ატლიკინებთ? თქვენ უკან აბრუნებთ ჩვენს ქვეყანას, უკან მიგყავთ გამოქვაბულში.

არა, ბატონო ოტიაო, ჩვენ უკანა არა, წინა გამოქვაბულში მივდივართო.

**— გეშაირებოდათ?**

— მისი სიტყვებია, არაფერს ვუმატებ! უკანაში ეგენი არიან... ადამიანი ხელოვნების გარეშე არ არსებობს, პირველყოფილი ადამიანი გამოქვაბულის კედლებზე ხატავდა! ეს ცარიელში მიდის.

**— სამაგიეროდ შუა ზამთარში მესტიაში უკრაინელ გოგოებს ამღერებენ და აცეკვებენ.**

— არ იფიქროთ, ამას რაიმე ეშველოს, სანამ ქვეყანას არ ეყოლება ქართველი კაცი. ეს ქართველი კაცი, სამწუხაროდ, აღარ არსებობს. იმიტომ, რომ, სადაც წავიდა, ხომ ხედავ, იქ ეკლესიას იშენებს. ესე იგი, სამარადჟამოდ დაეღუპა ქვეყანას.

მილიონი კაცი ხომ არის გაქცეული? თუ ცოტა არის, თუ მეტი არის...

## ხომ მოვიდა აგერ გაზაფხული?

**— მოვიდა.**

— თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო, ხომ თქვა ქართველმა კაცმა. ახლა უკვე შუა მარტია:

მარტმა თქვა,
თოვლ-ჭყაპს ვაპირებ,
ღმერთო, მიმართე ხელიო!
ცხვარი და ძროხა
გავწყვიტო,
არ ვუშვა ჭაკი ცხენიო!
აპრილმა შემოუთვალა,
მარტი ხარ ჭკუათხელიო...
სახნის-საკვეთი
დავპიროთ,
ხვნა-თესვას მივყოთ
ხელიო.

ესაა შენი მოვალეობა, კაცო, გაზაფხულია!

ავტოქარხანა გვქონდა აქ ერთი, გერმანიიდან ჩამოტანილი თუ რაღაცა. არც ქარხანა ვარგოდა, არც მანქანა. მაგრამ გააუმჯობესე, როგორც ახლა ამბობენ — მოდერნიზაცია მოახდინე, სტამბოლში ნუ ჩეიტან — ნაწილ-ნაწილ, ჯართად. ეს კეთდებოდა, სხვათა შორის, ჩემი კარგი მეგობრის — ედუარდ შევარდნაძის დროსაც.

სააკაშვილი შაშიაშვილთან ერთად რომ მოვიდა, რითი ახსნა, იცი? შენო ბიოგაზი გაქვსო. ეს იყო ფუნაგაზი. ფუნა უნდა ათქვიფო შარდში. იგი გამოჰყოფს გაზს. საცდელი იყო. დამიდგეს: შენ რომ იტყვი, დაიჯერებსო ხალხი, რომ ვარგა.

იმის ნახვას ვერავის დოუშლი, იქ იმიტომ დგას, რომ ნახოს კაცმა.

— როგორიაო? — მკითხა.
— კარგია-მეთქი.
— რომ ვაწარმოოთო?
— არა-მეთქი.
— თუ კაიაო?

— მაგას მუშაობა უნდა. ვინაა ახლა ჩვენთან ისეთი, რომ ძროხას სდიოს კუდში და ნაკელი აგროვოს? ჩვენ გვინდა ისეთი გაზი, რომელსაც ჩართავ, როგორც დენს და გამოიყენებ-მეთქი. არ მიდის. არადა, სახლში არ შემეიშობა. მაგრამ ვაჟამ იყვირა — „დღეს სტუმარია ეგ შენი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“. წოუკითხე ეს კიბესთან. შემოვიყვანე, მაგრამ ვაჟა შემოყვა... ორი საათი ქე მყავდა სააკაშვილი კედელთან მიყენებული. მართალი ხარ, მართალი ხარ, მართალი ხარო. სიტყვას არ შეგიბრუნებდა.

მართალი რომ ვარ, შენ საქმე მოაყოლე. ძნელია, რა თქმა უნდა: დავით აღმაშენებელიც ვერ უშველის, ისეა გაოხრებული ქვეყანა. მარა დავით აღმაშენებელი ერთს რომ იტყოდა, ქუდზე კაციო, იხურავდა კაცი ქუდს და სალაშქროდ მიდიოდა. არ შეიძლება, არ წასულიყავი: თუ ქუდი გეხურა, კაცი იყავი და უნდა გებრძოლა შენი ქვეყნისთვის.

ახლა რო დეიძახო, ვერსად ვერ წეიყვან.

**— მაშინ დავით აღმაშენებელი მოუწოდებდა.**

— ქუდზე კაციო, ე.ი. გეძახის სამშობლო, ქვეყანა. თუ ეს იცი, მით უმეტეს, თუ არ გივარგა სარდალი, უფრო მეტი ბრძოლა გმართებს. არაფრის გამცნობიერებელი კაცი არ არის. აი, მოვიდა ახლა გაზაფხული. რას ვაკეთებთ? არაფრის მაქნისი ჩვენ არ ვართ საერთოდ. აგრარული, ჩამორჩენილი და ჩაოხრებული ქვეყანა ვართ ისედაც...

პავლე ინგოროყვა ბრძანებს, რომ ექვსი მილიონი ვიყავით, როცა ქვეყანა გვერქვა, ქართველები. დანარჩენი სახანოები იყო. ძლიერი სახელმწიფო გვქონდა. ძლიერი სახელმწიფო მშიერი ვერ იქნებოდა. რეგულარული ჯარი ჩამოყავს იმ კაცს. ყველა სარჩენია, სათოხნად არ ჩამოსულან, საომრად იყვნენ ჩამოსულები. მათი ოჯახებიც შესანახია. მდიდარი ქვეყანა ხარ. მდიდარი მშიერი ვერ იქნები. ამ დროს ფრანგი იყო ორი მილიონი. ახლა ფრანგი 58 მილიონია, ჩვენ, რაც ვიყავით, იმის ნახევარიც არა ვართ.

ფრანგებიდან ვყიდულობთ ახლა პურს.

ამის გულიზა ჩავედი საფრანგეთში. მინდა გავიგო, რას აკეთებს ეს ფრანგი. სოფლის მეურნეობაზეა ლაპარაკი. თავი დავანებოთ მრეწველობას.

ჩავფრინდით. არ ჩავდივარ თვითმფრინავიდან. ჩამოეთრიეო, ეტყოდნენ სხვას, მე ვერ მაკადრეს. ქე ვდგავარ ამ ტრაპთან...

* * *

**რა მოხდა შემდეგ? რაზე ილაპარაკებს ბატონი ოტია — რა მიმართულებით განავრცობს მსჯელობას, როგორ განსჯის და გაანალიზებს პრობლემებს, „საქართველო და მსოფლიოს“ მომდევნო ნომერში წაიკითხავთ.**

**არმაზ სანებლიძე**

## ბაჟურზებული

**ზვიად ძიძიგური,**
**„კონსერვატორების“ ლიდერი:**



სააკაშვილის რეჟიმის დასასრული ძალიან ახლოა, თუკი ოპოზიცია სწორ პოლიტიკურ ნაბიჯებს გადადგამს. როცა არსებობს ბაქრაძის დაჯგუფება, უგულავას, ბოკერიას, ადეიშვილისა და მერაბიშვილის, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს გუნდი გადარჩენისთვის ბრძოლას იწყებს.

*„ალია“*

**ირაკლი სესიაშვილი,**
**ექსპერტი:**



ქვეყანა რვა წლის მანძილზე, რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, სულ უფრო მეტად მიექანება დიქტატურისკენ. შეიძლება ამის მარტივი მაგალითები დასახელდეს, თუნდაც ის, რომ ხელისუფლება, კერძოდ, „ნაცმოძრაობა“ 100%-ით ფლობს ძალაუფლებას — მედია, ბიზნესი, სასამართლო და სხვა ძირითადი პოლიტიკური ელემენტები ხელისუფლების ტერორის ქვეშ ან დაქვემდებარებაშია.

*„ქართული სიტყვა“*

**მამუკა კაციტაძე,**
**„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი:**



დღეს ბევრი ლაპარაკობს ეგვიპტეზე, ტუნისსა და ლიბიაზე. ნურავინ მოიხიბლება ეგვიპტითა და ლიბიით, რადგან ეს გზა კარგს არაფერს მოგვიტანს: იქ ხომ ათასობით ადამიანი დაიღუპა!

*„ყველა სიახლე“*

**კახა კაციტაძე,**
**სამხედრო ექსპერტი, პოლიტოლოგი:**



რევოლუცია წერას ატანილი ხელისუფლებების ხელში ხდება. სამწუხაროდ, ვერ ვხედავ, რომ საქართველოს ხელისუფლება პრობლემებს ადეკვატურად აფასებს. საქმე რევოლუციამდე ხელისუფლების უაზრო და არაადეკვატურ ქმედებებს მიჰყავს და შემდეგ რევოლუცია ამ ქმედებების ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება.

*„ინტერპრესნიუსი“*

მოკლედ

## ატლანტიდა აღმოაჩინეს

კონექტიკუტის შტატის ჰარფორდის უნივერსიტეტის არქეოლოგთა საერთაშორისო ჯგუფი პროფესორ რიჩარდ ფრეუნდის ხელმძღვანელობით აცხადებს, რომ ესპანეთის სამხრეთით ატლანტიდა აღმოაჩინა. არქეოლოგთა მტკიცებით, მათ რაღაც ისეთი აღმოაჩინეს, რაც აქამდე არავის უნახავს. გარდა ამისა, მეცნიერებმა ცენტრალურ ესპანეთში მთელ რიგ ქალაქთა სერიულ ნანგრევებს მიაკვლიეს, რომლებიც ატლანტიდის ჩაძირვის შემდეგ გადარჩენილ დევნილებს აუშენებიათ.



## კამიკაძე-მაშველები

„ფოკუსიმა-1“-ზე კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციაზე დაკავებული მუშები უკვე კამიკაძეებად იქცნენ — ისინი მაღალი დონის დასხივების უდიდესი საფრთხის წინაშე დგანან. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მონაცემებით, ახლა სადგურზე 200 ადამიანი მუშაობს, მათგან 40-მა ამა თუ იმ სახის დაზიანებები მიიღო. 17 ადამიანი რადიაციული ნარჩენების სახეზე მოხვედრის გამო დაზარალდა. 11 ადამიანი დაზარალდა მეოთხე ენერგობლოკზე აფეთქებისას, 4 ადამიანი — პირველი ელექტრობლოკის აფეთქებისას.

ეგზეკუცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**საქართველოს რკინიგზას 1 მარტიდან უფლება აქვს, თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული, განსაზღვრული სამუშაოების ზოლში მოხვედრილი ცალკეული პირების კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, მრავალწლიანი ნარგავები და სხვა უძრავი ქონება მისთვის ხელსაყრელ ფასად წაართვას.**

# საქართველოს ასობით მოსახლეს გაკულაკება ემუქრება

## გამოხმაურებანი



**ილია მეორე,** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:

ყველაზე რთული სირთულეთა შორის ადამიანისა და საკუთარი თავის შეცნობაა. ადამიანი შეიცნობა სამ განზომილებაში — ეს არის წარსული, აწმყო და მომავალი. არ შეიძლება, ადამიანის შესახებ მხოლოდ წარსულით ვიმსჯელოთ და განვსაზღვროთ, რომ იგი კარგი ან ცუდია. ადამიანი აუცილებლად სამივე განზომილებაში უნდა დავინახოთ. ამას ვამბობ იმიტომ, რომ ხშირია შემთხვევა, როცა ჩვენს წარსულს ვხედავთ და დასკვნა მისი მიხედვით გამოგვაქვს. ადამიანი, რომელიც ცუდი იყო, არავინ იცის, დღეს და მომავალში ვინ იქნება. შეიძლება ის ანგელოზთა სწორი გახდეს. მაგალითად შემიძლია მარიამ ეგვიპტელი მოგიყვანოთ. ამიტომ განკითხვას უნდა ვერიდოთ. ეს ისეთი ცოდვაა, რომლის შედეგად თვითონ განმკითხველი უარეს ცოდვაში ვარდება.

*„პირველი“*



**ედუარდ შევარდნაძე,** ექს-პრეზიდენტი:

სააკაშვილს უზარმაზარი ბერკეტები აქვს — პარლამენტი, ჯარი, პოლიცია, ადგილობრივი გამგებლები მთლიანად მის ხელშია. ამიტომ, როგორი საფუძველიც არ უნდა არსებობდეს დაუმორჩილებლობის აქციისთვის, მთელი საქართველოს აყოლიება ვერ მოხერხდება.

*„ასავალ-დასავალი“*



**დავით ზურაბიშვილი,** რესპუბლიკური პარტიის წევრი:

სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენა გამორიცხულია. ახლა სააკაშვილი გადასულია ფულის დაგროვების პროცესზე.

*„ახალი თაობა“*



**ზაქარია ქუცნაშვილი,** იურისტი:

სააკაშვილისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი ის იქნება, რომ მიახვედრო, დათმოს ძალაუფლება და წავიდეს ხელისუფლებიდან. ეს საუკეთესო საჩუქარი იქნება, პირველ რიგში, ქვეყნისთვის და შემდეგ — სააკაშვილისთვის.

*„ყველა სიახლე“*

**მრავალმილიონიან პროექტებს, რომელთაც ხელისუფლება ახორციელებს, მოსახლეობა, სიხარულის ნაცვლად, უკვე შიშით ხვდება, რადგან კანონი, რომლითაც ხელისუფლებამ გაკულაკება დააკანონა, მათ მთელი ცხოვრების ნაწვალებ სახლებსაც კი ართმევს და კაპიკებს უნაზღაურებს. ასე რომ, სულაც არ არის აუცილებელი სააკაშვილის პოლიტიკური ოპონენტობა იმისთვის, რომ გაგაკულაკონ. კანონი, რომელსაც ხელისუფლება კარგად ამუშავებს, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ექსპროპრიაციას ითვალისწინებს.**

„საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ გაკულაკებულთა რაოდენობა უკვე ასობით ოჯახს ითვლის და კიდევ მრავალი გაკულაკების მოლოდინშია. როცა ხელისუფლებამ ბათუმის გაფართოების გეგმა შეიმუშავა, ბათუმის მიმდებარე ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლებმა უკვე იცოდნენ, რომ მათი კუთვნილი მიწები ჩამორთმევას დაექვემდებარებოდა, რადგან ამ ქვეყანაში ის, რასაც ნებით არ აძლევ ხელისუფალთ, ძალით გერთმევა. 2010 წელი ამ მხრივ მეტად მტკივნეული იყო, საქართველოს იმ მოსახლეობისთვის, რომლის საკუთრებაც ხელისუფლების ინტერესებში მოქცეულმა პროექტმა გადაკვეთა. მათ შორის იყვნენ ანაკლიის, მესტიის, ბათუმის, ახალქალაქის მკვიდრნი, ასეულობით ოჯახი.

**2010 წლის მიწურულს აჭარაში, გონიოს ციხის მიმდებარე ტერიტორიის მფლობელ 270 ოჯახს, რომელთაც მიწები 2007 წელს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე დაუკანონდათ, პრეზიდენტისავე მინიჭებული უფლებით ბათუმის მუნიციპალიტეტმა ჩამოართვა.** მიწის კომისიას საკუთრება რომ დაემტკიცებინა, ამ ადამიანებმა გააკეთეს აზომვითი ნახაზები, დისკები და ა.შ ეს ყველაფერი საკმაოდ დიდი თანხა დაჯდა. კვ.მ მიწის აზომვა 6-7 თეთრი ღირს, თუ შენობაც არის ამ მიწაზე, მაშინ — ლარ-ნახევარი. ვისაც 3000-4000 კვ.მ ჰქონდა გასაფორმებელი, ათასობით ლარი დაუჯდა (ეს მხოლოდ აზომვა). ასევე საჭირო იყო სხვა დოკუმენტაციაც — საჯარო რეესტრში სიარული, არქივიდან ცნობების ამოღება და ა.შ. შემდგომ კი ხელვაჩაურის გამგეობაში, როდესაც კომისია გადაწყვეტდა მიწის დამტკიცებას, ეს ადამიანები იხდიდნენ მიწის საზღაურს. მოსახლეობამ ეს გადახდილი თანხაც მიწებთან ერთად დაკარგა.

ეს მიწები არაბებს გადაეცათ. **დღეს გონიო კვლავ არაბების ხელშია და მის ბედს მალე გაიზიარებს აჭარის სხვა ტერიტორიებიც, რადგან უკვე არსებობს 2011 წლის 28 თებერვლით დათარიღებული, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის — ვერა ქობალიას ბრძანება, რომელიც აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის, ქალაქ ბათუმის მერიას ექსპროპრიაციის უფლებას ანიჭებს,** რომ მან საკუთრება ჩამოართვას ბათუმში, საავტომობილო გზის გაგრძელება-გაფართოების მშენებლობის პროექტით გათვალისწინებულ ზოლში მოხვედრილ ცალკეულ პირებს. ეს ეხება შუახევის მოსახლეობასაც, სადაც შუახევის საკრებულომ მიწის ნორმატიული ფასი (8 ლარი) დაადგინა.

**ის, რომ აჭარაში მიმდინარე მშენებლობებში საქართველოს პრეზიდენტთან ერთად შინაგან საქმეთა მინისტრის ინტერესებიც ურევია, აჭარაში კარგად არის ცნობილი. ასევე ცნობილია ვანო მერაბიშვილის ინტერესები საკუთარ რეგიონში, სადაც მერაბიშვილის ნებართვის გარეშე აგურიც არ იდება.**

> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის
>
> ბრძანება №1-1/309
>
> 2011 წლის 28 თებერვალი
>
> ქ. თბილისი
>
> აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქალაქ ბათუმის მერიისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ
>
> „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის 12.01.11 წლის №1142 სასამსახურო ბარათის, ქ. ბათუმის მერის 09.12.10 წლის №25-01/4135 წერილის და მისი დანართის, ქ. ბათუმის მერის 11.02.11 წლის №5513/14 წერილის და მისი დანართის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 26 ნოემბრის №1-1/1850 ბრძანებით შექმნილი კომისიის 09.02.11 წლის სხდომის №3 ოქმისა და ამავე კომისიის 11.02.11 წლის დასკვნის საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
>
> 1. ქალაქ ბათუმის მერიას მიენიჭოს ქ. ბათუმში საავტომობილო გზის გაგრძელება-გაფართოების მშენებლობის პროექტით გათვალისწინებულ ზოლში მოხვედრილი, ცალკეული პირების (ქ. ბათუმის მერის 09.12.10 წლის №25-01/4135 წერილის და მისი დანართის შესაბამისად; ქ. ბათუმის მერის 11.02.11 წლის №5513/14 წერილის და მისი დანართის შესაბამისად) კერძო საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები, მრავალწლიანი ნარგავები და სხვა უძრავი ქონება) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლება.
>
> 2. ქალაქ ბათუმის მერიამ ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონების ექსპროპრიაციის მიზნით უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
>
> 3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ბატონ დ. გიორგაძეს.
>
> ვ. ქობალია



**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ვერა ქობალიას ბრძანებით, ბათუმის მერიას ქალაქში საავტომობილო გზების გაგრძელება-გაფართოებისას მოსახლეობისთვის საკუთრების ჩამორთმევის უფლება მიეცა.**

**მინისტრმა ბრძანება 28 თებერვალს გამოსცა. დოკუმენტის მიხედვით, ბათუმის მერიას „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ შეუძლია ბათუმელებს ჩამოართვას – მიწის ნაკვეთები, მრავალწლიანი ნარგავები, სახლები და სხვა უძრავი ქონება.**

**პროცესზე კონტროლი ვერა ქობალიას მოადგილეს დაევალა.**

რევოლუციამდე მერაბიშვილის ოჯახი სიმდიდრით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი მერაბიშვილებმა გავლენასთან ერთად სიმდიდრეც მოიპოვეს. დედამისმა, ჟენია მერაბიშვილმა ბიზნესი ჯერ ქათმების ფერმით დაიწყო. ერთხელ მისი ქათმების მოპარვისთვის არასრულწლოვანები 11 წლით დაპატიმრებას ძლივს გადაურჩნენ. ახლა კი სკოლის დირექტორიც კი გამხდარა.

მერაბიშვილები ახალქალაქის განვითარებაზე ზრუნავენ, გზების დაგება ამ რაიონში უკვე მიმდინარეობს, რკინიგზაღა დარჩა. ჰოდა, **2011 წლის 1 მარტს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ბრძანება გაუმზადებია ამავე სამინისტროსთვის ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული განსაზღვრული სამუშაოების ზოლში მოხვედრილი, ცალკეული პირების კერძო საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონების** (მიწის ნაკვეთები, მრავალწლიანი ნარგავები და სხვ.) **აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ.**

ბრძანებას, საკუთარი სამინისტროსთვის უფლების მინიჭებაზე ხელს ვერა ქობალია აწერს. თუმცა ეს რა გასაკვირია მას შემდეგ, რაც გუბერნატორი ლადო ვარძელაშვილი თავისთვის იწერდა პრემიებს და ამას თავადვე აწერდა ხელს. მაგრამ ეს საკითხი მხოლოდ ბიუჯეტს აზარალებდა, ამჯერად კი კერძო პირებისა და საკუთრების უფლების შელახვასთან გვაქვს საქმე.

**ახალქალაქის გარდა რკინიგზის ახალი მაგისტრალი თბილისის მოსახლეობის ქონებასაც შეიწირავს. უკვე არსებობს ქობალიას ბრძანება, ასევე 1 მარტით დათარიღებული, რომელიც ექსპროპრიაციის უფლებას ამჯერად შპს „საქართველოს რკინიგზას“ ანიჭებს.** შპს-სთვის ასეთი უფლებების მინიჭება მხოლოდ საქართველოში თუ მოხდება, მაგრამ, როდესაც ხელისუფლების ინტერესი არსებობს, არათუ შპს-ს, არამედ მმართველი გუნდის ჩრდილს შეფარებულმა კერძო პირმაც კი შეიძლება თვალწინ აგაცალოთ ქონება, რომელსაც მთელი ცხოვრება ქმნიდით.

**მოკლედ, საქართველოს რკინიგზას 1 მარტიდან უფლება აქვს, თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული, განსაზღვრული სამუშაოების ზოლში მოხვედრილი ცალკეული პირების კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, მრავალწლიანი ნარგავები და სხვა უძრავი ქონება მისთვის ხელსაყრელ ფასად წაართვას.**



**სოფო გელაშვილი**

მსოფლიო

## დაღუპულია 21 ათასზე მეტი

იაპონიაში 11 მარტის მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად დაღუპულთა და დაკარგულთა რაოდენობა, ოფიციალური მონაცემებით, 21 ათასს აჭარბებს. ყველაზე მეტი დაშავებული ჰონსიუს ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე მიაგის პრეფექტურაშია. იაპონიის პოლიციის მთავარი სამმართველოს მონაცემებით, ოფიციალურად დადასტურებულია 8 450 ადამიანის გარდაცვალება, დაკარგულთა სია კი 12 908 ადამიანს ითვლის.




## იაპონია საფონდო ბირჟებს აჩერებს

იაპონიის ხელისუფლება საფონდო ბირჟებისა და FOREX-ის ბაზარზე ვაჭრობის შეწყვეტის ინიციატივით გამოვიდა. სენატორები მიიჩნევენ, რომ შესაბამისი ღონისძიებები შესაძლებელს გახდის, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, საფონდო ბაზარზე ნეგატიური ვითარების თავიდან აცილებას. მიწისძვრის შედეგად Nikkei-ის ინდექსმა კლება დაიწყო და 15 მარტს ვითარებამ უკვე კრიტიკულ ზღვარს მიაღწია — ინდექსი 12%-ით დაეცა. მხოლოდ ორი დღის განმავლობაში საფონდო ბაზრის კაპიტალიზაცია 626 მილიარდი დოლარით შემცირდა.

**ახლა რა გამოდის: გაჩეჩილაძემ კრედიტი აიღო, სააკაშვილმა ომი დაიწყო, გაჩეჩილაძემ კრედიტი ვერ დაფარა ფორსმაჟორის გამო და სააკაშვილმა სახელმწიფო ბიუჯეტით უნდა დაუფაროს, ანუ ის ფული, რომელსაც ჩვენ ვიხდით, გაჩეჩილაძეს უნდა ვაჩუქოთ! ეს რა არის, „პარაშუტის“ ახალი ფორმაა? კარგი, საარჩევნო ხარჯებს გიფარავენ, ჯანდაბას, მაგრამ „პარაშუტებიც“ ჩვენ უნდა გვაყიდინო? „აღარა კმარა?!“**

პოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# მანევრი ტურებით,

## ანუ შემინული საქართველო და შეფიც(რ)ული ინტელიგენცია

**ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ფარული წინასაარჩევნო ციებ-ცხელება შეეყარა. მეროჭიკე ბერებივით დადიან სოფელ-სოფელ და ხალხს ჩასჩიჩინებენ, ხომ ნახეთ, რა მოხდა ტუნისსა და ეგვიპტეში, რა ხდება ლიბიაში, იგივე მოელის სააკაშვილის ხელისუფლებას, ოღონდ თქვენ იაქტიურეთო... სინამდვილეში მთელი ეს კამარილია ერთადერთ საქმეს ემსახურება — ერთმანეთის ელექტორატზე ნადირობენ.
არც ხელისუფლება ზის გულხელდაკრეფილი — არიგებენ ელექტროენერგიისა და სურსათის ვაუჩერებს, აშენებენ შუშის სახლებს პოლიციისთვის, გამგეობებისთვის, ოფისებისთვის... არადა აგდებენ მარტივ ჭეშმარიტებას — როცა შუშის სახლში ცხოვრობ, ქვების სროლა არ უნდა დაიწყო... არც სჭირდებათ: ჩხუბსა და ქვების სროლას არავინ აპირებს, მათ შორის, — არც ოპოზიცია.
თუმცა „ქართული პარტიისა“ (შემდგომ „ერასტიკოსების“) და „სახალხო წარმომადგენლობითი კრების“ (შემდგომ „ბურჯუების“) ქვეყნის მასშტაბით გააქტიურება ნამდვილად იძლევა დაფიქრების საფუძველს.
ერთიცა და მეორეც „შემჩნეულია“ ხელისუფლებასთან კურკურში და ამაოდ ცდილობენ საკუთარი ბიოგრაფიიდან „ნათელი ფურცლების“ ამოხევას.**



ხშირად ისმის კითხვა: ვის აქვს ხალხთან მისვლისა და ლაპარაკის უფლება? მე ვერავის დავუდგები მსაჯულად, მაგრამ ფაქტია, რომ „ერასტიკოსებიცა“ და „ბურჯუებიც“ მხოლოდ ხალხის გასაბრიყვებლად სჭირდებათ. **ამ ორკესტრს კი ერთი კაცი დირიჟორობს, რომლის ხელის აქნევისა უფრო ეშინიათ ამ ვითომ რადიკალებს, ვიდრე განრისხებული ქართველებისა:** ხალხი მიმტევებელია, აპატიებს, ეს ქართველებს სისხლში გვაქვს. **აი, ბატონი ვანო კი არაფერს გაპატიებს.** ეს კარგად იციან წამებულის მანტიებში გახვეულმა ფარისევლებმა.

მაგრამ მიმტევებლობასაც აქვს სამანი: **„ერასტიკოსებმა“ და „ბურჯუებმა“ დაკარგეს მთავარი — პასუხისმგებლობის გრძნობა. ეს კი დიდი პრობლემაა არამხოლოდ საკუთრივ მათთვის, არამედ, უპირველესად, საზოგადოებისთვის.**

ამ გრძნობის არარსებობაზე ნინო ბურჯანაძე ხშირად საუბრობდა, როცა ქვეყნის მართვის სათავეებთან იდგა. ოღონდ მაშინ ოპოზიციის უპასუხისმგებლობაზე აკეთებდა აქცენტს. **„თუ გავაყალბეთ, მზად ვარ, პასუხი ვაგოთ. მაგრამ არ ვაპირებთ არც მე არც ჩემი მეგობრები არჩევნების გაყალბებას...“** — განაცხადა მან 2007 წლის დეკემბერში უნივერსიტეტში სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრისას. ის არჩევნები როგორ ჩატარდა და რა შედეგები დადგა, ყველამ კარგად იცის. ქალბატონ ბურჯანაძეს მაშინ პასუხისმგებლობა არ უგრძვნია, რასაც ადასტურებს პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაციაზე ნათქვამი: **„ჩვენ დავანახეთ მსოფლიოს, რომ საქართველო არის დემოკრატიული ქვეყანა, სადაც რთულ ვითარებაშიც კი ხალხს აქვს გონიერება, რომ სწორი ნაბიჯი გადადგას სწორი მომავლისთვის. საქართველოს აქვს სურვილი და მოთხოვნილება, რომ დემოკრატიულად განვითარდეს. ხელისუფლება კი სწორედ ამ მიმართულებით მიდის“.**

რამდენად დემოკრატიულად განვითარდა საქართველო ამ განცხადების შემდეგ და საით წავიდა ხელისუფლება, უჩემოდაც იცით!

ამიტომ **არ მჯერა, რომ ბურჯანაძეს აქვს პოლიტიკოსისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი — პასუხისმგებლობის გრძნობა. ახლა კი მიიღო ახალი დავალება და მერაბიშვილის უწყებას იმ ადამიანების სია „გაუმზადა“, რომლებიც, შესაძლოა, საფრთხეს უქმნიდეს დღევანდელ რეჟიმს.**

შეფიცულებში, ეჭვიც არ მეპარება, გულანთებული ადამიანებიც არიან, მაგრამ მათ წარმოდგენაც არ აქვთ, რა პოლიტიკური თამაშებისთვის იყენებენ „ბურჯუები“. **სინამდვილეში ეს ადამიანები მერაბიშვილის უწყების გაძლიერებული კონტროლის ქვეშ მოექცნენ.**

„კრება“ კი ბრწყინვალე შვიდეულის დასრულებამდე დაგვემშვიდობა. ეს არის ჩვეულებრივი მანევრი ტურებით. წინ ვერ წავიდნენ, უკან დახევა საშიშია, „ერასტიკოსები“ მაშინვე მოიკავებენ ამ „წმინდა ადგილსაც“, არადა, რა ქნან? ამიტომაც ხან მარჯვნივ გაიწევიან, ხანაც — მარცხნივ, ვითომ ტაქტიკურ მანევრს ახორციელებენ...

**ჩვენს მოტყუებას ცდილობენ, თორემ თვითონ კარგად იციან, მართლაც რომ „გაისროლოს ავრორამ“, „ბურჯუებს“ ისე გასწევენ გვერდზე, როგორც თვითონ მოისროლეს ხალხის ინტერესები და თანაც არაერთხელ. არჩევნებში მათი გამარჯვების შანსი ნულის ტოლია, მიუხედავად იმისა, რომ ბურჯანაძე თავდაჯერებით აცხადებს, „დღეს „სახალხო კრების“ რიგებში ასი ათასობით ადამიანია, ეს მერე მილიონებად იქცევა“**-ო (მამამისს მაინც ჰკითხოს, რამდენი ადამიანი იყო მმართველი კომპარტიის რიგებში მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონს აჭარბებდა — 300 ათასზე ცოტა მეტი! მათი უმრავლესობა კი მხოლოდ პრივილეგიებს ეხარბებოდა).

**ვითომ უპირისპირდებიან ხელისუფლებას, სინამდვილეში კი წინასაარჩევნო რეჟიმში არიან — რაიონში პარტიულ ორგანიზაციებს აფუძნებენ და „წინააღმდეგობის კომიტეტებს“ არქმევენ. შემინული საქართველოს შეფიც(რ)ული ინტელიგენციაც კი ჩართეს მისთვის საბედისწერო ბრძოლაში. ჩაქუჩი და ლურსმანი მზადაა, ერთი დაჭედებაღა აკლია. მათი ნაწილი სააკაშვილმა ჩარეცხა („ჩასარეცხია და ჩაირეცხება კიდეც!“). მაშინ ბურჯანაძეს არ გაუპროტესტებია ეს განცხადება. ალბათ, ეთანხმებოდა. ახლა კი მენტალური რევოლუციის მეორე ტალღას, რაც დარჩა, იმის ჩარეცხვა სჭირდება და ვინ შეასრულებდა ამ დავალებას ისე პირნათლად, როგორც ამას ბურჯანაძე იზამს და იკადრებს?**

არ შეასრულებს და... **აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი მერაბიშვილისა!**

ერთხელ უკვე უწია ამ აჩრდილმა ბურჯანაძეებს და კარგად იციან, ურჩობა რა ფასად დაუჯდებათ. მართალია, მას შემდეგ, რაც გაკულაკების სიმწარე იწვნია, კორუფციით გაჟღენთილი და ავტორიტარიზმის ჭაობში ჩაფლული ხელისუფლებისა და მასთან შეთამაშებული ოპოზიციის მხილებას არ ერიდება და გასახსენებელიც ბევრი აქვს, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს თამაში „საჭირო ქალის“ როლისთვის ზედგამოჭრილია.

მუქარასაც — **„ვურჩევ საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში მყოფ პირებს, ფრთხილად ილაპარაკონ ბურჯანაძეზე... კარგი დღე არ დაადგება ქართულ პოლიტიკურ თანავარსკვლავედს, თუ ბევრს ილაპარაკებენ ნინო ბურჯანაძეზე,“** — პირნათლად ასრულებს, ოღონდ მხოლოდ ოპოზიციის მიმართ. ასე მოხდა ლევან გაჩეჩილაძესთან დაკავშირებითაც.

ძალიან საინტერესოდ განვითარდა მოვლენები ზუსტად სამი თვის წინ. **2010 წლის 20 დეკემბერს** „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ ნინო ბურჯანაძესთან, რომელშიც იგი ჟურნალისტის შეკითხვას — **„ითქვა, რომ ინფორმაცია თითქოს ლევან გაჩეჩილაძის ხელით ჩამოწერილ უკვე ყველასთვის ცნობილ მოთხოვნებზე ჟურნალისტს თქვენმა მეუღლემ, ბადრი ბიწაძემ მიაწოდა“,** — ასე პასუხობს: **„რა უნდა ვუპასუხო ასეთ ბინძურ სისულელეს? ასეთ აბსურდებზე დამამტკიცებელი საბუთი მოვთხოვო ვინმეს თუ როგორ უნდა გავაკეთო კომენტარი?“**

**იმავე დღეს** გაზეთ „ასავალ-დასავალიდან“ ვიგებთ, რომ **„ასავალ-დასავალის“ ინფორმატორი კულისებიდან გამოდის!“** — გამოქვეყნდა ბადრი ბიწაძის ინტერვიუ, რომელშიც იგი ადასტურებს, რომ ჟურნალისტს **„საპრეზიდენტო ვაქრობის“** შესახებ, ანუ **„ლევან გაჩეჩილაძის ხელით ჩამოწერილ უკვე ყველასთვის ცნობილ მოთხოვნებზე“** ინფორმაცია სწორედ მან მიაწოდა!

**არ ყოფილა „ბინძური სისულელე“ ის ინფორმაცია! მაშ, რა გამოდის — ბურჯანაძე ცდილობს, არაკეთილსინდისიერი** (დამიფასეთ — ბურჯანაძისგან განსხვავებით, არ ვამბობ, რომ „ბინძური“!) **გზით მოატყუოს მკითხველი!**

თუმცა ლევან გაჩეჩილაძემაც ვერ დაამტკიცა თავისი სიმართლე. თითქოს ჩაცხრა ეს სკანდალი, მაგრამ ისევ საკუთარი ენა მტრობს. სულ ახლახან „ერასტიკოსების“ საჩხერულ შეხვედრაზე ისეთი რამ თქვა, ცხადია, რომ ამ კაცს მართლა ძალიან უჭირს: **„ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი 2008 წლის ომის შედეგად გამოწვეული ფორსმაჟორული ვითარების გამო დაუფარავი საბანკო კრედიტების გაყინვასა და მოქალაქეთა ამ დავალიანებების სახელმწიფოს მიერ დაფარვას ითხოვს!**

ეს უკვე კურიოზების სფეროდან არის! ყველამ კარგად იცის, რომ ლევან გაჩეჩილაძეს კრედიტები აქვს აღებული და ვერ ფარავს, ბანკი კი ქონებას ედავება. **ახლა რა გამოდის: გაჩეჩილაძემ კრედიტი აიღო, სააკაშვილმა ომი დაიწყო, გაჩეჩილაძემ კრედიტი ვერ დაფარა ფორსმაჟორის გამო და სააკაშვილმა სახელმწიფო ბიუჯეტით უნდა დაუფაროს, ანუ ის ფული, რომელსაც ჩვენ ვიხდით, გაჩეჩილაძეს უნდა ვაჩუქოთ! ეს რა არის, „პარაშუტის“ ახალი ფორმაა? კარგი, საარჩევნო ხარჯებს გიფარავენ, ჯანდაბას, მაგრამ „პარაშუტებიც“ ჩვენ უნდა გვაყიდინო?
„აღარა კმარა?!“**

ან ლოზუნგები მაინც შეცვალეთ, თქვე კაი ხალხო! ჯერაც გვახსოვს „მოქალაქეთა კავშირის“ ლოზუნგი **„მილიონი სამუშაო ადგილი“.** ახლა გაჩეჩილაძე ამბობს, რომ **„სულ რამდენიმე თვეში ორ მილიონამდე ადამიანის დასაქმებაა შესაძლებელი“,** თან იმ პირობებში, როცა **„დავკარგეთ ბევრი რამ — ტერიტორიები, ტრადიციები, ეკონომიკა, სამუშაო ადგილები...“**

გეუბნებით: ეს ხალხი ვერ გამოვიდა წარსულიდან. თუმცა როგორ გამოვა, ლევან გაჩეჩილაძე ხომ სწორედ ამ ლოზუნგით გახდა დეპუტატი, „მოქკავშირის“ პარტიული სიით 1999 წელს?

ახლა კი ჩემთვის არცთუ სასიამოვნო საქმე მომიწევს — ეროსი კიწმარიშვილს უნდა დავეთანხმო: **„დღეს ადამიანებს ყველაზე მეტად გაურკვევლობა აწუხებთ და ხვალინდელი დღის შიში აქვთ“.** და რატომ გიკვირთ? ეს გაურკვევლობა ხომ თქვენ დაამკვიდრეთ, ეს შიში ხომ თქვენ გააჩინეთ! დაამკვიდრეთ მიზანმიმართულად!

**„ბურჯუებისგან“ დიდად არ განსხვავდებიან „ერასტიკოსები“. ამათთვისაც მშობლიურია მანევრი ტურებით.**

**ახლა ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტად მოიგებს „იმ ვანოს“ გულს და ვინ უფრო სარფიანად შესთავაზებს საკუთარ თავს.**

ხომ ვიცოდით, რომ „ქართული პარტია“ ხელისუფლებასთან რადიკალურად იყო დაპირისპირებული, ახლა ნახეთ, რას აცხადებს ამ პარტიის თავმჯდომარე: **„ჩვენ არჩევნების მომხრე ვართ. თუ რევოლუცია მოხდება, მის შემდეგ ხომ მაინც არჩევნები უნდა ჩატარდეს, ოღონდ ეს არჩევნები სამართლიანი უნდა იყოს და ხალხის ნების უგულებელყოფა ვერავინ უნდა შეძლოს. თუ არჩევნები კანონიერ ვადებში ჩატარდება და ხელისუფლება უფლებამოსილების ვადას არ გაიხანგრძლივებს, „ქართული პარტია“ ასეთ არჩევნებს აუცილებლად მოიგებს, ხოლო, თუ ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას შეეცდება, მაშინ სააკაშვილის რეჟიმი „კეტების რევოლუციას“ მიიღებს“.**

გესმით? „ქართული პარტია“ არჩევნებისთვის ემზადება. რა რევოლუცია, რისი ხალხის ამბოხი?

„კეტების რევოლუციასაც“ ტყუილად ელოდებით — ყველაფერი შეთანხმებული და გადაწყვეტილია!

**„ერასტიკოსებიც“ და „ბურჯუებიც“ ერთ თამაშს თამაშობენ, ხალხი კი ყველას...**

**ბონდო მძინარაშვილი**

**ნინო ბურჯანაძემ ახალი დავალება მიიღო და მერაბიშვილის უწყებას იმ ადამიანების სია „გაუმზადა“, რომლებიც, შესაძლოა, საფრთხეს უქმნიდეს დღევანდელ რეჟიმს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

„ძნელი წარმოსადგენი არ არის მშიერი და სასოწარკვეთილი უთვალავი იმიგრანტი, რომლებიც ნავებიდან ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთ ნაპირზე გადმოდიან. მათმა მოზღვავებამ ევროპის ქვეყნებში შეიძლება „თავდაცვითი რასიზმის“ მკვეთრი ზრდა გამოიწვიოს“.



## გაჟურნაზებული



**ნანა დევდარიანი,** **„სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

მართლმადიდებლობა ამ ხელისუფლებისთვის ძალიან საშიში და მტკივნეული საკითხია; საჭირო დროს უნდა იაქტიუროს მთელმა სამოქალაქო სექტორმა და ქმედებებიც ადეკვატური უნდა იყოს...

*„ალია“*



**გია გაჩეჩილაძე,** **მწვანეთა პარტიის ლიდერი:**

გამოვიდეს სააკაშვილი და საჯაროდ უარყოს, რომ რუსეთიდან სომხეთში ბირთვული საწვავის მიწოდება და იქიდან ბირთვული ნარჩენების გამოტანა საქართველოს გავლით არ ხდება!.. სააკაშვილი თვალს არ დაახამხამებს, ისე გადააქცევს საქართველოს ბირთვულ სანაგვედ!

*„ასავალ-დასავალი“*



**სოსო შატბერაშვილი,** **ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი:**

სააკაშვილს უკვე ძალიან უჭირს ძალაუფლების შენარჩუნება და ამისთვის საკუთარ თანაგუნდელებსაც აღარ დაინდობს! მაგალითად, ჩვენი ინფორმაციით, სააკაშვილი ჯანდაცვის მინისტრის დაპატიმრებას აპირებს!

*„ასავალ-დასავალი“*



**ნონა გაფრინდაშვილი,** **„სახალხო კრების“ თავმჯდომარე:**

ერთი წვეთი სისხლის დაღვრაც კი მთელ ხელისუფლებას იმ წუთას შეუყენებს წყალს. სააკაშვილი ამას ვერ გაბედავს. მაგრამ, თუ გაბედა, მისი დანაშაული უფრო მძიმე იქნება, ვიდრე მაგას ჰგონია.

*„ახალი თაობა“*



**ლადო სადღობელაშვილი,** **ორგანიზაციის „ენა, მამული, სარწმუნოება“ დამფუძნებელი:**

არავის გამოუვა საქართველოში გეიაღლუმის ჩატარება; მადლობა თქვენ, რომ ღამის კლუბებს, სადაც ისინი იკრიბებიან, თავს არ ვესხმით.

*„ყველა სიახლე“*

# მართვადი ქაოსი უმართავ მსოფლიოში, ანუ რა ვუყოთ მიხეილ სააკაშვილს?

**გასულ კვირას დასავლური ქვეყნების კოალიციამ ლიბიის დაბომბვა დაიწყო. სიტუაცია სირიაში, იემენში, სუდანში, ბაჰრეინსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში სულ უფრო არასტაბილური ხდებოდა. მსოფლიო წესრიგი ნელ-ნელა დაემსგავსა გლობალურ უწესრიგობას და კითხვა „ეს ჯერ კიდევ მართვადი ქაოსია, თუ უკვე უმართავი?“ განსაკუთრებით აქტუალური შეიქნა. მარტივად რომ ვთქვათ, დღეს ვითარება საერთაშორისო ურთიერთობებში ისეთია, რომ დედას შვილი ხელში აღარ აჰყავს და ძაღლი პატრონს ველარ ცნობს. როგორც ჩანს, მსოფლიო ქაოსის ხანგრძლივი, მტკივნეული ეტაპის გავლა მოუწევს და სეირის მაყურებლად ვერც ერთი ქვეყანა, მათ შორის საქართველო, ვერ დარჩება.**




## ძია სემის კოცონი

რა სამიზნეებს ბომბავენ დღეს ევროპელი მფრინავები? ერთი შეხედვით, ლიბიის საჰაერო თავდაცვის ობიექტებს, კადაფის სამხედრო შენაერთებს და ა.შ. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამავე დროს ისინი გამეტებით ბომბავენ ევროპულ ქალაქებსა და ქარხნებს, რადგან ნავთობის მაღალი ფასი ევროპული ეკონომიკის რეალურ სექტორს ახრჩობს. ომი ლიბიაში და საერთოდ, ქაოსი აღმოსავლეთში ამ ფასების ზრდას პირდაპირ უკავშირდება.

ევროპელი ჯარისკაცები ხომალდებში ჩასასხდომად და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ ნაპირისკენ გასაცურად ემზადებიან. **თითქოსდა არაფერია განსაკუთრებული — ერთი ჩვეულებრივი ნეოკოლონიალისტური ექსპედიციაა (უკაცრავად, დემოკრატიული ღირებულებების შეუჩერებელი გავრცელება, მანამ, სანამ მაღრიბსა და მაშრიყში ქვა ქვაზე არ დარჩება).** მაგრამ ამავე დროს ხმელთაშუა ზღვის ხსენებულ სამხრეთ ნაპირზე მილიონობით თუ არა, ასი ათასობით ლტოლვილი ემზადება (ან მალე მოემზადება) იმისათვის, რომ ნავებით ევროპისკენ გაცურონ. ერთი ციტატა: **„ძნელი წარმოსადგენი არ არის მშიერი და სასოწარკვეთილი უთვალავი იმიგრანტი, რომლებიც ნავებიდან ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთ ნაპირზე გადმოდიან. მათმა მოზღვავებამ ევროპის ქვეყნებში შეიძლება „თავდაცვითი რასიზმის“ მკვეთრი ზრდა გამოიწვიოს“.** სხვათა შორის, ეს მიმდინარე მოვლენების მეთვალყურე კომენტატორების ვარაუდი კი არა, **„რომის კლუბის“ 1991 წლის მოხსენებაა (კინგის და შნაიდერის), სადაც დღევანდელი სიტუაციის მთელი რიგი ასპექტები ზედმიწევნით ზუსტადაა აღწერილი.**

მალე ეკონომიკური სირთულეებითა და ომით გაღიზიანებული ბევრი ევროპელი (მათ შორის — უზარმაზარი არაბული დიასპორების წარმომადგენლები) ძალიან დიდი ალბათობით ქუჩაში გავა და ვითარების შეცვლას მოითხოვს. არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რა კონკრეტულ ლოზუნგს (ომის შეწყვეტა, იმიგრანტების ალაგმვა, ხელფასების გაზრდა და ა.შ.) ააფრიალებს ესა თუ ის ჯგუფი; მთავარი, ალბათ, ისაა, რომ შეიქმნება არასტაბილური, ქაოტური სიტუაცია, შესაძლოა, ვიტრინების მსხვრევითა და მანქანების დაწვით, მსგავსი იმისა, რაც არცთუ დიდი ხნის წინათ პარიზში ვიხილეთ. **შემდეგ მოქალაქეების ნაწილი წესრიგს მოითხოვს და მწყობრში სიარულის ნოსტალგია გაუჩნდება, მეორე ნაწილს კი სრულიად საპირისპირო მისწრაფებები ექნება. ამასობაში სხვა ადამიანები შემოიკრავენ შაჰიდების ქამრებს (თუ უკვე არ შემოიკრეს) და ევროპულ ქალაქებს აქტიურად შეუტევენ. ამ კონტექსტში იმას, თუ რა ვადებში და რა მეთოდებით მიაღწევენ ევროპული არმიები სამხედრო მიზნებს ლიბიაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს, ქაოსის ზრდა ნებისმიერ შემთხვევაში გარანტირებულია. გარკვეული თვალთახედვით, ყველაფერი ეს მხოლოდ დეკორაციებია, მთავარი კი, ალბათ, სულ სხვა რამ არის.**

## ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ ნაპირზე მილიონობით თუ არა, ასი ათასობით ლტოლვილი ემზადება ევროპაში გასამგზავრებლად

## ცეცხლში იწვის ევროპული ფინანსები და ჩინეთის ეკონომიკური ზრდის გეგმები, ტანკები და თვითმფრინავები, ქალაქები და სოფლები...

იმისათვის, რომ ამ ვითარებაში აშშ-ის ქცევის ალგორითმი უკეთ გავიგოთ, ალბათ, ასეთი სურათი უნდა წარმოვიდგინოთ: ძია სემი კოცონში შეშას ყრის — არც ისე ბევრს, რომ ცეცხლი უკონტროლო გახდეს და ხანძარი გაჩნდეს, და არც ისე ცოტას, რომ ცეცხლი ჩაქრეს. ცეცხლში კი იწვის ევროპული ფინანსები და ჩინეთის ეკონომიკური ზრდის გეგმები, ტანკები და თვითმფრინავები, ქალაქები და სოფლები. ძია სემის წინაშე რამდენიმე ამოცანა დგას:

**ამოცანა №1 — ჩინეთის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ზრდის შეფერხება. სავარაუდო პასუხი: ენერგომატარებლების გაძვირებისა და დროებითი დეფიციტის ხელშეწყობა, მათი ტრანსპორტირების გზებზე პრობლემების შექმნა, ჩინეთისა და ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორობის არდაშვება.**

**ამოცანა №2 — ვალებში ჩაფლული აშშ-ისა და „დოლარის პირამიდის“ გადარჩენა. სავარაუდო პასუხი: ალმოდებული ევრაზიიდან კაპიტალის შტატებში „გაქცევის“ ხელშეწყობა, შემდგომ მსოფლიო ქაოსის პირობებში დოლარის ჰიპერინფლაციის დაწყება (სტაბილურ ვითარებაში ეს დოლარს გლობალური ეკონომიკიდან ამოაგდებს).**

**ამოცანა №3 — დასავლურ სამყაროში დამოუკიდებელი, ლიდერი მოთამაშის პოზიციაზე ევროკავშირის გასვლის დაუშვებლობა. სავარაუდო პასუხი: ევროპელების ჩათრევა ომებში, დეზინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობა, ეკონომიკური პრობლემების შექმნა (ისევ და ისევ ენერგომატარებლები).**

**ამოცანა №4 — რუსეთის ფაქტორის განეიტრალება, იმის მიღწევა, რომ ის, როგორც მინიმუმი ა) არ გახდება ჩინეთის მოკავშირე; ბ) არ დაიწყებს ამერიკელების გლობალური თამაშის აქტიური ჩაშლას (ამისთვის არცთუ ცოტა ბერკეტი აქვს). სავარაუდო პასუხი ამ** ▶

მოკლედ

## ტრიპოლის დაბომბვა გრძელდება

ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიზე ახალი ავიადარტყმები განხორციელდა. უცხოური მედიის მტკიცებით, აფეთქებების ხმა კვლავ კადაფის რეზიდენციის ტერიტორიაზე ისმოდა. ლიბიის ოპოზიცია ომის დასრულებამდე მუამარ კადაფთან მოლაპარაკებების გამართვაზე უარს აცხადებს. „ჩვენ ვაწარმოებთ ომს, რომელშიც ამ დიქტატორმა ჩაგვითრია. სწორედ ამიტომ ვაცხადებთ უარს მასთან მოლაპარაკებებზე“, – განაცხადა ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა აბდელ-ალ-ხაფეზ გოგამ.



## კონგრესი ობამას წინააღმდეგ

კონგრესმენი რესპუბლიკელებიცა და დემოკრატებიც არასწორ ნაბიჯად მიიჩნევენ იმას, რომ ბარაკ ობამა სამხედრო ოპერაციაში აშშ-ის ჩართვას კონგრესის დაუკითხავად დათანხმდა. პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ლიბიის სამხედრო ოპერაციაში ქვეყნის ჩართვის გადაწყვეტილება ბარაკ ობამამ არა მარტო ნაჩქარევად მიიღო, არამედ ამ გადაწყვეტილებით აშშ-ის კანონმდებლობაც დაარღვია.



**შეიძლება თუ არა შექმნილ მდგომარეობაში სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ხელისუფლებაში დატოვება?.. თუ სააკაშვილი ახალი გამოწვევების ადეკვატურია, ის უნდა დარჩეს, ხოლო თუ ადეკვატური აღარ არის, ხელისუფლებას დაუყოვნებლივ უნდა დაემშვიდობოს, რადგან ამ გამოწვევებზე რეაგირებისთვის მოსამზადებელი დრო ქვეყანას პრაქტიკულად აღარ აქვს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



# აშშ-რუსეთის ურთიერთობები ჩვენს მომავალს უშუალოდ ეხება

**◀ შემთხვევაში, ალბათ, უნდა გავშალოთ, რადგან აშშ-რუსეთის ურთიერთობები ჩვენს მომავალს უშუალოდ ეხება.**

## პრობლემა იყო და აღარ არის

**ორშაბათს რუსეთში აშშ-ის თავდაცვის მდივანი რობერტ გეითსი ჩავიდა. ამ ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე იქ ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი იმყოფებოდა და, შესაძლოა, პოზიციები მსოფლიო კრიზისის მომდევნო ეტაპთან დაკავშირებით სწორედ ამ შეხვედრაზე შეჯერდა. გეითსი კი, სავარაუდოდ, კრემლს უკვე მიღწეული შეთანხმებების რეალიზების დეტალების დაზუსტებისთვის ესტუმრა.**

1996 წელს გეითსმა გამოაქვეყნა საკმაოდ საინტერესო წიგნი „From the Shadows („ჩრდილიდან"), სადაც იმაზეც მსჯელობდა, რომ ცალკეულ მოვლენებს შეუძლია მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობების დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, მიუხედავად იმისა, რამდენად მყარი იყო ეს ურთიერთობები წინარე პერიოდში, რაც ახლო მოკავშირეებთან (მაგალითად, დიდი ბრიტანეთისა და კანადის შემთხვევაში) არ ხდება.

**ამასთან დაკავშირებით, ჟურნალისტებმა რუსეთში ვიზიტის წინ მას ჰკითხეს, შესაძლებელია თუ არა ამ ვითარების შეცვლა (ანუ, თითქმის იდეალური, „ბრიტანულ-კანადური ტიპის" ურთიერთგაგების მიღწევა). „ვფიქრობ, ჩვენ ასეთი ურთიერთობებისკენ მივდივართ. დანიშნულების პუნქტამდე ჯერ ვერ ჩავაღწიეთ, მაგრამ ურთიერთობები ისეთი მყიფე აღარ არის, როგორც 30 წლის წინათ იყო", — თქვა გეითსმა და აღნიშნა, რომ 2008 წლის მოვლენები, რომელთაც მან „საქართველოში შეჯრა" უწოდა, „ნამდვილად იყო პრობლემა ორმხრივ ურთიერთობებში ბუშის ადმინისტრაციის დროს და ობამას ადმინისტრაციის მუშაობის პირველ პერიოდში. მაგრამ ამან სხვა სფეროებში შეთანხმებების ტორპედირება არ მოახდინა. ამგვარად, ჩვენ ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი განმტკიცებისკენ მივდივართ". „მოსკოვთან ვაშინგტონი სტრატეგიულ დიალოგს 40 წელზე მეტხანს აწარმოებს, ხოლო პეკინთან მის დაწყებას მხოლოდ ახლა ვცდილობთ",** — დასძინა რობერტ გეითსმა.

თავისთავად განცხადება, რომ საქართველოსთან დაკავშირებული საკითხი „პრობლემა იყო" (და ახლა „აღარ არის") საკმაოდ მრავლისმთქმელია, თუმცა ყურადღება უფრო ფართო კონტექსტს მივაქციოთ. გეითსი აშშ-რუსეთის პარტნიორობის განმტკიცებაზე საუბრობს და „ცივი ომის" პერიოდიდან, როდესაც ორი ზესახელმწიფო, ერთი შეხედვით, მზად იყო ერთმანეთისთვის ყელი გამოეღრღნა, მოსკოვთან ხანგრძლივ „სტრატეგიულ დიალოგს" გამოყოფს და ამბობს, რომ ასეთი დიალოგის დაწყება პეკინთან საჭიროა.

ეს, როგორც მინიმუმ, ფაქტების დამახინჯებაა, სწორედ რომ „40 წელზე უფრო მეტი ხნის" წინათ, 1969 წლის მარტში, ნიუ იორკში ჩატარდა ნაკლებად გახმაურებული კონფერენცია „დასავლეთისა და ჩინეთის ურთიერთობების მხარდაჭერისთვის", რომელშიც მონაწილეობდნენ საიდუმლო პოლიტიკის ისეთი დინოზავრები, როგორებიც იყვნენ არტურ გოლდბერგი, ჯეკობ ჯავითსი, ედვინ რაისჰაუერი, ჰენრი კისინჯერი და ჯეიმს შლესინჯერი (ეს ორი უკანასკნელი მაშინ ახალგაპრეზიდენტებული ნიქსონის მრჩევლები იყვნენ, სულ მალე კი სახელმწიფო მდივანი და თავდაცვის მინისტრი გახდნენ). სავარაუდოდ, სწორედ ამ თავყრილობაზე ჩამოყალიბდა აშშ-ჩინეთის სტრატეგიული, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ალიანსის კონტურები.

**1971 წლის თებერვალში პრეზიდენტმა ნიქსონმა კონგრესისადმი მიმართვის დროს ფართო აუდიტორიისთვის სრულიად მოულოდნელად ჩინეთთან დიალოგის აუცილებლობაზე საუბარი დაიწყო, ერთი წლის შემდეგ კი შედგა მისი ისტორიული ვიზიტი პეკინში. ორმა ქვეყანამ, იდეოლოგიური სხვაობისა და დაძაბული ურთიერთობების მიუხედავად, სსრკ-ის წინააღმდეგ ფარული სტრატეგიული ალიანსი შექმნა.**

„ცივი ომის" წლებში ეს ალიანსი მშვენივრად მუშაობდა, მისი დასრულების შემდეგ კი კისინჯერმა (ამასთანავე, ბჟეზინსკიმ და სხვებმა) „G-2-ის თეორია" ჩამოაყალიბა, რომელიც, ფაქტობრივად, მსოფლიოზე აშშ-ისა და ჩინეთის (ალბათ, მაინც „უმცროსი ძმის" როლში) ერთობლივ დომინირებას გულისხმობდა. ჩინეთმა ამ გზით სიარულზე უარი თქვა; საბოლოოდ ცხადი ეს ობამას პრეზიდენტობის საწყის პერიოდში გახდა.

განვიხილოთ რობერტ გეითსის კომენტარი ამ გარემოებების გათვალისწინებით. აშკარაა, რომ ის უახლეს ისტორიას თავდაყირა აყენებს, იმისთვის, რომ ხაზი გაუსვას აშშ-რუსეთის ურთიერთობების შემდგომი განმტკიცების აუცილებლობას და მიანიშნებს, რომ პეკინი ამ შემთხვევაში თამაშგარე მდგომარეობაშია. ადმირალ კუზნეცოვის სახელობის სამხედრო-საზღვაო აკადემიის მსმენელებს კი გეითსმა ასე მიმართა: **„მოგიწოდებთ თქვენ და თქვენს ხელმძღვანელობას, დაფიქრდეთ, რა ფორმით შეიძლება იმოქმედონ რუსმა სამხედროებმა საერთაშორისო კოალიციების შემადგენლობებში".** ვიღაცამ ეს შეიძლება აღიქვას მხოლოდ როგორც ზოგადი ფრაზა გლობალურ უსაფრთხოებაზე ზრუნვის კონტექსტში, ვიღაცამ კი — როგორც მოწოდება მონაწილეობისკენ მსოფლიოს ახალ განაწილებაში შეერთებული შტატების გვერდით. თუმცა **ის ევრაზიული სახელმწიფო, რომელიც ვაშინგტონის მოკავშირეობას დათანხმდება „G-2"-ის ან სხვა მსგავსი ფორმატის ფარგლებში, ალბათ, უნდა ითვალისწინებდეს, რომ „ბოლო მსხვერპლი" სწორედ ის გახდება მას შემდეგ, რაც დანარჩენი მსოფლიო დამორჩილებული იქნება.**

სავარაუდოდ, ამაშია იმ მტკიცე უარის მიზეზი, რომლითაც პეკინმა ვაშინგტონის მაცდურ წინადადებებს უპასუხა და ეს მშვენივრად ესმის რუსეთის ხელისუფლებასაც. თუმცა, ამავე დროს ის, როგორც ჩანს, აპირებს, ვაშინგტონის სურვილიდან პეკინთან ჭიდილში ძლიერი მოკავშირე ჰყავდეს, მაქსიმალური მოგება ნახოს. დღეისთვის შექმნილმა მდგომარეობამ, რუსეთს საკმაო დივიდენდები მოუტანა: **კრიზისმა არაბულ სამყაროში გაზარდა ფასი ნავთობზე, რაც რუსეთისთვის ცუდი ნამდვილად არ არის. ამასთანავე, იმ დროს, როდესაც ფრანგები ჩაებნენ მძიმე ბრძოლაში „საკუთარი ბენზინგასამართი სადგურისთვის მაღრიბში" და ამით ირიბად გაზარდეს თავისი დამოკიდებულება ვაშინგტონზე, გერმანია რუსეთის მიმართ კიდევ უფრო მეგობრული გახდა, რადგან რუსული ენერგომატარებლები მას მოსალოდნელ კრიზისს შედარებით იოლად გადაატანინებენ. ორშაბათს გერმანულმა „BASF"-მა „გაზპრომთან" შეთანხმება დადო და რუსულ „სამხრეთ ნაკადის" გაზსადენში 2 მილიარდ ევროს ჩადებს. ამასთანავე, კრემლს აინტერესებს საკუთარი პოზიციების განმტკიცება პოსტსაბჭოთა სივრცეში და მიანიშნებს ვაშინგტონს, რომ სწორედ ეს თემა გახდება „სასინჯი ქვა" იმისათვის, რომ მისი სტრატეგიულ პარტნიორობაზე ორიენტირებული განზრახვების სერიოზულობა შეაფასოს.**

სააკაშვილს რაღა ვუყოთ?

**და აი, ამ კულმინაციურ მომენტში, როდესაც ჩვენ თვალწინ გლობალური ტრანსფორმაცია მიმდინარეობს და ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურები იკვეთება, ავანსცენაზე უცებ გამოდის მიხეილ სააკაშვილი უცნაური ღიმილით, ძველი პატეფონითა და არანაკლებ ძველი „პლასტინკით" რუსეთის წინააღმდეგ პროგრესული კაცობრიობის გაერთიანების აუცილებლობის შესახებ. დღეს ეს იმდენად უადგილოა, რომ ნამდვილად გაუმართლებს, თუ შტატების ხელისუფალნი აღნიშნულ პატეფონს თავზე არ გადაამტვრევენ.**

ალბათ, აჯობებს, ყველაფერი მაქსიმალურად გავამარტივოთ; აღარ გვინდა ამდენი გეოეკონომიკა და პეტროპოლიტიკა, კისინჯერი და შლესინჯერი. ფაქტია, მსოფლიო ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური კრიზისი ახალ სტადიაში შედის, რომელსაც, შესაძლოა, გაცილებით ძლიერი რყევები მოჰყვება, ვიდრე ოდესმე გვინახავს. ასეთ დროს ქვეყანას შექმნილი მდგომარეობის ადეკვატური ხელისუფლება უნდა ჰყავდეს. ამასთან დაკავშირებით ერი, ალბათ, გარკვეულ პრაგმატულ კონსესუსამდე უნდა მივიდეს. **შეიძლება თუ არა შექმნილ მდგომარეობაში სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ხელისუფლებაში დატოვება?**

პოლიტიკურ სიმპათიებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს და არც უცხო ქვეყნების პოზიციაა განმსაზღვრელი (არადა, ამ მხრივ ახლახან საინტერესო რამ მოხდა — **საფრანგეთის ელჩმა ერიკ ფურნიემ სააკაშვილის ხელისუფლება ისე მწვავედ გააკრიტიკა, გეგონება, ბულდოზერით გადაუარა). მთავარია, ქვეყნის უსაფრთხოების, თუ გნებავთ, მისი ყოფნა-არყოფნის პრობლემა. დღის წესრიგის მთავარი საკითხი, ალბათ, შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: თუ სააკაშვილი ახალი გამოწვევების ადეკვატურია, ის უნდა დარჩეს, ხოლო თუ ადეკვატური აღარ არის, ხელისუფლებას დაუყოვნებლივ უნდა დაემშვიდობოს, რადგან ამ გამოწვევებზე რეაგირებისთვის მოსამზადებელი დრო ქვეყანას პრაქტიკულად აღარ აქვს.**

**დიმიტრი მონიავა**

## გამოხმაურებანი

**ზაზა ფირალიშვილი,**
**ექსპერტი:**



▼ ახალი ადამიანისა და ახალი საზოგადოების შექმნის იდეებიც წმინდა წყლის ბოლშევიკური იდეებია, თუ ისინი დემოკრატიულ წანამძღვარს არ გულისხმობენ და ერთი კონკრეტული პოლიტიკური წრის იდეებად რჩებიან. ასეთი ტენდენცია ნებისმიერ მმართველობას, ადრე თუ გვიან, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ფარულ თუ აშკარა შეთქმულად აქცევს.

*„კვირის პალიტრა"*

**შალვა ხაჭაპურიძე,**
**პოლიტიკური პარტია „ჩვენი საქართველოს" ლიდერი, ადვოკატი:**



▼ თუ სააკაშვილი კადაფივით მოიქცევა, ამ შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოებას ამდენი წვალება აღარ დასჭირდება. სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ჰააგაში სარჩელი უკვე შეტანილია და ეს სარჩელი დაუყოვნებლივ ამოქმედდება!

*„ასავალ-დასავალი"*

**გია ბურჯანაძე,**
**„სახალხო კრების" საინიციატივო ჯგუფის წევრი, შეფიცულების ხელმძღვანელი, მსახიობი:**



▼ იმ კაცისთვის, რომელიც დღეს ამ ქვეყნის პრეზიდენტად იწოდება, მთელი საქართველო არის განცხრომის საგანი და ადგილი და ამას არ უნდა შევეგუოთ! ეს არის მთავარი და მე სწორედ ახალგაზრდობაში ვხედავ იმ ძალასა და ენერგიას, რაც ამ ქვეყნის შენებასა და ამ ბრძოლაში გამარჯვებას სჭირდება!

*„ასავალ-დასავალი"*

**ვალერი გელბახიანი,**
**პარლამენტის ყოფილი წევრი, პოლიტიკურ დევნილობაში მყოფი:**



▼ სააკაშვილის ხელისუფლება საქართველოს მომავლისათვის იმდენად საშიშია, რომ ჩვენ დასაკარგი აღარაფერი გვაქვს. ეს უნდა იყოს გადამწყვეტი ბრძოლა ამ ტერორისტული რეჟიმის წინააღმდეგ!

*„ასავალ-დასავალი"*

მოკლედ

## პუტინი აშშ-ის ქმედებით შეშფოთებულია



რუსეთის პრემიერ-მინისტრი შეშფოთებულია აშშ-ის ქმედებით. მისი თქმით, ის ძალიან იოლად იღებს გადაწყვეტილებებს საერთაშორისო არენაზე ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს ბელგრადს ბომბავდნენ, ბუშების დროს — ავღანეთსა და ერაყს. რიგში ლიბიაა, მოსახლეობის დაცვის მიზეზით. „სად არის ლოგიკა და სინდისი?! არც ერთია და არც — მეორე!" — განაცხადა პრემიერმა.

## ირანი ოქროს ყიდულობს

ინგლისის ბანკის წარმომადგენელმა ენდრიუ ბეილიმ აშშ-ის ხელისუფლებას შეატყობინა, რომ ირანმა საერთაშორისო ბაზრებზე ოქროს შესყიდვა და დოლარის რეზერვებისგან გათავისუფლება დაიწყო. ბეილის განცხადებით, „იმისათვის, რომ საკუთარი რეზერვები კონფისკაციისგან დაიცვას, ირანმა ოქროს შესყიდვა მნიშვნელოვნად გაზარდა". თეირანი საერთაშორისო ბაზრებზე ოქროს ერთ-ერთი უმსხვილესი შემსყიდველია. ირანი თავისი 300-ტონიანი ოქროს რეზერვით იმ ქვეყნების ოცეულშია, რომლებიც ოქროს ყველაზე მსხვილ რეზერვებს ფლობს.

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**გიორგი გაბრიელაშვილი:**
**ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რა მისამართზე იმყოფება მისი მოქალაქე და სად მოძებნოს. მოქალაქე, რომელიც ექვს თვეზე მეტია, ახალ მისამართზე ცხოვრობს, ვალდებულია, ამ მისამართზე დარეგისტრირდეს, იმის მიუხედავად, საცხოვრებელი მისი საკუთრებაა თუ არა.**

## გამოხმაურებები



**ნანა კაკაბაძე, უფლებადამცველი:**

▼

ბოლო 20-30 წლის მანძილზე ამდენი პატიმარი საქართველოში არ ყოფილა. მე სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ ციხეები გავსებულია უამრავი უდანაშაულო ადამიანით.

*obieqtivi.net*



**ლევან ანჯაფარიძე, რეჟისორი:**

▼

დღეს ჩვენც პატიმრები ვართ და მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ნამდვილი გისოსები არ გვაქვს წინ. ახლა ვაპირებ 10 წუთამდე მასალის გადაღებას. ჩემს ფილმში პირდაპირ იქნება ნაჩვენები მათი მხეცობა, ვინც სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობს.

*obieqtivi.net*

**ჯონ ბაიერლი, აშშ-ის ელჩი რუსეთში:**



▼

ვაშინგტონმა საქართველოს არმიისთვის იარაღის მსხვილმასშტაბიანი მიწოდება არ უნდა განაახლოს. თუ ჩვენ საქართველოს სამხედრო დახმარებას აღმოვუჩენთ, რუსებმა, შესაძლოა, აქტიურად შეუშალონ ხელი აშშ-ის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინტერესების განხორციელებას. საქართველოს ჯარის შეიარაღება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობებში უდიდეს უკმაყოფილებას გამოიწვევს. ჩვენი მხრიდან ამგვარი პოზიცია პრეზიდენტ სააკაშვილს არ მოეწონება.

*Взгляд*

**სოზარ სუბარი, „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე:**



▼

მე არ ვითხოვ სისხლისღვრას, მაგრამ ქართული პარტია მზადაა ნებისმიერი რადიკალური ქმედებისთვის. აქ იგულისხმება აქციები, თუ საჭირო გახდა, ბოლო ნაბიჯის გადადგმაც. ადამიანებს უფლება აქვთ, თავისი უფლებები დაიცვან. თუ კუდ-ისა და სოდ-ის ოფიცრები მათ უსწორდებიან, ადეკვატური ზომით უნდა დაიცვან თავი და ეს შეიძლება იყოს იმავე ძალის პროპორციული, რასაც ისინი იყენებენ — ეს იქნება ხელკეტი თუ რამე სხვა საშუალება.

*„მთელი კვირა“*

# ტოტალური კონტროლის ახალმა მეთოდმა ბინების გაქირავება 20 პროცენტით გააძვირა

**ხელისუფლების მიერ „რევოლუციურად“ მონათლულ ახალ საგადასახადო კოდექსში არსებულ ნაკლოვანებებს ეკონომიკის ექსპერტები ჯერ კიდევ ითვლიან და ხარვეზთა ნუსხაც დღითიდღე იზრდება. პირველი და გადასახადების გადამხდელებისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხი, ალბათ, მაინც გადასახადების ზრდაა. ამაზე, მართალია, არაფერი ჩაწერეს კანონპროექტის განმარტებით ბარათში, მაგრამ ამ თემაზე ხალხისთვის სასარგებლო კონტექსტში არაერთხელ უსაუბრიათ ქვეყნის პრეზიდენტსა და მთავრობის წევრებს. ალბათ, ყველას ახსოვს სააკაშვილის შარშანდელი ინიციატივა, რომლის თანახმადაც, გადასახადების ზრდა და ახალი გადასახადების დაწესება საქართველოში მხოლოდ რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყვეტილიყო.**



ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის სასიკეთოდ რომ არაფერი იცვლება, ეს უკვე ახალი ამბავი აღარაა. ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ ახალ კოდექსში გადასახადების ზრდა ბინის გამქირავებლებსაც შეეხო. **ბინის გამქირავებლებისთვის 20%-იანი საშემოსავლო გადასახადის გადახდა სავალდებულოა და ამ გადასახადისგან თავის არიდების შემთხვევაში ისინი სოლიდური თანხით დაჯარიმდებიან. არ აქვს მნიშვნელობა, ბინა ორგანიზაციაზე ქირავდება თუ კერძო პირზე და რა ფასად — 200 ლარად თუ 2000 დოლარად.** როგორც გავარკვიეთ, იმ შემთხვევაში, თუკი დეკლარირებული უძრავი ქონება ქირავდება, მისი პატრონი ვალდებულია, საშემოსავლო გადასახადი გადაიხადოს.

ამასთან, სამოქალაქო რეესტრის სააგენტო მოქალაქეებს ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე დარეგისტრირებისკენ მოუწოდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეები, შესაძლოა, იურიდიული მისამართიდან მოიხსნან, რაც პირადობის მოწმობების გაუქმებას გამოიწვევს. **სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის — გიორგი გაბრიელაშვილის განცხადებით, ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რა მისამართზე იმყოფება მისი მოქალაქე და სად მოძებნოს. მოქალაქე, რომელიც ექვს თვეზე მეტია, ახალ მისამართზე ცხოვრობს, ვალდებულია, ამ მისამართზე დარეგისტრირდეს, იმის მიუხედავად, საცხოვრებელი მისი საკუთრებაა თუ არა.**

გაბრიელაშვილის თქმით, მესაკუთრეებს ხშირად ეშინიათ ნათესავისთვის ან მეგობრისთვის ნებართვის მიცემა, რომ ბინაში დარეგისტრირდეს, ვინაიდან ჰგონიათ, რომ ეს ქონებრივ უფლებებს წარმოშობს. თუმცა, მისი განმარტებით, ასეთ შემთხვევაში ქონებრივი უფლებები არ წარმოიშობა. მისივე განმარტებით, მოქალაქეებს ახალ ფაქტობრივ მისამართზე გადასვლისთანავე შეუძლიათ დარეგისტრირება, მთავარია, მესაკუთრის თანხმობა არსებობდეს. ახალ მისამართზე დარეგისტრირების შემდეგ ახალი პირადობის მოწმობის აღება უფასოა. **რეგისტრაციის წესის შესახებ სიახლე იუსტიციის მინისტრის ბრძანებით უკვე მოქმედებს.**

**თამარ გურჩიანი, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე:**

— სიახლე, ფაქტობრივად, არსებული ნორმების ამოქმედების მექანიზმს ქმნის, რადგან დამქირავებლის მიერ რეგისტრაციის ვალდებულება ისედაც არსებობს. ჩემთვის ისაა ბუნდოვანი, როგორ შეძლებს სახელმწიფო იმის გარკვევას, თუ ვინ სად ცხოვრობს.

**სალომე კირვალიძე, ბინის მქირავებელი:**

— ერთოთახიანი ბინა მაქვს დაქირავებული დიდუბეში 200 დოლარად. ორი დღის წინათ ბინის მეპატრონე მოვიდა და 50 დოლარით უნდა გავზარდო ბინის ქირა, რადგან კანონში ცვლილებები შევიდა და ქირის 20 პროცენტი სახელმწიფოს უნდა გადავუხადოო. სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. **ამ 200 დოლარსაც ძლივს ვიხდი და დამატებით კიდევ 50 დოლარის გადახდა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება.** მეპატრონისაც მესმის, ოჯახში უმუშევრები არიან, ქმარი სახელმწიფო სამსახურში მუშაობდა, ასაკის გამო გაათავისუფლეს და ამ ბინით ირჩენენ თავს. ყველაზე მძიმედ ეს ახალი კანონი მაინც ბინის დამქირავებლებზე აისახება. ჩემი მეპატრონის მსგავსად, ალბათ, სხვებიც გააძვირებენ ქირას. **ამ ხელისუფლებამ აღარ იცის, როგორ დაუცარიელოს ხალხს ჯიბე. როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?! ჩემი შემოსავლის 70 პროცენტს ქირასა და გადასახადებში ვიხდი, 100 ლარიც არ მრჩება მგზავრობისა და საკვებისთვის.** თვიდან თვემდე როგორ ვარსებობ, მე თვითონ მიკვირს.

**ეკა ვადაჭკორია, უძრავი ქონების სააგენტოს „პრივატ სერვისის“ გაყიდვების მენეჯერი:**

— საგადასახადო კოდექსში შესულმა ცვლილებამ ბინების გაქირავება უკვე გააძვირა. გაძვირება მოსალოდნელია ასევე სამოქალაქო რეესტრის ინიციატივის შედეგადაც, რადგან დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის ხელშეკრულების დარეგისტრირება 51 ლარი ღირს. **საშემოსავლო გადასახადის 20 პროცენტამდე გაზრდამ უკვე გამოიწვია ბინების გაქირავების დაახლოებით 20 პროცენტით გაძვირება იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელი ორგანიზაცია უცხოეთის მოქალაქეა. რაც შეეხება დაბალფასიან სეგმენტს, გაძვირების პროცესი აქაც შეიმჩნევა.** რეგისტრაციის ახალი წესის ამოქმედების შემდეგ გაძვირების პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური გახდება, რადგან გამქირავებელთა 70-80 პროცენტი შიშობს, რომ კანონდარღვევას აღმოუჩენენ. ამიტომაც ურჩევნიათ, ბინა კანონის დაცვით გააქირაონ და, შესაბამისად, გაზრდილი თანხები ქირის გადასახადში ასახონ.

რაც შეეხება დანარჩენ 20-30 პროცენტს, ისინი ყველაზე დაბალფასიანი, პერიფერიებში არსებული ბინების მფლობელები არიან, რომლებიც დამქირავებლებს წინასწარ გააფრთხილებენ, შემოწმების შემთხვევაში განაცხადონ, რომ ბინის მესაკუთრის ნათესავები არიან და იქ უფასოდ ცხოვრობენ. ასე რომ, სწორედ ეს სეგმენტი დაუმალავს სახელმწიფოს გადასახადებს, რაც, სოციალური ფონიდან გამომდინარე, ბუნებრივია. დარეგისტრირების წესი ვერც წყლისა და დასუფთავების გადასახადის საკითხს მოაგვარებს, რადგან ხელშეკრულება ორ მხარეს შორის იდება და მასში არაა განსაზღვრული, რამდენი კაცი იცხოვრებს ბინაში. შესაბამისად, ფიქსირებული გადასახადი ნებისმიერ შემთხვევაში ერთ სულზე მოვა.

**ლილი მიროტაძე**

---

მსოფლიო

## რადიაქტიური შლეიფი კალიფორნიას მიადგა

რადიაქტიურმა შლეიფმა, რომელიც „ფუკუსიმას“ ერთი რეაქტორის აფეთქების შედეგად წარმოიშვა, წყნარი ოკეანე გადაკვეთა და კალიფორნიის სამხრეთ სანაპირომდე მიაღწია. რადიოაქტიური გამოსხივების დონე არ კონკრეტდება. მეცნიერთა აზრით, უარეს შემთხვევაში, შლეიფის გამოსხივებამ, შესაძლოა, ადამიანების ჯანმრთელობაზე უმნიშვნელოდ იმოქმედოს.



## ჩაძირული ქალაქი

წყნარ ოკეანეში, იაპონიის კუნძულ იონაგუნის მახლობლად, მეცნიერებმა წყალქვეშა ქალაქი აღმოაჩინეს. როგორც იტყობინებიან, კუნძულიდან დაახლოებით 15 მეტრის სიშორეზე, 20 მეტრის სიღრმეში, კაცობრიობის ყველაზე უცნაური გამოცანა მდებარეობს — მთელი წყალქვეშა ქალაქი თავისი კიბეებით, სახლებით, გზებითა და ტაძრებით. მეცნიერები დარწმუნებული არიან, რომ მისი არსებობა არა ათას, არამედ მილიონი წლისწინანდელ ხანას უკავშირდება.

შპს „კოლხმა“ ახალციხე-ნინოწმინდის გზის მონაკვეთის ტენდერი მოიგო და ბიუჯეტიდან ლამის ნახევარი მილიონი გადაურიცხეს. მას „ნაციონალების“ ყულაბაში 40 ათასი ლარი შეუტანია. მერაბიშვილის სამფლობელოში გზის ამ მონაკვეთის მშენებლობას მის ახლო გარემოცვას უკავშირებენ. არის თუ არა ჩარეული სამცხე-ჯავახეთში გზების ინფრასტრუქტურის საქმეში ამირან მესხელის ძმა, ვერ გეტყვით, თუმცა მისივე გარემოცვიდან ცნობილია, რომ რეგიონში მესხელის ძმის გარეშე ჩიტი არ დაფრინავს.

ნაც-ჩეკეტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# რატომ ურიცხავენ «ნაციონალურ მოძრაობას» საარჩევნო ყულაბაში ფულს მეწარმეები?

**ცოტა ხნის წინათ პრესაში გამოქვეყნდა იმ კომპანიების სია, რომლებმაც „ნაციონალურ მოძრაობას“ საარჩევნოდ ფული უფეშქაშეს. ეს სია ცესკოში ოფიციალურად შეიტანა მმართველმა პარტიამ და იმ კომპანიების მონაცემებს მოიცავს, რომელთაც „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ყულაბაში შეიტანეს საარჩევნო შესაწირი. მმართველი გუნდი ხშირად საკუთარ ყულაბას ტერორით ავსებს, მაგრამ არის გამონაკლისებიც, როცა „ხელი ხელს ბანს“ პრინციპით მოქმედებენ მსხვილი კომპანიები და ხელისუფლების წარმომადგენლები.**

კომპანიები, რომლებიც ადგილობრივი არჩევნების დროს „ნაციონალურ მოძრაობას“ ფულს ურიცხავენ, არც მეტი, არც ნაკლები, ის შპს-ებია, რომლებიც სახელმწიფო ტენდერებს უპრობლემოდ იგებენ და ასიათასიან შესყიდვებს ხსნიან, ანუ კერძო კომპანიებს ჯერ მიაქვთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფული და მერე იმავე ფულს უკან, „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ყულაბაში მიაცუნცულებენ. გამოდის, რომ საბოლოო ჯამში ჩვენი შეგროვებული ბიუჯეტიდან კერძო ბიზნესმენებსაც ვაჭმევთ და სახელისუფლო პარტიასაც.

ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ლუკმა და შემადგენელი ნაწილი სამშენებლო კომპანიებს, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საავტომობილო გზების დეპარტამენტში გამოცხადებულ ტენდერებში **შპს „რემმშენია“.** აღნიშნულ კომპანიას ტენდერი საავტომობილო გზების დეპარტამენტში აქვს მოგებული. **შპს „გზამშენს“ 30 ათასი ლარი აქვს გადარიცხული;** ხოლო ბიუჯეტიდან, ინფრასტრუქტურის სამინისტროს ტენდერის მონაცემების მიხედვით, — დორეული-ქვემონაქალაქი-გორის მონაკვეთი აქვს მოგებული.

**შპს „ზიმოს“** ლობისტად წლების განმავლობაში მაია ნადირაძის ქმარი ითვლებოდა. ამ კომპანიამ ახლახანაც მოიგო სახელმწიფო ტენდერი საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ხოლო მანამდე მან 20-კილომეტრიანი მონაკვეთი გააკეთა სენაკი-ფოთი-სარფის მონაკვეთის ხაზზე.

**„ტრანსოიოლ ჯგუფს“** დღემდე ამირან მამუჩაძე უძღვება. მას გივი თარგამაძის დეიდაშვილად იცნობენ. **მამუჩაძემ 2010 წლის 25 თებერვალს 5000 ლარი გადარიცხა „ნაციონალების“ ყულაბაში.** როგორც ჩანს, ეცოტავა ტენდერებიდან ამონაგები თანხები.

სატენდერო მონაცემებში ფიქსირდება **შპს „კოლხიც“,** რომელმაც ახალციხე-ნინოწმინდის გზის მონაკვეთის ტენდერი მოიგო და რომელსაც ბიუჯეტიდან სატენდერო წინადადებით ლამის ნახევარი მილიონი გადაურიცხეს. **მას „ნაციონალების“ ყულაბაში 40 ათასი ლარი შეუტანია. მერაბიშვილის სამფლობელოში გზის ამ მონაკვეთის მშენებლობას მის ახლო გარემოცვას უკავშირებენ. არის თუ არა ჩარეული სამცხე-ჯავახეთში გზების ინფრასტრუქტურის საქმეში ამირან მესხელის ძმა, ვერ გეტყვით, თუმცა მისივე გარემოცვიდან ცნობილია, რომ რეგიონში მესხელის ძმის გარეშე ჩიტი არ დაფრინავს.** როგორც ლეიბორისტები აცხადებენ, სწორედ მის სახელს უკავშირდება ჯავახეთში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის „გავლით“.

**შპს „ბელ ბაუმ“** გასულ წელს, რამაზ ნიკოლაიშვილის დეპარტამენტის უფროსობის დროს, რამდენიმე ტენდერი მოიგო და ახლა მისი **50 ათასლარიანი შენატანი პარტიის ანგარიშზე** მართლაც რომ არაფერია იმ ტენდერების მონაცემებთან შედარებით, რომლებიც გზების მოასფალტებას ხმარდება.

**აბსოლუტურად ყველა ფირმას, რომელიც ქუთაისის ინფასტრუქტურულ სამუშაოებში იღებს მონაწილეობას, „მაყუთი“ აქვს მიტანილი სახელისუფლო პარტიაში.** ამაზე, სხვათა შორის, სახელისუფლო პარტიაშიც ხუმრობენ: ჩემი ოქრო — ჩემთანო! **„იბერია 21“, შპს „კომფორტი“, შპს „იმერეთი“, „ქუთაისი 2006“, „ნიკოილი 9“ და ა.შ. ეს ის კომპანიებია, რომლებიც ადგილობრივ ტენდერებს ხშირად იგებენ.** მაგალითად, ქუთაისში კორტების, სტადიონისა და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების მშენებლობაში აქვს მიღებული მონაწილეობა **შპს „იბერიასა“** და **შპს „კომფორტს“, რომელთა უკანაც ადგილობრივი ოპოზიცია „ნაციონალ“ დეპუტატს — კაკო ბობოხიძეს, გოჩა თევდორაძეს, ასევე ქალაქის მერსა და „ნაციონალურ“ ელიტას ასახელებს.**

**შპს „ამბასადორს“** მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენების — შარანგიების სახელი უკავშირდება. ამიტომაც ყველაზე მსხვილი სატენდერო ლუკმა, რომელიც ქალაქის მერიის შესყიდვების სამსახურმა გამოიტანა (თბილისის სამარშრუტო ქსელი თავიდან ბოლომდე), მათ ერგო. ჰოდა, **შპს „ამბასადორის“ 80 ათასი ლარი პარტიულ ანგარიშზე,** აბა, რა მოსატანია იმ მილიონებთან, რომლებიც მარშრუტკების ქსელმა მათ ჯიბეებს უნდა შეჰმატოს.

**შპს „ტრანსერვისს“ 3 ათასი ლარი აქვს გადარიცხული „ნაციონალური მოძრაობის“ ყულაბაში, „იბერია სერვისს“ კი — 30 ათასი ლარი, ხოლო „თეგეტა მოტორსის“ სათაო ოფისს — 100 ათასი ლარი, მის ფილიალებს დამატებით კიდევ — 100-100 ათასი ლარი.** ეს კომპანიები კი უპრობლემოდ იგებენ ტენდერებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესყიდვებში. აი, ფაქტებიც: საპატრულო დეპარტამენტების შესყიდვების მიხედვით: **საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა ავტონაწილების შესყიდვაზე გამართულ ტენდერში უკვე გამოავლინა გამარჯვებულები და, როგორც ირკვევა, ავტომანქანების საბურავებში შპს „თეგეტა მოტორსს“, „ჯორჯია სკანს“, „თი ჯი ემ გრუპს“, „ტოიოტა ცენტრი თბილისს“ 444260,80 ლარი გადაუხადა.**

დამატებით, ცალკე გამოცხადდა ტენდერი „ბმვ იქს-5“-ის ხუნდებისა და ფილტრებისთვის. ზოგადად, საპატრულო დეპარტამენტს „ფოლკსვაგენების“ მომსახურება ძვირი უჯდება. სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინათ სხვადასხვა მარკის ავტომანქანების ნაწილებისთვის შესაძენმა თანხამ ჯამში 142250 ლარი შეადგინა, ხოლო საწვავით უზრუნველყოფა 1 მილიონ 674249 ლარი დაჯდა.

ავტომანქანების მიმდინარე რემონტის შესახებ, შესყიდვების მიზნით (დაფინანსების წყარო — საკუთარი სახსრები) გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული ფირმების: **შპს „ავტოჰაუზის“, შპს „ცენტრჰაუზის“, ინდმეწარმე იმედა ჭუმბურიძის, შპს „იბერიასერვისის“, შპს „ავტოტრანსერვის კომპანიისა“ და შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ მომსახურების ღირებულებამ ლამის ერთი მილიონი შეადგინა.** ამ ფირმების ნაწილს სამაგიეროდ თამასუქი აქვს ჩაჩხრიალებული.

მივყვეთ სხვა უწყებების მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებულ პრეტენდენტებს, რომლებიც ასევე იგებენ რამდენიმე ასეულათასიან ტენდერებს და პარალელურად ფულს ურიცხავენ სახელისუფლო პარტიას: **შპს „ესაბი“** ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე კომპანიაა, რომელსაც **„ნაციონალურ ყულაბაში“ 10 ათასი ლარი ჩაურიცხავს,** როცა სულ რაღაც რამდენიმე თვის წინათ მან პორტატული კომპიუტერების შესყიდვაში გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა და თავდაცვის სამინისტროდან მხოლოდ ერთ ჯერზე 80220 ლარი მოხსნა. ანალოგიურად მას სხვა კომპიუტერული ტექნიკაც შეუძენია სამინისტროსთვის.

ეს კიდევ არაფერი, **კომპანია „ჯი აი ჯი“-ს,** რომელმაც **„ნაციონალურ მოძრაობას“ 100 ათასი გადაურიცხა,** რამდენიმეჯერ აქვს მოგებული ტენდერი თავდაცვის სამინისტროში მაზუთის შეძენაზე და გატანილი აქვს ჯერ 70 ათასი ლარი, ხოლო შემდეგ — 62300-ლარიანი შესყიდვით თანხები. **აღარაფერს ვამბობთ მილიონიან შესყიდვებზე, რასაც „რომპეტროლ საქართველო“ და ნავთობკომპანიები ახორციელებენ და რომლებიც მონოპოლისტები არიან სახელმწიფო უწყებებში საწვავის შესაძენად გამოცხადებულ ტენდერებში.**

იმავე თავდაცვის სამინისტროს ტენდერებშია **„ჯეომეტალ ჯგუფიც“,** რომელსაც ბიუჯეტიდან 690 ათასი ლარი აქვს ტენდერით მოხსნილი. **შპს „სოფთმასტერს“, „ნაციონალური მოძრაობის“ ყულაბაში გადარიცხული აქვს 15 ათასი ლარი.** სამაგიეროდ, „სოფთმასტერს“ თავდაცვაში კარგად უყოჩაღია: **ჯერ 412 ათასი ლარი მოუხსნია თეთრეულის კომპლექტაციის შესყიდვაში, ხოლო შემდეგ დამატებით კიდევ საკმაოდ ყუათიან ტენდერებში გაუმარჯვია.**

ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია და, ალბათ, საკმარისია იმაზე წარმოდგენის შესაქმნელად, თუ რატომ იმარჯვებენ სახელმწიფო ტენდერებში ერთი და იგივე კომპანიები; მეტიც, ბოლო დროს სამინისტროების დიდმა ნაწილმა საერთოდ უარი თქვა ტენდერებზე და შესყიდვების 90 პროცენტს ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე ახორციელებს. როგორც ჩანს, ისინი ზედმეტი ფორმალობითაც აღარ იწუხებენ თავს. მოკლედ, როგორც იტყვიან, ძალა აღმართს ხნავს და ჩვენს ბიუჯეტს ატყავებს.

**სოფო გელაშვილი**

## აბსოლუტურად ყველა ფირმას, რომელიც ქუთაისის ინფასტრუქტურულ სამუშაოებში იღებს მონაწილეობას, «მაყუთი» აქვს მიტანილი სახელისუფლო პარტიაში



## გამოხმაურები

**დავით თარხან-მოურავი,**
**„საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის“ თავმჯდომარე:**



საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყანა ციხედ გადააქცია და თითოეული მოქალაქე პატიმარია. საპატიმრო დაწესებულებებში 40 ათასამდე მსჯავრდებული იხდის სასჯელს, რაც საგანგაშო ციფრია და საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნაცაა, რომ საპატიმროებში მსჯავრდებულების რაოდენობა 5 ათასს არ აღემატებოდეს.

*obieqtivi.net*

**ნუკრი ქანთარია,**
**რეჟისორი:**



რა თქმა უნდა, პროტესტის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ძველი სახეები, ვინც ერთხელ უკვე იყო ხელისუფლებაში და ასე გვაზარალა, ისევ სათავეში აღარ უნდა მოვიდნენ. მათივე პოლიტიკური იმიჯისთვის იქნება უკეთესი, თუ შემდეგ წრეზე თავს შეიკავებენ.

*„ვერსია“*

**გელა ნიკოლაიშვილი,**
**ადვოკატი:**



მერაბიშვილი, გამომდინარე იმ შესაძლებლობიდან, რაც მან ხელისუფლებაში ყოფნის დროს გამოამჟღავნა, ალბათ, მაინც საბოლოოდ იმის სასარგებლოდ დაიკავებს პოზიციას, ვის მხარესაც ძალა გადაიხრება. ამ შემთხვევაში უფრო პერსპექტიული ბოკერია იქნებოდა. არადა, ძალოვანი უწყებების მხარდაჭერის გარეშე ბოკერიასა და ნებისმიერ სხვასაც გაუჭირდება ხელისუფლების შენარჩუნება.

*„ახალი თაობა“*

**მურმან დუმბაძე,**
**რესპუბლიკური პარტიის აჭარის ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი:**



18 მარტს, აჭარაში რესპუბლიკური პარტია გარდაიცვალა. რეგიონალურად რომ ეს პარტია დაიშლება, ჩემი პარტიიდან გარიცხვის გამო კი არა, თურქეთ-საქართველოს შორის „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ ხელშეკრულების გარშემო ერთსულოვნების გამო.

*obieqtivi.net*

მსოფლიო

## იაპონიამ ბირთვული საფრთხის დონე გაზარდა

იაპონიამ ატომური ელექტროსადგურ „ფოკუსიმას“ მიმდებარე ტერიტორიაზე რადიაციის საგანგაშო დონე მაქსიმალურ 7-შკალიან სისტემაში 4-დან 5-მდე გაზარდა. აღნიშნულ ელექტროსადგურზე რადიაციის დონე 1986 წელს ჩერნობილის ბირთვული კატასტროფის შედეგად დაფიქსირებულ გამოსხივებაზე ორი დონით დაბალია. გაეროს ბირთვული უსაფრთხოების სააგენტო აცხადებს, რომ ყველანაირად ცდილობს სიტუაციის სტაბილიზებას.




## ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე მოლაპარაკებებისკენ მოგვიწოდებს

ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი აუდრონიუს აჟუბალისი რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობათა ნორმალიზებისათვის დიალოგის დაწყებისაკენ მოუწოდებს. „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველომ და რუსეთმა ღია დიალოგი აწარმოონ. მხარეებს შორის ნდობა უნდა აღდგეს. ამის ერთ-ერთი საშუალება ჟენევის დისკუსიებია და ეს ფორმატი უნდა შენარჩუნდეს“, — განაცხადა ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ.

საქართველო და მსოფლიო
ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„რომელ ადამიანს მოუბრუნდება ენა ნონა გაფრინდაშვილის წინააღმდეგ. ნონა ნამდვილად უნდა იყოს ლიდერი. მხრებით ზიდავს საქართველოს სიყვარულს და, როცა ადამიანს ასეთი ცხოვრებით უცხოვრია, მას დაეჯერება. მაგრამ რას იზამს მარტო ნონა! იქ გაერთიანებული მსახიობები, კერძოდ, ესაძე გადასარევია თავის შემოქმედებაში, მაგრამ მისი ასეთი გამოსვლები და არტისტიზმი სასაცილოდ ჩანს“**

# ინდაურით რომ მოისყიდი, ის კაცი ინტელიგენტი არაა!

**ბოლო დროს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, იმაზე, ე.წ. დომინოს პრინციპით ჩვენამდეც მოაღწევს თუ არა ტუნისსა და ეგვიპტეში განვითარებული მოვლენები და მიაჩნია თუ არა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ვინმე საიმედოდ ოპოზიციურ სპექტრში, „საქართველო და მსოფლიოს“ პოეტი თემურ ჩალაბაშვილი ესაუბრა.**



**— ბატონო თემურ, შესაძლებელია თუ არა ჩვენშიც მოხდეს სოციალური ამბოხება?**

— ჩვენი ქვეყანა ამ ქვეყნებისგან იმით განსხვავდება, რომ ბევრად პატარაა. მეორე, და რაც ყველაზე მთავარია, ყველამ დაინახა, არ გამოვდექით პროტესტის ქვეყნად. ვერ შევძელით ეს. იქამდე მიიყვანა ჩვენმა მთავრობამ ხალხი, რომ ვინც უნდა ხმას ილებდეს, ველარ ილებს. ვერც ოპოზიციამ ივარგა. იკვეხნიან, ამდენ კაცს გამოვიყვანთ, ამ თვეში ასე იქნება, ისე იქნებაო, მაგრამ რეალური შედეგი არ ჩანს. აღარ დაგვადგა საშველი.

**— ხშირად საყვედურობენ ოპოზიციური პარტიები საზოგადოებას პასიურობის გამო. საზოგადოების პასიურობა ნაწილობრივ იმითაც ხომ არ არის განპირობებული, რომ ხალხი არ ენდობა ოპოზიციას?**

— ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ისეთი გვყავს, როგორი ერიც ვართ. რა ხალხიც ვართ, ისეთი პრეზიდენტიც გვყავს. ოპოზიციას ასე ხელაღებით არ ვამტყუნებ, მაგრამ რამდენიმეჯერ გვქონდა საშუალება, რომ რაიმე შედეგისთვის მიგვეღწია, მაგრამ მერე ყველა ოპოზიციონერს ერთად მოუნდა პრეზიდენტობა. ერთი ადამიანის ამორჩევა არ ვიცით. გასაგებია, რომ ადამიანები ერთობლივად ქმნიან სიკეთეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ერთი ლიდერი, ყველას ლიდერობა არ გამოვა. შეიძლება შეიქმნას საკოორდინაციო საბჭოებიც.

ამას წინათ ვესწრებოდი „სახალხო კრების“ შეხვედრას, რომელსაც ნონა გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობს. არც იქაა სიმყარე. როცა ადამიანებს ადრე არ სჯეროდათ ბურჯანაძის, ვერც ახლა დაუჯერებენ. ერთხელ თუ ადამიანმა სახელი გაიტეხა... ხომ იცით? ასეა პოლიტიკაშიც. **რომელ ადამიანს მოუბრუნდება ენა ნონა გაფრინდაშვილის წინააღმდეგ. ნონა ნამდვილად უნდა იყოს ლიდერი. თავისი მხრებით ზიდავს საქართველოს სიყვარულს და, როცა ადამიანს ასეთი ცხოვრებით უცხოვრია, მას დაეჯერება. მაგრამ რას იზამს მარტო ნონა! იქ** (შეყრილი არ მინდა ვაკადრო მათ) **გაერთიანებული მსახიობები, კერძოდ, ესაძე გადასარევია თავის შემოქმედებაში, მაგრამ მისი ასეთი გამოსვლები და არტისტიზმი სასაცილოდ ჩანს.** ამის დრო არ გვაქვს, არც — იმის საშუალება, რომ ხმალი ავილოთ და არც იმის, რომ მაღალფარდოვნად ლექსები ვიკითხოთ ტრიბუნებიდან, დავუჩოქოთ მაყურებელს და მსმენელს ველაპარაკოთ ასე. ეს არის ზედმეტი ფანატიზმი. დიდი ხელოვანია ის თავის საქმეში, მაგრამ ვერავითარ ამინდს ვერ შექმნის „სახალხო კრებაში“.

**ჭკვიანი ხალხიც ბრძანდება იქ, ელიზბარ ჯაველიძე, გია ბურჯანაძე, ჩემი მეგობრები. მე მათ სიკვდილშიც გავყვები, ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს ისინი, მაგრამ აქ კიდევ სხვა რამეა საჭირო. ჩემი აზრით, ისევ ჩვენ ვართ საჭირო — ხალხი, ვინც გამოვალთ და ჩვენს სიტყვას ვიტყვით. ხალხმა უნდა აიღოს ინიციატივა და არა ოპოზიციურმა პარტიებმა. ისინიც ხალხი არიან, მაგრამ თვითონ საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ავიღოთ ინიციატივა საკუთარ თავზე და ხელისუფლებას ჩავუდგეთ სათავეში.**

შეიძლება ვინმე ოპოზიციონერმა მითხრას, თქვენ რას აკეთებთო? ვაკეთებ. ჩემი საქმე სიტყვაა და ვიბეჭდები, ვწერ, ვდგავარ არა მხოლოდ ტრიბუნაზე, ჩემს არსებობას პრესაშიც ვადასტურებ და, თუ საჭირო გახდა, ჩასატანებლები გავხდეთ კედელში საქართველოსთვის, ნუ ჩამითვლის ამას ვინმე ურაპატრიოტიზმად, მაგრამ ამასაც შევძლებ. მე არ მოვდივარ გუშინდლიდან. არც ერთი თანამდებობიდან არ გადმოვმხტარვარ, არავის გამოვუშვივარ და მერე არ დამიწყია ოპოზიციონერობა. ეროვნულ მოძრაობას ჯერ კიდევ ბავშვი ვუერთდებოდი, ჩემს მეგობრებთან ერთად, როცა ამ მოძრაობას სული ედგმებოდა.

## თემურ ჩალაბაშვილი:

## სისხლის დაღვრის მომხრე არ ვარ, მაგრამ ასე, თავისი ნებით, არც ერთი თანამდებობის პირი თანამდებობას არ დატოვებს, მითუმეტეს — ჩვენი პრეზიდენტი

**— ხელისუფლების შესაცვლელად რა უნდა მოხდეს და რამდენად არის დღეს ჩვენი საზოგადოება მზად გადამწყვეტი ბრძოლისთვის?**

— სანამ პავლე მოვიდა, პეტრეს ტყავი გააძვრესო, ისე მოგვდის. მზად რომ ვიქნებით, უფრო დაჩაჩანაკებული და გაუბედურებული ერი ვიქნებით. მე რომ მკითხოთ, ეს ყოველდღიურობის საგნად უნდა იქცეს. ჩვენ რომ ჩვენ-ჩვენი საქმე ვაკეთოთ, საკუთარ თავს კარგად უნდა ჩავუღრმავდეთ, ამას გადადება-გადმოდება აღარ უნდა. ეს ამ გაზაფხულშივე უნდა დაიწყოს. **სისხლის დაღვრის მომხრე არ ვარ, მაგრამ იმასაც გულახდილად ვიტყვი, რომ ასე, თავისი ნებით, არც ერთი თანამდებობის პირი თანამდებობას არ დატოვებს, მითუმეტეს — ჩვენი პრეზიდენტი.**

**— ხშირად ახალგაზრდებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას საყვედურობენ. თქვენი თაობა განსხვავებული იყო?**

— ჩემი თაობიდანაც შეიძლება გულგრილი იყოს ვინმე და ახალგაზრდებიდანაც. **არ მიყვარს ცალმხრივი შეფასებები, რომ იტყვიან ხოლმე, ძალიან ცუდი თაობა მოვიდაო. ძალიან ცუდი თაობაც დავხვდით შეიძლება და იმიტომ. „სახალხო კრებაშიც“ გამოჩნდა ახალგაზრდათა ჯგუფი, მაგრამ რატომღაც ლენინურ-სტალინური დროშების ფრიალს მაგონებს ეს ყველაფერი.**

ვაუჩერებს რომ გვირიგებენ და გვაჩეჩებენ ხელში, უფრო გვაგიჟებენ ამით. ზოგი იმასაც იძახის, როგორ ზრუნავს ჩვენი ხელისუფლება ჩვენზეო. გზები გაკეთდა თურმე... შვილიშვილების გადასახდელია ეს ყველაფერი. თუკი 500 მანეთს წამართმევ და ხუთს მომიბრუნებ უკან, ეს სიკეთეა? თურმე ამისთვის მადლობელიც უნდა ვიყოთ. **ახალგაზრდობას ნუ გავამტყუნებთ — რა მაგალითსაც ვუჩვენებთ, იმას გააკეთებს. სულიერად შემძრა ამას წინათ ნანახმა სიუჟეტმა. ახალგაზრდობა სრულიად უწიგნურია. ზოგიერთმა, შოთა რუსთაველი რომ მეფე არ იყო, ისიც არ იცის. სამაგიეროდ იციან საეჭვო ორიენტაციის ადამიანები — ჩვენი მომღერლები, მოზღავილე ხალხი.**

**— ცნობილი ფაქტია, რომ ხელისუფლებას ყველა სფეროში ჰყავს ფავორიტები. თუ „ხელმწიფის ნავში“ არ ზიხარ, ისე ამ ქვეყანაში ვერაფერს მიაღწევ. საკუთარ თავზე თუ გამოსცადეთ ეს ყოველივე?**

— გეთანხმებით, და ჩემ თავზეც გამოვცადე. ეს გმირობა არაა, მაგრამ არც ერთი მთავრობის ნავში იმიტომ არ ვმჯდარვარ, რომ, ჯერ ერთი, არც ჩამისვამდნენ, — არც ჩავუჯდებოდი. არც ის ფიგურა ვიყავი, ნავში ჩასაჯდომად ვინმეს მივეწვიე. მაგრამ ზოგჯერ ტაძრის მშენებლობისთვის კენჭი უფრო დიდ როლს ასრულებს, ვიდრე ლოდი. მგონია, რომ ვიყავი სამშობლოს ის ერთი კენჭი, არც ერთ არასასურველ კედელში რომ არ ჩავეტანებოდი და არც ჩავეტანები, სანამ ცოცხალი ვარ.

**— ხელისუფლება ამ ბოლო დროს საკუთარი ინტელიგენციის შექმნას ცდილობს. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

— ინტელიგენცია თუ ინტელიგენციაა, მასთან მაინც არ დადგება. ხშირად მითქვამს, რომ ინდაურების ჩამორიგებით და საახალწლო ნობათებით ინტელიგენტს რომ მოისყიდი, ის ინტელიგენტი კი არა, კუჭის მონა კაცია. არ ვლაპარაკობ იმ უბედურ ხალხზე, ორ კაპიკ პენსიას რომ ილებს. დანარჩენი, **ვინც ამათი ნასუფრალით იკვებება, ყველა მათხოვარი ინტელიგენტია. მიშას სიტყვები „ჩარეცხილები“ სწორედ მათზეა ზედგამოჭრილი. გვყავს ისეთი მწერლები, რეჟისორები, რომლებსაც ისე არ უჭირთ, რომ ამათკენ ხელი ჰქონდეთ გაწვდილი.** ღმერთი, რჯული, დაგვრჩა თავმოყვარე ხალხი. არა ვართ მთლად წამხდრები ჯერჯერობით.

**— ხშირად მსჯელობენ იმაზე, რომელ ქვეყანასთან უნდა ვიყოთ უფრო დაახლოებული, რომელზე ვიყოთ ორიენტირებული — ამერიკაზე თუ რუსეთზე? ზოგს არც ერთი უნდა, ზოგს ორივე ერთად ურჩევნია. ზოგს მიაჩნია, რომ — ან ერთი, ან მეორე...**

— თვითონ ამერიკისა და რუსეთის ურთიერთობაა გასარკვევი. არავის ეგონოს, რომ ორი დიდი ვეშაპი როცა იბრძვის, იქ ვირთხის ადგილი იყოს. ამჟამად საქართველო ვირთხაა. ამჟამად ამერიკის ხასიათს ვემორჩილებით, მაგრამ, ვიცით ჩვენ, რა შეთანხმება აქვს ამერიკას რუსეთთან? განა ასე, ხელაღებით დაუპირისპირდებიან ერთმანეთს ამხელა სახელმწიფოები ჩვენი გულისთვის. ეს ხომ მსოფლიო ომი იქნება. ამდენი კატასტროფები, წყალდიდობები ჩვენი ცოდვების ნიადაგზე ხდება, მსოფლიო ცოდვების. მესმის, რომ ვერ გაექცევი გლობალიზაციის პროცესს, მაგრამ ეს ჩვენთვის, პატარა ერისთვის, დამღუპველი იქნება.

**— როგორ წარმოგიდგენიათ ხელისუფლების შეცვლის პროცესი? თქვენი აზრით, ხელისუფლება რომც შეიცვალოს, ხედავთ ოპოზიციურ სპექტრში ვინმე საიმედოს?**

— ჩემი მოკლე ჭკუით (ქიზიყში იციან ასე და მეც ქიზიყელი კაცი ვარ) ხელისუფლების შეცვლა-შემოცვლა ბევრის არაფრის მომტანია. ეგებ ის შეცდომები, რომლებიც ამ ხელისუფლებამ დაუშვა, აღარ განმეორდეს. **მეშინია, რომ ამ ოპოზიციურ პარტიებში პატარა „მიშა-პრეზიდენტები“ სხედან. საკმარისია, ვინმემ სკამი მოირგოს, მყისვე მბრძანებელი ხდება. ესაა ქართული წესი. არ ვფიქრობ, რომ ამ ხელისუფლების წასვლისთანავე რადიკალური ცვლილებები მოხდება და მაშინვე ავყვავდებით. მაგრამ წინა კაცის დასჯით, ხომ შეიძლება, უკანა კაცი გაფრთხილდეს?!** შესაცვლელი რომაა ეს ხელისუფლება, გარდაუვალია, მაგრამ ვისით და როგორ, ეს ჩემი საქმე არაა. მე, ერთი რიგითი ქართველი, იქ ვიდგები, სადაც სიმართლეს დავინახავ და საითაც სასიკეთოდ მოტრიალდება ჩემი ქვეყნის ბედი. მე პოეტი ვარ. პოეტი როცა უძლოდა ერს, ტყვიასაც ახლიდნენ, მაგრამ ისინი სხვა წონის ადამიანები იყვნენ — ილია, აკაკი.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

**ვინც ამათი ნასუფრალით იკვებება, ყველა მათხოვარი ინტელიგენტია. მიშას სიტყვები „ჩარეცხილები“ სწორედ მათზეა ზედგამოჭრილი**

მალხაზ მუზაშვილი ქსნის კოლონიიდან გადაიყვანეს გლდანის მერვე საპყრობილეში, სადაც სასტიკად სცემეს. შემდეგ მოათავსეს ხუდადოვის საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა კიდეც. მასთან ერთად კიდევ 12 პატიმარი იყო სასტიკად ნაცემი. ექთანი, რომელმაც მალხაზის დედას შეატყობინა მისი შვილის მდგომარეობის შესახებ, სასწრაფოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან.

რეპლიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ციხეში პატიმრებს სააკაშვილის სურათის კოცნას აიძულებენ

**ქართულ ციხეებში პატიმრების სიკვდილი ყოველდღიურ მოვლენად იქცა. საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი რაოდენობის პატიმრებს ციხეები ვეღარ იტევს, თუმცა ეს, ალბათ, უმნიშვნელო პრობლემაა იმასთან შედარებით, რომ ევროსტანდარტებს მიახლოებულ შენობებში ადამიანებს სიცოცხლეს უსპობენ. არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და უფლებადამცველი პატიმართა სიკვდილიანობის საგანგაშო სტატისტიკაზე საუბრობს, რასაც რეაგირება არც ერთ შემთხვევაში არ მოჰყოლია.**



## გასულ კვირას წამებით ორი პატიმარი გარდაიცვალა

უკვე ნათელია, რომ ხელისუფლებას აწყობს ბევრი პატიმარი, რადგან ეს ნიშნავს შემოსავალს, რომელიც პენიტენციალურ სისტემაში გაჩენილ, ახალ სავაჭრო ობიექტებში ფულის ბრუნვას უკავშირდება, რომ **საპროცესო შეთანხმებები, რაც მსჯავრდებულის სრულ გათავისუფლებას არ ითვალისწინებს, მთავრობისთვის კარგი შემოსავალია და რომ პატიმრების ოჯახის წევრები მზად არიან, არჩევნებში სახელისუფლო გუნდს ათასობით ხმა შეუგროვონ. ამიტომაც არის, რომ ძალოვანი უწყებები იმდენად არიან მოტივირებული ადამიანების დაკავებით, რომ წინასწარი დაკავების იზოლატორებში პერიოდულად ადგილებიც კი აღარ არის.** ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ძნელი ასახსნელია, რატომ არის ასეთი გაუფასურებული ადამიანების სიცოცხლე, რომლის მოსპობაც პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ ნებადართული გახდა.

**გასულ კვირას ციხეში ნაწამები ორი ახალგაზრდა დაკრძალეს. ერთ-ერთი მათგანის, 31 წლის თემურ პეტრიაშვილის გარდაცვალების ფაქტი კონტროლის პალატის ყოფილმა მაღალჩინოსანმა ნუგზარ ნაჭყებიამ გაახმაურა, რომელსაც ხელისუფლება იმის გამო დევნის, რომ სატყეო დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელის — ბიძინა გიორგობიანის წინააღმდეგ შეთითხნილ ბრალდებას არ დასთანხმდა. ნაჭყებიამ ამ ფაქტის გახმაურება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც გარდაცვლილის ოჯახმა დუმილი არჩია.**

**ნუგზარ ნაჭყებია:**

— ჩემი მეზობელი, 1980 წელს დაბადებული თემურ ნოდარის ძე პეტრიაშვილი, რომელიც სასჯელს იხდიდა რუსთავის მეექვსე ზონაში 10 მარტს წამების შედეგად გარდაიცვალა. ეს ინფორმაცია მისმა მეუღლემ და დედამ მომაწოდეს. ის ავადმყოფობდა და წამალს იღებდა, რის გამოც კონფლიქტი მოსვლია ციხის ადმინისტრაციის თანამშრომელთან, **საკნიდან გაუყვანიათ და სასტიკად უცემიათ, შემდეგ კი სადღაც დაუგდიათ. მოგვიანებით თემურ პეტრიაშვილი გლდანის საავადმყოფოში გადაუყვანიათ.** კონტაქტი რომ გაწყდა პატიმართან, მეუღლემ და დამ დაიწყეს მისი ძებნა, მაგრამ ვერ დაუკავშირდნენ. ერთ-ერთმა პატიმარმა მათ მიაწვდინა ინფორმაცია არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით. პეტრიაშვილის **დედა, რომელიც ლუკმაპურის საშოვნელად იტალიაში იყო წასული, ჩამოვიდა, დაიწყო შვილის ძებნა და ძლივს მიაკვლია უკვე გარდაცვლილს. დაახლოებით 10 დღე იწვა თურმე გლდანის საავადმყოფოში და ოჯახს არც ანახეს.**

გარდაცვლილის მშობლები ამ ფაქტის გახმაურების წინააღმდეგი არიან, მაგრამ მე არ შემიძლია ეს საზარელი ფაქტი დავმალო. ადვოკატის გვარსაც კი არ ამბობენ, რომ დოკუმენტები ვნახოთ. სოდი, კუდი — ყველა იქ არის, დაგვდევენ, რომ ინფორმაციამ არ გაჟონოს, ან ვინმემ სურათი არ გადაუღოს მიცვალებულს. სალსალამათი, 31 წლის ბიჭი წევს კუბოში, რომელსაც მეუღლე და 12 წლის ქალიშვილი დარჩა.

**როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არ არის პატიმრის გარდაცვალების ერთადერთი ფაქტი, რომელიც გასულ კვირას დაფიქსირდა. „საერთო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ირმა ინაშვილმა გაახმაურა პატიმრის, 31 წლის მალხაზ მუზაშვილის წამებით გარდაცვალების ფაქტი.**

**ირმა ინაშვილი:**

— ჩვენ ვიდეოკამერით გადავიღეთ მალხაზ მუზაშვილის ცხედარი. მას სხეულის ძალიან სერიოზული დაზიანებები აქვს: ფეხი მოტეხილია; დაზიანებულია ცხვირი, ხელის მტევანი, კისრის ძარღვები. მას აშკარად ეტყობა წამების კვალი. მისი ახლობლებისგან ცნობილია, რომ **მუზაშვილი ქსნის კოლონიიდან გადაიყვანეს გლდანის მერვე საპყრობილეში, სადაც სასტიკად სცემეს. შემდეგ მოათავსეს ხუდადოვის საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა კიდეც.** ოჯახის წევრებმა დაგვიდასტურეს, რომ მუზაშვილი ითხოვდა ოჯახთან შეხვედრას, მაგრამ საავადმყოფოს ექიმებმა ამის უფლება არ მისცეს. ექთანი კი, რომელმაც მალხაზის დედას შეატყობინა მისი შვილის მდგომარეობის შესახებ, სასწრაფოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან. გვაქვს ინფორმაცია, რომ **მალხაზ მუზაშვილთან ერთად კიდევ 12 პატიმარი იყო სასტიკად ნაცემი.** აქედან, მუზაშვილის დის ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამი ნაწამები პატიმარი გადაიყვანეს ხუდადოვის საავადმყოფოში. ასევე გვაქვს ინფორმაცია, რომ კიდევ ორი პატიმარია წამებით მოკლული, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პატიმრების ვინაობა ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ.

**— რას უკავშირდებოდა მისი ცემა, ხომ არ იყო მუზაშვილი დაკავებული პოლიტიკური მოტივით?**

— არა, მას პოლიტიკასთან კავშირი არ ჰქონია. რიტორიკული კითხვაა: რატომ აწამებენ პატიმრებს? ჩვენც დავსვით ეს შეკითხვა აქციაზე, თუ რატომ აწამებენ ადამიანებს, განსაკუთრებით პატიმრებს, რომლებიც დაცული არიან ყველა საერთაშორისო კონვენციით, რა არის ამისი მიზეზი. **რეალურად ცემისა და წამების მიზეზი შეიძლება გახდეს ის, რომ პატიმარმა არ აკოცოს მიხეილ სააკაშვილის სურათს, არ აუღოს „ჩესტი“ ციხის ბადრაგს და ა.შ.**

**— ასეთი მოთხოვნებია ციხეში?**

— დიახ, პატიმრებისგან ინფორმაცია მაქვს, რომ არის ასეთი და სხვა ამ ტიპის დამამცირებელი, ღირსების შემლახველი მოთხოვნები. თუ არ დაემორჩილებიან, სასტიკად სცემენ. ყველაზე დაუმორჩილებლები კი ხვდებიან ხუდადოვზე, საავადმყოფოში, შემდეგ კი — სასაფლაოზე.

**— თუა ცნობილი, კონკრეტულად ვინ სცემა მას?**

— ოჯახის წევრებმა გვითხრეს, რომ მუზაშვილს საკნის მცველებმა სცემეს.

**სოფო გელაშვილი**

## იაპონიაში ზარალმა 200 მილიარდს გადააჭარბა



მსოფლიო ბანკის მონაცემებით, იაპონიაში მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად ზარალმა 200 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ბანკის ექსპერტების გათვლებით, ქვეყანას რესურსების აღსადგენად 5 წელი დასჭირდება. მათ მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში ნათქვამია, რომ სამრეწველო წარმოების მასშტაბის შემცირება, შესაძლოა, სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობაზე უარყოფითად აისახოს. რამდენიმე მწარმოებელი უკვე იტყობინება მოწყობილობების ელექტრონულ კომპონენტებზე ფასების ზრდის შესახებ.

### საავტორო სვეტი

## ჰიპერაქტიური ბავშვი მიხეილი

**„საქართველოს ჰიპერაქტიურმა პრეზიდენტმა აშშ-ში ვიზიტისას ვაშინგტონი მოიარა“, — ასე იწყებს „DallasNews“-ი შტატებში მიხეილ სააკაშვილის მოგზაურობის აღწერას. ჰიპერაქტიურობას, როგორც ცნობილია, ფსიქიატრები უწოდებენ მდგომარეობას, როდესაც ადამიანის აქტიურობა და აღგზნებულობა ნორმას აჭარბებს. თუ მსგავსი ქცევა სხვა ადამიანებისთვის პრობლემებს ქმნის (ვინც თვლის, რომ არ ქმნის, ხელი აწიოს), ის განიხილება როგორც ფსიქიური აშლილობა. ჰიპერაქტიურობა ბავშვებსა და მოზარდებში უფრო ხშირად გვხდება, ვიდრე ზრდასრულ ადამიანებში, ვინაიდან მას ემოციები იწვევს.**

შენიღბული მინიშნება იმაზე, რომ სააკაშვილის საქმე მენტალური მდგრადობის ამბავში მთლად კარგად ვერ არის, დასავლურ მედიაში არაერთხელ გაკეთებულა, მაგრამ პუბლიკაციების პირველსავე ფრაზაში ამას ადრე ადგილი ნამდვილად არ ჰქონია. ისე, „DallasNews“-ი ტეხასური გამოცემაა, იქ კი ბევრი სიმართლის პირში მთქმელი ადამიანი ცხოვრობს.

კიდევ ერთი საინტერესო ციტატა: **„მან გაიხსენა ახალგაზრდობა და მოყვა, როგორ იყო აღფრთოვანებული პრეზიდენტ რეიგანით და როგორ აღიქვამდა ამერიკას „აბსოლუტურ იდეალად, სამოთხედ დედამიწაზე“. მან დასძინა, რომ, როდესაც ბავშვი იყო, „ნებისმიერს, ვინც ოდესმე ამერიკას გააკრიტიკებდა, სახეს დაულეწავდა“.**

თუ იმ ადამიანების მოგონებებს დავეყრდნობით, ვინც სააკაშვილს ბავშვობაში იცნობდა და რიგ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებსაც გავიხსენებთ, ალბათ, გაგვიჭირდება იმის წარმოდგენა, რომ ის ვინმეს (თუნდაც ბავშვობაში, გინდაც შემდგომ) „სახეს ულეწავს“. მაგრამ წამით დავუშვათ, რომ ნორჩი სააკაშვილი ჩაკ ნორისზე მაგარი იყო, და წარმოვიდგინოთ 80-იანი წლების სსრკ, ტელესტუდია, საიდანაც აბონ ციციაშვილი პრეზიდენტ რეიგანს აკრიტიკებს და კუნძულ გრენადის ამბებს გვიყვება, სადაც აშშ-ის არმია, ფლოტი და ავიაცია გმირულად ებრძვის მსუბუქად შეიარაღებულ 2000-მდე ადგილობრივს. **უცებ სტუდიაში შემორბის ჰიპერაქტიური ბავშვი მიხეილი და შეძახილით „როგორ გაბედეთ!“ ყველა იქ მყოფს „სახეს ულეწავს“. დასანანია, რომ ეჟენ დელაკრუა ცოცხალი აღარ არის, მისი ფუნჯი ამ სცენას ნამდვილად სათანადოდ ასახავდა.**

ფაქტი კი, ალბათ, ისაა, რომ სააკაშვილმა მართლაც წარმოიდგინა, რომ ამერიკა „აბსოლუტური იდეალია“, მისგან კერპი შექმნა და ამ კერპს მსხვერპლად ჩვენი ქვეყანა შესწირა.

„DallasNews“-ი, აგრეთვე, შეეხო სააკაშვილის გამოსვლას ბრუკინგსის ინსტიტუტში. იქ (პროპაგანდისტულ წიაღსვლებს ყურადღებას თუ არ მივაქცევთ) ერთი ძალიან საინტერესო განცხადება გაკეთდა: **„ტუნისისა და ეგვიპტის რევოლუციების შემდეგ, ყველა ჩვენგანს შიშისა და გაურკვევლობის განცდა დაეუფლა. ჩვენ მათ კვლავაც ვადევნებთ თვალს და ნათლად მაინც არ გვესმის, რა მოხდა რეალურად და, რაც ყველაზე მთავარია, როგორ განვითარდება მოვლენები“.** ალბათ, ცინიკური იქნებოდა ამაზე შემდეგი კომენტარის გაკეთება: **„ნუ გეშინია, მიხეილ, მალე ყველაფერს გაიგებ“** და ამას ნამდვილად არ ვიზამთ.

გამოსვლის ბოლოს სააკაშვილი იდეალიზმზე საუბრობდა, რასაც, მისი რწმენით, აშშ-ის სიძლიერის „80 პროცენტი ეფუძნება“. იგი ამ თემას ბოლო დროს ძალიან ხშირად ეხება, რადგან, **შესაძლოა, გრძნობს, რომ ვაშინგტონს, პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მისი ხელისუფლება აღარაფერში სჭირდება და აპირებს იქვე ჩარეცხოს, საიდანაც ამოტუმბა;** ამიტომაც იგი გამუდმებით უტრიალებს „იდეალიზმს“, რაც აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში თითქოსდა გეოპოლიტიკურ პრაგმატიზმზე მაღლა დგას, საუბრობს რაღაც საერთო ღირებულებებზე, საერთო იდეალებზე, რაც მას ამერიკულ ისტებლიშმენტთან ვითომდა აკავშირებს. თუმცა მისი ამერიკელი პარტნიორებისთვის, ალბათ, სულ სხვა რამ არის მთავარი, კერძოდ კი ის, რომ ფიგურანტი **„არ ასრულებს პირდაპირ ინსტრუქციებს და მათი ბოლომდე მიყვანა არ ძალუძს“, „უჭირს საკუთარი მოქმედების ორგანიზება, ერთ საქმეს თავს ანებებს და ხელს მეორეს ჰკიდებს“, „ერევა სხვის საუბრებსა და საქმეებში“,** — ეს ფსიქიატრების მიერ ჩამოწერილი ჰიპერაქტიურობის ნიშნებია, მაგრამ, ალბათ, ამავე დროს, სააკაშვილის არცთუ ურიგო პოლიტიკური დახასიათებაც. ან რომელ საერთო იდეალებზე საუბრობს? შესაძლოა, მას ჯერაც არ აუხსნეს, რომ **საერთაშორისო პოლიტიკაში თეატრის მფლობელსა და მარიონეტს, მოთამაშესა და პაიკს არ შეიძლება „საერთო იდეალები“ ჰქონდეთ. მაგრამ ვერაფერს ვიზამთ — ჰიპერაქტიურობისგან განსხვავებით, უგუნურება არ იკურნება.**

**დიმიტრი მონიავა**

ჯეოპოლიტიკა — საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ჰამლეტ ჭიპაშვილი:**
**რაც ხელისუფლებაში „პატივცემული“ სააკაშვილი მოვიდა, საქართველო და თურქეთი ძალიან დაძმობილდნენ. დიდი და პატარა ქვეყნის ძმობილობა კი, მოგეხსენებათ, პატარა ქვეყნის ინტერესების დათმობის ხარჯზე ხდება.**

**გულბაათ რცხილაძე:**
**ყარსის ხელშეკრულება აჭარის რეგიონს სტატუსისა და რელიგიური საკითხების გარანტიას აძლევს, მაგრამ პრაქტიკამ ისიც გვიჩვენა, რომ აგვისტოს ომის დროს თურქეთმა თავისი შეიარაღებული ძალები მზადყოფნაში მოიყვანა**

# ყარსის ხელშეკრულება + თურქული კაპიტალი = დაკარგული აჭარა

**თუ რა ფარული მოტივები ამოძრავებს თურქებს აჭარაში, რა „სარგებელი“ მოუტანა აჭარას თურქულმა ინვესტიციებმა და რამდენად სახიფათოდ შეიძლება იქნეს გამოყენებული აჭარის ავტონომიისთვის ყარსის ხელშეკრულება, ამ თემებზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი და ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე ისაუბრებენ.**

## აჭარის მოსახლეობა თურქეთის მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი და შეშფოთებას გამოხატავს



**ჰამლეტ ჭიპაშვილი:**

— საქართველომ ბათუმის ოლქი 1921 წელს დადებული ყარსის ხელშეკრულებით დაიბრუნა. როგორც მოგეხსენებათ, რუსეთმა თურქეთი ომში დაამარცხა და საქართველოსთვის მრავალი საუკუნის განმავლობაში წართმეული ტერიტორია უკან დააბრუნებინა. ამიტომ ამ ფაქტს რუსეთს უნდა ვუმადლოდეთ. ყარსის ხელშეკრულების თანახმად, ბათუმის პორტი საქართველოსთვის, თურქეთისთვის, აზერბაიჯანისთვის, სომხეთისთვის და რუსეთისთვის თავისუფალ ზონად უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა საბჭოთა კავშირმა თურქეთს საზღვარი მაინც ჩაუკეტა. ამ დროისთვის ყარსის ხელშეკრულება იმ პარამეტრით, რა პარამეტრითაც უნდა მიღებულიყო, არ ამოქმედებულა. შესაბამისად, არც ბათუმი გამოცხადებულა თავისუფალ ქალაქად.

თითქმის სამოცდაათი წლის განმავლობაში ყარსის ხელშეკრულებას ყურადღებას არავინ აქცევდა. მაგრამ, როდესაც საქართველოში დამოუკიდებლობა გამოცხადდა, 1992 წელს პარლამენტმა თურქეთ-საქართველოს ჩარჩო ხელშეკრულება მიიღო, სადაც თურქეთი დაბეჯითებით მოითხოვდა, საქართველოს ყარსის ხელშეკრულება ეღიარებინა. **ამ ხელშეკრულებით, ფაქტობრივად ყარსის რეანიმაცია მოხდა და წერტილი დაუსვა იმ ქართულ ტერიტორიებზე პრეტენზიის განცხადებას, რომლებიც უკვე თურქეთის ტერიტორიად ითვლება. თურქული მხარე ყველაფერს აკეთებს თავის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, ამის შნო ქართულ მხარეს არ აქვს, იგი დღესაც ისეთ ნაბიჯს დგამს, რომლითაც სხვა სარგებლობს.** გგონიათ, ყარსის ხელშეკრულება რეალურად საფრთხის წარმომქნელია აჭარის რეგიონისთვის? პირიქით, გონიერი ხელისუფლების პირობებში ეს ხელშეკრულება საქართველოს სასარგებლოდ ამუშავდებოდა. ამისთვის მხოლოდ ზომიერება იყო საჭირო ნებისმიერ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებთან.

რაც ხელისუფლებაში „პატივცემული“ სააკაშვილი მოვიდა, საქართველო და თურქეთი ძალიან დაძმობილდნენ. დიდი და პატარა ქვეყნის ძმობილობა კი, მოგეხსენებათ, პატარა ქვეყნის ინტერესების დათმობის ხარჯზე ხდება. თურქეთი კი საკმაოდ დიდი სახელმწიფოა, თავისი 80 მილიონამდე მოსახლით; ძლიერია ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით. რიცხვობრივად ყველაზე ძლიერი არმია ნატოში სწორედ მას ჰყავს. საქართველოს ეკონომიკა კი ნულზეა და, მიუხედავად ამისა, ჩვენმა ხელისუფლებამ თურქებს საშუალება მისცა თურქული ბიზნესით აჭარის ტერიტორია აეთვისებინათ. **ინვესტიცია საშიში არ არის, მაგრამ იმ სახით, რა სახითაც დღეს აჭარაშია, ნამდვილად საშიშია. იქ თურქების გახსნილ საწარმოებში 60-80% თურქი მუშაობს, მათი ხელფასებიც ადგილობრივების ხელფასს ბევრად აღემატება, თურქებს — 500-600 დოლარს უხდიან, ჩვენებს კი — 150 ლარს. თურქები, რომლებიც სარფის მხარეს ცხოვრობენ, აჭარაში ყოველდღე გადმოდიან სამუშაოდ და სამსახურის შემდეგ უკანვე ბრუნდებიან, ისე აკეთებენ ამ რეისებს, რომ საზღვარზე არანაირ შემოწმებას არ გადიან. სააკაშვილის წყალობით ხომ თურქეთთან არავითარი სავიზო რეჟიმი და პასპორტი აღარაა საჭირო.**

ვიდრე სარფის საზღვარი გაიხსნებოდა, სარფის რაიონი ყველაზე ჩამორჩენილი იყო თურქეთში. დღეს კი ეს რაიონი საქართველოს, ამიერკავკასიის და თვითბრუნვის ხარჯზე გამოცოცხლდა. ფაქტობრივად ჩრდილოეთი თურქეთი საკუთარი ინტერესების დაკნინების ხარჯზე ავაღორძინეთ. ეს მონათმფლობელური დამოკიდებულებაა და კავშირი არ აქვს თანამედროვე ბიზნესთან. ასევე მოხდა ბათუმის პორტის რეკონსტრუქციაც, რომელიც ფაქტობრივად თურქეთის კუთვნილებაა. ჩრდილოეთ თურქეთის მცხოვრებნი, ტრაპიზონის სიშორის გამო, სწორედ ბათუმის პორტს იყენებენ მსოფლიოში მიმოსასვლელად. საქართველოდან ისინი ასევე ჯერ აზერბაიჯანში შედიან, იქიდან კი — ცენტალური აზიის სახელმწიფოებში, ანუ **თურქეთისთვის საქართველოს უდიდესი სატრანზიტო მნიშვნელობა აქვს. საქართველოს კი იმ ფორმით, რა ფორმითაც თურქეთთან ვურთიერთობთ, არანაირი სარგებელი არ აქვს.** პირიქით, ქვეყანაში ყოველგვარი შემოწმების გარეშე შემოდის თურქული მდარე, დაბალი ხარისხის კვების პროდუქტები. **თურქულმა იაფფასიანმა და ნიტრატებით გაჯერებულმა პროდუქტებმა ქართული ბაზარი წალეკა და ქართულ სოფლის მეურნეობას აღორძინების შანსი წაართვა.**

გარდა ამისა, დიდი ხანია, არიან თურქი სპეციალისტები, მეცნიერები და პოლიტიკოსები, რომლებიც პირველ მსიფლიო ომამდე არსებული თურქეთის, ოსმალეთის იმპერიის აღორძინებაზე ოცნებობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ თურქული პოზიციები ჯერ ჩრდილოეთ კავკასიაში განმტკიცდეს, შემდეგ ცენტრალური აზიის ქვეყნებში და, ცხადია, კავკასიაშიც. კავკასიაში კი რჩება მართლმადიდებლური საქართველო და გრიგორიანული სომხეთი, დანარჩენი, ჩრდილოეთ კავკასიის ჩათვლით, მუსლიმანებია. ეს ძალიან დასაფიქრებელია. თუ ამას დაუმატებთ იმასაც, რომ, **რელიგიური თვალსაზრისით, თურქეთი სულ უფრო ფეხს იკიდებს აჭარაში. სხვათა შორის, ოთხი საკმაოდ დიდი ზომის მეჩეთის მშენებლობა თბილისსა და სამცხე-ჯავახეთშიც დაიგეგმა და მათ სანაცვლოდ თურქები იმ ქართულ ძეგლებს აღგვიდგენენ თავიანთ ტერიტორიაზე, რომლებსაც არანაირი რელიგიური დატვირთვა არ ექნება. თურქულმა მხარემ, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენა საქართველოს, ესენიც დათანხმდნენ. როგორც თავად აჭარლები ამბობენ, იქ სამოცამდე პატარა მეჩეთი აუგიათ უკვე. სააკაშვილი იძახის — უნდა შევეგუოთ რომ საქართველოში ქართველი მუსლიმანებიც გვყავსო.**

უკვე მერამდენე წელია, თურქეთი ევროკავშირში შესვლას ცდილობს. ჰოდა, ქართულ მხარეს მათთვის იქეთ უნდა წაეყენებინა ულტიმატუმი — ევროკავშირში შესასვლელად ხელს არ მოგიწერთ, არანაირ მეჩეთებს არ აგაგებინებთ, თუ თქვენს ტერიტორიაზე არსებულ ყველა ტაძარსა და რელიგიურ ძეგლს არ აღადგენთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იუნესკოსა და ევროკავშირის ამ ამბავში ჩართვას მოვითხოვთო. თუმცა ჩვენს ხელისუფლებას ამის არც უნარი გააჩნია და არც ინტერესი. მათთან ულტიმატუმებით საუბარს ფულების აღება ურჩევნია, სააკაშვილის დედა ხომ თურქული უნივერსიტეტების პრორექტორი გახლავთ. სააკაშვილი ტელევიზით იმასაც იძახდა — დედაჩემმა მითხრა, თურქები ჩვენი ძმები არიან და რომ თითქოს ისინი გვავიწროებდნენ, გაყალბებული ისტორიააო.

**მეტიც, სააკაშვილი კავკასიური სახლის საჭიროებაზე ქადაგებს, სადაც მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმანური ფენა, თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო უნდა შევიდესო. ეს არის ავანტიურისტული გეგმა, რომელიც რუსეთისა და ირანის გაღიზიანებას ემსახურება. კავკასიაზე თუ ვინმეს აქვს პრეტენზია, უპირველეს ყოვლისა, — ამ ორ სახელმწიფოს. ეს ნაბიჯი ბოლო ლურსმანი იქნება ქართული რეალობისთვის; დარწმუნებული ვარ, ძალიან ცუდად დამთავრდება ჩვენთვის.**

ისედაც ვიწვნიეთ აჭარის მაგალითზე — ერთი ტყვია არ გავარდნილა თურქების მიერ, ისე შემოაღწიეს და დამკვიდრდნენ აჭარაში.



**გულბაათ რცხილაძე:**

— თუ საქართველოს ტერიტორიის სიმცირეს, რიცხობრივ მონაცემებსა და სამხედრო შესაძლებლობებს თურქეთისას შევადარებთ, მათ სიახლოვეში, ცხადია, მეტ სარგებელს თურქეთის სახელმწიფო ნახულობს. პოლიტიკური დომინირების საშიშროებასაც თავი რომ დავანებოთ, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან თურქული მხარის ზღვარგადასული ინტერესების გატარება მაინც უშინაარსო გეოპოლიტიკური სვლაა.

**ხელისუფლება რომ იძახის — თურქული ინვესტიციის წყალობით, აჭარაში უამრავი სამუშაო ადგილი იქმნებაო, აბსოლუტური სიცრუეა. ადგილობრივი მოსახლეობისთვის არაფერი იმდენი სამუშაო ადგილი და ანაზღაურება არ გამოჩენილა, რომ მათ ოდნავი შვება ეგრძნოთ. პირიქით, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მათი სოციალურ-ეკონომიური პირობები თურქულ-სომხური ინვესტიციების სიმრავლემ უფრო დაამძიმა.** სხვებთან შედარებით, აჭარაში გაცილებით ძვირია პირველადი მოხმარების პროდუქტები, საყოფაცხოვრებო ნივთები და უძრავ-მოძრავი ქონება, რამაც, შესაძლოა, ადგილობრივ მოსახლეობას ბინების გაყიდვის სტიმული გაუჩინოს. ეს კი დამღუპველია, რადგან იქვე თურქი მყიდველები გამოჩნდებიან. მათ ამის საშუალებას ჩვენი ძალიან ლიბერალური კანონმდებლობაც აძლევს, თუ პირდაპირი არა, შემოვლითი გზებით მაინც.

**ყარსის ხელშეკრულება აჭარის რეგიონს სტატუსისა და რელიგიური საკითხების გარანტიას აძლევს, მაგრამ პრაქტიკამ ისიც გვიჩვენა, რომ აგვისტოს ომის დროს თურქეთმა თავისი შეიარაღებული ძალები მზადყოფნაში მოიყვანა;** თუკი რუსეთის ჯარი 100 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდებოდა საქართველო-თურქეთის საზღვარს, ის მზად იყო, ჯარები საქართველოში შემოეყვანა და ამ კუთხით ბუფერული ზონა შეექმნა. მაგრამ ჯარების შემოყვანას თურქეთი არა ყარსის ხელშეკრულებით, არამედ ნატოს წევრობით ასაბუთებდა. ყარსის ხელშეკრულება სულაც არ ეხება ახალციხის რეგიონს, თუმცა თურქეთის ჯარები იქაც კი აპირებდა შესვლას. ამ ომის დროს აჭარის აკვადორიაში თურქული გემებიც კი იდგა. გამოდის, თურქეთს ნატოს წევრობა მეტი აგრესიისა და მტაცებლობის გამომჟღავნების, შენიღბვის საშუალებას აძლევს.

თურქეთმა აჭარის რაიონში ფარულად შემოაღწია და დაიპყრო. მას ამ რეგიონის მიტაცება სკანდალითა და ომით არც სჭირდება. როგორც სხვადასხვა გამოკითხვიდან ჩანს, **აჭარის მოსახლეობა, განსაკუთრებით სანაპირო ზოლში, თურქეთის მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი და შეშფოთებას გამოხატავს მათ მიმართ. მაგრამ თურქეთი ამ განწყობას კონფლიქტში არ გადაზრდის, რადგან ის ისედაც სტრატეგიულად განაგებს აჭარას, განაგებს მის ეკონომიკურ მდგომარეობას და ცენტრალური ხელისუფლებაც მოსყიდული ჰყავს.** ხელისუფლებას კი არც გეოპოლიტიკა ადარდებს, არც სტრატეგია და არც ქვეყნის გრძელვადიანი ინტერესები. ისინი ნებისმიერ ინვესტორს ნებისმიერ რამეზე თანხმდებიან ფულის სანაცვლოდ. თურქეთის დღევანდელი ხელისუფლება ძირითად აქცენტებს რელიგიაზე აკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანური სამყაროს წარმომადგენლები არიან და ევროკავშირში შესვლას ცდილობენ, ჩვენ კი...

**პრინციპში, თურქები სამართლიანად იცავენ საკუთარი ქვეყნის ინტერესებს, მითუმეტეს საქართველოში ყველაფერი გასდით და მაქსიმალურსაც იღებენ. ე.წ პრეზიდენტი სააკაშვილი კუდის ქიცინით დათანხმდა მეჩეთების მშენებლობას თურქებს. საქართველოს ტერიტორიაზე 200-ზე მეტი მოქმედი მეჩეთი, სკოლები და ინსტიტუტები ფუნქციონირებს, თურქეთის ტერიტორიაზე კი მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძრებს არ გვახსნევინებენ.**

როცა ამერიკელი პილიტიკოსები „ატკატებს“ იღებენ საქართველოდან, რა გასაკვირია, კორუფციული გარიგება თურქ პოლიტიკოსებთანაც რომ ჰქონდეს ჩვენს ხელისუფლებას?

უცხოური ინვესტიცია კარგია, მაგრამ მას თავის კალაპოტი უნდა ჰქონდეს და არა — ასეთი პარპაშის უფლება. ინვესტიცია პოტენციურად პოლიტიკურში გადაზრდილი არ უნდა იყოს. **როცა ასლან აბაშიძეს ტრაპზონის ვილაიეთის ხელმძღვანელმა აჭარა-ტრაპზონის რკინიგზის გაყვანა შესთავაზა, ასლანმა დიპლომატიური უარით გაისტუმრა, შემდეგ თავის მრჩეველს მიუბრუნდა და უთხრა, ესენი რომ ახლა რკინიგზით შემოვიყვანო, უკან ვინ გაიყვანსო.** მიუხედავად მისი პოლიტიკური ლაფსუსებისა, ასლანს შეგნება მაინც ჰქონდა, რომ აჭარის რეგიონი სტრატეგიულად მისი ძლიერი მეზობლისთვის არ დაექვემდებარებინა. იგი თურქეთთან ზომიერების დაცვას ახერხებდა და ნორმალური დამოკიდებულებაც ჰქონდა. ასლანმა ძირითადი ობიექტები სახელმწიფოს მაინც შეუნარჩუნა. მაშინ აჭარაში უცხოური ინვესტიციების მოძალება არ იყო, თუმცა ნამდვილად ნორმალურად ვითარდებოდა რეგიონი.

თითქოს უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკას ქმნის, მაგრამ სინამდვილეში ისინი მხოლოდ აქაური რესურსების ამოქაჩვაზეა ორიენტირებული...

**ეკა რობაქიძე**



აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს 3 ჰექტარი ზღვის პლიაჟი ერთ ლარად გადაუცია ვიღაც თურქი ინვესტორისთვის 49-წლიანი მართვის უფლებით. ისინი კი აქ რესტორნების, კაფე-ბარების, ბუტიკების გაკეთებას აპირებენ. ქართველებისთვის თუ არ შეიძლებოდა, თურქებისთვის შეიძლება?!

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# აჭარას თურქები დაეპატრონენ

**აჭარაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განხორციელებულ ინვესტიციათა 75 პროცენტი თურქ ბიზნესმენებზე მოდის. აღნიშულ ფაქტს ექსპერტები და საზოგადოების წარმომადგენლები სხვადასხვა ახსნას უძებნიან. ზოგიერთი საღად მოაზროვნე რეგიონში თურქული ინვესტიციების მოჭარბებას მეზობელი ქვეყნის იმპერიულ და ჩვენთვის არც თუ სასიკეთო ზრახვებს უკავშირებს. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში კი აჭარაში თურქი ბიზნესმენების მიერ ინვესტიციების დაბანდებაში საფრთხის შემცველს ვერაფერს ხედავენ. მინისტრის მოადგილის თქმით, ეს პროცესი ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს. რას ფიქრობენ ბათუმელები და როგორ იყიდეს თურქებმა თითქმის მთელი აჭარა, ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ლეიბორისტული პარტიის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით რობაქიძე ესაუბრა.**



**— ოფიციალური მონაცემებით, უკანასკნელ პერიოდში აჭარის ტერიტორიაზე განხორციელებული ინვესტიციების 75 პროცენტი თურქებს ეკუთვნის. რას ფიქრობს ამის თაობაზე აჭარის მოსახლეობა?**

— ჯერ ერთი, თურქების გარდა სერიოზული ინვესტორი ბათუმში არ შემოდის, იმიტომ, რომ თურქებს ბათუმში სრული იდილია აქვთ. ყველაფერს აკეთებს აჭარის ხელისუფლება, კონკრეტულად კი ლევან ვარშალომიძე, იმისთვის, რომ ქართველ ბიზნესმენებს პრობლემები შეექმნათ, ხოლო თურქი ბიზნესმენები კომფორტულად გრძნობდნენ თავს. ამის ნათელი მაგალითია ბათუმის ზღვისპირა პარკი, ე.წ. ბულვარი, სადაც შარშან, სექტემბერში, ბათუმელებს ბუნგალოები („ტარაბუას“ მიმდებარე ტერიტორიაზე) იმ მიზეზით აალებინებს, რომ მილიონობით ტურისტი ჩამოდის და ზღვისპირა ტერიტორიაზე ბუნგალოები პლიაჟზე დასაწოლი ადგილის პრობლემას ქმნისო.

**ჩვენდა საუბედუროდ, რამდენიმე დღის წინათ იმავე ადგილას, სადაც ქართველებს არ ჰქონდათ ბუნგალოების განთავსების უფლება, ბეტონის უზარმაზარი კონსტრუქციის მშნებელობა დაიწყეს, რაც ყოვლად დაუშვებელია, რადგან ბათუმის ბულვარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და, კანონით, მის ტერიტორიაზე მხოლოდ დასაშლელი კონსტრუქციის განთავსება შეიძლება და არა ბეტონის შენობა-ნაგებობებისა.**

როგორც აღმოჩნდა, **აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს 3 ჰექტარი ზღვის პლიაჟი ერთ ლარად გადაუცია ვიღაც თურქი ინვესტორისთვის 49-წლიანი მართვის უფლებით. ისინი კი აქ რესტორნების, კაფე-ბარების, ბუტიკების გაკეთებას აპირებენ. ქართველებისთვის თუ არ შეიძლებოდა, თურქებისთვის შეიძლება?!**

გარდა ამისა, ბათუმში, ქუთაისის ქუჩაზე, ქართული აღარაფერი დარჩა. აქ ველარც ქართულ საუბარს მოისმენთ, ველარც ქართულ აბრებსა და მაღაზიებს წააწყდებით, მით უფრო, ველარც ქართველ მოსახლეს იპოვით — ყველაფერს დაეპატრონენ თურქები.

კიდევ ერთ მაგალითს მოგიყვანთ: ამას წინათ სტუმრად ჩამობრძანდა გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე და დიდი პიარკამპანია გამართა ბათუმში ნაგვის ქუჩაში დაყრასთან დაკავშირებით გამკაცრებულ კონტროლსა და დაწესებულ ჯარიმებზე. მას შემდეგ შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, დადიან ქუჩებში და ქართველებს 50 ლარით აჯარიმებენ სიგარეტის ნამწვის ან მზესუმზირის ნამცეცების გადაყრისთვის, მაშინ, როცა თურქებს ხმას არავინ სცემს, სულაც ნაგვით სავსე პარკი რომ დააგდონ. არის თუ არა ეს ქართველი ხალხის დისკრიმინაცია საკუთარ ქვეყანაში?!

**— თქვენი აზრით, ბათუმში რატომ ავიწროებენ მხოლოდ ქართველებს?**

— არ ვიცი, რა ახსნა უნდა მოვუძებნო ამას. მამინაცვალი მიშას თურქი ჰყავს და, ალბათ, იმიტომ. გარდა იმისა, რომ თურქებმა თითქმის მთელი აჭარა იყიდეს, ახლა ბათუმის ცენტრში აზიზიეს მეჩეთის აშენებაც მოინდომეს.

**23 მარტს ბათუმში, ილია ჭავჭავაძის ძეგლთან, დაგეგმილია აქცია მოთხოვნით, რომ უარი ითქვას ბათუმში აზიზიეს მეჩეთ-მუზეუმის აგებაზე. ამ მუზეუმის აგება რომ დაგეგმილიყო, დავუშვათ, ქუთაისში, გორში, თუნდაც თბილისში, ვერანაირ პრობლემას ვერ დავინახავდი, მაგრამ მაშინ, როდესაც ქალაქ ბათუმზე და საერთოდ აჭარაზე ჩვენს მეზობელ და „ძმურ“ თურქეთს, დიდი ხანია, თვალი აქვს დადგმული და პრეტენზია გააჩნია ამ ტერიტორიაზე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ ნაბიჯის გადადგმა.**

როდემდე შეიძლება აჭარაში ყველა დიდი ინვესტიაცია თურქული ფულით ჩაიდოს? შეიძლება თუ არა ყველა ბიზნესი აჭარაში თურქს ეკუთვნოდეს? შეიძლება თუ არა ამ ყველაფრის ფონზე კიდევ მეჩეთი და მუზეუმი ავუგოთ? ვფიქრობ, რომ არ შეიძლება და ყველა საღად მოაზროვნე ქართველიც ჩემნაირად იფიქრებს. პრობლემა არ იქნებოდა, ეს რომ აზერბაიჯანელების, რუსების, გერმანელების თუ სხვა ქვეყნების ინვესტიციები იყოს, მაგრამ არამც და არამც არ უნდა დაგვეშვა თურქული ინვესტიციების ამ დონით შემოდინება აჭარაში.

> **«ღმერთმა არ ქნას, მაგრამ, მერწმუნეთ, პირველივე პატარა არეულობის ან დაძაბულობის შემთხვევაში, აჭარაში თურქული მილიონების დასაცავად შესაბამის ზომებს თურქეთის სახელმწიფო მიმართავს»**

დღეს არანაირ იარაღზე, ომზე საუბარი აღარ არის. **თურქეთი ეკონომიკურად ფლობს აჭარას, რასაც, დარწმუნებული ვარ, სავალალო შედეგები მოჰყვება. ჩვენს შვილებს საკუთარ მიწა-წყალზე დიდი ზარზეიმით მიღებულ თურქ ინვესტორებთან მალე სერიოზული პრობლემები შეექმნებათ.** ამის მეშინია და ამაზე შემტკივა გული, როგორც ერთ რიგით ქართველს და არა რომელიმე პარტიის წარმომადგენელს.

**— საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ აჭარაში ინვესტიციების შემოსვლით უამრავი სამუშაო ადგილი შეიქმნა.**

— თურქების მხრიდან ქართველთა დასაქმებაზე საუბარი მხოლოდ ფარსია და ტყუილი. ჩვენზე უკეთესად არავინ იცის, რა და როგორ კეთდება ბათუმში. თურქებთან ქართველები მხოლოდ და მხოლოდ შავ მუშებად მუშაობენ. ნებისმიერ თურქულ დაწესებულებაში მომსახურე პერსონალის 95 პროცენტი თურქია. უფრო მეტიც, **ერთი და იმავე სამუშაოს შესრულებისთვის ქართველს უხდიან 200 ლარს, ხოლო თურქს — 1500. ესაა დასაქმება და თურქული ინვესტიციების სიკეთე ჩვენი ხელისუფლების აზრით.** არც ერთ ბათუმელს საერთოდ ინვესტიციის შემოსვლაზე პრეტენზია არ გვაქვს; ჩვენ მხოლოდ თურქული კაპიტალის შემოდინებას ვეწინააღმდეგებით, რადგან ვხედავთ რეალურ საშიშროებას, რომ თურქეთი ერთ მშვენიერ დღეს მოითხოვს უფლებებს აჭარაზე! **ღმერთმა არ ქნას, მაგრამ, მერწმუნეთ, პირველივე პატარა არეულობის ან დაძაბულობის შემთხვევაში, აჭარაში თურქული მილიონების დასაცავად შესაბამის ზომებს თურქეთის სახელმწიფო მიმართავს.**

თბილისში მცხოვრები ზოგიერთი ჩვენი მოქალაქე ცილს გვწამებს, რომ ბათუმის განვითარება არ გვინდა. წაიყვანონ, ბატონო, ეს თურქები თბილისში, ქუთაისში და მშვიდობაში მოიხმარონ. **ყველაფერი წაგვართვეს — ზღვის სანაპირო ზოლი სარფიდან ქობულეთამდე მაგათია. ბიზნესიც წაგვართვეს, ქალაქიც და ქალებიც (ოჯახის ქალები ყველა გახიზნულია თურქეთში ორი კაპიკის საშოვნელად). ამას ეძახის ჩვენი გიჟი პრეზიდენტი დასაქმებას და მომავლის პერსპექტივას? მაშინ განაცხადოს, რომ აჩუქა თურქებს აჭარა და გვეცოდინება მაინც. თურქული ინვესტიციებით აჭარაში დღითიდღე იზრდება თურქული ინტერესები.** ეს საგიჟეთი უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ!

> **«ქართველები მხოლოდ და მხოლოდ შავ მუშებად მუშაობენ. ნებისმიერ თურქულ დაწესებულებაში მომსახურე პერსონალის 95 პროცენტი თურქია. ერთსა და იმავე სამუშაოს შესრულებისთვის ქართველს უხდიან 200, ხოლო თურქს — 1500 ლარს. ესაა დასაქმება და თურქული ინვესტიციების სიკეთე ჩვენი ხელისუფლების აზრით»**

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

---

**თინათინ ხიდაშელი,**
**თბილისის საკრებულოს წევრი:**



სულ შემთხვევით გავიგეთ, რომ შუშის ხიდი რომ გადმოდის სიონის მხარეს, იმ ადგილის იერსახის შეცვლა და რეკონსტრუქცია იგეგმება, მაგრამ არავინ იცის, რა და როგორ კეთდება.

*„ალია“*

**რეზო შავიშვილი,**
**„ეროვნული ფორუმის“ გენერალური მდივანი:**



ოფიციალური სტატისტიკით, თბილისის მოსახლეობა 1 მილიონ ასი ათასია, ამომრჩეველი კი — 980 ათასი. ვინ დაიჯერებს ამას? გამოდის, რომ 18 წლის ქვემოთ, მოსახლეობა საქართველოში საერთოდ არ გვყავს!

*„ყველა სიახლე“*

**პაველ ზოლოტარიოვი,**
**რუსეთის „აშშ-ისა და კანადის ინსტიტუტის“ დირექტორის მოადგილე:**



საქართველოსთვის იარაღის მიწოდების შესახებ ამერიკელი სენატორების პოზიცია ობამას ადმინისტრაციის განწყობას არ შეესაბამება. თავის დროზე აშშ და მთელი დასავლეთი საქართველოს შეიარაღებული ძალების ფორმირებაში დაეხმარნენ და, რით დასრულდა ეს, ყველამ იცის. უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ მსგავსი სახის მოღვაწეები ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატთა რიგებში ვეღარ მოხვდებიან.

*„პირველი“*

**ვალერიან გორგილაძე,**
**სოციოლოგი, პოლიტიკური კონსულტანტი:**



ცინიზმი და უზნეობაა ვაუჩერების აქციის ასეთი იაფფასიანი გაპიარება. განსაკუთრებით გამაოგნა პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტმა ერთ-ერთ გაჭირვებულ ოჯახში და მაინტერესებს, რას განიცდიდა დავით ბაქრაძე იმ დროს, როდესაც აწვდიდა გაუბედურებულ ადამიანებს თავის 20-ლარიან ენერგო-ვაუჩერს? — კმაყოფილებას თავისი კეთილშობილებით, სიამოვნებას თავისი ჰუმანურობის გამო თუ სირცხვილს?

*„ქართული სიტყვა“*

---

## მიწისძვრის გმირი

სიმტკიცითა და შრომისმოყვარეობით ცნობილი იაპონელებიც კი გაოცებული არიან ქვეყნის მთავრობის გენერალური მდივნის — იუკიო ედანოს გამძლეობით. იგი თანამემამულეებს მიწისძვრის, ცუნამისა და ატომურ ელექტროსადგურებზე მომხდარი აფეთქებების შესახებ ახალ ცნობებს უწყვეტ რეჟიმში აწვდიდა და 105 საათი ფხიზლად გაატარა. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრ ნაოტო კანს, იაპონელები შეშფოთებული არიან ქვეყანაში არსებულ ბირთვულ კრიზისზე მთავრობის ხელმძღვანელის მეტიმეტად ნელი რეაქციით.



## მედვედევი და ერდოღანი შეთანხმდნენ

რუსეთში ვიზიტად მყოფმა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა და რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა „აკუიუ“-ს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიეს. დიმიტრი მედვედევის განცხადებით, ახალი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობისას გამოყენებული იქნება მართვის პროექტის ახალი სქემა. „გამოვიყენებთ მართვის ახალ სქემას როგორც სადგურის მშენებლობის, ასევე მისი ფლობისა და მართვის თვალსაზრისით“, — განმარტა მან.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ნაცხელისუფლებასთან ეს „ხმალამოღებული მებრძოლი“ სინამდვილეში ერთი ჩვეულებრივი შარლატანია, რომელიც ამჯერად ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის გაბრიყვებას ცდილობს და ყველაფერს აკეთებს მისი ძუძუმტეების — ნაცხელისუფლების ელიტის ძალაუფლების განსამტკიცებლად.**

**ერთი შეხედვითაც კი არავითარ სიმპატიას არ იწვევს, თუმცა, ვისაც მასთან უმუშავია, ყველა ამბობს, რომ ეროსი კიწმარიშვილს აქვს უნარი, სათავისოდ განაწყოს მოსაუბრე. როცა თავისუფალ რადიკალებზე ვსაუბრობდი, აღვნიშნე, რომ ამ ატომებს თავისუფალი ვალენტობა გააჩნია და მაღალ ქიმიურ რეაქციულ უნარს განსაზღვრავს. ეროსი ერთ-ერთი ასეთი „ატომია“ და სხვა „ატომებთან“ ერთად მნიშვნელოვანი როლიც შეასრულა საქართველოს ორგანიზმის ფიზიოლოგიასა და პათოლოგიაში. ეს უკანასკნელი კი ისეთი სიმწვავით გამოვლინდა, რომ თვით „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი აქტიური „ატომი“ ეროსიც არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა.**

# თავისუფალი

## ეროსი კიწმარიშვილი — ავტორიტარი პრეზიდენტის შარლატანი სტრატეგი



თუკი ეროსი კიწმარიშვილის ბიოგრაფიას ყურადღებით გაეცნობით, მის განვლილ გზას თვალს გაადევნებთ, ადვილად შენიშნავთ, რომ **მისი წარმატების ერთ-ერთი უპირველესი საიდუმლო ბლეფშია.** ეროსის არ უჭირს ადამიანების დარწმუნება, მაგრამ, თუ მასზე ძლიერ მოთამაშეს გადააწყდება, თამაშიდან გადის, ანდა ლავირებს შექმნილი ვითარებიდან თავის დასაძვრენად.

**ძნელი მისახვედრი არ არის, როდის ბლეფობს, თუმცა ბევრმა თამაშში აყოლა ამჯობინა და წააგო კიდეც, რადგან ასეთი მოთამაშეები, როგორ წესი, ზნეობასთან მწყრალად არიან და მიზნის მისაღწევად არაფერზე იხევენ უკან.**

მიუხედავად იმისა, რომ იგი არასოდეს ყოფილა სახელისუფლო ვერტიკალში, მისი სისუფთავისა არავის სჯერა, მაგრამ ეროსი კიწმარიშვილს საერთოდ არ ანაღვლებს ეს ამბავი!

თუმცა ამდენ ლაპარაკს, ალბათ, სჯობს, რამდენიმე ეპიზოდი შემოგთავაზოთ ეროსის შთამბეჭდავი ავტობიოგრაფიიდან. „პატივცემულმა ტელემამამ“ კი, პრეტენზიები თუ გაუჩნდება, საკუთარ ხელნაწერსა და დეკლარაციას ჩახედოს და შეგვისწოროს.

კიწმარიშვილის ზიგზაგისებურ ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა, ბურჯანაძესავით ერთფეროვანი ბიოგრაფია არ აქვს. იყო **„1988/89 წლების აქციებისა და პირველი მასობრივი საპროტესტო შიმშილობის მონაწილე დასაწყისიდან ბოლო დღემდე“.**

ამ გარემოებას — **„დასაწყისიდან ბოლო დღემდე“** — ხაზს უსვამს ეროვნული მოძრაობისადმი ერთგულების ნიშნად. შემდეგ იყო ექიმობა და პროფესიით მუშაობა 1993 წლამდე. აქ ვერ ვხედავთ ომებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, თორემ, ალბათ, აქაც ჩაწერდა, რომ სამშობლოს ტერიტორიულ მთლიანობას იცავდა **„დასაწყისიდან ბოლო დღემდე“...**

კარგია, რომ საკუთარი ბიოგრაფიის დამშვენება ამ ფაქტითაც არ ისურვა. **თუკი პრეზიდენტი სააკაშვილი იმ პერიოდში „ტყვეთა გაცვლით იყო დაკავებული“** (რას არ მოიგონებს ადამიანი!)**, ამას ვინღა შეუმოწმებდა?** არც არავინ, მაგრამ, როცა ამ ბიოგრაფიას წერდა, ეროსი საზოგადოებრივი მაუწყებლის გენდირექტორობას ეპირებოდა და სიმართლის მსახურებას სიყალბით ხომ არ დაიწყებდა? მის ცხოვრებაში ერთი ასეთი ეტაპი უკვე იყო და ახლა აღარ სურდა იმ დაჭაობებულ მდინარეში მეორედ შესვლა, რომელსაც სიყალბის ოხშივარი ასდიოდა და მისი ბუყბუყის ექო შორს ისმოდა. თუმცა **სიყალბეში უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, მანევრირებასაც უკეთესად ახერხებს.**

**მომავალმა „წარმატებულმა ბიზნესმენმა“ 1993 წელს სადაზღვევო ბიზნესი წამოიწყო და... 1994 წელს წარმატებულად გაკოტრდა!**

**როგორ ფიქრობთ, ექიმობაზე ხელჩაქნეულმა და ბიზნესში გაკოტრებულმა რა გააკეთა? რა და, მაშინვე მედიაბიზნესს მოჰკიდა ხელი. მთელი ათი წელიწადი „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი იყო. აქ კი არც გაკოტრება ემუქრებოდა და არც წარუმატებლობა. ზუსტად იქ აღმოჩნდა, სადაც თავისი შინაგანი „მეს“ სრულად რეალიზებას შეძლებდა — კორუფციის ჭაობისკენ ფართო ნაბიჯებით მიმავალ სახელმწიფო აპარატს უკან მიჰყვებოდნენ კიწმარიშვილის „თავისუფალი ვალენტობით“ ამოქმედებული „სტაბილური მოლეკულები“ და ეროსისთან მიჰქონდათ ყველა ფაქტი და მტკიცებულება.**

ზოგი ტელეეთერით გადაიცემოდა, ზოგიც...

ამ ფაქტებს „თავისუფალი რადიკალი“ სათავისოდ იყენებდა და მედიაბიზნესს აფართოებდა. „სტაბილური მოლეკულები“ ცნობილი სახეები ხდებოდნენ და ამითაც კმაყოფილდებოდნენ, ხოლო ეროსი ქონებას იხვეჭდა. **თვითონ კი აცხადებს, რომ „სწორი ბიზნეს სტრატეგიის დანერგვით, „რუსთავი 2“ 1998 წლის დასაწყისში გადაიქცა საქართველოს ყველაზე წარმატებულ ტელევიზიად“,** მაგრამ **იმდროინდელ ჩინოვნიკებს კარგად ესმოდათ, რას გულისხმობდა ეს „სწორი ბიზნეს სტრატეგია“.**

ამ სტრატეგიით იგი სამჯერ იყო ნომინირებული „წლის საუკეთესო ბიზნესმენად“ 1999, 2000 და 2002 წლებში.

ეს წლები კიწმარიშვილის „საუკეთესო ბიზნესმენობის“ ყველაზე საინტერესო პერიოდია. ალბათ, გახსოვთ 2001 წლის ოქტომბრის დამლევს უშიშროების სამინისტროს ეკონომიკური სამსახური რომ შევიდა „რუსთავი 2“-ში და საბუღალტრო დოკუმენტები მოითხოვა. რამდენად გამართლებული იყო ამგვარი ფორმით შესვლა, სხვა საუბრის თემაა, მაგრამ იმდროინდელი კადრებიდან გეხსომებათ „დიდი ბიზნესმენის“ შეცბუნებული სახე. **კაბინეტში გამოკეტილი კიწმარიშვილი განწირული ურეკავდა მაშინდელ პარლამენტის თავმჯდომარეს და შველას სთხოვდა.**

**აწ განსვენებულმა ჟვანიამ ვითარებით ისარგებლა და პოლიტიკური თამაში წამოიწყო, მაგრამ წაგებული დარჩა. ეს იყო ჟვანიას პირველი უდიდესი და, ალბათ, საბედისწერო მარცხი.**

რა იყო საიდუმლო ბუღალტერიაში, რის გამომზეურებასაც „ობიექტური“ ტელევიზიის მეპატრონე „საუკეთესო ბიზნესმენი“ უფრთხოდა? რასაკვირველია, შავი ბუღალტერია, რადგან **ტელეკომპანია ბიუჯეტში გადასახადებს არ იხდიდა.**

იმდროინდელ მოვლენებზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. თუმცა ამ თემას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით. ამჯერად კი ჩვენ ეროსი კიწმარიშვილის „თავისუფალი რადიკალობის“ საფუძვლები გვაინტერესებს. **ნაცხელისუფლებასთან ეს „ხმალამოღებული მებრძოლი“ სინამდვილეში ერთი ჩვეულებრივი შარლატანია, რომელიც ამჯერად ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის გაბრიყვებას ცდილობს და ყველაფერს აკეთებს მისი ძუძუმტეების — ნაცხელისუფლების ელიტის ძალაუფლების განსამტკიცებლად.**

2003 წლის მოვლენები კიდევ არაერთხელ იქნება ქართული საზოგადოების განსჯის საგანი და ეროსი კიწმარიშვილის ბიოგრაფიის შავი ლაქა. სწორედ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების შესრულებისგან თავის ასარიდებლად ჩაერთო მაშინ „რუსთავი 2“-ის მეპატრონე იმ ანტისახელმწიფოებრივ კამპანიაში და არა მაღალი იდეალების დასაცავად. მისთვის მაღალი იდეალები, როგორც მცნება, საერთოდ არ არსებობს. **2009 წელს საკუთარ თავს ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთ შემოქმედად აცხადებდა, თუმცა ახლა ნანობს, რომ სხვებივით, მაგალითად სააკაშვილივით, წარმატებულად ვერ ისარგებლა ამ „შემოქმედებით“.** იგი ბევრ რამეს ნანობს და იხსენებს „ვარდების რევოლუციის“ დროინდელ შეთანხმებას ლიდერებს შორის.

**„მიხეილ სააკაშვილი უნდა გამხდარიყო პრეზიდენტი, ნინო ბურჯანაძე — პარლამენტის თავმჯდომარე, ზურაბ ჟვანია — პრემიერ-მინისტრი** (ალბათ, გახსოვთ გადამდგარი პრეზიდენტის — ედუარდ შევარდნაძის მიერ ჩამორიგებული პოსტები, მან 2003 წლის 26 ნოემბერს სახელმწიფო კანცელარიის ეზოში რომ გაამხილა. — ბ. მ.). **ჩემი ფუნქცია, როგორც ამ პროექტის ერთ-ერთი მონაწილისა, იყო მათ შორის არსებულ შეთანხმებათა დაცვა. არ უნდა დარღვეულიყო ის ბალანსი, რამაც მოიტანა წარმატება „ვარდების რევოლუციის“ კონკრეტულ ისტორიაში,** — აცხადებდა კიწმარიშვილი „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში 2008 წლის 29 სექტემბერს, — **თუმცა იმ ძალაუფლებისა თუ პასუხისმგებლობის წილი, რომელიც გაგვაჩნდა მე, ჟვანიასა და ბურჯანაძეს, წაიღო მთლიანად მიხეილ სააკაშვილმა“.**

ეროსი ყოფილა არბიტრი სახელისუფლო შტოებს შორის რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. ბალანსი უნდა დაეცვა. მაგრამ რა სტატუსით? მოუსმინეთ, რა განაცხადა სულ ახლახან: **„ჩვენ, ქართველმა ხალხმა, ავირჩიეთ სააკაშვილი, სააკაშვილი მე არ ამირჩევია, რევოლუცია მე არ მომიწყვია, მისი მონაწილე ვიყავით ყველა ჩვენთაგანი...“** („ქართული სიტყვა“ №10, 15-22 მარტი, 2011 წ.). თუ იმ რევოლუციის ერთი ჩვეულებრივი მონაწილე იყო, მაშ, რატომ მაინცდამაინც მას დაეკისრა „ბალანსიროვშიკის“ ფუნქცია? და როდის დაირღვა ეს ბალანსი — მხოლოდ მაშინ, როცა ძალაუფლება მთლიანად მიიტაცა სააკაშვილმა თუ ცოტა ადრე?

**რატომღაც ის აღარ ახსოვს, რომ ჟვანიაზე განაწყენებულმა მისი ძმა, გოგლა ჟვანია იმ პერიოდში, ანუ საქართველოს დანაწილებისას** (პოსტები უკვე გადანაწილებული ჰქონდათ, „ბალანსიროვშიკი“ ეროსი კი უფუნქციოდ დატოვეს!) **„რუსთავი 2“-ს ელიავას ბაზრობის მეპატრონედ გამოაცხადებინა. ისიც დაავიწყდა, რომ თვითონაც საკმაოდ წარმატებულად იხეირა, მაგრამ ჭამაში მოსულმა მადამ გაუფუჭა საქმე.** ამბობს, 2004 წელს ეკონომიკის მინისტრობა შემომთავაზეს და **„უარი ვთქვი „რუსთავი 2“-ის დამოუკიდებელი იმიჯის დაზიანების თავიდან ასაცილებლადო“.** მაგრამ, ვინც ეროსის იცნობს, დაიჯერებს ამ ბლეფს? რასაკვირველია, არ დაიჯერებს! და ამის საფუძველიც ექნება. სხვათა შორის, 2008 წლის 29 სექტემბერს „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში აღიარა, რომ **„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მისი „რუსთავი 2“-დან და საქართველოდან წასვლის მიზეზი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან „მტრული“ ურთიერთობა იყო.**

ეროსის ჰგონია, თვითონ თუ დავიწყების ფერფლს მიაყრის, სხვასაც არ ეხსომება „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ მეპატრონესა და „რევოლუციის ერთ-ერთ შემოქმედს“ მაგ დროს სრული კარტ-ბლანში რომ ჰქონდა და არავის გააკვირვებდა მისი მთავრობაში გადასვლა. მაგრამ საქმე სხვაგვარად იყო: პრეზიდენტობა — სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრობა — ჟვანიას, პარლამენტის თავმჯდომარეობა — ბურჯანაძეს და ამ მეოთხე „შემოქმედს“ მხოლოდ ერთი სამინისტრო და თანაც ჟვანიას მთავრობაში? მერე ბალანსის საქმე როგორღა იქნებოდა?

გარიგება ვერ შედგა. **მაშინ ჟვანიამ, თითქოს მამა-პაპის დანატოვარი იყო, კიწმარიშვილს მთელი ქალაქი რუსთავი უფეშქაშა, ყველა კაზინო და მთელი სათამაშო ბიზნესი იქ გადავიტანოთ და იჯექი ხონთქარივითო... ეროსიმ იცოტავა, ეკონომიკის, ფინანსთა და კავშირგაბმულობის სამინისტროები მოითხოვა, მეკუთვნისო. კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია კი დესერტად დაიგულა... ჟვანია მიუხვდა ვერაგობას და პირველი განხეთქილებაც მაშინ ჩამოვარდა ამ ორ „რევოლუციის შემოქმედს“ შორის.** სააკაშვილი კი ამ დროს „იცინის, იცინის, კვდება სიცილით...“ საბოლოოდ კიწმარიშვილმა შევარდნაძის მძახლის — გურამ ახვლედიანის სავარძელი მოიზომა სავაჭრო-სამრეწველო პალატაში.

ამის შემდეგ იწყება „საუკეთესო ბიზნესმენის“ დაღმასვლა. ნახეთ, რას ამბობს:

**„2004 წელს „რევოლუციურ“ ხელისუფლებასთან (ბურჯანაძის გამოკლებით) და საკუთარ ბიზნესპარტნიორებთან დაპირისპირების მიზეზით იძულებული გავხდი ხელისუფლებისთვის დამეთმო ჩემი წილი „რუსთავი 2“-ში, გადავდექი პალატის ხელმძღვანელის თანამდებობიდან და 3 წლით გადავედი ამერიკის შეერთებულ შტატებში საგანგებო დავალებათა ელჩის თანამდებობაზე“.** იქ რას აკეთებდა, არ ამბობს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ სააკაშვილს და ჟვანიას კიწმარიშვილისთვის რაიმე სერიოზული მისია დაეკისრებინათ და თანაც — აშშ-ში!

თუმცა ამ „გაელჩებამ“ და „რევოლუციურ კვარტეტში“ დაპირისპირებამ ძველი საიდუმლო გაამჟღავნა:

**2004 წლის 8 ივნისს, აშშ-ში გამგზავრებამდე, ჯერ კიდევ „რუსთავი 2“-ის დირექტორმა ეროსი კიწმარიშვილმა სასამართლოს მიმართა თხოვნით კომპანიის მიმართ გაკოტრების საქმის დაწყების შესახებ, გაკოტრების საქმის წარმოება კი 11 ივნისს დაიწყო. „რუსთავი 2“-ს 9 223 385,35 ლარის დავალიანება დაუგროვდა, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება 4 622 826,51 ლარს შეადგენდა.**

**ამ დროისთვის კომპანიას დაუდგა 5 842 847,92 ლარის სხვადასხვა სახის ფულადი ვალდებულებების შესრულების დრო, რისი გადახდის არც ფინანსური და არც მატერიალური საშუალე-** ▶

**კორუფციის ჭაობისკენ ფართო ნაბიჯებით მიმავალ სახელმწიფო აპარატს უკან მიჰყვებოდნენ კიწმარიშვილის «თავისუფალი ვალენტობით» ამოქმედებული «სტაბილური მოლეკულები» და ეროსისთან მიჰქონდათ ყველა ფაქტი და მტკიცებულება.**



**7 ნოემბერს ნამდვილი ბართლომეს დილა მოაწყო ხელისუფლებამ. სად იყო ამ დროს კიწმარიშვილი? იგი ამ დროს ხალხთან კი არა, ნაცხელისუფლებასთან იყო და პოსტიდან გადამდგარი და პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი სააკაშვილის საარჩევნო კამპანიის სტრატეგიის ჯგუფს ხელმძღვანელობდა.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# რადიკალი №2



**იგი მხოლოდ საკუთარი მომავლის უზრუნველყოფისთვის ირჯებოდა და საქართველოც საკუთარი „სიღარიბის გარეშე“ უნდოდა, თორემ კარგად იცოდა, ვის გამდიდრებაზეც ზრუნავდნენ და იზრუნებდნენ ნაცხელისუფლებაში. მაშინ კიწმარიშვილს ვარდისფერი სათვალე ეკეთა და ვერ ამჩნევდა საქართველოს გაუბედურებას!**

**◀ ბები, კომპანიის დირექტორის მტკიცებით, „რუსთავი 2“-ს არ გააჩნდა, რადგან მის ხელთ არსებული თანხებისა და მატერიალური ქონების მთლიანი ღირებულება 3 880 069,34 ლარს შეადგენდა.**

ახლა ძნელი მისახვედრი არ არის, 2001 წლის ოქტომბრის დამლევს რატომ ურეკავდა განწირული კიწმარიშვილი მეგობარ ჟვანიას და რატომ უხმობდა საშველად. ბუნებრივია, **9 მილიონზე მეტი ლარის დავალიანება ერთ და ორ წელიწადში ვერ დაგროვდებოდა. კომპანია წლების მანძილზე არ იხდიდა გადასახადებს, მას კი ე. წ. რეფორმატორები მფარველობდნენ.**

მოკლედ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2004 წლის 17 ივნისს მხარდაჭერა აღუთქვა „რუსთავი 2“-ს და განაცხადა: **„ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, დავიცვათ ნებისმიერი სატელევიზიო კომპანია გაკოტრებისგან, მიუხედავად იმისა, თუ რა რაოდენობის ვალი გააჩნია მას“.** თქვა და დაიცვა კიდეც: საგადასახადო დეპარტამენტი დათანხმდა ვალების რესტრუქტურიზაციაზე „რუსთავი 2“-ის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების შეჩერების სანაცვლოდ.

ეროსი კიწმარიშვილი მაშინ ჯერ კიდევ სავაჭრო-სამრეწველო პალატას ხელმძღვანელობდა და გაისუსა. სინამდვილეში კი **კიდევ ერთხელ გაკოტრებულმა „საუკეთესო ბიზნესმენმა“ ტელეკომპანია გაყიდა, სანაცვლოდ კი ფულიც მიიღო და დიპლომატიური რანგიც აშშ-ში წასასვლელად.**

2009 წლის ივლისში საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობის მაძიებელი კიწმარიშვილი ამბობს, რომ **„2004 წელს ჩემმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა მიიღო ამერიკის მაუწყებელთა ასოციაციის (NAB) ჯილდო „2004 წლის საუკეთესო ტელევიზია“, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მანამდე არც ერთ მაუწყებელს არ მოუპოვებია. დაჯილდოების საფუძველი – „ტელევიზია რომელმაც სასიკეთოდ შეცვალა თავისი ქვეყნის განვითარება“.**

თუ ზემოთქმულს კიდევ ერთხელ ყურადღებით წაიკითხავთ, ნახავთ, თუ რა დაუჯდა სახელმწიფო ბიუჯეტს „2004 წლის საუკეთესო ტელევიზია“ — 9 მილიონზე მეტი. ხოლო რა მოუტანა საკუთარ თავს და ქვეყანას „ტელევიზიამ, რომელმაც სასიკეთოდ შეცვალა თავისი ქვეყნის განვითარება“ და საერთოდ რამდენად სასიკეთოდ შეიცვალა ქვეყნის განვითარება, ამას თვით „დიდი მედიაბიზნესმენის“ სიტყვები ცხადყოფს: **„ამ ტელევიზიის სააკაშვილის ხელში არსებობა ჩემთვის უკვე მიუღებელია, რადგან იგი გახდა ინსტრუმენტი ამ უბედურების რეალიზაციისა“** („ვერსია“, 20 აპრილი, 2009 წელი).

როგორც ხედავთ, თვით ეროსიმაც კი „აღმოაჩინა“, რომ **„2004 წლის საუკეთესო ტელევიზია“,** რომელმაც, ამერიკის მაუწყებელთა ასოციაციის მესვეურთა აზრით, **„სასიკეთოდ შეცვალა თავისი ქვეყნის განვითარება“,** სინამდვილეში **იმ „უბედურების რეალიზაციის ინსტრუმენტი“ გახდა, რომელი უბედურებაც საქართველოს „ვარდების რევოლუციის“ ოთხმა შემოქმედმა დაატეხა თავს** (როცა სააკაშვილის პიარჯგუფს ჩაუდგა სათავეში, მაშინ ვერ შენიშნა, რას და ვის ემსახურებოდა „უბედურების რეალიზაციის ინსტრუმენტი“ „რუსთავი 2“!).

სამაგიეროდ, პირველმა სამმა მეოთხე შემოქმედი გაისტუმრა ხელდამშვენებული, რასაც ადასტურებს მისი მილიონიანი შენაძენები: კერძოდ, ეროსი კიწმარიშვილის კუთვნილებაა ნიუ იორკში მდებარე 200 კვ.მ ფართის 3 მილიონ 250 ათასი აშშ დოლარად ღირებული აპარტამენტი. ასევე 2004 წელს შეიძინა თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე (ვაკე) მდებარე 700 კვ.მ ფართის საცხოვრებელი სახლი, რომლის ღირებულება 1 მილიონ 200 ათას აშშ დოლარია და აგარაკი დაბა გუდაურში.

## სააკაშვილ-კიწმარიშვილმა ახალი თამაში წამოიწყეს ხალხის კიდევ ერთხელ გასაცურებლად!

**ახლა კი აცხადებს კიწმარიშვილი, ტელეკომპანია სააკაშვილმა „ამახია“ და სადამფუძნებლო დოკუმენტაციასაც პირად სეიფში ინახავსო, მაგრამ თუ ცარიელტარიელი გაუშვეს ამერიკაში, საიდან გაჩნდა გაკოტრებული ტელევიზიის ხელმძღვანელის დეკლარაციაში მილიონიანი ქონება სწორედ ამ „ახევის“ შემდეგ?** მხოლოდ მის კი არა, მეუღლის — ია კიწმარიშვილის სახელზეც არის გაფორმებული 300 ათას აშშ დოლარად ღირებული 150 კვ.მ ფართის სახლი თბილისში, ვერაზე, ნიკოლაძის ქუჩაზე და 100 ათას აშშ დოლარად შეფასებული სახლი ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე. ეროსის მეუღლის სახელზეა დარეგისტრირებული რამდენიმე ათეული ჰექტარი მიწის ფართობიც ყვარლის რაიონში... ამ ჩამონათვალში სახსენებელიც არ არის 18 ათას დოლარიანი ბინა რუსთავში... მითუმეტეს, რომ გაცილებით ძვირად შეიძინა არაერთი ძვირფასი ფერწერული ტილო იმავე 2004 წელს და არც საბანკო ანგარიშები გამოიყურება მწირად...

**ტელეკომპანიას 9 მილიონ ლარზე მეტი ჩამოაწერეს, ამის შემდეგ ამხელა ქონებას ფლობს და მისი მეპატრონე თავს გვაცოდებს — „ობოლი ბიჭი ვარ, ღარიბი, ღატაკი დააა...“ სააკაშვილი რომ მამა აბრამის ბატკანი არ არის და არც ტელევიზიის „ახევა“ გაუჭირდებოდა, ამას რა დიდი ფიცი-მტკიცი უნდა, მაგრამ თვით ეროსის თავის მოსაწყლება გულისამრევი.**

ეროსი კიწმარიშვილის „თავისუფალი რადიკალობა“ 2007 წელსაც გამოჩნდა, როცა ნაცხელისუფლებამ ამერიკიდან გამოიხმო და დიდი დაპირებებით საზოგადოებრივი მაუწყებლის კონსულტანტობა ჩააბარა. აქტიურად ჩაერთო დიდი ეროსი ამ ლუპუსტაკების გაძლიერებაში. პრეზიდენტ სააკაშვილს სკამის დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა და ყველაფერი წინასწარ დაგეგმეს. მერე იყო აქციები და უკვე ემოციებდამცხრალი და მინავლებული მიტინგი. თუმცა **7 ნოემბერს ნამდვილი ბართლომეს დილა მოაწყო ხელისუფლებამ. სად იყო ამ დროს კიწმარიშვილი?**

**„2007 წელს... წარმოიქმნა უზარმაზარი ცუნამის ტალღა, რომელმაც სააკაშვილი აიძულა, გადამდგარიყო და, რომ არა ამ პროცესში ბევრი ინსტიტუტის მონაწილეობა, ყველაფერი რეჟიმის დამთავრებით დასრულდებოდა. სააკაშვილი, როგორც რეჟიმი, ჩამოყალიბდა 2008 წლის შემდგომ, ანუ საპრეზიდენტო არჩევნების უკანონო შედეგის დაფიქსირებიდან,“** — განუცხადა ეროსი კიწმარიშვილმა „ქართული სიტყვის“ (№10, 15-22 მარტი, 2011 წ.) კორესპონდენტს. ცხადზე უცხადესია, რომ ამ სიტყვების ავტორი არამხოლოდ დახვეწილი შარლატანი, არამედ დახვეწილი არამზადაცაა, რადგან **იგი ამ დროს ხალხთან კი არა, ნაცხელისუფლებასთან იყო და პოსტიდან გადამდგარი და პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი სააკაშვილის საარჩევნო კამპანიის სტრატეგიის ჯგუფს ხელმძღვანელობდა.**

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეროსის არ ესმოდა, რას აკეთებდა და სიბრიყვით მოუვიდა მაშინდელი საქციელი — იგი ნამდვილად არ არის ბრიყვი(!), ისევე, როგორც ბურჯანაძე, რომელმაც ეროსიზე არანაკლები წვლილი შეიტანა სააკაშვილის „მეორედ მოსვლაში“. და ახლა ერთიცა და მეორეც უტიფრად აცხადებენ, რომ ხალხთან ლაპარაკის უფლება აქვთ! თავს იწონებს კიწმარიშვილი, **ლოზუნგი „საქართველო — სიღარიბის გარეშე“ ჩემი ჯგუფის იდეა იყო, რომელიც „ზუსტად ასახავდა და ასახავს საქართველოს მოსახლეობის მთავარ მოლოდინსო“.** მას ჰგონია, რომ ვერავინ ხვდება, რისთვის იკლავდა თავს — **იგი მხოლოდ საკუთარი მომავლის უზრუნველყოფისთვის ირჯებოდა და საქართველოც საკუთარი „სიღარიბის გარეშე“ უნდოდა, თორემ კარგად იცოდა, ვის გამდიდრებაზეც ზრუნავდნენ და იზრუნებდნენ ნაცხელისუფლებაში.**

სააკაშვილი კვლავაც **ერთპიროვნულად დაეპატრონა პრეზიდენტის სასახლეს, „საუკეთესო ბიზნესმენი“, „რევოლუციის მეოთხე შემოქმედი“, „დიდი დიპლომატი“ და „საარჩევნო სტრატეგი“ კი მოპოვებული გამარჯვების საზღაურად რუსეთში ელჩად გაამწესეს. მაშინ კიწმარიშვილს ვარდისფერი სათვალე ეკეთა და ვერ ამჩნევდა საქართველოს გაუბედურებას!** რომ არა ეს დანიშვნა და ქონებრივი და საფინანსო დეკლარაციის შევსების ვალდებულება, ალბათ, ვერასოდეს გავიგებდით მისი „გაპუტული გლეხის შვილობის“ ამბავს... მაგრამ არ გაუმართლა დიდ ეროსის, ვერ დაატრიალა რუსეთში კვაჭური საქმეები, გლობალურმა პოლიტიკამ — მაკეინის ამბიციებმა მოჭყლიტა, 2008 წლის აგვისტოს ომმა მოუსწრო და გამოიწვიეს...

**ამის შემდეგ დიდი ბიზნესმენი საკუთარ ფონდს ჩაუდგა სათავეში და „ხალხზე ზრუნვა“ დაიწყო;** 2009 წლის დასაწყისში დააარსა „ფონდი 2020“, რომელიც საერთაშორისო, სამოქალაქო (მათ შორის მედიაპროექტები) და სოციალურ-ეკონომიკურ მიმართულებებზე ორიენტირებული კვლევითი ცენტრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეალურად ამ ფონდის განხორციელებულ პროექტებზე არაფერია ცნობილი. **ესეც დაახლოებით იმ გზას დაადგა, რასაც მანამდე ორგზის დროებით ნაპრეზიდენტალი ბურჯანაძე. თან პოლიტიკისგან დისტანცირებით სცადა ხელისუფლების გულისმოგება.**

**„მე ხელისუფლების ოპონენტი ვარ სხვადასხვა საკითხებზე, თუმცა ჩემს თავს პოლიტიკაში ვერ ვხედავ, ჩემს თავს სამოქალაქო საზოგადოებაში ვხედავ,“** — განაცხადა კიწმარიშვილმა 2008 წლის 6 ნოემბერს რადიო „უცნობის“ გადაცემაში. 2009 წლის 20 აპრილს კი გაზეთ „ვერსიასთან“ ინტერვიუში კიდევ ერთ მესიჯი გაუგზავნა ხელისუფლებას: **„ვფიქრობ, სასურველია, სააკაშვილმა დაამთავროს თავის ვადა...“** მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ სააკაშვილი გაულიმებდა, მაგრამ მწარედ შეცდა. ეს სულ ცოტა ხანში გამოჩნდა, **2009 წლის ივლისში, როცა საკუთარი კანდიდატურა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენდირექტორის თანამდებობაზე წარადგინა, მაგრამ „თავისუფლების ინსტიტუტმა“ ლუკმა არ დათმო...**

დიდი ეროსი კი დაიბოლმა, მაგრამ, რაკი გულიც იქით მიუწევდა სააკაშვილის „საარჩევნო სტრატეგს“, **ახლაც რიგითი** (სინამდვილეში ეფრეიტორ!) **სააკაშვილის გადასარჩენად** (გაიხსენეთ — **„ვფიქრობ, სასურველია, სააკაშვილმა დაამთავროს თავის ვადა...“) ნაცელიტას თამაშში აჰყვა და, რადიკალური ოპოზიციის გულის მოგების გზით, ამ ორბიტაზე პოზიციების განმტკიცება სცადა.** მორიგი ბლეფიც გათამაშდა — თუ მანამდე ზომიერ განცხადებებს აკეთებდა, პარლამენტში ე. წ. დავითაიას კომისიის წინაშე წარდგომისას ისეთები თქვა, გივი თარგამაძემ კალამი გაუქანა...

**სპექტაკლმა ანშლაგით ჩაიარა — ამ ფაქტმა ეროსის საზოგადოებაში შეურიგებელის სახელი მოუხვეჭა, თუმცა საქმეში ჩახედულები მაშინვე მიხვდნენ, რომ სააკაშვილ-კიწმარიშვილმა ახალი თამაში წამოიწყეს ხალხის კიდევ ერთხელ გასაცურებლად.**

ამიტომაც ცდილობენ ხელისუფლების წარმომადგენლები „ხალხის პარტიისთვის“ ხელისშეწყობას. მართალია, საჯაროდ ისინი დაპირისპირებული არიან, მაგრამ ნაცნობებს მოუწოდებენ, სწორედ ამ პარტიაში გაწევრიანდნენ. რატომ? იმიტომ, რომ ნაცხელისუფლებას იქ თავისიანები ეგულება, მათ შორის ეროსი კიწმარიშვილი, რომელიც კი აცხადებს რიხიანად, **„სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლა ჩვენ წელსვე შეგვიძლია. მთავარია, არ შეუშინდეთ დღევანდელ რეჟიმს და საბოლოოდ შეაქციოთ მას ზურგიო“,** მაგრამ სწორედ სააკაშვილის ხელისუფლების გადასარჩენად ჩაერთო ამ პოლიტიკურ თამაშში.

**„ჩვენ არ ვაპირებთ ოპოზიციაში ყოფნას. ჩვენ მოვდივართ ხელისუფლების ხელში ასაღებად. ჩვენ და თქვენ მოვდივართ გამარჯვებისთვის. ერთად შევცვლით ამ რეჟიმს და ერთად ავაშენებთ წარმატებულ საქართველოს. არანაირ ოპოზიციაში ყოფნას და დიდხანს დარჩენას ჩვენ არ ვაპირებთ... „ქართულმა პარტიამ“ დავიწყეთ მუშაობა იმაზე, რომ, როცა ხელისუფლებაში მოვალთ, ამ ნაძირლების მიერ თქვენი ჯიბიდან ამოღებული ყველა ცენტი და თეთრი დაუბრუნდეს ქვეყანას და ხალხს, რომელიც მოხმარდება ჩვენი ქვეყნის გაძლიერებას,“** — სულ ახლახან, 5 მარტს, ნათქვამი ეს ლამაზი სიტყვები ნამდვილად აღგაფრთოვანებს, მაგრამ, როგორც კი მათი ავტორის შესახებ შეიტყობ, იმედიანი განწყობაც უკვალოდ ქრება. დიახ, **ეს ემოციური შეძახილი ეროსი კიწმარიშვილს ეკუთვნის, იმ ეროსის, რომელიც 7 ნოემბერს ხალხის მარბიელი სააკაშვილის საარჩევნო სტრატეგიას გეგმავდა!**

გაგახსენდათ ხომ ზურაბ ნოღაიდელის „ხელებს მოვამტვრევთ“, „ფეხებს მოვამტვრევთ“... გაგახსენდათ? ესეც იმ გრამოფონიდან არის, ხელისუფლებაში კი გულიანად იცინიან მათი გაძევების მოლოდინით დაოსებული ხალხის იმედიან განწყობაზე. რატომაც არა, საფუძველიც აქვთ, **„ქართულ პარტიაში“ ხომ თავიანთი „თავისუფალი რადიკალი“ — „საუკეთესო ბიზნესმენი“, „რევოლუციის მეოთხე შემოქმედი“, „დიდი დიპლომატი“ და შარლატანი სტრატეგი ეგულებათ...**

**ბონდო მძინარაშვილი**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**სანამ სააკაშვილი გვყავს სათავეში და სანამ მერაბიშვილის პირსისხლიანი ჯალათები ატერორებენ მოსახლეობას, სულ რომ ზედემოკრატიული საარჩევნო გარემო შეიქმნას, არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა იქნება ყოვლად შეუძლებელი. აქედან გამომდინარე ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც აცხადებენ, რომ დღევანდელ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი არჩევნებია, მიმაჩნია და ღრმად ვარ დარწმუნებული, მოქმედებენ ხელისუფლების დაკვეთით.**

# ვიდრე სააკაშვილი მეფობს, ვიდრე მერაბიშვილი ბატონობს, მშვიდობაზე ლაპარაკი ზედმეტია

**ოპოზიცურ სპექტრში მიმდინარე პროცესებზე, ხელისუფლების შეცვლის რეალურ გზებსა და, ზოგადად, ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ცნობილი პუბლიცისტი და მეცნიერი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე.**

**— ბატონო ელიზბარ, შეიძლება ამ კითხვით უკვე შეგაწყინეს კიდეც თავი ჟურნალისტებმა, მაგრამ დასაწყისისთვის მაინც მინდა, გკითხოთ: იმ პროცესებისა და მოვლენების ფონზე, რაც დღეს ხდება ჩვენს ქვეყანაში, პოლიტიკურ სპექტრში, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ხელისუფლების შეცვლა მშვიდობიანი გზით?**

— არაერთხელ, მათ შორის საჯარო გამოსვლებშიც, მაქვს ხაზგასმით ნათქვამი და მინდა, კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ მე, ისევე, როგორც ნებისმიერი საღად მოაზროვნე და სამშობლოზე შეყვარებული ჭეშმარიტი ქართველი, მომხრე ვარ, რომ ხელისუფლება მაქსიმალურად მშვიდობიანი, არაძალადობრივი გზით შეიცვალოს, ვინაიდან ბოლო ოცი წლის განმავლობაში ჩვენ თვალწინ მომხდარმა რევოლუციებმა დაგვარწმუნა, რომ არეულობებს არანაირი სიკეთე არ მოაქვს არც ქვეყნისთვის და არც ხალხისთვის; მაგრამ, მეორეს მხრივ, როცა ლაპარაკია მშვიდობიან გზებსა და ფორმებზე, თქვენი თქმისა არ იყოს, ჩნდება კითხვა: რამდენად შესაძლებელია ეს ყველაფერი ამ ხელისუფლების პირობებში? ვიღაც-ვიღაცებმა შეიძლება რადიკალიზმში ჩამომართვან, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ, **ვიდრე სააკაშვილი ქვეყნის სათავეშია და ვიდრე მერაბიშვილის რეჟიმი ბატონობს, მშვიდობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომ დღეს ჩვენი ნომერ პირველი ამოცანაა, ჩავაგონოთ ხალხს, რომ ეს ქვეყანა ჩვენ გვეკუთვნის, თითოეულ ჩვენგანს და „ნაციონალური მოძრაობის“ ბანდფორმირებებისგან მის დასახსნელად საჭიროა ბრძოლა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ოღონდ ეს უნდა იყოს ნამდვილი და, რაც მთავარია, შედეგზე გათვლილი ბრძოლა და არავითარ შემთხვევაში ხალხმა არ უნდა დაუშვას მასში ისეთი ძალების ჩართვა, რომლებიც რეალურად სააკაშვილის დაკვეთითა და მითითებებით მოქმედებენ...**

**— რომელ ძალებს გულისხმობთ სააკაშვილის მითითებების შემსრულებელთა შორის?**

— პირველ რიგში, იმ რვა ოპოზიციურ პარტიას, ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს რომ მართავს და რომლის ე. წ. ლიდერებიც თავგამოდებით ცდილობენ, დაარწმუნონ მოსახლეობა ამ უაზრო მოლაპარაკებების შედეგიანობაში. განსაკუთრებით ეს ალასანიასა და რესპუბლიკელებს ეხება, ვინაიდან ისინი იყვნენ ამ ყველაფრის ინიციატორები და სწორედ მათი წყალობით შეძლო ხელისუფლებამ იმ სამარცხვინოდ გაყალბებული შედეგის „გაპრავება“, რომელიც 30 მაისის ადგილობრივ არჩევნებში მიიღო. საერთოდ ეს რესპუბლიკელები და ალასანია იმთავითვე გამოირჩეოდნენ ხელისუფლების მიმართ ლოიალური დამოკიდებულებით და ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია, ამით რის მიღწევასაც ცდილობენ ისინი. **მათი მიზანია, კონსტრუქციული ძალის იმიჯი შეიქმნან და როგორმე თავი მოაწონონ შეერთებულ შტატებს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, დაარწმუნონ „თეთრი სახლის“ მესვეურები, რომ სააკაშვილი არ არის შეუცვლელი და მათ უკეთესად შეუძლიათ გაანადგურონ და მოსპონ ეს ქვეყანა, ამოძირკვონ ქართული სულიერება, ხასიათი და თვითმყოფადობა.** აი, ეს არის მათი ნომერ პირველი ამოცანა და სწორედ ამის დასამტკიცებლად სხედან „ნაცმოძრაობის ლომებთან“ ერთად მოლაპარაკებათა მაგიდასთან. ხალხის აზრი კი, მაპატიეთ და, ფეხებზე ჰკიდია ყველას; და ეს ჩანს კიდეც მათ განცხადებებში, გადაწყვეტილებებზე რომ არაფერი ვთქვათ.

**— თქვენი პოზიცია გასაგებია, მაგრამ, თავის მხრივ, „რვიანის“ წარმომადგენლებს რომ ჰკითხოთ, ქუჩაში დგომისა და „გადადექის“ ყვირილის დრო წავიდა და ახლა ყველა საკითხი სწორედ მოლაპარაკებათა მაგიდასთან უნდა გადაწყდეს.**

— რა თქმა უნდა, ასე ხდება და უნდა ხდებოდეს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, **სანამ სააკაშვილი გვყავს სათავეში და სანამ მერაბიშვილის პირსისხლიანი ჯალათები ატერორებენ მოსახლეობას, სულ რომ ზედემოკრატიული საარჩევნო გარემო შეიქმნას, არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა იქნება ყოვლად შეუძლებელი. აქედან გამომდინარე ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც აცხადებენ, რომ დღევანდელ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი არჩევნებია, მიმაჩნია და ღრმად ვარ დარწმუნებული, მოქმედებენ ხელისუფლების დაკვეთით.** ასე რომ, რაც უნდა ეცადონ, ამ ე. წ. რვიანის წარმომადგენლები, თავიანთი განზრახვის შენიღბვას, დღეს უკვე ყველასთვის ცხადია, რომ ამ ხალხს რეალურად საარჩევნო გარემო კი არ ადარდებს და აღელვებს, არამედ — პირადი ინტერესები, როგორც პოლიტიკური, ისე ფინანსური და ამ ინტერესების დასაცავად ისინი მზად არიან, ხელისუფლებასთან ნებისმიერ შეთანხმებაზე, გარიგებაზე წავიდნენ...



**— „რვიანის“ წარმომადგენელთა განცხადებებისა და დაპირებების, ალბათ, არც არავის სჯერა, მაგრამ თქვენ რას სთავაზობთ საზოგადოებას, რა გეგმები გაქვთ?**

— პირადად ჩემი, როგორც ერთი რიგითი მოქალაქის პოზიცია ასეთია: უნდა გადადგეს სააკაშვილი და მთელი მისი გარემოცვა მშვიდობიანად, ზედმეტი ხმაურისა და აყალ-მაყალის გარეშე, მაგრამ, თუ არ გადადგება, ხალხი უნდა გამოვიდეს, ისევე, როგორც ტუნისსა და ეგვიპტეში გამოვიდა და, როცა სააკაშვილი დაინახავს, რომ ველარ აკონტროლებს პროცესებს, იძულებული იქნება, დატოვოს თანამდებობა და, საერთოდ, ქვეყანა...

**— კი მაგრამ, ეს ყველაფერი უკვე ნაცადი აქვს ოპოზიციას, თანაც არაერთხელ, მაგრამ ვერ მივიღეთ შედეგი. რატომ გგონიათ, რომ ქუჩის გამოსვლებით დღეს შეიძლება რამის მიღწევა?**

— როცა ვამბობ, ხალხი უნდა გამოვიდეს-მეთქი, არ ვგულისხმობ ისეთ მიტინგებს, 2007-სა და 2008-ში რომ ატარებდნენ ოპოზიციის ე. წ. ლიდერები და მერე, მაპატიეთ და, პანღურამორტყმულს რომ უშვებდნენ სახლში გამწარებულ ადამიანებს. ეს ვისი ხელობაცაა, ყველამ კარგად იცის... მე მიმაჩნია, რომ, როცა ხალხი გამოდის ქუჩაში, ისე უნდა მოიქცეს, როგორც ქუჩას ეკადრება და არა ისე, როგორც — აკადემიკოსს და პროფესორს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოგვაქცევენ ყურადღებას და მოიტანს შედეგს ჩვენი ბრძოლა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, რამდენი ხანიც უნდა ვიძახოთ და ვიყვიროთ ძარღვის გაწყვეტამდე — გადადექი, წადი, დაგვანებე თავიო, ვერასოდეს მივაღწევთ იმ შედეგს, რასაც სააკაშვილისა და მისი ხროვისგან ქვეყნის განთავისუფლება ჰქვია...

# ელიზბარ ჯაველიძე: ლევან გაჩეჩილაძე არის მრავალათასიანი მიტინგის ოთხგზის დამშლელი, ქართველი ხალხის გამბითურებელი, ფულზე გაყიდული ადამიანი

**— როგორც ჩანს, თქვენ გამოსავალს რევოლუციაში ხედავთ. სხვათა შორის, ამაზე უკვე ხმამაღლა საუბრობს ოპოზიციის საკმაოდ დიდი ნაწილი, მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა, ზაფხულს სააკაშვილის გარეშე შევხვდებითო.**

— იცით რა, რევოლუცია თავისთავად არ არის გამოსავალი. აქ ლაპარაკია იმ გზებზე, რომლებიც ყველაზე ოპტიმალური და შედეგისმომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. სამწუხაროდ, სააკაშვილის რეჟიმმა საქმე იქამდე მიიყვანა, რომ, როცა გამოსავალზე ვსაუბრობთ, უცებ რევოლუცია და ამბოხება გვახსენდება, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩამორჩენილი ერი ვართ და განვითარება გვაკლია. ნახეთ, რა ხდება ცივილიზებულ ქვეყნებში (საბერძნეთში, საფრანგეთში), მოსახლეობა რომ გამოდის, დაულეწავი და დაუმტვრეველი არაფერი რჩება. ამით იმის თქმა არ მსურს, რომ ჩვენც მათ უნდა მივბაძოთ, მაგრამ, როგორც გითხარით, ქუჩას თავისი ლოგიკა აქვს და, თუ ამ გზით მიდიხარ, მაშინ ყველაფრისთვის მზად უნდა იყო.

რაც შეეხება ლევან გაჩეჩილაძეს, ის, რომ მისი ბოლოდროინდელი განცხადებები განსაკუთრებით მწვავე და რადიკალურია, ბევრს, ალბათ, აფიქრებინებს, რომ ამ კაცს მართლა რაღაც აქვს ჩაფიქრებული და მისგან რამე ქმედით ნაბიჯებს უნდა ველოდოთ. მაგრამ, მეორეს მხრივ, გავიხსენოთ, ვინ არის ის (კიწმარიშვილზე და ოქრუაშვილზე არაფერს ვამბობ). **ის არის ოთხგზის მრავალათასიანი მიტინგის დამშლელი, ქართველი ხალხის გამბითურებელი და გულში იმედის ჩამკვლელი, ფულზე გაყიდული ადამიანი, კაცი, რომელმაც ჯერ იყო და ქანცისგაწყვეტამდე აყვირა ხალხი, „მიშა, მოვდივარო“, მერე კი, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ხელისუფლებას შეეკრა და მილიონების სანაცვლოდ მთელი ეს საპროტესტო ტალღა ერთბაშად მინავლა.** ახლა თვითონ განსაჯოს მოსახლეობამ, არის თუ არა გაჩეჩილაძე ის პიროვნება, რომელსაც შეიძლება ენდო და გაჰყვე რაიმე სახის პროცესებზე მაშინ, როცა საქმე ეხება ქვეყანას, თითოეულ ჩვენგანს და ჩვენს მომავალს...

**— დასაწყისში თქვენ ხელისუფლების შეცვლაზე ისაუბრეთ და თქვით, რომ არჩევნების გზით ამის მიღწევა შეუძლებელია. არ ვიცი, სწორად გავიგე თუ არა, მაგრამ ეს, ალბათ, თავისთავად გულისხმობს ქუჩის გამოსვლებს და დაუმორჩილებლობას; თუმცა, როცა საუბარია პროცესების ამ მიმართულებით წარმართვაზე, ჩნდება ასეთი კითხვა: დაუშვებს კი ამერიკა საქართველოში კიდევ ერთ რევოლუციას? თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— მე ის ვიცი, რომ დღესდღეობით ამერიკა ბოლომდე მხარს უჭერს სააკაშვილს და ამის ერთადერთი მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ ჯერჯერობით „თეთრი სახლის“ მესვეურები ვერ ხედავენ აქ მის ჩამნაცვლებელს. გული მწყდება იმაზეც, რომ არც რუსეთი იჩენს ჩვენს მიმართ აქტიურობას, თორემ ვაშინგტონიც ვერ გაბედავდა ასე ღიად და დაუფარავად საქართველოს შიდასაქმეებში ჩარევას; თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, **ჩვენ ერთადერთი გზა გვრჩება, ეს არის ბრძოლა ამ ხელისუფლებისა და მთლიანად სისტემის წინააღმდეგ, რათა საბოლოოდ გავთავისუფლდეთ არსებული რეჟიმისგან და ფეხზე დადგეს ეს ქვეყანა.**

ესაუბრა
**ჯაბა ჭვანია**

# რესპუბლიკელები და ალასანია ხელისუფლების დაკვეთით მოქმედებენ

**რას მოიმოქმედებს ბიოლოგიური იარაღით აღჭურვილი, ქარიზმატული, არამდგრადი ფსიქიკის მქონე ხელისუფალი და მისი გარემოცვა, თუ მათ ძალაუფლებას საფრთხე შეექმნება? ნეობოლშევიკების ხელში ბიოლოგიური იარაღი სამომავლო პერსპექტივაშიც კი მოსპობს ამ რეგიონში, და არა მხოლოდ აქ, მშვიდობიანი განვითარებისა და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების შესაძლებლობას.**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

გიორგი ასანიძე:

# საქართველოში რევოლუციების დრო დასრულდა

**ოპოზიციის ნაწილი განცხადებებს არ იშურებს და უახლოეს მომავალში კვლავ საპროტესტო აქციების დასაწყებად ემზადება. თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლების წარმომადგენლები ჯერჯერობით ამ ყველაფერს ოლიმპიური სიმშვიდით ხვდებიან და მეტიც, გაცილებით შორეულ გეგმებსაც აწყობენ. რას აპირებს და როგორი იქნება ოპოზიციის ქმედებებზე ხელისუფლების რეაქცია, „საქართველო და მსოფლიოს" პარლამენტის წევრი გიორგი ასანიძე ესაუბრა, რომელსაც მიაჩნია, რომ ყველა დაპირების შესრულება და ყველა პრობლემის მოგვარება შეუძლებელია.**



— ოპოზიციის მიზანია, ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყოს და ხელისუფლების მიმართ პროტესტი გამოხატოს. ასე რომ, მათი განცხადებები ბუნებრივია. ოპოზიციის დანიშნულებაც ხომ ეს არის.

მე დაზუსტებით არ შემიძლია ვთქვა, თუ რისთვის ემზადება ოპოზიცია, მაგრამ მათი განცხადებებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ალბათ, მოთხოვნები უფრო სოციალურ სფეროზე იქნება ორიენტირებული. **თუ ოპოზიცია კანონის ფარგლებში იმოქმედებს, რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც მისაღები იქნება. მაგრამ, თუ ვინმე შეეცდება, ქვეყანაში არეულობა გამოიწვიოს, ამას, ბუნებრივია, ხელისუფლების მხრიდანაც შესაბამისი რეაქცია მოჰყვება.**

ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვაკეთოთ ის საქმე, რომელიც ქვეყნის განვითარებისკენ არის მიმართული. მაგალითად გვაქვს არაბულ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები, სადაც ვხედავთ, რომ არეულობის დროს პროცესები უკონტროლო გახდა. ამიტომ, ჩვენ არ გვსურს დაპირისპირება, პირიქით — ოპოზიციასთან დიალოგს მივესალმებით. **საქართველოში რევოლუციების დრო დასრულდა და წარსულში აღარ უნდა დავბრუნდეთ. არა მგონია, ოპოზიციის თვითმიზანი ანარქია იყოს.**

**— თქვენ ამბობთ, რომ რევოლუციების დრო დასრულდა, თუმცა გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემამ — Wall Street Journal-მა გამოაქვეყნა ამბოხების განწყობის რეიტინგი, რომლის მიხედვითაც, საქართველო აჯანყების პირას მყოფი ქვეყნების ოცეულში აღმოჩნდა. რატომ არის ხელისუფლება ასე მშვიდად, რა გარანტია გაქვთ, რომ ქვეყანაში არსებული თუნდაც მძიმე სოციალური ფონი საპროტესტო მუხტს კვლავ არ გააძლიერებს და ხალხი ქუჩაში არ გამოვა?**

— მიუხედავად იმ ცვლილებებისა, რაც ქვეყანაში განხორციელდა, რა თქმა უნდა, სოციალური პრობლემები მაინც არის. შესაბამისად, ყოველთვის არსებობს ალბათობა, რომ ამით ვილაცამ ისარგებლოს. მაგრამ სოციალურ მდგომარეობას გაუმჯობესება სჭირდება და არა — რევოლუცია...

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ „ვარდების რევოლუცია" ჯერ კიდევ ახლო წარსულში მოხდა და 7 წელიწადი არ არის საკმარისი დრო იმისათვის, ყველა პრობლემა მოაგვარო და მსოფლიოს თვალშიც იდეალურ სახელმწიფოდ წარმოჩინდე. ამიტომ გვინდა, საქართველომ საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციები კიდევ უფრო გაიმყაროს.

**— ეყოფა 2013 წლამდე დრო „ნაციონალურ მოძრაობას" ყბადაღებული დაპირებების შესასრულებლად?**

**— თუ ჩვენ შევძლებთ ყველა ის პრობლემა, რაც საზოგადოებას აწუხებს, მოვაგვაროთ, ჩვენზე ბედნიერი არავინ იქნება. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ცხოვრება ცოცხალი ორგანიზმია და ყოველდღიურად ახალ-ახალი პრობლემები ჩნდება, ეს შეუძლებელია.** თუმცა ჩვენი მთავარი მიზანია, თანმიმდევრულად შევასრულოთ დასახული გეგმა. ის, რომ რაღაც შეგვეშალა, სადღაც ისე არ გამოგვივიდა, როგორც გვსურდა, ბუნებრივია. ვინც არაფერს აკეთებს, იმას არ ეშლება.

**— ხელისუფლება უკვე საუბრობს, რომ მიხეილ სააკაშვილი 2013 წლის შემდეგ, შესაძლოა, პრემიერის რანგშიც ვიხილოთ. ხელისუფლების სათავეში მრავალწლიანი ან სულაც სამუდამო ბატონობა, როგორც წესი, დიქტატორულ რეჟიმებს ახასიათებს. რამდენად რეალურია, სააკაშვილი პრემიერ-მინისტრად ვიხილოთ?**

— ხელისუფლებაში ერთი და ორი წლით არავინ მოდის და **მიხეილ სააკაშვილის პრემიერობაში დიქტატორულ მისწრაფებას ვერ ვხედავ. შესაბამისად, მე მხარს დავუჭერ ნებისმიერ სიკეთეს, რომელიც ქვეყნის ინტერესებიდან იქნება გამომდინარე.**

**— თქვენ გადანაშაულებენ, რომ არაფერი გააკეთეთ სპორტისა და ფიზიკური აღზრდის აკადემიის გადასარჩენად, სადაც ბევრი ღირსეული სპორტსმენი აღიზარდა. რამდენად გამართლებული იყო მისი გაუქმება?**

— ამ თემაზე საუბარი რთულია. ჩვენ გვქონდა ჩვენი მოსაზრება, თუ როგორი უნდა ყოფილიყო აკადემია, რომელიც იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა. სასწავლებელში ბევრი ისეთი ფაკულტეტი იყო, რომლებიც კითხვის ნიშანს აჩენდა. თუმცა ის ფაქტი, რომ აკადემია ილიას უნივერსიტეტს შეუერთდა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ პრობლემა გადაჭრილია და ჩვენი საბოლოო მიზანი ეს იყო. მომავალში, ალბათ, გაიხსნება პროფილური სასწავლებელი, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებს.

**— თქვენ ასევე გადანაშაულებენ, რომ ბადრი პატარკაციშვილს ამაგი არ დაუფასეთ და უღალატეთ.**

— ჩემი განვლილი გზითა და სპორტული მიღწევებით მე ჩემს ქვეყანას დავუფასე ამაგი. შეიძლება ეს ვილაცამ ვილაცის წინაშე ვალდებულებად აღიქვა, რაც, ვფიქრობ, ნამდვილად მცდარია. ჩემი მთავარი მიზანი იყო, მაქსიმალური შედეგისთვის მიმეღწია და საერთოდ, ცხოვრებაში ყველაფერს დიდი შრომის შედეგად მივაღწიე. პიროვნულად არანაირი პრობლემა არ მქონია ბადრი პატარკაციშვილის მიმართ და ის ფაქტი, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გვქონდა, მისთვისაც ცნობილი იყო. ყველა ერთ აზრზე ხომ ვერ იქნება?!

**— თქვენ ხალხისთვის საყვარელი სპორტსმენი იყავით. არ ფიქრობთ, რომ პოლიტიკაში წასვლით თქვენი რეპუტაცია შეილახა და ხალხის პატივისცემაც დაკარგეთ?**

— დრო იცვლება და სპორტში სამუდამოდ ვერავინ დარჩება. პოლიტიკაში ვარ, მაგრამ ჩემი სფერო მაინც სპორტი და ახალგაზრდობაა, სადაც, ვეცდები, მაქსიმუმი გავაკეთო. ნებისმიერი ადამიანის შეხედულებას პატივს ვცემ, მაგრამ, ვისაც არ მოვწონვარ, მისი პრობლემაა. თუმცა ჩემს პოლიტიკოსობაში გასაკვირსა და უადგილოს ვერაფერს ვხედავ.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

# GEOHAZARD

**— ბღრეეეეეეეაააააააუუუუჰ!**

**ასე დაიწყებს ჩვენი შთამომავალი 70 წლის შემდეგ სტატიას, რომელიც გაზაფხულის შემობრძანებას მიეძღვნება და თავისი მეზობლის სისხლით იქნება დაწერილი.**

**იმიტომ კი არა, რომ ჩვენი სალიტერატურო ენა შეიცვლება, ან კიდევ რამე დაშიფრული სიტყვებით ვიმეტყველებთ – უბრალოდ, ეს იქნება ერთ-ერთი იმ სამიოდე სალაპარაკო სიტყვიდან, რომელიც ზომბებს ეცოდინებათ.**

**დანარჩენი ორი სიტყვა, თანამედროვე ჰოლივუდსა და რამდენიმე კომპიუტერულ თამაშს თუ დავუჯერებთ, უნდა იყოს „აშშშშშშშშშშშშშ" და „ქოოოოოოოოოოოოო". მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ გლობალურ დათბობას, ფუკუშიმას რეაქტორის შესაძლო შედეგებსა და ჩვენს დღევანდელ საგარეო პოლიტიკურ კურსს, ეს სიტყვები ნებისმიერმა სხვა ბგერებმა შეიძლება ჩაანაცვლოს.**

ახლა აგიხსნით, რა ხდება: აშშ-ის ინვესტიციითა და ძალისხმევით თბილისთან ახლოს გაიხსნა ბიოქიმიური ლაბორატორია.

ამ ლაბორატორიას ჯერ მარტო სათაური აქვს ისეთი, ვირუსი აღარ დაგჭირდება, ისე დაგმართებს ელეთმელეთს: გულის **საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია.** ახლა ამ ლაბორატორიას ამხელა სახელი რომ აქვს და თანაც აშშ-მა რომ ამდენი (ზუსტად არ ამბობენ, ან ვინ გეტყვის, მაგრამ, იაფი რომ არ დაჯდებოდა, ცხადია) სახსრები დაახარჯა, **მერე თვითონ ელჩი და აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე რომ მივიდნენ გახსნაზე, დაბოლოს, ეს ლაბორატორია სამხედრო ბაზის კუთვნილ ტერიტორიაზე რომ მდებარეობს, როგორ ფიქრობთ, მარტო ჯანდაცვის მიზნით იმუშავებს? თუ სხვა მიზნებითაც?**

თავი დავანებოთ ამერიკას და საქართველოს მაგალითი განვიხილოთ: ჩვეულებრივი ქართველი კაცი, თუნდაც ყველაზე „ჯიგარი" და ყველაზე ხელგაშლილი, ახლადდამეგობრებული კაცის ეზოში ტუალეტი რაა, ტუალეტს არ ააშენებს უსასყიდლოდ და ანგარების გარეშე.

და როგორ დავიჯეროთ, რომ ამერიკელებმა საქართველოს ტერიტორიაზე მრავალმილიონიანი ლაბორატორია ააშენეს მხოლოდ იმისთვის, რომ გრიპის ვირუსისგან დაეცვათ საქართველო და მისი მეზობელი სახელმწიფოები?

ანუ გამოდის, რომ



**საქართველოში აშენდა ლაბორატორია, სადაც, სათანადო ნებისა და ფინანსების არსებობის შემთხვევაში, სრულიად რეალურია ბიოლოგიური იარაღის შექმნა.**

შექმნა ერთია და შექმნილის კონტროლი – მეორე. მთავარი საფრთხე სწორედ რომ მანდ იმალება.

მოგეხსენებათ, იარაღს ერთი განსაკუთრებული თვისება აქვს – **იგი საშიშია მხოლოდ გამოუცდელ ხელში. მსგავს რამერუმესთან ჩვენი ურთიერთობა ბაქტერიოფაგით შემოიფარგლება, ამიტომ ჩვენ საკმაოდ გამოუცდელებად ვითვლებით, მითუმეტეს მაშინ, როცა ჩვენმა „რეფორმატორებმა" ეპიდემიური კონტროლის მთელი მექანიზმი მოშალეს ახლის შექმნის იდეით და მის ადგილას არაფერიც აღარ შეუქმნიათ.**

საგულისხმოა ერთი დეტალიც: გავიხსენოთ, რა პროცესები მიმდინარეობს თანამედროვე მსოფლიოში, მერე ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მსგავსი სიტუაცია საქართველოშიც შეიქმნა...

სეისმურად აქტიურ ზონაში ბიოლოგიური ლაბორატორია, სადაც ვირუსებზე ტარდება ცდები, ხომ შენელებული მოქმედების ნაღმია. ერთი მცირე მიწისძვრა უნდა და იარაღის შექმნა აღარ გახდება საჭირო — თვითონ ლაბორატორია იქცევა იარაღად.

**ანდა, ეს ყველაფერი რომც გამოვრიცხოთ, ვინმეს შეუძლია მითხრას, რას მოიმოქმედებს ბიოლოგიური იარაღით აღჭურვილი, ქარიზმატული, არამდგრადი ფსიქიკის მქონე ხელისუფალი და მისი გარემოცვა, თუ მათ ძალაუფლებას საფრთხე შეექმნება?**

რა თქმა უნდა, როგორც მინიმუმ, მთელ მსოფლიოს დააშანტაჟებს, რომ თავი დაანებონ, თუ არა და — **ბღრეეეეეეეაააააააუუუუჰ!**

და რა გარანტია არსებობს, რომ ამ ლაბორატორიის დახმარებით მავანი და მავანი ჩვენს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების გადაწყვეტას არ შეეცდება?

მით უმეტეს, რომ ჩვენს უბედურებას უკვე ისინიც ალიარებენ, ვინც აქამდე თვალს ხუჭავდა ბევრ რამეზე. რამდენიმე დღის წინათ საფრანგეთის ელჩმა საქართველოში, ერიკ ფურნიემ ღიად განაცხადა, რომ საქართველოში ნეობოლშევიზმის ქვეყანას ხედავს.

**„როცა მეუბნებიან, რომ 8 ლარის მოპარვისთვის ახალგაზრდის დაპატიმრება კარგია — ეს მოვლენა ძალიან საშიშია. არავითარი მედიის თავისუფლება, არავითარი პროგრესი ეკონომიკაში. ვშიშობ, თქვენი მოსმენის შემდეგ, მექმნება შთაბეჭდილება, რომ სახეზეა ნეობოლშევიკური სახელმწიფო, სადაც აბსოლუტურად არ არის თავისუფლება. ეს კატასტროფაა!"** — განაცხადა ერიკ ფურნიემ.

ახლა დავძაბოთ სერიალებისგან დაბლაგვებული ქართული გონება და სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ – ნეობოლშევიკების ხელში ბიოლოგიური იარაღი სამომავლო პერსპექტივაშიც კი მოსპობს ამ რეგიონში, და არა მხოლოდ აქ, მშვიდობიანი განვითარებისა და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების შესაძლებლობას.

როგორც გითხარით, შესაძლოა, ამ ლაბორატორიაში არც არასოდეს შეიქმნას ბიოიარაღი. მით უმეტეს, რომ ამერიკელები სწორედ ამას ამტკიცებენ – საომარი დანიშნულება არა აქვსო. მაგრამ ის უფრო საოცარი იქნებოდა, საწინააღმდეგო რომ ეთქვათ, რადგან ამქვეყნად არავინ გეტყვის, — შენი ქვეყანა პოლიგონად მინდა ვაქციო და იცოდეო.

**ეგეც რომ არ იყოს, ისტორიიდან ცნობილია, რომ ომის დაწყების შემთხვევაში სამღვდლოები, რომლებიც საეკლესიო ზარებს ასხამდნენ, ზარბაზნების გამოშვებას იწყებდნენ. მაგრამ, რას გამოუშვებს ბიოლოგიური ლაბორატორია ომის შემთხვევაში, ამის მიხვედრა ძნელი არ უნდა იყოს.**

თუ რა შედეგები მოაქვს, როცა ასეთ ლაბორატორიაში საწარმოო ავარია ხდება, ამ ბმულზე შეგიძლიათ, ნახოთ: http://allmovies.ge/ge/#movie/ADAAF

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



მეთევზეებმა პალომარესიდან დაინახეს აფეთქება ცაში, მაგრამ მათ არ იცოდნენ, რომ მათი სოფლისკენ ოთხი თერმობირთვული ბომბი მოფრინავდა. წესით, ბომბები ნელა, პარაშუტებით უნდა დაშვებულიყო, მაგრამ სამი ბომბის პარაშუტი არ გაიხსნა; ისინი 300 კმ/სთ სიჩქარით ვარდებოდა.

## მოკლედ

### რუსეთი სტრატეგიულ არსენალს ზრდის



რუსეთის თავდაცვის მინისტრის ანატოლი სერდიუკოვის განცხადებით, 2011 წელს თავდაცვის სამინისტრო შეიძენს 36 ბალისტიკურ სტრატეგიულ რაკეტას, ორ სტრატეგიულ ატომურ სუბმარინას, 20 საჰაერო ბაზირების სტრატეგიულ ფრთოსან რაკეტას, 35 თვითმფრინავს, 109 ვერტმფრენს, 3 მრავალმიზნობრივ ატომურ სუბმარინას, ერთ საბრძოლო ხომალდს და 21 საზენიტო სარაკეტო კომპლექსს.

### ირანი მოსკიტურ ფლოტს აძლიერებს



**სააგენტო „Fars"-ის ცნობით, ირანი ბრიტანული „Bladerunner 51"-ის ბაზაზე სწრაფმავალი კატარღების მასშტაბურ წარმოებას იწყებს.** ამ კატარღის წონა 16 ტონაა, სიგრძე — 15,5 მეტრი, სიჩქარე — 65 კვანძი (120 კმ/სთ). კონტრ-ადმირალ ალი ფადავის თქმით, კატარღები რაკეტებით აღიჭურვებიან. ექსპერტთა ვარაუდით, ეს „Hoot"-ის ტიპის რაკეტები იქნება, საბჭოთა „Шквал"-ის ირანული ანალოგი.

### ისრაელი აშშ-ს დახმარებას სთხოვს



**ახლო აღმოსავლეთის დესტაბილიზაციის გამო, ისრაელი ვაშინგტონს სთხოვს, სამხედრო დახმარება 20 მილიარდი დოლარით გაუზარდოს.** დღეს ის 2017 წლამდე გაწერილი პროგრამით აშშ-ისგან წელიწადში 3 მილიარდ დოლარს იღებს; მთლიანობაში კი თავდაცვაზე 14 მილიარდს ხარჯავს. „Jane's Defence Weekly"-ის ვარაუდით, ისრაელი მალე 2003-ში შეკვეცილ სამ დივიზიას აღადგენს და გამანადგურებლების რამდენიმე ახალი ესკადრილიის ფორმირებას მოახდენს.

### შაშხანაზე ჰიდროლოკატორი დაამაგრეს

**სნაიპერებთან ბრძოლისთვის ბრიტანეთში შეიქმნა ჰიდროლოკატორის მუშაობის პრინციპზე დაფუძნებული მოწყობილობა, რომელიც 1,3 წამში ადგენს, თუ საიდან მოხდა გასროლა.** ამერიკული ანალოგებისგან განსხვავებით, ის უშუალოდ იარაღზე მაგრდება. ბრიტანული ქვედანაყოფები ავღანეთში და „SAS"-ი ამ მოწყობილობებს უახლოეს მომავალში მიიღებენ, — წერს „The Sun".

# როგორ გადაურჩა ესპანეთი ბირთვულ კატასტროფას

**1966 წლის 17 იანვარს ესპანეთი ბირთვულ კატასტროფას გადაურჩა. ინციდენტს, რომელიც იმ დღეს სოფელ პალომარესის თავზე მოხდა, ევროპის ისტორიის შეცვლა ნამდვილად შეეძლო.**



„ცივი ომის" დროს აშშ-ის სტრატეგიული საავიაციო სარდლობა ატარებდა ოპერაციას „Chrome Dome"; ჰაერში მუდამ „ეკიდა" რამდენიმე სტრატეგიული ბომბდამშენი ბირთვული ბომბებით, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში, გაფრენის მომზადებაზე დროის დახარჯვის გარეშე შეეძლო კურსი საბჭოთა კავშირისკენ აეღო. ეს, ცხადია, ზოგავდა დროს, თუმცა სახიფათო ინციდენტების ალბათობას ზრდიდა.

**1966 წლის 17 იანვარს „B-52G Stratofortress" (№58-0258, ბომბდამშენთა 68-ე ესკადრილია, მეთაური კაპიტანი ჩარლზ ვენდორფი) ჩრდილოეთ კაროლინიდან გამოფრინდა. ესპანეთის თავზე ის ორ საჰაერო ტანკერს უნდა შეხვედროდა, მათგან საწვავი მიეღო და გზა ადრიატიკისკენ გაეგრძელებინა. პირველმა შეხვედრამ საწვავგამწყობთან უპრობლემოდ ჩაიარა, ხოლო როდესაც 9500 მეტრის სიმაღლეზე სოფელ პალომარესის რაიონში ბომბდამშენი, მეორე „KC-135 Stratotanker"-ს შეხვდა, მოხდა შეჯახება. ბომბდამშენის ბორტზე ოთხი თერმობირთვული ბომბი „B28RI" (1,45 მეგატონა) იყო.**

ამ დროისთვის ერთი მსგავსი ინციდენტი უკვე მომხდარი იყო. 1958 წლის 5 თებერვალს ჯორჯიის შტატის სანაპირო ზოლის თავზე, 11600 მეტრის სიმაღლეზე, ბომბდამშენი „B-47" გამანადგურებელ „F-86"-ს შეეჯახა, რომლის პილოტი შემდგომ ამტკიცებდა, რომ რადარზე არაფერი დაუნახავს. გამანადგურებელმა დაკარგა ფრთა, მისმა პილოტმა კატაპულტირება მოახერხა. მნიშვნელოვნად დაზიანდა ბომბდამშენიც. ის სიმაღლეს სწრაფად კარგავდა და მეთაურმა გადაწყვიტა, 2200 მეტრის სიმაღლიდან 3500-კილოგრამიანი ბომბი „Mark 15" წყალში ჩაეგდო. შემდგომ ეკიპაჟმა თვითმფრინავის დამორჩილება შეძლო და ბაზაზე დაშვება განახორციელა. ბომბი კი დაიკარგა და დღემდე არავის უპოვია.

მართალია, 2001 წელს აშშ-ის საჰაერო ძალებმა გამოაქვეყნეს ანგარიში, სადაც ნათქვამი იყო, რომ ბომბში არ იყო ჯაჭვური რეაქციის გამოწვევისთვის აუცილებელი ბირთვული კაფსულა (გაფრენა თითქოსდა სასწავლო იყო, ბომბის კონფიგურაცია კი, შესაბამისად, სატრანსპორტო), მაგრამ ბევრი ექსპერტი ამ ანგარიშს ეჭვის თვალით უყურებს, მითუმეტეს, რომ **1966**



**წელს თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ჰუარდის მიერ კონგრესისთვის გაგზავნილ ანგარიშში** (ის 1994 წლამდე გასაიდუმლოებული იყო) **წერია, რომ ბომბი სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყო.**

როდესაც პალომარესის თავზე საწვავგამწყობი და ბომბდამშენი ერთმანეთს შეეჯახა, დაიღუპა ტანკერის ოთხივე, ხოლო ბომდამშენის ეკიპაჟის სამი წევრი, კიდევ ოთხმა კატაპულტირება შეძლო. მაგრამ, ვიდრე ამას გააკეთებდნენ, მათ ბომბების ავარიული გადაყრა მოახერხეს.

**მეთევზეებმა პალომარესიდან დაინახეს აფეთქება ცაში, მაგრამ მათ არ იცოდნენ, რომ მათი სოფლისკენ ოთხი თერმობირთვული ბომბი მოფრინავდა. წესით, ბომბები ნელა, პარაშუტებით უნდა დაშვებულიყო, მაგრამ სამი ბომბის პარაშუტი არ გაიხსნა; ისინი 300 კმ/სთ სიჩქარით ვარდებოდა.**

იმ დღეს სოფელი პალომარესი და სრულიად ესპანეთი ბირთვულ არმაგედონს გადაურჩა. არც ერთი ბომბი არ აფეთქებულა. ბომბი, რომელსაც პარაშუტი გაეხსნა, უპრობლემოდ დაეშვა და მდინარეში ჩავარდა. კიდევ ორ ბომბში დეტონატორების ნაწილობრივი ამოქმედება მოხდა, ტროტილი აფეთქდა, თუმცა, მადლობა ღმერთს, არასინქრონულად, რის გამოც მოხდა არა დეტონაციური რადიოაქტიური მასის შეკუმშვა, არამედ მისი გაფანტვა. ამან რამდენიმე კვადრატული კილომეტრის რადიაციული დაბინძურება გამოიწვია, თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ დეტონაცია სრულყოფილი იქნებოდა.

**მეოთხე ბომბი კი დაიკარგა. მეთევზეების თქმით, ის ზღვაში ჩავარდა. მას 70 კვ.კმ. ფართობის ფსკერზე ეძებდნენ. ოპერაციაში ოცამდე ხომალდი მონაწილეობდა, ზღვიდან ამოიღეს რამდენიმე ტონა ნაგავი, თუმცა ბომბი არსად ჩანდა.**

თითქმის ორთვიანი უშედეგო ძებნის შემდეგ, მეთევზეების დაზუსტებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 15 მარტს წყალქვეშა აპარატმა „Alvin"-მა ბომბი აღმოაჩინა. მისი ამოღება პირველ ცდაზე ვერ მოხერხდა, მეტიც, ბომბი რამდენიმე დღით ისევ დაკარგეს. **ბომბის წყლიდან ამოღება კატასტროფიდან 79-ე დღეს მოხერხდა. ოპერაცია 84 მილიონი დოლარი დაჯდა. ამასთანავე, ამერიკელებს მოუწიათ 536 საჩივრის დაკმაყოფილება და 711 ათასი დოლარის კომპენსაციის გადახდა. საგანგებო პრემია, 14,5 ათასი დოლარი, მიიღო მეზღვაურმა, რომელმაც დაინახა თუ როგორ ჩავარდა ბომბი ზღვაში.**

**უშუალოდ კატასტროფის შემდეგ ვაშინგტონმა განაცხადა, რომ ესპანეთის საჰაერო სივრცეში ბირთვული შეიარაღების მქონე ბომბდამშენების ფრენებს წყვეტს. რამდენიმე დღეში ანალოგიური გადაწყვეტილება ესპანეთის ხელისუფლებამაც მიიღო. ინციდენტმა აშშ-ის ევროპელ მოკავშირეებზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა.**

**იმის აღსანიშნავად, თუ რა უბედურებას გადაურჩნენ, ადგილობრივებმა პალომარესის ერთ-ერთ ქუჩას „1966 წლის 17 იანვრის ქუჩა" დაარქვეს.**








**იაპონელმა სამხედროებმა ამ დღეებში თავგანწირვის ბევრი მაგალითი აჩვენეს, მაგრამ გამოვლინდა მთელი რიგი მინუსები დაგეგმარებასა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებში, როგორც ზოგადად ხელისუფლებაში, ისე თავდაცვის ძალების სარდლობაში; ამ ხარვეზების გამოსწორებაზე იაპონელებს მომავალში სერიოზული მუშაობა მოუწევთ.**

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# იაპონელი სამხედროები სტიქიას ებრძვიან

**სტიქიურმა უბედურებამ, რომელიც იაპონიას თავს დაატყდა, სერიოზული ზიანი ამ ქვეყნის არმიასაც მიაყენა. იაპონიის თავდაცვის ძალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამაშველო ოპერაციებში, რომელთა მიმდინარეობამ ბევრი, დღემდე დაფარული ნაკლოვანება გამოამჟღავნა.**

**სტიქიამ, პრაქტიკულად, სრულიად გაანადგურა იაპონიის საჰაერო ძალების საკვანძო ბაზა „მაცუსიმა“, სადაც ბაზირებული იყო 300-ზე მეტი საბრძოლო და სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავი. იქვე მდებარეობდა იაპონელი მფრინავების მომზადების ცენტრი, სადაც ისინი, როგორც წესი, სასწავლო პროგრამის დასკვნით ეტაპებს გადიოდნენ. იქვე იყო ელიტური საპილოტაჟო ჯგუფის „Blue Impulse“-ის („ლურჯი იმპულსი“, იგივე მე-11 ესკადრილია) შტაბ-ბინაც.**

ვინაიდან „მაცუსიმას“ ასაფრენი ზოლი სანაპირო ზოლიდან სულ რაღაც 1 კილომეტრში მდებარეობს (ეს იმითაა განპირობებული, რომ 1942 წელს ბაზა საზღვაო ავიაციისთვის აშენდა), წყალმა დაფარა ანგარები, მართვის პუნქტები, საწყობები და ა.შ. დღეისათვის დანამდვილებით ცნობილია, რომ **სერიოზულად დაზიანდა 18 მრავალმიზნობრივი გამანადგურებელი „F-2“** (სულ იაპონელებს 98 ასეთი თვითმფრინავი ჰყავთ) **და მათი აღდგენა მეტად სათუო ჩანს. განადგურდა ბაზის ელექტრონული აპარატურა და სატრანსპორტო საშუალებები; „მაცუსიმას“ აღდგენას ძალიან დიდი დრო და ბევრი ფული დასჭირდება.**

ცნობები იაპონიის საზღვაო ძალების ზარალის შესახებ დეტალიზებული არ არის, თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ სერიოზულად დაზიანდა ხომალდების 40% და სანაპირო ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი.

სახმელეთო ჯარები აქტიურად ჩაერთნენ სამაშველო ოპერაციებში, ათეულათასობით სამხედრო პირი დანგრეულ ქალაქებში მუშაობდა, ხოლო რადიოქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ქვედანაყოფები ატომური ელექტროსადგურის დაზიანებულ რეაქტორებთან გადაისროლეს.

საერთოდ, მოქმედება მსგავს სიტუაციებში რამდენიმე აუცილებელ კომპონენტს შეიცავს: ა) ძირითადი მაგისტრალების გაწმენდა; ბ) დაზარალებულებისთვის ბანაკების მოწყობა; გ) სამაშველო ოპერაცია; დ) აღდგენითი ოპერაცია.

**იაპონიის ხელისუფლებამ მთავარი აქცენტი სამაშველო ოპერაციაზე გააკეთა, ატომური სადგურისკენ მიმავალი გზების გაწმენდა კი პრიორიტეტულ ამოცანად, როგორც ჩანს, არ ჩათვალა, რამაც კრიტიკულ მომენტში პრობლემა შექმნა. ამასთანავე, აშკარად დაბალი იყო ბანაკების მოწყობის ტემპიც, უამრავი ადამიანი კვირაზე მეტ ხანს ღია ცის ქვეშ რჩებოდა და დახმარების ნაკლებობას განიცდიდა.**

მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები მოიარეს ფოტოებმა, სადაც აღბეჭდილი არიან იაპონელი ქვეითები ნიჩბებით ხელში. ისინი დღეში 16 საათს მუშაობდნენ და 25 ათასამდე ადამიანი გადაარჩინეს. მათი თავდადება ნამდვილად აღნიშვნის ღირსია. დაჭრილების გადაყვანა ჯარისკაცებს საკმაოდ დიდ მანძილზე ფეხით უხდებოდათ. დამკვირვებლებს ბუნებრივად უჩნდებოდა კითხვები: სად არის საინჟინრო ტექნიკა, რატომ არ წმენდენ გზებს დანგრეული დასახლებული პუნქტების მისადგომებთან? მაგალითად, ივატეს პრეფექტურაში საინჟინრო ტექნიკა საგულდაგულოდ წმენდდა გზებს ნაკლებად დაზარალებული დასახლებული პუნქტის



სამხედრო ბაზა



იჩინოსეკის გარშემო, სადაც ოპერაციაში მონაწილე სამხედროების შტაბი განთავსდა, ხოლო იქ, სადაც ეს გაცილებით აქტუალური იყო, ის არ გამოჩენილა.

ეშმაკი დეტალებშია: თავის დროზე იაპონელებმა 28-ტონიანი („ИМР“-ის ტიპის) საინჟინრო მანქანა არა ტანკის, არამედ თვითმავალი საარტილერიო დანადგარის ბაზაზე შექმნეს და ევროპულ, რუსულ და ამერიკულ ანალოგებზე გაცილებით სუსტი და მოუქნელი მანქანა მიიღეს. ამასთანავე, აღმოჩნდა, რომ იაპონელებს არ შეუძლიათ საინჟინრო დანებით თავიანთი ტანკები „Type-90“ და „Type-74“ აღჭურვონ. არადა, „ფუკუსიმას“ რეაქტორებისკენ მიმავალი გზების გაწმენდა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა; დრო იწურებოდა.

შემდეგ იყო ვერტმფრენების პირველი გაფრენა (ორი „CH-47“ კასუმიგომეს ბაზიდან). მათ რეაქტორისკენ წყლით სავსე კონტეინერები უნდა გადაეტანათ, თუმცა რადიაცია დასაშვებ დოზას აღემატებოდა და ვერტმფრენები უკან გაბრუნდნენ. თავდაცვის ძალებმა განაცხადეს, რომ **„მისიის შესრულებას მას შემდეგ დაუბრუნდებიან, როდესაც რადიაცია და სხვა პირობები ამის შესაძლებლობას მისცემს“.** რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია საკუთარი სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხეში ჩააგდო, მაგრამ, როდესაც ამაზე მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობაა დამოკიდებული, როდესაც მთელი ერი პილოტებს იმედით შეჰყურებს... ჩვენ, ცხადია, მათ ვერ განვიკითხავთ, თუმცა მათი წინაპრები, ალბათ, სხვანაირად მოიქცეოდნენ.

**როდესაც გაფრენა ბოლოს და ბოლოს შედგა (შემდეგ მისიის შესრულება ისევ შეჩერდა), წყალი დაახლოებით 100 მეტრის სიმაღლიდან ნაადრევად გადმოაფრქვიეს და მისი დიდი ნაწილი მიზანს ასცდა. ჩერნობილში კი მსგავს სიტუაციაში პილოტები 30-40 მეტრის სიმაღლიდან მუშაობდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ მათ საფრთხე ექმნებოდა და კამიკაძეების შთამომავლები ნამდვილად არ ყოფილან, სამაგალითო თავგანწირვა გამოავლინეს.**

ამასთანავე, იაპონური მენტალიტეტის ერთ-ერთი თვისება მუშაობას ხელს ნამდვილად უშლიდა. **იაპონელ ხელმძღვანელს „სახის დაკარგვა“ არ შეუძლია; თუ მან მცდარი გადაწყვეტილება მიიღო** (მაგალითად, არ გასცა ბრძანება საინჟინრო და ტექნიკური დაზვერვის ჩატარების შესახებ პირველ დღეებში, როდესაც რადიოაქტიური ნივთიერება რეაქტორებიდან ჯერ არ ჟონავდა) **და ეს აღიარა ან ვინმეს დახმარებისთვის მიმართა, ის „სახეს კარგავს“, რაც იაპონელთა უმეტესობისთვის სიკვდილზე უარესია.** ხელქვეითები კი (იაპონიისთვის ასევე ტრადიციულად) ერიდებოდნენ ზემოდან დაშვებული ინსტრუქციების ადაპტირებას რეალობისადმი და მათი თუნდაც მცირედი კორექტირებისთვის ისევ ზემდგომ ინსტანციას მიმართავდნენ. ამასობაში იკარგებოდა დრო და სიტუაცია ატომურ სადგურზე კატასტროფისკენ მიდიოდა.

**იაპონელმა სამხედროებმა ამ დღეებში თავგანწირვის ბევრი მაგალითი აჩვენეს, მაგრამ გამოვლინდა მთელი რიგი მინუსები დაგეგმარებასა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებში, როგორც ზოგადად ხელისუფლებაში, ისე თავდაცვის ძალების სარდლობაში; ამ ხარვეზების გამოსწორებაზე იაპონელებს მომავალში სერიოზული მუშაობა მოუწევთ.**

გვერდები მოამზადა
**გიორგი გიგიბერიძე**





## გამოხმაურებანი

**დიმიტრი მედვედევი,**
**რუსეთის პრეზიდენტი:**



იაპონიაში მომხდარმა ტრაგედიამ დაადასტურა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ძალისხმევა და საერთაშორისო პროგრამები იმ სტიქიური მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებსაც, სამწუხაროდ, ვერც იწინასწარმეტყველებ და ვერც თავიდან აიცილებ.

*rian.ru*

**ანგელა მერკელი,**
**გერმანიის კანცლერი:**



„ფუკუსიმა-1“-ზე მომხდარ კატასტროფას აპოკალიფსური მასშტაბები აქვს. მისი შედეგები ჯერ კიდევ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადია. მოვლენები სულ უფრო და უფრო დრამატულად ვითარდება.

*newsru.com*

**ბარაკ ობამა,**
**აშშ-ის პრეზიდენტი:**



ლიბიაში სამხედრო ოპერაცია იძულებითი ზომა იყო. ძალის გამოყენება ჩვენთვის მოქმედების პირველ ვარიანტს არ წარმოადგენდა. ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფმა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში ასახული საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნები არ შეასრულა, ამის გამო კი მშვიდობიანი ლიბიელების ცხოვრება სულ უფრო მეტი საფრთხის წინაშე იდგა.

*inforos.ru*

**ვლადიმერ პუტინი,**
**რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**



საერთო შიდა პროდუქტის კრიზისამდელ მოცულობამდე რუსეთი 2012 წელს მივა. ახლაც რუსეთი კრიზისიდან გამოსვლის ტრენდშია. საერთო შიდა პროდუქტის მოცულობის აღდგენის შემდეგ შესაძლებელი იქნება იმაზე საუბარი, რომ ჩვენ კრიზისი დავძლიეთ.

*rosbalt.ru*

**მუამარ კადაფი,**
**ლიბიის ლიდერი:**



ლიბიელი ხალხი ერთიანია. მათ უკვე დაურიგდათ იარაღი და ყუმბარები. თქვენ არ ხართ მზად ომისთვის, ჩვენ — ვართ. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ეს დრო დადგა. თქვენ გელით ჰიტლერისა და მუსოლინის ბედი. თქვენ აგრესორები და ცხოველები ხართ.

*lenta.ru*

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



ელექტრომაგნიტური იარაღი საშუალებას იძლევა, გარანტირებულად იქნეს მწყობრიდან გამოყვანილი არა მხოლოდ მოწინააღმდეგის ელექტრონული აპარატურა, არამედ მოიშალოს სახელმწიფოებრივი და სამხედრო მართვის სისტემებიც.

# HAARP — კლიმატური იარაღი, ანუ ამინდის გამოყენება სამხედრო მიზნებისთვის

**პირველად ამინდზე ხელოვნური ზემოქმედება 1946 წელს განხორციელდა. მაშინ ამერიკელმა ქიმიკოსმა ვინსტონ შატერმა თვითმფრინავიდან კილოგრამ-ნახევარი მშრალი ყინული გადმოყარა, რამაც თოვლის მოსვლა განაპირობა. ნალექების პროვოცირების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ღრუბლებში თვითმფრინავის, რაკეტების ან ჭურვების საშუალებით იფანტება სპეციალური რეაგენტები — ვერცხლის, მშრალი ყინულის ან ჩვეულებრივი ცემენტის შენაერთები. ისინი იზიდავს სისველეს, რომელსაც ატმოსფერო შეიცავს, მძიმდება და შემდეგ წვიმის ან სველი თოვლის სახით მოდის. აშშ-ში 40-იანი წლების დასასრულს ნალექების ხელოვნურად გამოწვევის შესაძლებლობათა ნამდვილი ბუმი იყო. კომერციული ფირმები პირდაპირ სთავაზობდნენ ფერმერებს კლიმატურ მომსახურებას. ბუნებრივი სტიქიის კოლოსალური ძალა შეიძლებოდა მასობრივი განადგურების იარაღად ქცეულიყო.**



**1964 წლის 28 მარტს ალიასკას სანაპიროსთან ახლოს წარმოუდგენელი სიმძლავრის — რიხტერის შკალის მიხედვით 8,5-ბალიანი მიწისძვრა მოხდა. მისი სიმძლავრე ხიროსიმაზე ჩამოგდებული ატომური ბომბის აფეთქების სიმძლავრეს 1200-ჯერ აღემატებოდა. გიგანტურმა ტალღებმა ალიასკის სამი დასახლება მთლიანად ჩარეცხა. მაშინ 107 ადამიანი დაიღუპა.**

ამ მიწისძვრამდე ერთი წლით ადრე აშშ-მა დაბალ ორბიტაზე გაიყვანა 400 მილიონამდე სპილენძის ნემსი, რომელთა სიგრძე დაახლოებით ორ სანტიმეტრს აღწევდა. ნელ-ნელა დაშვების შედეგად ნემსებმა დედამიწის ატმოსფერომდე ერთი წლის შემდეგ მოაღწიეს, ამან კი სითბური ბალანსის მკვეთრი ცვლილებები განაპირობა.



**ვლადიმერ ბელოუსი, სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი:**

**— 8,5 ბალის სიძლიერის მიწისძვრა, რომელიც მალე ალიასკაზე მოხდა, სწორედ ამ ატმოსფეროში გადმოყრილი ნემსების ზემოქმედების შედეგი იყო.**

საბჭოთა დაზვერვა იტყობინებოდა, რომ ალიასკაზე მომხდარი უძლიერესი მიწისძვრა იმ საიდუმლო ექსპერიმენტის შედეგი იყო, რომელიც აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს პროექტის „მთავარი გუშაგის“ ნაწილს წარმოადგენდა. პროგრამა 1951 წელს დაიწყო. მისი ამოცანა იყო სამხედრო მიზნებისთვის მიწისძვრის გამოწვევის საშუალებების გარკვევა.



**ვიეტნამში ომის დაწყებისას აშშ-ის არმიას კლიმატის მართვისათვის სპეციალური სამსახური ჰყავდა. სამხრეთ ვიეტნამის ცაზე აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების თვითმფრინავები აფრქვევდა მომწამლავ ნივთიერებებს, რომლებიც გლეხების მინდვრებზე მოსავალს ანადგურებდა. პენტაგონი გეოფიზიკურ იარაღს საბრძოლო პირობებშიც ცდიდა.**



ეს მოხდა ვიეტნამში, სადაც ერთი მეორის მიყოლებით განხორციელდა ოპერაციები „ისპანახი“, „ფერმერის ხელი“ და „რომაული გუთანი“. ოპერაცია „ისპანახი“ ხუთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და, ბრინჯის მინდვრების განადგურების მიზნით, ვიეტნამის თავზე ღრუბლების თავსხმა წვიმების გამომწვევი განსაკუთრებული რეაგენტებით დამუშავებას მოიცავდა.

„ისპანახის“ განხორციელების შედეგად გაჩნდა ათასობით კილომეტრზე გადაჭიმული დაჭაობებული, საცხოვრებლად გამოუსადეგარი მიწის ნაკვეთები. ოპერაციების — „ფერმერის ხელი“ და „რომაული გუთანი“ განხორციელებისას სპეციალური დანებით აღჭურვილმა 200-მა ბულდოზერმა ნიადაგის ზედა საფარი მოხსნა, განსაკუთრებულმა რეაგენტებმა კი წითელი წვიმები გამოიწვია, რომელთა გამოც 65 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი მიწა მრავალი წლის მანძილზე გამოფიტა. თავის დასაზღვევად ამავე ტერიტორიაზე კომპანია „მანსანტას“ წარმოების 90 ათასი ტონა გერბიციდები (მცენარეთა გამადგურებელი ნივთიერება) მოაფრქვიეს.

**ინდოჩინეთის სატყეო მასივებსა და სასოფლო-სამეურნეო მიწებზე დეფოლიანტების**





**(ხეებიდან ფოთლების ცვენის გამომწვევი ნივთიერება) მასშტაბური მოფრქვევის შედეგად ნადგურდებოდა ტრადიციული საარსებო გარემო, ადგილობრივი მოსახლეობის გადარჩენის საშუალებები, იცვლებოდა ბუნებრივი საარსებო გარემო.** რაიონებში, სადაც ეს ნივთიერებები გამოიყენეს, ამ დრომდე იბადება განუკურნელი სენით, გენეტიკური პათოლოგიებითა და საშინელი მუტაციებით დაავადებული ათასობით ბავშვი. **ომის შემდეგ „მანსანტამ“ ტრანსგენური პროდუქტების შემუშავება დაიწყო.**



**1969 წელს კუნძულ ესპანიოლაზე, რომელიც ერთდროულად ჰაიტსაც ეკუთვნოდა და დომინიკის რესპუბლიკასაც, პენტაგონმა პრაქტიკულად გამოსცადა ქარიშხლის მართვის მიზნით შექმნილი პროექტი „ბრაზიანი ქარიშხალი“.** იოდიზირებული ვერცხლისა და ნახშირმჟავას დახმარებით განხორციელდა ეგრეთ წოდებული ქარიშხლის ჩახშობის ოპერაცია — მისი ინტენსივობის მკვეთრი შემცირება და მოძრაობის მიმართულების შეცვლა პანამისა და ნიკარაგუის მიმართულებით. სპეციალისტების აზრით, ამ ექსპერიმენტმა ქარიშხლების მართვის რეალურობა დაადასტურა.



გარდა დამხმარე ფუნქციების შესრულებისა, **კლიმატურ იარაღს მოსახლეობის განადგურება შეუძლია.** სპეციალური რაკეტის საშუალებით მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შეიძლება შეიქმნას ოზონის ხვრელები, რომელთა გავლითაც ულტრაიისფერი სხივები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაეცემიან დედამიწაზე. ამას კი თან სდევს დამწვრობების გაჩენა, სიმსივნეების წარმოქმნა და უნაყოფობა.

**1970-იანი წლების შუა პერიოდში უკვე ცხადი იყო, რომ კაცობრიობა ეფექტურობის მხრივ მასობრივი განადგურების იარაღის ძალის მქონე კლიმატური იარაღის შექმნას მიუახლოვდა.** ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის საკითხი ფართოდ განიხილებოდა ბერლინში მშვიდობის მსოფლიო ასამბლეაზე. **1977 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას, სხვა ქვეყნებში ამინდის მართვის აკრძალვის შესახებ.** ამ შეთანხმების მიხედვით ამინდით მანიპულირება დაშვებულია მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში.



**ალექსეი ნიკოლაევი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გეოფიზიკოსი:**

**— ქმედებები ინიღბება ბუნებრივი მოვლენებით. თოვლი, ყინვა, სიცხე, წვიმა... ეს ბუნებრივი მოვლენებია, ვერავინ მიხვდება, რომ სინამდვილეში მშვენიერი ურთიერთობების მქონე ორი სახელმწიფოდან ერთი მეორეს ასეთ საზიზღრობებს უკეთებს.**

1991 წლის 12 მარტს საბჭოთა დაზვერვა იტყობინებოდა, რომ მორიგი გაფრენისას ორბიტაზე გაყვანილ იქნა სპეციალური თანამგზავრი, რომლის მთავარი ამოცანა ქიმიური ღრუბლების შექმნის ოპერაციის განხორციელება იყო.



ორბიტაზე მუშაობის პერიოდში ამერიკულმა თანამგზავრმა კოსმოსში ოცამდე ასეთი ღრუბელი შექმნა დედამიწის სხვადასხვა მასივის თავზე. რუსი სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ მაშინ აშშ-მა ახალი თანამგზავრების საწინააღმდეგო იარაღი გამოსცადეს. თუ თანამგზავრი ასეთ ღრუბელში გაივლიდა, მწყობრიდან გამოვიდოდა, რადგან მისი ზედაპირი, მათ შორის მზის ელემენტებიც რაღაც ნივთიერებით დაიფარებოდა და ფუნქციონირებას შეწყვეტდა.

**მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამინდზე ზემოქმედება შესაძლებელია არა მხოლოდ ქიმიური რეაგენტებით, არამედ იონოსფეროს ზემაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღებით დასხივებითაც.** ჯერ კიდევ 1952 წელს გარემოზე ზემოქმედების საშუალებათა დამუშავების საკითხებში თეთრი სახლის შეფი კაპიტანი ჰოვარდ ორვილი აცხადებდა, რომ თავდაცვის სამინისტრო შეისწავლიდა დედამიწისა და ატმოსფეროს ელექტრო-

▶



**1969 წელს კუნძულ ესპანიოლაზე, რომელიც ერთდროულად ჰაიტსაც ეკუთვნოდა და დომინიკის რესპუბლიკასაც, პენტაგონმა პრაქტიკულად გამოსცადა ქარიშხლის მართვის მიზნით შექმნილი პროექტი „ბრაზიანი ქარიშხალი“. იოდიზირებული ვერცხლისა და ნახშირმჟავას დახმარებით განხორციელდა ეგრეთ წოდებული ქარიშხლის ჩახშობის ოპერაცია — მისი ინტენსივობის მკვეთრი შემცირება და მოძრაობის მიმართულების შეცვლა.**


# არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95




◀ ნული დამუხტულობის მართვის საშუალებათა შექმნის შესაძლებლობებს, რომ გაიხსნებოდა გზა ამინდის მართვის შესაძლებლობებისკენ და რომ ამ მიზნისათვის გამოყენებული იქნებოდა ელექტრონული სხივი, რომელსაც ატმოსფეროს იონიზირების ან პირიქით, ატმოსფეროში იონების კონცენტრაციის შემცირების შესაძლებლობა ექნებოდა.

**ელექტრომაგნიტური იარაღი საშუალებას იძლევა, გარანტირებულად იქნეს მწყობრიდან გამოყვანილი არა მხოლოდ მოწინააღმდეგის ელექტრონული აპარატურა, არამედ მოიშალოს სახელმწიფოებრივი და სამხედრო მართვის სისტემებიც.** 1923 წელს ამერიკელმა მეცნიერმა ლენგმიურგმა შემოიღო ახალი ფიზიკური ტერმინი პლაზმა — ნივთიერების არსებობის ფორმა 10 ათას გრადუსზე მეტი ტემპერატურისას. მთელი კოსმოსური სივრცე, მათ შორის ატმოსფეროს ზედა ფენა, იონოსფერო პლაზმისაგან შედგება.

პლაზმაზე ზემოქმედება შესაძლებელია დისტანციურად, ენერგეტიკული ან მაგნიტური ველის ზემოქმედებით. პლაზმური იარაღის შექმნის ისტორია ამ დრომდეც ნაკლებადაა ცნობილი მისი გადამეტებულად გასაიდუმლოების გამო. პლაზმურმა აეროდინამიკამ ავიაციას ახალი შესაძლებლობები მისცა.



თვითმფრინავის პლაზმით გარშემორტყმის შემთხვევაში შესაძლებელია ჰაერის წინააღმდეგობის მკვეთრად შემცირება და ფრენის სიჩქარის გაათმაგება. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე წუთში მთელ დედამიწას შეიძლება გარშემო შემოუფრინო. პლაზმური გარსი თვითმფრინავს რადარების ყველა ტიპისათვის უხილავს ხდის. მაგრამ ამდენად ეფექტურმა სამხედრო ტექნოლოგიამ მთელი რიგი გვერდითი მოვლენები წარმოშვა. **უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გაჩნდა ათობით სახეობის ეგრეთ წოდებული უსისხლო იარაღი. მათ შორისაა ელექტრომაგნიტური ბომბები, ათასგვარი ზომისა და სიმძლავრის მიკროტალღური და ლაზერული ქვემეხები.**

**ზღვის გაპობის ბიბლიური სასწაულის გამეორებისთვის ამერიკელი მეცნიერები მზად არიან.** ისინი ამთავრებენ იმ განსაკუთრებული გამომსხივებლების შექმნას, რომელთაც თავის ირგვლივ სისველის გაუმტარი სივრცის შექმნის უნარი ექნებათ. ობიექტის ირგვლივ ჩნდება რაღაც დიდი საჰაერო ბურთის მსგავსი. ამ ტექნოლოგიის გამოყენება შესაძლებელი იქნება ყველგან, მაგალითად — მიწისქვეშა გვირაბების მშენებლობისას ყოველგვარი ბეტონის გარეშე. წყლის უზარმაზარი მასა შეიძლება ჩაიტუმბოს უხილავ რეზერვუარებში ყოველგვარი კონსტრუქციების მშენებლობის გარეშე. **გამომსხივებელი უდიდეს როლს შეასრულებს სამხედრო ოპერაციებშიც. ყოველგვარი გასროლის გარეშეც შესაძლებელი იქნება მტრის გემების ჩაძირვა.**





**ლეონიდ ივაშოვი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-პოლკოვნიკი:**

**— პენტაგონში არის, ალბათ, ყველაზე გასაიდუმლოებული განყოფილება, რომელსაც ორი შემადგენელი ნაწილი აქვს. მათგან ერთი ღიაა, მეორე კი — პერსპექტიული შეიარაღების განყოფილება — დახურული. იქ ორი წამყვანი ქვეგანყოფილებაა — დეპარტამენტი „K“ (კლიმატური) და დეპარტამენტი „P“ (პოლიტიკური). დეპარტამენტი „K“ სწორედ კლიმატური კვლევებითა და კლიმატის შესაძლებლობების მასობრივი განადგურების იარაღად ქცევითაა დაკავებული. სწორედ ეს განყოფილება კურირებს უმძლავრეს რადიოელექტრონულ ტექნიკურ კომპლექსს ალიასკაზე, რომელსაც „HAARP“-ი ეწოდება. ამავე განყოფილებას აქვს საკუთარი საშტაბო სტრუქტურები და კვლევითი ლაბორატორიები ბერმუდზე. ამავე დეპარტამენტს ექვემდებარება უმძლავრესი თანამედროვე კრეისერი „ვირჯინი“, რომელზეც სწორედ ელექტრონული აღჭურვილობაა დამონტაჟებული. დღეისათვის ამერიკელებმა უკვე ისწავლეს კლიმატური პროცესების მართვა.**

გეოფიზიკური იარაღის შექმნას ეძღვნებოდა ცსს-ს მოხსენებაც „მსოფლიო მოსახლეობაში, სურსათის წარმოებასა და კლიმატში ტენდენციების პოტენციური შედეგები“, რომელიც 1975 წელს გამოქვეყნდა.



მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ კლიმატის ხელოვნური შეცვლა საბჭოთა კავშირში, ჩინეთსა და მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში აშშ-ს მიანიჭებს ძალაუფლების ხარისხს, რომელსაც მანამდე არასდროს ფლობდა. ზბიგნევ ბჟეზინსკი კი დაახლოებით იმავე პერიოდში თავის წიგნში „ორი საუკუნის გასაყარზე“ წინასწარმეტყველებდა: **„ტექნოლოგია ზესახელმწიფოების ლიდერებს საიდუმლო ომების წარმოების მეთოდებს, რომელთათვისაც სპეციალური ჯარები საჭირო არ იქნება. ამინდზე მოქმედების ტექნოლოგიებს შეეძლებათ ხანგრძლივი გვალვები ან ქარბუქები გამოიწვიონ“.**



**სერგეი შატოხინი, პოლიტოლოგი, გეოპოლიტიკური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე:**

**— გაეროს უშიშროების საბჭო 2007 წლის აპრილში შეიკრიბა, რათა კლიმატის ცვლილების პრობლემა და ამ შესაძლო კლიმატური იარაღის მართვის სახიფათო ტენდენციები განეხილა. ინგლისურმა „გარდიანმა“ დაწერა მთელი კვლევა, რომ ამა თუ იმ ქვეყანაზე ზემოქმედების მცდელობებისას ყველაზე უკეთესი კლიმატის გამოყენებაა. კლიმატური იარაღი, კონკრეტულ პროგრამებზე მომუშავე ბრიტანელი და ამერიკელი მეცნიერების კვლევების მიხედვით ამ იარაღის სერიოზულობას და მისი ფლობის ნამდვილობას ადასტურებს.**

კლიმატურ პროცესებს საფუძვლად უდევს დედამიწის, დედამიწის მახლობელი და კოსმოსური სივრცის ბუნებრივი ერთობლიობა და ჰარმონია. ამ მდგომარეობაში ერთი ან რამდენიმე ბუნებრივი ელემენტის მხრივ რაიმე დარღვევა ან ცვლილება მთელი ჰარმონიული სისტემის რღვევას განაპირობებს. სწორედ ეს ისწავლეს ამერიკელმა მეცნიერებმა.




ფიზიკოსებმა რამდენიმე მილიარდი ვატის გამოსხივების თანხლებით ატმოსფეროზე ზემოქმედების განუსაზღვრელი შედეგების მქონე ცდებსა და ატომური იარაღის პირველ გამოცდებს შორის მსგავსებაზე მიანიშნეს. რობერტ ოპენჰეიმერმა, ცნობილმა ფიზიკოსმა, ბირთვული იარაღის გამოცდიდან მრავალი წლის შემდეგ აღიარა, რომ მეცნიერებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ რა მოჰყვებოდა ამ მოწყობილობის ამუშავებას — შეჩერდებოდა ჯაჭვური რეაქცია თუ გაგრძელდებოდა შემდგომშიც მსუბუქი ელემენტების ჩათრევით. ხელისუფლებამ ამის შესახებ იცოდა. უფრო მეტიც, **სპექტრალურმა ანალიზმა, განსაკუთრებით ელექტრომაგნიტური სპექტრის დაბალი სიხშირის ზონებში, ნათლად აჩვენა, რომ იმ მოვლენების წარმოშობით, რომლებიც ენერგიის შენახვის კანონებს არღვევს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოულოდნელი და წინასწარ განუსაზღვრელი შედეგებით ხასიათდება, მხოლოდ ბირთვული აფეთქებების შედეგები ხასიათდება.** ამგვარი მოვლენები მეცნიერთათვის სიურპრიზად იქცა. მათ ამ დრომდეც არ შეუძლიათ რაიმე ახსნა მოუძებნონ აღნიშნულ მოვლენებს.



**1958 წლის აგვისტოში ამერიკელებმა იონოსფეროს ქვედა ზღვართან ახლოს, 70 კილომეტრის სიმაღლეზე პირველი ბირთვული აფეთქება განახორციელეს. ექსპერიმენტმა განუსაზღვრელი შედეგები გამოიწვია.** პირველადი ჩანაფიქრის მიხედვით, ელექტრომაგნიტურ იმპულსებს რამდენიმე ასეული კილომეტრის რადიუსში მთელი ელექტრონიკა უნდა გაედაეწვა. ექსპერიმენტი საბჭოთა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებში გარღვევებისათვის ტარდებოდა, მაგრამ **კოსმოსურმა ბირთვულმა აფეთქებამ იონოსფეროს ისეთი რღვევა გამოიწვია, რომელმაც არა მხოლოდ ხანგრძლივი პერიოდით მოშალა რადიოკავშირი მრავალი ათასი კილომეტრის დაშორებებზე, არამედ სამხრეთ ნახევარსფეროში, სამოას არქიპელაგზე, 3,5 ათასი კილომეტრის დაშორებაზე ჯონსტონიდან, რომლის თავზეც მოხდა აფეთქება, ტროპიკულ ცაზე უცაბედად კაშკაშა პოლარულმა ნათებამ იფეთქა.** გაირკვა, რომ ბირთვული აფეთქების შედეგად გაჩენილი დამუხტული ნაწილაკები იმ მაგნიტური ხაზის გასწვრივ განლაგდა, რომლებიც სამოასა და ჯონსტონს ერთმანეთთან აკავშირებდა. ურთიერთსაპირისპირო ნახევარსფეროების ეგრეთ წოდებულმა მაგნიტურად დაკავშირებულმა უბნებმა იონოსფეროში ხვრელი ამოწვეს.



ამ ცდას კიდევ ორი ექსპერიმენტი — „არგუსი“ და „სტარფიში“ მოჰყვა. „არგუსის“ ფარგლებში განხორციელდა სამი ბირთვული აფეთქება კოსმოსში ბუნებაზე მათი ზემოქმედების შესწავლის მიზნით. სწორედ ამ აფეთქებების შედეგი იყო დედამიწაზე კლიმატური კატასტროფების მთელი სერიები, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა. „სტარფიშის“ დროს განხორციელდა კიდევ ორი აფეთქება: ერთ კილოტონიანი — 60 კილომეტრის სიმაღლეზე და ერთ მეგატონიანი — რამდენიმე ასეული კილომეტრის სიმაღლეზე. ამ ექსპერიმენტს დედამიწამ ჩილეს სანაპიროს უდიდესი ნაწილის ოკეანეში ჩაძირვით უპასუხა.

**არსებობს უტყუარი ფაქტები, რომ სემიპალატინსკში ბირთვული იარაღის გამოცდა ხშირად განაპირობებდა მიწისძვრებს ირანში.** სხვათა შორის, სეისმოლოგები ამ ფაქტებს უარყოფენ და აცხადებენ, რომ ყველაზე დიდი ბირთვული აფეთქებაც კი ვერ მოახდენს ზემოქმედებას კოლოსალურ კონტინენტურ ფილებზე.

**ლეონიდ ივაშოვი:**

**— ტექტონიკური რღვევები მაღალი დაძაბულობის ველს ქმნის, — მიაჩნია ლეონიდ ივაშოვს, — და თუ ამ ველს ოდნავ გავაძლიერებთ, ხდება მიწისძვრის მსგავსი მოვლენები, რაც შემდეგ ცუნამს, ქარიშხალს და სხვა კატაკლიზმებს განაპირობებს.**

2006 წლის იანვარში პენტაგონში აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბის ხელმძღვანელს, გენერალ რიჩარდ მაილსს მოახსენეს, რომ აშშ-ის თავზე აფეთქებული ერთ მეგატონიანი ბირთვული ჭურვისგან გამოწვეულ იმპულსს შეუძლია მწყობრიდან გამოიყვანოს ელექტრონიკა მექსიკის ყურიდან კანადამდე.

**— საინტერესოა, რატომ მალავენ ახლა ასე ძალიან ამერიკელები იმ ინფორმაციას, რომელსაც ადრე გასცემდნენ?** — კითხულობს ლეონიდ ივაშოვი, — **საუბარია მინიატურული, ღრმადშეღწევადი ბირთვული ქობინების შექმნის თაობაზე. მაინც სად უნდა შეაღწიონ ამ ქობინებმა? ხომ არ შეიძლება შეაღწიონ სწორედ ამ ტექტონიკურ ნაპრალებში და შემდგომი აფეთქებით ბუნებრივი კატაკლიზმები განაპირობონ?**

ჯერ კიდევ 50-იან წლებში საბჭოთა ბირთვული ბომბის მამა ანდრეი სახაროვი ირწმუნებოდა, რომ დედამიწის ქერქის დაძაბულობის ადგილებში დამონტაჟებული ბირთვული ქობინების საშუალებით შესაძლებელია მიწისძვრის გამოწვევა. ითვლებოდა, რომ **პატარა მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება ამ აფეთქების ადგილიდან ათასობით კილომეტრის დაშორებით გამოიწვევდა ბუნებრივ კატასტროფებს. რუსეთშიც და აშშ-შიც სეისმური იარაღის შექმნაზე მუშაობდნენ. მიწისძვრის გამოწვევა შესაძლებელია თხევადი ქიმიური ან ბირთვული საწარმოო ნარჩენების ჩატუმბვითაც სეისმურად აქტიურ ნაპრალებში.** ერთდროულად ტარდებოდა და ტარდება სეისმური დაძაბულობის ზონათა ინტენსიური კვლევები. დედამიწის ქერქის ტიტანური ნაპრალების ადგილებში ჩნდება ენერგეტიკული ველები, რომლებიც დაძაბულობის გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ მიწისძვრების, ვულკანური ამოფრქვევების, ცუნამების სახით ფეთქდება. როგორც ჩანს, ამერიკელებმა იპოვეს მეთოდი, რომ ტექტონიკური დაძაბულობის ზონებზე იმოქმედონ და გაძლიერების გზით ხელოვნურად მიიყვანონ აფეთქების ზღვარზე. **სომხეთში მომხდარ მიწისძვრამდე რამდენიმე დღით ადრე სემიპალატინსკში მორიგი ბირთვული ცდები ტარდებოდა. 1988 წლის 7 დეკემბერს კი მიწასთან გასწორდა სომხეთის ქალაქი სპიტაკი, კიდევ რამდენიმე ქალაქი და სამასზე მეტი დასახლებული პუნქტი ნაწილობრივ დაინგრა. ამ კატასტროფას 25 ათასი ადამიანი ემსხვერპლა.**

**გაგრძელება იქნება**



გეოპოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**დღეს საქართველო ისეთ სიტუაციაშია, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელია ხელისუფლებისგან სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ჩამოშორება, სხვანაირად ტერიტორიული პრობლემა არ მოგვარდება, რამეთუ რუსეთს სააკაშვილთან საუბარი პრინციპულად არ სურს. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, სააკაშვილი ეროვნულ ინტერესებს უპირისპირდება, რამეთუ გადადგომას არ აპირებს და ამით ეროვნული მოღალატის როლში გვევლინება.**

# გეოპოლიტიკური სიბრმავე – საქართველოს ტრაგედია

## წერილი მეორე

**გეოპოლიტიკური კანონზომიერებიდან გამომდინარე, ედუარდ შევარდნაძის ძალისხმევა ქვეყნის დსთ-ში გაერთიანებისთვის გამართლებული იყო. ასევე გამართლებული იქნებოდა რუსეთთან ჩარჩო-ხელშეკრულების დადება, რითაც გეოპოლიტიკურ სიბრმავეს თავს დავაღწევდით. მომზადდა კიდეც ასეთი ხელშეკრულება, მაგრამ ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.**

ვინ შეგვიშალა ხელი? — რა თქმა უნდა, აშშ-მა. მისმა მაშინდელმა ელჩმა თბილისში, რიჩარდ მაილსმა ყველაფერი იღონა ამ ხელშეკრულების ჩასაშლელად, რადგან, თუ იგი ბოლომდე იქნებოდა მიყვანილი, მაშინ ავტომატურად გამოირიცხებოდა საქართველოს ნატოში შეყვანის ამერიკული პროგრამა. არადა, **რუსეთთან ჩარჩო ხელშეკრულება საქართველოსთვის ბევრი სიკეთის მომტანი იქნებოდა:**

ამოქმედდებოდა თბილისი – მოსკოვის, წყალტუბო – მოსკოვის, ბათუმი – მოსკოვის სარკინიგზო მიმოსვლა. ამით აფხაზებთან საქმიან კონტაქტებს დავამყარებდით; გავიდოდით რუსეთის, უკრაინის, იქედან ევროპის ბაზრებისაკენ მიმავალ გზებზე. აღნიშნული სარკინიგზო მიმოსვლა (რამეთუ მას მეზობელი ქვეყნებიც გამოიყენებდნენ) **საქართველოს ბიუჯეტს საგრძნობლად დიდ შემოსავალს მოუტანდა. რაც ყველაზე მთავარია — ქვეყნის ტერიტორიული გაერთიანება გაიოლდებოდა.**

აშშ-ის ზეწოლამ, რუსეთთან ჩარჩო ხელშეკრულების ჩაშლა საქართველო გეოპოლიტიკურ სიბრმავეში ჩააგდო, რამაც ქვეყანას ტრაგიკული შედეგები მოუტანა. აშშ-მა გააკეთა დასკვნა, რომ საქართველოს სიღრმისეული გეოპოლიტიკური დაბრმავებისთვის ედუარდ შევარდნაძე შემდგომ აღარ გამოადგებოდა. ასეთ დროს აამოქმედეს დოლარის ყოვლისშემძლეობა; უხვად დააფინანსეს ე.წ. ვაითავისუფლების ინსტიტუტის „კმარელები“, ხოლო მიხეილ სააკაშვილის სახით ქვეყნის გეოპოლიტიკური გზიდან გადაგდების მეისრე გამოძებნეს. გამოცდილმა ე. შევარდნაძემ ყველაფერი ეს კარგად შეიცნო და გვერდზე გადგა, რამეთუ ძია სემს ასე სურდა.

**სოროს-ამერიკის დოლარების კოკისპირულმა წვიმამ ნაყოფი გამოიღო; ხელისუფლებაში ანტიეროვნული, პროამერიკული ძალები მოვიდნენ მ. სააკაშვილის თავკაცობით. გამარჯვებით გახარებულმა ჯორჯ სოროსმა წონასწორობა ვერ შეინარჩუნა და საკუთარი თავი ამხილა, როცა ხბოს აღტაცებით შესძახა: „მილიონები უქმად არ დაგვიხარჯავს – საქართველოში „ვარდების რევოლუციამ“ გაიმარჯვაო“.**

ამის შემდეგ, სულ მალე, ლეიბორისტების თავკაცს — შალვა ნათელაშვილს სრული უფლება მიეცა, საქართველოსთვის სოროსლანდია ეწოდებინა. ჯ. სოროსის გამარჯვებამ საქართველოს, ქართველ ხალხს ახალი ტრაგედია მოუტანა — ქვეყანამ კიდევ უფრო ღრმად შეტოპა გეოპოლიტიკურ წყვდიადში. **2008 წლის 7-8 აგვისტოს შესაყარზე მიხეილ სააკაშვილის შეჭრა ცხინვალში და რუსი სამშვიდობოების ამოხოცვა, რომლებიც იქ თავიანთ მისიას გაეროს ეგიდით ასრულებდნენ, საქართველოს ხელისუფალთა სრულ გეოპოლიტიკურ სიბრმავეს მოასწავებდა, რამაც კოლოსალური ზიანი მიაყენა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას.** რუსეთი თავისი შვილების ამოხოცვას, რუსი დედების გამწარებას განა ვისმეს აპატიებდა? არ გვაპატია და მის სავალალო შედეგებსაც ვიმკით.

**სააკაშვილის ხელისუფალთა გეოპოლიტიკური სიბრმავის აშკარა გამოვლინებაა ამერიკის არმიის მაღალჩინოსანთა და სამხედრო სპეციალისტთა მოწვევა ქართული არმიის „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ განხორციელებისთვის, ამერიკული იარაღით მისი შეიარაღებისთვის. ყოველივე ეს, ბუნებრივია, საქართველოსთან გეოპოლიტიკურად უშუალოდ დაკავშირებული მეზობლების, პირველ რიგში, რუსეთისა და ირანის, დიდ გაღიზიანებას იწვევს.**

ამ საკითხზე მსჯელობისას მავანთაგან გაიგონებთ: ვინ კითხავს რუსეთს ან ირანს, ვინ შეაიარაღებს თუ გაწვრთნის ჩვენს არმიასო. რბილად რომ ვთქვათ, ასეთი მავანები სრულ გეოპოლიტიკურ სიბეცეს იჩენენ, ვერ ხედავენ, რომ ასეთი ქმედებებით მეზობლების უშიშროებას საფრთხეს უქმნიან. ამ მავანებს დავუსვამდით კითხვას: რუსეთმა რომ განახორციელოს ანალოგიური ქმედებები აშშ-ის უშუალო მეზობელ მექსიკაში, ამას აშშ რუსეთის მისამართით „ბრავო-ბრავოს“ შეძახილით უპასუხებს?

**ოპონენტებს აქ ნიკიტა ხრუშჩოვის ერთ-ერთ გეოპოლიტიკურ სიბეცეს გავახსენებთ, აშშ-ის მეზობელ კუბაში სტრატეგიული სამხედრო საჭურველის განლაგება რომ გადაწყვიტა; მისმა ამ ნაბიჯმა აშშ ისე განარისხა, რომ კარიბის ზღვის აუზში საქმე ლამის ომამდე მიიყვანა. ხრუშჩოვი იძულებული გახდა, სასწრაფოდ უკან დაეხია და ამერიკამაც ხმალი ქარქაშში ჩააგო.**

ხრუშჩოვმა ბევრი სხვა გეოპოლიტიკური სიბეცეც გამოავლინა, რომელთა უარყოფით შედეგებს რუსეთის ფედერაცია დღესაც იმკის. კერძოდ, 1954 წელს მან რუსეთის ფედერაციის კუთვნილი ყირიმის ნახევარკუნძული უკრაინას, რუსეთთან შეკავშირების 300 წლისთავის აღსანიშნავად, ვითარცა სუვენირი, საჩუქრად გადასცა. არადა, წარმოუდგენელია რუსეთი შავი ზღვის, სევასტოპოლის ფლოტის, თვით სევასტოპოლის გარეშე.

**ამერიკის შეერთებული შტატები იმდენად გათავხედდა, რომ მსოფლიოს გლობალიზების თავისი ეგოისტური მიზნების განხორციელებისთვის არაფრად ჩააგდო მსოფლიოში უკვე ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური კანონზომიერებანი.** ამისი ნათელი ილუსტრაციაა კოსოვოს ვაიპრეცედენტი. კოსოვოს — სერბების ამ ისტორიულ მიწაწყალს — აქტიური დემოგრაფიული შეღწევებით სულ უფრო მეტად დაეპატრონენ მეზობელი ალბანელები, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს უმრავლესობაში აღმოჩნდნენ (ისე, როგორც ჩვენს შემთხვევაში შიდა ქართლში — ოსები), ალბანელმა სეპარატისტებმა გადაწყვიტეს, მოეწყვიტათ კოსოვო სერბეთისგან და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ექციათ. ამ საქმეში მათ აქტიური დახმარება გაუწია აშშ-მა, მიაწოდა რა იარაღი ე.წ. განმათავისუფლებელი არმიის აღჭურვისთვის.

**2008 წლის თებერვალში აშშ-მა და რიგმა სახელმწიფოებმა კოსოვოს დამოუკიდებლობა ცნეს. გაწეული დახმარებისთვის კოსოვოელმა სეპარატისტებმა ამერიკას უფლება მისცეს, მის ტერიტორიაზე ევროპაში ყველაზე დიდი სამხედრო ბაზა აეგო.** ბუნებრივია, აშშ-ის ასეთმა მოქმედებამ რუსეთი რევანშისთვის განაწყო, რაც განახორციელა კიდეც საქართველოს ხარჯზე, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა, თავისი გეოპოლიტიკური სიბეცით, 2008 წლის აგვისტოში ამისი საბაბი მისცა. **რუსეთმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა აღიარა – აშშ-ის პოლიტიკის საპირწონე ნაბიჯები გადადგა, აღნიშნულ რეგიონებში სამხედრო ბაზების მშენებლობასაც შეუდგა.**

დასკვნა ერთია: **ამერიკა-რუსეთის ინტერესთა ჭიდილში ხელისუფალთა სრული გეოპოლიტიკური სიბეცის შედეგად საქართველო აქლემის კოზაკივით გაიჭყლიტა.** გასაკვირია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. ანტირუსული ისტერიები, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოს გეოპოლიტიკურ ინტერესებს და დამწვარზე მდუღარის გადასხმას მოგვაგონებს, კიდევ უფრო მეტი გაშმაგებით გრძელდება. არადა, ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია საქართველოს რუკა ახლო მომავალში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე ვიხილოთ.

**დღეს საქართველო ისეთ სიტუაციაშია, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელია ხელისუფლებისგან სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ჩამოშორება, სხვანაირად ტერიტორიული პრობლემა არ მოგვარდება, რამეთუ რუსეთს სააკაშვილთან საუბარი პრინციპულად არ სურს. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, სააკაშვილი ეროვნულ ინტერესებს უპირისპირდება, რამეთუ გადადგომას არ აპირებს და ამით ეროვნული მოღალატის როლში გვევლინება.**

ჩვენ მივმართავთ მიხეილ სააკაშვილს: ბატონო პრეზიდენტო, გვიახლოვდება ტუნის-ეგვიპტის პოლიტიკური გრიპის ეპიდემია, რომელიც ღორისა და ქათმის გრიპისგან განსხვავებით მხოლოდ უმაღლეს ხელისუფალთ ემუქრება; გაეცალეთ ხელისუფლებას და გადარჩებით.

ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ეროვნული თანხმობის ხელისუფლების ჩამოსაყალიბებლად, რომელიც თავის რიგებში მოიკრებს იმ პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობათა წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის შესატყვისად აზროვნებენ და, ამდენად, გმობენ ავადმოსაგონარ ნატოს. საქართველო ნეიტრალური უნდა გახდეს.

**ხაზგასმით ვაცხადებთ: ნებისმიერი პოლიტიკური პარტია და მოძრაობა, ცალკე აღებული პოლიტიკოსები, რომლებიც ნატოს ეტრფიან, ამით საქართველოს გეოპოლიტიკურ წყვდიადში ეზიდებიან. ისინი საქართველოს ეროვნულ მტრებად უნდა მივიჩნიოთ.**

უსაფრთხოების 47-ე კონფერენციაზე, რომელიც ა.წ. 4-6 თებერვალს ქ. მიუნჰენში ჩატარდა, ვისურვებდით, მისი ტრიბუნიდან მიხეილ სააკაშვილს ეთქვა:

**ბატონებო, გააუქმეთ ნატო!**

**ამერიკავ, დააბრუნე სახლში თქვენი ჯარები, გააუქმეთ სამხედრო ბაზები სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე, კოსოვო სერბეთს დაუბრუნეთ!**

**რუსეთო, გაიყვანეთ ჯარები საქართველოდან, გააუქმეთ ბაზები ქვეყნის გარეთ, გააუქმეთ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა!**

**მერწმუნეთ, ამის შემდეგ მსოფლიო შვებით ამოისუნთქავს; საერთაშორისო ტერორს თანდათანობით ბოლო მოეღება; ურთიერთნდობა გაღრმავდება; უსაფრთხოების პრობლემაც მოგვარდება.**

ჩვენ მიგვაჩნია, მსოფლიო კონფლიქტები მხოლოდ და მხოლოდ გაეროს გაძლიერებული ძალებით უნდა დარეგულირდეს და არა ნატოს ძალმომრეობით, რაც მხოლოდ უნდობლობისა და დაპირისპირებათა იარაღია. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა ხუთეული ათამდე უნდა გაიზარდოს, გაფართოვდეს მისი უფლებები.

**ნუგზარ ავალიანი,**
**გივი გურეშიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები,**
**პოლიტოლოგები**

**რუსეთთან ჩარჩო ხელშეკრულება საქართველოსთვის ბევრი სიკეთის მომტანი იქნებოდა. რაც ყველაზე მთავარია – ქვეყნის ტერიტორიული გაერთიანება გაიოლდებოდა**

**ნებისმიერი პოლიტიკური პარტია და მოძრაობა, ცალკე აღებული პოლიტიკოსები, რომლებიც ნატოს ეტრფიან, ამით საქართველოს გეოპოლიტიკურ სიბრმავე-წყვდიადში ეზიდებიან. ისინი საქართველოს ეროვნულ მტრებად უნდა მივიჩნიოთ**

---

მოკლედ

## ეუთო რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს

ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი აუდრონიუს აჟუბალისი რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობათა ნორმალიზებისათვის დიალოგის დაწყებისაკენ მოუწოდებს. „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველომ და რუსეთმა ღია დიალოგი აწარმოონ. მხარეებს შორის ნდობა უნდა აღდგეს. ამის ერთ-ერთი საშუალება ჟენევის დისკუსიებია და ეს ფორმატი უნდა შენარჩუნდეს“, — განაცხადა ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ.



## შესაძლოა, ფუძიამა ამოიფრქვას

იაპონიაში ხუთშაბათს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის გამო, შესაძლოა, ქვეყნის ყველაზე დიდი მთიდან, ფუძიამადან, ვულკანი ამოიფრქვას. ამ დასკვნამდე იაპონიის ქალაქ ნაგოიას უნივერსიტეტის სეისმოლოგიის, ვულკანოლოგიისა და კატასტროფების შეჩერების კვლევითი ცენტრის სპეციალისტები მივიდნენ. ვულკანის ამოფრქვევას მარტო იაპონია არ იგრძნობს და ვულკანის ფერფლი დედამიწის დიდ ტერიტორიაზე გავრცელდება.



ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა დაადგინა, რომ საჩინოს მიწები, ანუ „ვანის ქვეყანა“ ნეოლითის ხანიდანაა დასახლებული. ირკვევა, რომ ადრეანტიკური ხანის სამოსახლოები ძვ. წ.აღ.-ის II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასახლებათა საფუძველზეა განვითარებული.



საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ვანელი თამადა

## საჩინო

**ვანის რაიონის ტერიტორიაზე არის ისეთი ტაძრები, რომლებსაც მეორედ მაშენებელთა ხელი არასდროს შეხებია.**

სოფელ **ისრითში**, მდინარე სულორის გადაღმა, მისი ერთ-ერთი შენაკადის ნაპირზე, შემორჩენილია ეკლესია, რომელიც შემოძარცვული პერანგით დგას პატარა ბორცვზე. ეს ტაძარი XIII საუკუნეში უნდა იყოს აგებული, რასაც მის კარსარკმელზე შემორჩენილი სამკაულებიც ცხადყოფს.

სოფელ **ზედა ვანში** ავდივართ. განვითარებულ შუასაუკუნეებში, პირობითად ქვაბულისძეთა ზეობაში, იგი საჩინოს ცენტრი უნდა ყოფილიყო. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა აქ შემორჩენილი, მართალია სანახევროდ დანგრეული, მაგრამ მაინც შთამბეჭდავი ეკლესია — XII-XIII საუკუნეების მთავარანგელოზის საყდარი.

საყდარი საკმაოდ მაღალიც ყოფილა და საკმაოდ ფართოც. იგი სიგრძეში 19 მეტრს აჭარბებს, სიგანეში კი — 10 მეტრს. საკურთხევლის აფსიდის ორსავ მხარეს ორი ძალიან მაღალი ნიშია, ცენტრში კი სამი ნატიფი, მაღალი სარკმელი.

ტაძარი 100 წლის წინათაც დანგრეული ყოფილა, მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილს რამდენიმე ფრესკა მაინც გაურჩევია. ამასთანავე, მაშინ აღმოსავლეთის ფასადზე შემორჩენილი ყოფილა ოქროსფერი ქვიშაქვის კარგად გათლილი პერანგი და საყდრის გეგმის რელიეფური გამოსახულება. ეს მარმარილოს ქვა, რომელზეც, რელიეფთან ერთად, XII-XIII საუკუნეების წარწერის ფრაგმენტიც იყო, ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში ინახება. წარწერის ფრაგმენტი ასე იკითხება: **„ერისთავთ-ერისთავი ზვიადი“.** შესაძლებელია, რომ ეს ზვიადი სწორედ ქვაბულისძეთა სახლის წარმომადგენელი იყოს.

დასავლეთ ფასადზე, რომელზეც კარიბჭე უნდა ყოფილიყო მიშენებული, ექვთიმე თაყაიშვილს უნახავს წმ. გიორგის სადიდებლად შესრულებული გვიანდელი ხანის წარწერაც. დიდ მეცნიერს მასში, სავარაუდოდ, გვარი **ღოღობერიძე** ამოუკითხავს. კიდევ ერთი წარწერა ყოფილა ჩიჯავაძეთა მიერ გვიან შუასაუკუნეებში ტაძარზე ჩრდილოეთიდან მიდგმულ ეკვდერში. მასში მოხსენიებული ყოფილა **„მთავარ ვახტანგ მიქელაძის ქალი ხვარამზე“.** ზედა ვანის მონასტერი საჩინოს ყველაზე საყურადღებო ქრისტიანული ძეგლია.

ამავე ხეობაში, სულ ზევით, სოფელ **გადიდის** მიდამოებში (გადიდი ჭანურ-ზანური სიტყვაა და დიდ გორას ნიშნავს), დღეს უკვე აღარ არსებობს XI საუკუნის ჩინებული ეკლესია — თლილი ქვის პერანგით შემოსილი „წმ. გიორგი“. შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე ქვა და გალავნის ნაშთის ფრაგმენტი. საბედნიეროდ, გადარჩენილია ტაძრის არქიტრავი, რომელსაც მოზრდილი ასომთავრული წარწერა აქვს. წარწერა ნაკლულია, თავში მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ჩანს, მერე კი ტექსტი ასე იკითხება: **„...აღვაშენე ბაგრატისა და** (აქაც ერთი-ორი სიტყვა არ იკითხება) **ცოდვილისა სულისა ჩემისა და შვილთა ჩემთა და ვინცა ღირს იქმნეთ მოსვლად და ლოცვად ადგილსა მთავარმოწამისა გიორგისა, ლოცვასა მომიხსენეთ ცოდვილი. ღმერთმა თქუენცა შეგიწყალნეს. ამენ!“** ეს წარწერიანი ბალავარი ვანის ნაქალაქარის მუზეუმშია შენახული.

სწორედ ამ მუზეუმიდან იწყება რაიონში ჩვენი მოგზაურობის დასკვნითი და ყველაზე საინტერესო მონაკვეთი.

ახვლედიანების გორაზე 120 წლის წინათ „ოქროს წყაროების“ ამოდინება დაიწყო.

მერე და მერე, ჯერ ქვითკირის ერთ-ერთ სამარხში ჯაჭვით დაბმული კაცის ჩონჩხი, შემდეგ კი უამრავი ოქრო და სპეკალი იპოვნეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. საქმეში არქეოლოგები ჩაერთნენ. ასე გამოჩნდა იმ ქალაქის ნაშთები, რომლის შესახებ I საუკუნეში ცნობილი ბერძენი გეოგრაფი **სტრაბონი** ამბობდა: **„ფაზისის ნაპირზე, მოსხთა ქვეყანაში არის ლევკოთეას ტაძარი, ფრიქსეს აგებული, და სამისნო, სადაც ვერძს არ წირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ჯერ ფრანკემ გაძარცვა, შემდეგ კი მითრიდატე პერგამონელმა“.**

ვანის ნაქალაქარის ყველაზე უფრო ცნობილმა მკვლევარმა ოთარ ლორთქიფანიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კოლხეთის ეს მხარე ძვ.წ.აღ.-ის IV საუკუნიდან იბერიის სამეფოს, კერძოდ, არგვეთის **კუთვნილებაში მოექცა, სადაც სტრაბონის მიერ ნახსენები მოსხები, ანუ იგივე მესხური ტომები დასახლდნენ. ისინი სამხრეთიდან, კონკრეტულად კი ერთ-ერთი ეთნარქის — ოძრახოსის მამულებიდან ამოვიდნენ აქ. მესხური კულტურა ზედ გადაეფარა ჭანურ-ზანურ კულტურას, მაგრამ იგი ბოლომდე ვერ დაჩრდილა. სხვა თუ არაფერი, ამაზე მიგვანიშნებს ისეთი ტოპონიმები როგორებიცაა ტობანიერი, დიხაშხო, გადიდი და სხვ. ასე ჩამოყალიბდა კოლხური კულტურის ახალი, განვითარებული ფორმა და ეტაპი.**

ვანში, ახვლედიანების გორაზე, აღმოჩენილი ქალაქი ჩვეულებრივი ანტიკური სამოქალაქო დასახლება კი არა, არამედ სატაძრო ქალაქი-ცენტრი უნდა იყოს. აკი სტრაბონი ამბობდა — ეს დიდი სამოსნო ადგილიაო. ბერძენი გეოგრაფის მიერ ნახსენები ლევკოთეას სამისნო იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ მისი მსგავსი ქალღმერთის, წყლისა და ხმელეთის ნაყოფიერების კოლხურ-მესხური რომელიღაც უცნობი მფარველი ღვთაების ტაძარი უნდა მდგარიყო. და მართლაც,ყველა ის დიდი ნაგებობა თუ სამარხი, რომელიც ახვლედიანების გორაზე აღმოჩნდა, ტაძარი და ტაძრის კუთვნილებაა.

პირველად არქეოლოგებმა გორის წვერზე აღმოაჩინეს **ძვ.წ.აღ.-ის III საუკუნის წარმართული სალოცავის 8-საფეხურიანი საკურთხეველი. მის სიახლოვეს მალე გამოჩნდა კიდევ ერთი, ამჯერად მრგვალი ტაძრის ნაშთები**. ძალიან საინტერესო ტაძარს მიაკვლიეს ნაქალაქარის შესასვლელში. ეს არის ტაძარი-კარიბჭე ანუ ერთგვარი **საღვთო კარი**. მას აქა-იქ წითლად ამჩნევია ცეცხლის კვალი — ფრანკესა და მითრიდატე პერგამონელის შემოსევებისა და რბევის ნიშანი. აქ ასევე აღმოჩნდა ძვ. წ.აღ.-ის III-II საუკუნეების მძლავრი **გალავნის მონაკვეთი**, რომელიც დიდრონი, რუსტებიანი ქვათლილებითაა ამოყვანილი. კარგად არის შემონახული **მცირე ტაძრის საკურთხეველი**. სწორედ აქ მიაგნეს ქვაში გამოთლილ ლომის თავებს, რომლებიც წყლის გადმოსადინებლად გამოიყენებოდა.

**განსაკუთრებით თვალშისაცემია ცენტრალური ტერასის სიღრმეში მდგარი სატაძრო კომპლექსი. ზოგიერთი ნაგებობის კედელი ძვ. წ.აღ.-ის IV-III საუკუნისაა, ზოგიერთი — ძვ. წ.აღ.-ის II-I საუკუნის.**

**სწორედ ამ კომპლექსმა ათქმევინა უცხოელ არქეოლოგებს, რომ ვანის ნაქალაქარი ბერძნულ სატაძრო ქალაქს — დელფოსს წააგავს.** განსაკუთრებით დიდი მოცულობისაა მეორე იარუსზე მდგარი 17 მეტრის სიგრძისა და 5 მეტრის სიგანის მონუმენტური შენობა, რომელიც ძვ. წ.აღ.-ის III საუკუნეს განეკუთვნება. წარმოიდგინეთ, რომ **აქ არსებული ჭაც 24 საუკუნის წინანდელია.** ...საგანგებოდ ვჩერდებით იმ ტაძართან, რომელიც, შესაძლოა, მარნის ფუნქციასაც ასრულებდა. მას მოზაიკური იატაკი ჰქონია. აქ მიკვლეულია დიდი ზომის ქვევრი, ასევე ნიკეას ქანდაკებიანი ბრინჯაოს ჭურჭელი, დიონისეს წრის ღვთაებების გამოსახულებანი. სხვათაშორის, შეუძლებელია მუზეუმში ყურადღება არ მიაქციოთ სოფელ ინაშაურში მოპოვებულ ანტიკურ ხანის პატარა ბრინჯაოს სტატუეტს — ყანწიან კაცს, რომელიც თავისი ხელწერით კიდევ უფრო ძველ ხეთურ ქანდაკებებს გაგახსენებთ. ამ სტატუეტს თამადა შეარქვეს.

მეღვინეობის თემამ ვანის ნაქალაქარიდან სამხრეთით, ყუმურის სათავეებში წაგვიყვანა, სადაც სოფელ დუცხუნის მზვარეში შემორჩენილი ალადასტურის ვენახი გვიჩვენეს. ასეთი დიდებული ალადასტური საქართველოში სხვაგან არ მოიწევა. იგი სტალინის ერთ-ერთი უსაყვარლესი ღვინო იყო. დუცხუნელი შოთა ჯულაყიძის სახლში ასეთი ჩინებული ღვინის დაყენებისათვის კრემლიდან მიღებული მადლობის წერილი ინახება.

საინტერესოა, რა ღვინოს სვამდა ანტიკური „ვანელი თამადა?“ ნუთუ მასაც ალადასტური უყვარდა?!.



მთავარი სატაძრო კომპლექსის ერთი კუთხე



წარმართული ტაძრის რვასაფეხურიანი საკურთხეველი



გადიდის „წმ.გიორგის“ წარწერიანი ქვა



ისრითის ეკლესია



ზედა ვანის „მთავარანგელოზი“



**ბელა ქოქიაშვილი**
ავტორის ფოტოები

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**დაახლოებით ამ დროისთვის გავრცელდა ხმა, აჭარელი აჰმედ-ბეგი ჯარს აგროვებს, რათა რუსებს წაართვას ახალციხის ციხესიმაგრეო. ახალციხეში ხუმრობდნენ, თავად ბებუთოვს მეტოქე გამოუჩნდაო. რამდენადაც თურქები, ჩვეულებისამებრ, წამოიწყებდნენ ხოლმე რაიმეს და აღარ მიჰყავდათ საქმე ბოლომდე და მათი გეგმები ლაპარაკად რჩებოდა, ამიტომ ამჯერად რაიმე სერიოზული მზადება რუსებს არ დაუწყიათ, არ ელოდნენ რა შუა ზამთარში სამხედრო მოქმედებებს, მით უფრო, რომ აჰმედ-ბეგი არ წყვეტდა ბებუთოვთან საიდუმლო მიმოწერას.**

# ახალციხის დაცვა

**1828 წლის კამპანია დასრულდა. რუსული არმია საქართველოში გაბრუნდა. ახალციხეში კი შირვანის პოლკის ორი ბატალიონი და ხერსონთა ასეული დარჩა, ხოლო ჯარების სარდლობა და მთელი ახალციხის საფაშოს მმართველობა თავადს — ვასილ ოსიპის ძე ბებუთოვს დაეკისრა, რომელსაც ახალი მინიჭებული ჰქონდა გენერლის წოდება. ბებუთოვმა სამხედრო ძალების გაძლიერების მიზნით ადგილობრივი მოსახლეობისგან შეკრიბა ცხენოსანთა ნებაყოფლობითი რაზმი, რომელმაც შემდგომში თავი საუკეთესო მხრიდან წარმოაჩინა.**

17 ოქტომბერს სულეიმან-აღას ცხენოსნები სოფელ ცურცქაბში მივიდნენ. მოსახლეობამ ისინი მოჩვენებითი პატივით მიიღო და თავის სასახლეში დააბინავა. შუაღამისას სოფელში სროლის ხმა გაისმა. ობივატელების მიერ სახლებში გადამალული ბანდა თავს დაესხა მძინარე ყარაფაფახიანებს. საბედნიეროდ, ისინი თვითონაც ყაჩაღები იყვნენ და, რომ იტყვიან, „ცალი თვალით ეძინათ“. პირველ რიგში, მათ ცხენები გადაარჩინეს, შემდეგ გაარღვიეს რაზმი (ყველგან გზას რომ ულობავდა), ბნელი ღამის მიუხედავად, მოასწრეს სულეიმან-აღას სახლთან შეკრება. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ორასი კაციდან მხოლოდ შვიდი აკლდათ, ოღონდ ვერ გაარკვიეს, ისინი მკვდრები იყვნენ, თუ ტყვედ ჩავარდნენ. **გათენებამდე რუსები მამაცურად იბრძოდნენ ცურცქაბის ერთ-ერთ კუთხეში. მხოლოდ გათენების შემდეგ შენიშნეს, რომ მათ წინაშე 500-კაციანი ბანდა იყო, მაშინვე უკან, მეზობელ სოფელში დაიხიეს და ახალი თავდაცვისთვის მოემზადნენ. მოწინააღმდეგე მიხვდა, რად დაუჯდებოდა გამარჯვება და მთებში გაიხიზნა.**

**მალე ზამთარი დადგა. რუსები ჩარჩნენ ახალციხეში. ისინი აქ თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში. თოვდა, მაგრამ ძალიან არ ციოდა. ქარბუქი მხოლოდ მთებში მძვინვარებდა. რუსული წესების შემოღება არ მოსწონდათ მხოლოდ ქალაქელებს, მოლებს, ახუნდებს** (რჯულის მცოდნეებს), **სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი კი რუსების მხარეზე იყო და მათთან დაახლოებას ცდილობდა.**

ირგვლივ სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა. ნოემბრიდან თოვლით დაფარული მთის ქედები კედელივით იყო აღმართული და ქალაქს აჭარლების თავდასხმებისგან იცავდა.

თავადმა ბებუთოვმა, წარმოშობით სომეხმა, მშვენივრად იცოდა აღმოსავლური ჩვეულებები, მალე მოახერხა მათთან კონტაქტში შესვლა და ნდობის დამსახურება. ბეგებიც კი მიდიოდნენ მასთან და პატივს სცემდნენ როგორც ფაშას. მხარეში მისი პოპულარობა სწრაფად იზრდებოდა. ყოველდღიურად მასთან უამრავი ხალხი მიდიოდა თხოვნით ან ისე, სასაუბროდ; სიამოვნებდათ, რომ უფროსთან საუბარი თარჯიმნის გარეშე შეეძლოთ.

განაჩენის გამოტანის დროს ზოგიერთი საქმე ბებუთოვისგან დიდ დაკვირვებასა და სიფრთხილეს მოითხოვდა. ერთი მისი თანამედროვე გვიამბობს:

**„ერთხელ სამმართველოში ხალხი შეიკრიბა. გამოცხადდა ყველა პატივსაცემი პირი, ყველა თურქი იურისტი, ყადები და მოლები. მათ შეწუხებულ სახეებზე ეტყობოდათ, რომ საქმე სერიოზულად იყო. ქართველი თავადი უჩიოდა გავლენიან მოხუც ბეგს, ახალქალაქის სანჯაკის მმართველს. იყო გაცხარებული კამათი. როგორც ჩანს, 1815 წელს, ჯერ კიდევ ერმოლოვამდე, ქართლზე ერთ-ერთი თავდასხმის დროს, ლეკებმა გორთან ახლოს მოიტაცეს ახალგაზრდა ქარველი ქალი, რომელიც, როგორც ნადავლი, წილად ხვდა ახალქალაქის მფლობელს მუთაბეგს. უბედურ ქალს სამშობლოში ქმარი და ძუძუთა ბავშვი დარჩა. ბეგმა იგი ცოლად შეირთო. ქალი დიდხანს დარდობდა თავის ბედზე, მაგრამ მერე შეურიგდა მას, თანაც თავად ქართული წარმოშობის ბეგი ცდილობდა, მისთვის ესიამოვნებინა და ქრისტიანად დარჩენის ნებაც კი მისცა. ასე გავიდა თითქმის 14 წელი.**

**როცა რუსებმა ახალქალაქი აიღეს, კანონიერმა ქმარმა მოითხოვა, ქრისტიანული წესის თანახმად, ცოლის დაბრუნება. მოხუც ბეგს მუსლიმანურ წესებზე დაყრდნობით არ უნდოდა ამის გაკეთება. მაშინ გადაწყვეტილების მიღება ქალს მიანდეს. იგი რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, რადგან ერთის მხრივ, შეეჩვია ახალ ცხოვრებას და სიმდიდრეს, ძველ ქმარს კი მისთვის მხოლოდ სიღარიბის მიცემა შეეძლო; მეორე მხრივ, მას, როგორც ქრისტიანს, არ შეეძლო რწმენისთვის, სამშობლოსთვის ეღალატა. და აი, ის თავისი ბედის გადასაწყვეტად რუს ფაშასთან მივიდა. ბებუთოვს უნდა გადაეჭრა ეს საკითხი. კანონი პირველი ქმრის მხარეზე იყო, მაგრამ ბებუთოვს რომ წაერთმია ცოლი იმ მუსლიმანისთვის, რომელმაც ამ მოკლე ხანში იმდენი სამსახური გაუწია პასკევიჩს, განსაკუთრებით ახალციხის აღების დროს, ნიშნავდა მის შეურაცხყოფას. ამასთან, ასეთი გადაწყვეტილება მიკერძოებად ჩაეთვლებოდა და რელიგიურ საკითხებში ნდობის დაკარგვას გამოიწვევდა. ამდენად, განაჩენიც შესაბამისი გამოიტანა: ქალი ბეგთან დარჩა.“**



ინფანტერიის გენერალი ვასილ ბებუთოვი

არდაღანის ციხესიმაგრეში კომენდანტი იყო კაზაკთა პოლკის მეთაური მამაცი გენერალი სერგეევი, ხერთვისში — მაიორი პედიაში. კაზაკთა გენერალი საჩივრებს კაზაკურად უდგებოდა. ამის გამო ადგილობრივი მცხოვრებნი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ თავადთან, რის შემდეგაც თავადი აუქმებდა მის გადაწყვეტილებას, გენერალი კი ბრაზობდა.

ცხოვრება მშვიდად მიედინებოდა და არავინ ეჭვობდა, რომ ავბედითი ღრუბელი თანდათან ახლოვდებოდა. იმ დღეებში, როცა ევროპულ თურქეთში მოპოვებული გამარჯვებების მაუწყებელი ინფორმაციები მოდიოდა, თავადი ქალაქის საპატივცემულო პირებს სადილით უმასპინძლდებოდა და ქვემეხებს აქუხებდა. სადილი ორნაირად მზადდებოდა: ერთი — ქრისტიანებისთვის და მეორე — მუსლიმანებისთვის. რუსი ხელმწიფის ჯანმრთელობის სადღეგრძელოს ქრისტიანები ღვინით ამბობდნენ, მუსლიმანები — შარბათით. ერთ-ერთი ასეთი სადილის დროს, 6 დეკემბერს, გამოჩნდა დერვიში. იგი კეროლის ხმით რუსების ბოლო ლაშქრობაზე აზიის თურქეთში, არპაჩაიზე მათი გადასვლის, ყარსის, ახალციხისა და ხერთვისის აღების ამბავს მღეროდა.

**დაახლოებით ამ დროისთვის გავრცელდა ხმა, აჭარელი აჰმედ-ბეგი ჯარს აგროვებს, რათა რუსებს წაართვას ახალციხის ციხესიმაგრეო. ახალციხეში ხუმრობდნენ, თავად ბებუთოვს მეტოქე გამოუჩნდაო. რამდენადაც თურქები, ჩვეულებისამებრ, წამოიწყებდნენ ხოლმე რაიმეს და აღარ მიჰყავდათ საქმე ბოლომდე და მათი გეგმები ლაპარაკად რჩებოდა, ამიტომ ამჯერად რაიმე სერიოზული მზადება რუსებს არ დაუწყიათ, არ ელოდნენ რა შუა ზამთარში სამხედრო მოქმედებებს, მით უფრო, რომ აჰმედ-ბეგი არ წყვეტდა ბებუთოვთან საიდუმლო მიმოწერას.**

ეს განწყობა მაშინაც არ შეცვლილა, როცა 26 იანვარს მსტოვარი მოვიდა ახალციხეში და ამბავი მოიტანა, რომ სუკილისში ძლიერი სროლის ხმები ისმისო. ქალაქიდან იმ დღესვე გავიდნენ ყარაფაფახიანი ცხენოსნები, რათა სუკილისის წისქვილში ხორბლის დასაფქვავად წასული თანამებრძოლები დაეცვათ. შირვანის პოლკის გამოჩენისთანავე აჭარელი თავდამსხმელები გაიფანტნენ. შირვანელებს მხოლოდ ერთი კაცი მოუკლეს. სოფელში მცხოვრებმა სომხებმა ცხენოსნებს მხოლოდ ის უჩვენეს, თუ საით გაიქცა თეიფურბეგი. ყარაფაფახიანების მეთაური თურქისტანოვი მათ კვალს სოფელ წყალთბილამდე მიჰყვა, სადაც კვალი გაქრა, მოსახლეობამ კი უარი თქვა დახმარებაზე. მაშინ აქ მათ დასასჯელად მოვიდა შირვანთა ორი ასეული. სოფელიც მზად იყო თავდაცვისთვის. ის იყო განაპირა სახლს ცეცხლი წაუკიდეს რუსებმა, რომ მცხოვრებლები უკვე პატიებას სთხოვდნენ ჯარისკაცებს. ამჯერად უჩვენეს რუსებს ის ბილიკი, რომლითაც გააცილეს თეიფურ-ბეგი 12 კაცის თანხლებით. რაზმმა სოფელი იმით დასაჯა, რომ პირუტყვის ნაწილი წაართვა და ახალციხეში გაბრუნდა.

ამ თავდასხმამ ქალაქში მღელვარება გამოიწვია. ისინი ბებუთოვისაგან ხელშეუხებლობის გარანტიას ითხოვდნენ. ბებუთოვს ვერ გადაეწყვიტა, გამოეძახებინა თუ არა საქართველოდან დამხმარე ძალა, რადგან სავსებით შესაძლებელი იყო, მოწინააღმდეგის მზადება თავდასხმისათვის გაბუქებული ყოფილიყო. ამიტომ საქართველოდან ჯარების გამოძახება და აქ ჩამოყვანა ამაოდ დახარჯული დიდი შრომა იქნებოდა. ბებუთოვმა გადაწყვიტა, ცოტაც მოეცადა.

**დადგა 1829 წლის ყველიერი. 18 თებერვალს, საღამოს თერთმეტი საათისთვის, თავადი ორ-სამ ოფიცერთან საუბრობდა, როცა მას შეატყობინეს, რომ ციხესიმაგრის კარს ვილაც სომეხი მოადგა და თავადის ნახვას ითხოვსო. ის შემოუშვეს, დაემხო რა თავადის ფეხებთან, გლეხმა უამბო მას, რომ საღამოს 8 საათისთვის მთებიდან დაეშვა უზარმაზარი თურქული არმია ქვემეხებით და რამდენიმე სოფელი დაიკავა ახალციხიდან 15 ვერსის მოშორებით.**

თურქები ძარცვავენ და ხოცავენ გლეხებს, სოფლებზე ჯაჭვივით ისე არიან გარს შემორტყმული, რომ ძლივს მოვახერხე გამოსვლაო.

ატყდა განგაში. ქალაქის ყველაზე მოშორებულ ადგილას მყოფი ხერსონის პოლკის ასეულს უბრძანეს, სასწრაფოდ შემოსულიყო ციხესიმაგრეში, რათა თურქთა თავდასხმის მსხვერპლნი არ გამხდარიყვნენ, შირვანის ორი ასეული მათ შესახვედრადაც კი გაგზავნეს.

ქალაქმა გაიღვიძა. ქრისტიანულ და ებრაულ კვარტლებში ატყდა ალიაქოთი: ხალხი ციხისკენ გარბოდა თავის შესაფარებლად. ციხესიმაგრის კარები დაკეტეს და გამოაცხადეს, რომ ღამით იქ არავის შეუშვებდნენ, რადგან მოსახლეობის ფეხდაფეხ თურქებსაც შეეძლო შიგ შეჭრა.

**ღამით სროლის ხმა არავის გაუგონია, გათენებასთან ერთად ხერსონელები ძველ პოზიციებზე დაბრუნდნენ. კაზაკები ციხესიმაგრიდან 5 ვერსის მანძილზე ტერიტორიის დასაზვერად გავიდნენ, მოწინააღმდეგე არსად ჩანდა. ამასთანავე, ებრაელებსა და ქრისტიანებს უფლება ჰქონდათ, ძვირფასეულობა გადაეტანათ ციხესიმაგრეში და ციტადელში გაეგზავნათ თავიანთი ოჯახები. იქ სივიწროვის გამო მხოლოდ 700 ოჯახი მოთავსდა (ვინც ყველაზე ერთგული იყო რუსების), სხვები ქალაქში უნდა დარჩენილიყვნენ, სხვა გზა არ იყო. მამაკაცებს ჯარის სათადარიგო იარაღი დაურიგეს.**

დილისთვის ბებუთოვთან ზოგიერთი მუსლიმანი დიდებული მივიდა ერთგულების გამოსახატავად, მაგრამ ცხადი იყო, რომ თურქების ნაწილი უნდობლად უყურებდა რუსებს, ზოგი ქალაქიდან ღამით გაიქცა კიდეც. ქუჩებში ბარგით სავსე ურმები იდგა. ასე გავიდა მთელი დღე.

ამბობენ, რომ იმ დღეს ქალაქგარეთ მყოფ ხერსონის ასეულს შეატყობინეს, მათი დაჯილდოების შესახებო. მოწინააღმდეგის სიახლოვის მიუხედავად, მათ მხიარულება გამართეს, იმერული ღვინოც მოატანინეს. დღე თბილი იყო და ჯარისკაცები ღია ცისქვეშ სვამდნენ. მზე ჩადიოდა, რომ ერთმა ოფიცერმა უთხრა თავის ამხანაგს: „წავიდეთ, ვნახოთ მოწინააღმდეგეო“. ისიც დასთანხმდა. ბანაკიდან ერთი ვერსის დაშორებით ისინი შეიარაღებულ ადამიანებს შეხვდნენ, რომლებმაც უთხრეს, რომ ახალციხელები იყვნენ და შინ ბრუნდებოდნენ. თურქები სიამოვნებით გაუსწორდებოდნენ ამ რუს ოფიცრებს, მაგრამ ქალაქის სიახლოვეს ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. ოფიცრებმა გზა განაგრძეს, გასცდნენ სოკილისს, რითაც ყოველ წუთს რისკავდნენ საკუთარი სიცოცხლის ფასად, უკან გვიან ღამით დაბრუნდნენ, ამ დროისთვის ჯარს უკვე ორჯერ ჰქონდა მიღებული ციხესიმაგრეში დაბრუნების ბრძანება.

ციხესიმაგრეში კი ბებუთოვს სამხედრო საბჭო ჰყავდა მოწვეული. ხმები ორად გაიყო: ერთნი ქალაქის დაწვას ითხოვდნენ ესპლანადის შესაქმნელად; სხვები ამას უკიდურეს ზომად მიიჩნევდნენ. ბებუთოვმა მეორე აზრი გაიზიარა. რადგან ათასამდე სახლის გადაწვა რუსებისადმი უნდობლობას, ურთიერთობის დაძაბვასთან ერთად მოსახლეობის თურქების მხარეზე გადასვლას გამოიწვევდა.

**შუაღამე გადასული იყო, როცა დაგვიანებული ხერსონთა ასეული ციხესიმაგრეში შევიდა, ხოლო დაზვერვაზე მყოფმა ორმა ოფიცერმა განაცხადა, რომ საეჭვო არსად არაფერი შეუნიშნავთ. ქალაქსაც ეძინა. ციხესიმაგრეშიც ყველამ იმ იმედით დაიძინა, რომ მოწინააღმდეგე შორს იყო, სამი საათის შემდეგ კი ბარაბნებმა განგაში გამოაცხადეს — თურქები უტევდნენ ახალციხეს. 20 ათასი თურქი შემოვიდა ახალციხის მიდამოებში. მუსლიმანურმა მოსახლეობამ მათი მხარე დაიჭირა.**

მოწინააღმდეგე, არ კარგავდა რა დროს, იმწამსვე ციხესიმაგრისკენ დაიძრა. ისინი ციხის კედლებზე მიცოცავდნენ. ნახევარი საათით გარნიზონი საშიშროების ქვეშ იყო. საუბედუროდ, ციხესიმაგრეს არ ჰქონდა ფლანგების დაცვა. მათ ძალიან დაეხმარა ციხის აღების დროს ნაპოვნი ფუთიანი ბომბები, რომლებსაც კედლებიდან ყრიდნენ და აფეთქებდნენ. ციხესიმაგრის ელვისებურად აღება არ მოხერხდა. როგორც იქნა, თურქები კედლებს მოსცილდნენ.

ამასთან, შიგ ქალაქშიც გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა. **ქარავან-სარაიში ჩაკეტილი ქრისტიანები თურქებს თოფების სროლით შეხვდნენ, მაგრამ ქარავან-სარაი თურქებმა შტურმით აიღეს, ხოლო მისი მამაცი დამცველები ამოხოცეს. დაიწყო ძარცვა. გაუმაძღარი აჭარლები არასდროს ინდობდნენ თავიანთ ერთმორწმუნეებს და მოსახლეობასთან არა ერთხელ მოსვლიათ უთანხმოება; ასე გავიდა ღამე და 20 თებერვლის დილამ საშინელი სურათი გამოაჩინა. კვამლისგან გაშავებული ციხესიმაგრის ქონგურებიდან შეჯგუფული ჯარისკაცები მოლუშული დასცქეროდნენ ქალაქში დატრიალებულ უბედურებას. ძირს, ციხესიმაგრის კედელთან, ორასამდე ქალი და მცირე ნაწილი მამაკაცებისა შეჯგუფულიყვნენ და რუსებისგან დახმარებას ითხოვდნენ. შორიდან დაჭრილთა და შეპყრობილთა ყვირილი ისმოდა.**

**ქალები თურქებს მიჰყავდათ, მამაკაცებს კი წამებით კლავდნენ. იგივე ელოდათ ციხესიმაგრის კედელთან შეყრილ**

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ქარავან-სარაიში ჩაკეტილი ქრისტიანები თურქებს თოფების სროლით შეხვდნენ, მაგრამ ქარავან-სარაი თურქებმა შტურმით აიღეს, ხოლო მისი მამაცი დამცველები ამოხოცეს. დაიწყო ძარცვა. გაუმაძღარი აჭარლები არასდროს ინდობდნენ თავიანთ ერთმორწმუნეებს და მოსახლეობასთან არა ერთხელ მოსვლიათ უთანხმოება; ქალები თურქებს მიჰყავდათ, მამაკაცებს კი წამებით კლავდნენ. იგივე ელოდათ ციხესიმაგრის კედელთან შეყრილ ადამიანებსაც, მაგრამ კარის გაღება შეუძლებელი იყო.**



**ადამიანებსაც, მაგრამ კარის გაღება შეუძლებელი იყო.** ჯარისკაცები გარეთ გადაცოცების ნებართვას ითხოვდნენ, მაგრამ ეს სახიფათო იყო. თავადი ბებუთოვი უნდა გაფრთხილებოდა თავის ჯარისკაცებს. დღის დადგომასთან ერთად ეს ჩეხვაც შეწყდა. მოწინააღმდეგე ისვენებდა. ახლომახლო სახლებიდან ციხესიმაგრის მიმართულებით სროლები კანტიკუნტად მიმდინარეობდა. რუსებს უკვე ჰყავდათ 12 მოკლული და 24 დაჭრილი.

დილის 11 საათზე ბებუთოვმა საბჭო შეკრიბა. თავი მოიყარეს ცალკეული ნაწილების უფროსებმა და გარნიზონის ყველა ასეულის მეთაურმა. საკითხი ასე იდგა: უნდა გადასულიყვნენ ქალაქში თუ არა ჯარისკაცები, რათა უახლოესი სახლებიდან გამოეყარათ მოწინააღმდეგე. საბჭოზე მივიდნენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ახლა არ იყო ჰუმანურობის გამოჩენის დრო და ქალაქი უნდა გადაეწვათ. ციხესიმაგრის მთავარ ჭიშკართან მოეწყო განსაკუთრებული ბატარეა 12 ქვემეხისგან, ხოლო დანარჩენი იარაღი განაწილდა კედლებზე და ბასტიონებზე. შტაბს-კაპიტანი გორაჩკო ხელმძღვანელობდა მთელ პარტიას; პორუჩიკი კრუგლოვი — ციტადელს; პორუჩიკი ანდრეევი — ბატარეას მთავარ შესასვლელთან; ზურგის ბატარეა ჩაბარებული ჰქონდა პოდპორუჩიკ რეიტელს და ჩინოვნიკს, თავად გედროიცს. ნათელია, რომ რუსეთის ჯარი ოფიცერთა ნაკლებობას განიცდიდა.

ასე გავიდა ალყის პირველი დღე. **ღამით თურქებმა რამდენიმეჯერ შეუტიეს მთავარ შესასვლელს, ამას მნიშვნელოვანი არაფერი მოჰყოლია. დილით, 21 თებერვალს, მოწინააღმდეგის რაზმებმა ახალციხისკენ მიმავალი ყველა გზა დაიკავეს და ალყაში მოაქციეს იგი. ციხესიმაგრეში ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა თურქების ნების გარეშე. ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ახმედ-ფაშას ძმამ ავდი-ბეგმა მნიშვნელოვანი ძალებით დაიკავა ბორჯომის ხეობა, რის გამოც საქართველოსთან კავშირი გაწყდა.**

ალყის დრო გაიწელა. ამინდიც ცუდი იყო, თოვლჭყაპისგან ჯარისკაცები სულ დასველდნენ, დრო არ ჰქონდათ, ტანსაცმელი გაეშროთ და გამთბარიყვნენ, ცხრიდან შვიდი ასეული შეუცვლელად იდგა ციხის კედლებზე თავდასხმის მოლოდინში და მხოლოდ ორი მათგანი ისვენებდა.

**მოწინააღმდეგე ამასობაში თავის საქმეს აკეთებდა — ქუჩებში გაჩნდა ბარიკადები, კათოლიკურ ეკლესიასთან დაიდგა ერთი ბატარეა; მეორე გამოჩნდა კაია-დაგის მთებთან. მათი დამარცხება შეუძლებელი იყო. რუსული ბატარეა გაუჩერებლად გუგუნებდა.** ერთმა ახალციხელმა თურქმა იორომან-ბაირახტარმა ღამით მოწინააღმდეგესთან შეღწევა და ქალაქში ხანძრის გაჩენა განიზრახა, მაგრამ არ გამოუვიდა, ვერ მოასწრო, რადგან თურქი ჯარისკაცებისგან გაიგონა, რომ ხვალ ციხესიმაგრეს ავიღებთო. ამ საგანგაშო ცნობით იგი სასწრაფოდ დაბრუნდა ბებუთოვთან. ბუნებრივია, დაელოდნენ შეტევას; ღამით არავის დაუძინია, ცეცხლი ჩააქრეს, ჯარისკაცები მთელი ღამე იარაღით ხელში იდგნენ. გათენდა, შეტევა არ ყოფილა, მაგრამ იორომანი ასე თუ ისე მართალი იყო, **აჰმედ ფაშა გარნიზონის დამარცხებას შტურმით კი არა, წყურვილით აპირებდა.**

უნდა ითქვას, რომ ციტადელში იყო შადრევანი, რომელიც გარნიზონს სასმელი წყლით ამარაგებდა, მაგრამ თურქებმა პირველივე დღეს დააზიანეს წყლის მილი და შადრევანმაც ფუნქციონირება შეწყვიტა. გარნიზონი იძულებული გახდა, წყალი ახალციხე-ჩაიდან ეზიდნა. პირველი ოთხი დღე ქვედა ჭიშკრიდან ჩადიოდნენ მდინარეზე, მაგრამ მოწინააღმდეგე მიხვდა, რაშიც იყო საქმე, და ღამით, 24 აგვისტოს, მდინარესთან ახლოს ჩასაფრდა. აქედან კარგად ჩანდა, ვინც გამოდიოდა ციხიდან დახურული მიწისქვეშა გვირაბით. მაშინ ბებუთოვმა გადაწყვიტა, მოწინააღმდეგე ძალით გაეგდო. ოპერაცია წარმატებით განხორციელდა. რუსებმა 30 კაცი მოუკლეს თურქებს, თვითონ კი არ დაზარალებულან.

27 აგვისტოს ჭიშკრის მოპირდაპირე მხარეს კვლავ გამოჩნდა ჩასაფრებული მტერი. ამჯერად ისე საიმედოდ იყვნენ გამაგრებულნი, რომ მტერი ვერაფერს დააკლებდათ. რუსმა ჯარისკაცებმა მდინარესთან მისასვლელი სხვა გზა მოძებნეს, მაგრამ თურქებმა ისიც დაუკეტეს. იძულებული გახდნენ, თოვლის წყალი გამოეყენებინათ.

**ყოველდღე, დილიდან დაღამებამდე ორმხრივი სროლა არ წყდებოდა. იშვიათად მხოლოდ ჭიშკართან არსებული ბატარეა ისროდა. საერთოდ, ყველაზე დიდი და ყველაზე მძიმე დანაკარგი არტილერიამ განიცადა.** პორუჩიკები კრუგლოვი, ანდრეევი და თავადი გედროიცი უკვე დაჭრილები იყვნენ და მათი შემცვლელი არავინ იყო.

მეთაურების დაკარგვამ სულიერად ვერ გატეხა არტილერისტები, ისინი უფრო მამაცურად იბრძნდნენ. მადლიერმა შთამომავლობამ შემოინახა უბრალო ბომბდამშენის მიშუსტინის სახელი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მთელი გარნიზონის ნუგეში იყო. ძველი ჯარისკაცი, კარგი მსროლელი მიზანს არასდროს არ აცილებდა. შემთხვევით თუ სპეციალურად მიშუსტინი ჭიშკრის ბატარეასთან დააყენეს. ეს ის ადგილი იყო, სადაც რუსულმა არტილერიამ ყველაზე დიდი მსხვერპლი ნახა. პირველივე ღამიდან ჯარისკაცებს ესმოდათ ყრუ კაკუნის ხმა, რომელიც შადრევნების მიწისქვეშა წყლის მილიდან ისმოდა. მათი ვარაუდით, ეს მილი მშვენივრად გამოდგებოდა ნაღმის ჩასადებად. დღის ხმაურში სამუშაოები შესამჩნევი არ იქნებოდა, მაგრამ ღამის სიჩუმეში გარკვევით ისმოდა კაკუნის ხმა. ასე გავიდა რამდენიმე დღე. და აი, ერთმა სომეხმა მოახერხა ციხესიმაგრესთან მისვლა და ნიშანი მისცა ჯარისკაცებს. იგი თოკით კედელზე გადააცოცეს. მან თავადს საიდუმლოდ უთხრა, რომ ზედა ჭიშკართან ჩადებული იყო ნაღმი, რომელსაც თურქები შუაღამისას ააფეთქებენ და შემდეგ შეტევაზე გადმოვლენო.

ამის თაობაზე თავადმა მხოლოდ დაჭრილ ანდრეევს უთხრა და დაავალა სიფრთხილე გამოეჩინა, რადგან განგაშის ატეხვას აზრი არ ჰქონდა. აფეთქების მოლოდინში იქიდან გაიტანეს ქვემეხები, დატოვეს მხოლოდ ერთი, ხალხის რაოდენობა გაანახევრეს, ქვეითი დაცვა მთლიანად მოხსნეს. **„ჩემი მდგომარეობა უნუგეშო იყო,** — ყვებოდა ანდრეევი, — **ყრუ ღამეში ჭიშკრის წინ მართლაც რაღაც გაფაჩუნდა და ორი-სამი გასროლაც გაისმა ახლომდებარე სახლებიდან. ჩვენც ვუპასუხეთ გასროლითვე, რათა დაგვემტკიცებინა, რომ არ ვთვლემდით. შემდეგ სმენადაძაბულმა ვერაფერი გავარჩიე, მხოლოდ ფეხქვეშ ვგრძნობდი კაკუნს, უკვე ღამის 2 საათი იყო. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. 3 საათისთვის მივწექი ლაფეტთან. ჩამძინებია და, როცა გამეღვიძა, თენდებოდა“.**

ასე გავიდა საშინელი ღამე, მაგრამ ამ წუთიდან ჯარები აფეთქების მოლოდინში მუდმივად უნდა ყოფილიყვნენ. **ქალაქში უჩვეულო მოძრაობა შეინიშნებოდა, თითქოს ახალი ძალები შეუერთდნენ მოწინააღმდეგეს. ნამდვილად ასე იყო — აქ ნადავლის მისაღებად მოვიდნენ აჭარლები და შორეული სანჯაკების მაცხოვრებელნი.**

თურქებისთვის ცნობილი იყო, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ გადარჩენის მიზნით თავისი განძეულობა მიწაში ჩაფლა და დამალა. ერთხელ ერთი სახლის აფეთქების შედეგად დამალული განძი თვალხილული შეიქნა.

ამის შემდეგ თურქები სპეციალურად აფეთქებდნენ სახლებს, თხრიდნენ მიწას. ამ საქმემ ისე გაიტაცა ყველანი, რომ ქალაქში სულ ახალ-ახალი ყაჩაღთა ბანდები მოდიოდნენ. როცა ქრისტიანულ და ებრაულ კვარტლებში გამოილია საყაჩაღო, ახლა მუსლიმანთა საკუთრებას მიადგნენ. აჰმედ-ბეგმა გათვალა ამ საქმიანობის ავისმანიშნებელი ფინალი, მიხვდა, რომ ეს დემორალიზაციის დასაწყისი იქნებოდა და დააჩქარა ციხესიმაგრის საქმის დამთავრება. მან 1 მარტს ბებუთოვს შეუთვალა:

**„მის ბრწყინვალებას, საყვარელ ძმას — ბებუთოვს... უკვე ათი დღეა, რაც ციხესიმაგრე ალყაში მაქვს. ღვთისა და სულთნის წყალობით, მე ადვილად შემიძლია შიგ შემოსვლა, მაგრამ ძალით შემოჭრილი ჯარის შეჩერება შეუძლებელია. რამდენადაც მე თქვენ მიმართ მეგობრულად ვარ განწყობილი, თავს მოვალედ ვთვლი, გითხრათ გადამწყვეტი სიტყვა. თქვენ თვითონ განსაჯეთ; ნუ დაიდებთ ამდენი ჯარისკაცისა და მცხოვრებლის ცოდვას. თუ ჩემს წინადადებას მეგობრულად მიიღებთ, ღვთისა და სულთნის წყალობით, მე თქვენ უვნებლად გაგაცილებთ ციხიდან“.**

ბებუთოვმა სცადა, გაეხანგრძლივებინა მიმოწერა, რათა საქართველოდან დამხმარე ძალის მოსვლამდე მოეგო დრო. მან მისწერა:

**„პატივცემულო აჰმედ-ფაშა! რუსი ჯარისკაცების სიმამაცე თქვენთვის ცნობილია, მათ იციან ციხის აღებაც და დაცვაც. ღვთის დახმარებითა და ჯარისკაცებთან ერთად მე ყოველთვის მზად ვარ, შეგხვდეთ. თუმცა თქვენ თვლით, რომ იოლია ციხესიმაგრეში შემოსვლა, მე სხვაგვარად ვფიქრობ. თქვენი წინადადება — ჩაგაბაროთ ციხე და ავერიდოთ ხიფათს, მეგობრულ ჟესტად მიმაჩნია, მაგრამ გთხოვთ, ამიხსნათ, რას ნიშნავს თქვენი სიტყვები: „მე გაგიყვანთ თქვენ უხიფათოდ და უვნებლად“, — რამეთუ ეს ფრაზა ჩემთვის გაუგებარია“.**

დაიწყო მიმოწერა და ერთგვარი პოლემიკა:

**„თქვენს წერილში,** — წერდა ბებუთოვს აჰმედ-ფაშა 2 მარტს, — **მატყობინებთ, რომ ჩემთვის ცნობილია რუსი ჯარისკაცების სიმამაცე. თქვენ სამართლიანად სჯით, მაგრამ შექმნილმა მდგომარეობამ შეიძლება ყველაფერი შეცვალოს. თქვენ მწერთ, რომ ჩემი სიტყვები ვერ გაიგეთ. აგიხსნით, რამდენადაც სულთანსა და თქვენს ხელმწიფეს შორის ხშირად ხდებოდა ომის დროს ციხესიმაგრეების კაპიტულაცია, მეც მათ შორის, გთავაზობთ უსაფრთხო უკანდახევის საშუალებას. ჯარი, რომელიც თქვენთან ბორჯომის ხეობით მოდიოდა, ჩემმა ძმამ ავდი-ბეგმა დაამარცხა. აწყურის ციხე-სიმაგრეც ასევე ალყაშია. თუ გნებავთ, მე თანახმა ვარ კაპიტულაციაზე, თუ არადა — თქვენი ნებაა“.**

ბებუთოვმა პასუხი დააყოვნა და ერთი დღის შემდეგ, 3 მარტს ბეგს უპასუხა:

**„თქვენი წინადადება ძალიან მაოცებს. რუსები უბრძოლველად არ ტოვებენ ციხესიმაგრეებს. მყავს რა მამაცი გარნიზონი და ყველაფერი სხვაც ციხესიმაგრის დასაცავად, მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევაზე ვფიქრობ. ავდი-ბეგს არ შეუძლია ჩვენი ჯარების წინსვლის შეჩერება. რუსები ყველგან გავლენ და ხიშტებით გადალახავენ წინააღმდეგობას. მე ყველა მხრიდან ველოდები ჯარებს, რის საჭიროებაც მაინცდამაინც არ მაქვს, საკმარისი ძალები მყავს თქვენი ურდოს დასამარცხებლად“.**

ამასთან, ამ ოთხი დღის განმავლობაში ციხესიმაგრეში არ მოსულა არც ერთი სასიამოვნო ცნობა. გარნიზონი ბედის ანაბარა იყო მიტოვებული. **ფიზიკურად დაღლილი ჯარისკაცები არ კარგავდნენ სულის სიმტკიცეს. თავადი ბებუთოვი პირადი მაგალითით სტიმულს აძლევდა თითოეულ მათგანს. ხედავდნენ რა მას ციხის კედლებზე, ჯარისკაცები სიკვდილისთვისაც მზად იყვნენ. ეს ერთსულოვნება აიმედებდა უფროსსაც.** არავის სჯეროდა საქართველოდან წამოსული რაზმის ბორჯომის ხეობაში განადგურების ამბავი. მოწინააღმდეგის დაჟინებული მოლაპარაკებები კი აფიქრებინებდა რუსებს, რომ საშველი ახლოს იყო და გარნიზონის ჯარისკაცთა სიმამაცე უფრო და უფრო მატულობდა.

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული
მემკვიდრეობა»
მეთხუთმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

საქართველო და მსოფლიო

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**გლობალური შიშისა და დაზაფრვის ამ ფონზე რუსეთი წარმოჩნდა როგორც ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცა, შეაჯამოს შედეგები შედარებით კომფორტულ პირობებში. რუსეთში არ არსებობს მიზეზები, რომელთაც შეუძლია რევოლუციური აქტივობა გამოიწვიოს ახლოაღმოსავლურ სტილში.**

# ლეხ ლეაზაზელ, ბაქრაძე! ლეხი ლეაზაზელი, ვერონიკა!

**„ებრაელი ბიზნესმენების — რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკიელის დაკავებამ საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბა. ბიზნესმენების დაკავება, შესაძლოა, სახელმწიფოთაშორისი სკანდალის მიზეზი გახდეს“. ამ მოსაზრებას დღეს არა მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლები, არამედ ექსპერტებიც იზიარებენ. საქართველო-ისრაელს შორის 26-საუკუნოვან ძმურ კავშირს ბზარი რომ გაუჩნდა, კიდევ ერთხელ დადასტურდა გასულ კვირას, როცა ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარეს ცივი უარი სტკიცეს ვიზიტზე. ისრაელის ხელისუფლება, ოფიციალური თბილისის „შესაშური პრინციპულობისა“ და „სამართლიანობის“ გამო ნაწყენია.**

10 მარტს ისრაელის მედია იტყობინებოდა, რომ ისრაელის პარლამენტის თავმჯდომარემ რივენ რივლინმა თავის ქართველ კოლეგას ვიზიტის გადადება „შიდა და გარე პოლიტიკური გარემოებების“ გამო სთხოვა.

**„დავით ბაქრაძის ისრაელში ვიზიტის გადადება ორი ქვეყნის ურთიერთობებზე გავლენას იმდენად იქონიებს, რამდენადაც არ შედგა ვიზიტი, რომელიც წინ წაიყვანდა ჩვენს ურთიერთობებს“,** — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა. israelnationalnews.com-ის ცნობით კი, რივლინის წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს განუმარტეს, რომ ებრაელი ბიზნესმენების დაკავების გამო საზოგადოების მხრიდან მთავრობაზე „დიდი ზეწოლაა“ და ამ ზეწოლის პირობებში ბაქრაძის ვიზიტი „მიზანშეწონილი არ იქნება“. სპიკერის ოფისის განმარტებით, ვიზიტის გადადება შეთანხმებულია საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და ისრაელის ყველა შესაბამის უწყებასთან. **როდესაც სახელმწიფოში მეორე პირს — პარლამენტის თავმჯდომარეს მეორე ქვეყანა მიღებაზე უარს ეუბნება, არც თუ საამაყოა რეპუტაციის მხრივ.**

**როგორც ირკვევა, შექმნილი სიტუაციით უკვე დაზარალდნენ საქართველოს მოქალაქეები ისრაელში, რომლებსაც გაურკვეველი მიზეზების გამო, ასახლებენ ისრაელიდან; ასევე, პრობლემები ექმნება საქართველოს მოქალაქეებს ისრაელის ვიზების მიღების მხრივ.**

ებრაელი პოლიტიკოსები და ბიზნესმენები ისე არიან აღშფოთებული, 26 საუკუნის მეგობრობის მიუხედავად, ლამის ყოველგვარი კონტაქტის გაწყვეტას ითხოვენ საქართველოსთან და მათ მიერ წამოწყებული სხვადასხვა ბიზნესის შეჩერებითაც იმუქრებიან.

**ისრაელის ელჩი საქართველოში იცხაკ გერბერგი არ გამორიცხავს, რომ ებრაელი ბიზნესმენების დაპატიმრებამ, შესაძლოა, ებრაელი ინვესტორების საქართველოში საქმიანობას ხელი შეუშალოს. ელჩის ეჭვი გამართლდა — ებრაელმა ინვესტორებმა, რომლებიც კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონში აგრობიზნესით არიან დაკავებულები, საქართველოდან წასვლა გადაწყვიტეს.**

დღეს უკვე აშკარაა, რომ ამ დიპლომატიურ სკანდალს გაგრძელება კვლავაც ექნება, თანაც — ჩვენთვის არასახარბიელო. ამის ნათელი დასტურია ისიც, რომ პარლამენტის თავმჯდომარის შემდეგ ისრაელის ხელისუფლებამ ქვეყანაში ვიზიტზე უარი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიას განუცხადა.

**ებრაული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, მინისტრი ქობალია ჯერ კიდევ არის 29-31 მარტს ისრაელში დაგეგმილი ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციის სტუმართა სიაში, თუმცა ისრაელის მთავრობის წევრებს ისრაელში ქართველი მაღალჩინოსნების ნახვა არ სურთ და, შესაბამისად, ღონისძიებაზე არც ქობალიას ელის.**

ქობალიას ისრაელში არშემდგარი ვიზიტის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. ებრაული საინფორმაციო სააგენტო „იზრუს“-ის ინფორმაციით კი, ისრაელის ტურიზმის მინისტრმა ჯერ კიდევ გასულ კვირას გადაწყვიტა, რომ არ შეხვდება მინისტრ ქობალიას. მიზეზად კი კვლავ ებრაელი ბიზნესმენების დაპატიმრებას ასახელებენ. ამავე მიზეზით საქართველოს ხელისუფლებას, ალბათ, უნდა ესმოდეს, რომ ისრაელთან ან, თუნდაც, სხვა რომელიმე ქვეყანასთან ურთიერთობების გაფუჭება კარგი ტონი ნამდვილად არ არის. მაგრამ, როგორც ჩანს, მას ეს სრულიად არ აღელვებს. თუმცა წინ ბიზნესმენების სასამართლო პროცესია და, სავარაუდოდ, სწორედ მისი დასრულების შემდეგ გაირკვევა, ერთის მხრივ, ფუქსისა და ფრენკიელის ბრალეულობის, ხოლო მეორე მხრივ, ისრაელ-საქართველოს მომავალი ურთიერთობის საკითხი.

**თეო ტაბატაძე**

# რუსეთი გეოპოლიტიკურ მოვლენათა ფონზე ძლიერდება

**ამ სათაურით აქვეყნებს გაზეთი „Stratfor“-ი (აშშ) სარედაქციო წერილს, რომელსაც დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ. ეს პუბლიკაცია ერთგვარი გაგრძელებაა „საქართველო და მსოფლიოს“ მეცხრე ნომერში დაბეჭდილი მასალის — „როგორ შეიცვალა რუსეთი ვლადიმერ პუტინისა და მისი გუნდის მმართველობის პერიოდში“. წინამდებარე სტატია განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ გამოცემა, რომელიც მას აქვეყნებს, რუსეთისადმი დიდი სიმპათიით არ გამოირჩევა. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მის მიერ მოწოდებული ფაქტები და ანალიტიკა ობიექტურია და დაეჭვების საბაბს არ იძლევა.**



2011 წლის პირველი სამი თვე გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა. ტუნისელმა ჭაბუკმა მუჰამედ ბუაზიზიმ 17 დეკემბერს თავის ქვეყანაში კორუფციისა და ხელისუფლების მხრიდან ძალადობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა და ამით ბიძგი მისცა მთელს რეგიონში ხანძრის ალის ავარდნას. სულ მალე ტუნისელები და ეგვიპტელები თავიანთი მმართველების ძალაუფლების მსხვრევის მოწმენი გახდნენ. ლიბიაში, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი დაიწყო. ბუაზიზის თვითდაწვის თითქმის სამი თვის თავზე სპარსეთის ყურის სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭოს ძალები, რომელთაც სათავეში საუდის არაბეთი უდგას, შევიდნენ ჯუჯა სახელმწიფო ბაჰრეინში, ირანის მიერ ამ კუნძულოვან ქვეყანაში დაწყებული არეულობის სათავისოდ გამოყენებისთვის ხელის შესაშლელად. არეულობა რეგიონში გრძელდება, ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში, ფაქტობრივად, ყოველდღე რაღაც ახალი მოვლენა ხდება. იაპონიაში 11 მარტის საშინელმა მიწისძვრამ შეარყია მსოფლიოში მესამე ეკონომიკა და ჩერნობილის 1986 წლის 26 აპრილის კატასტროფის შემდეგ მსოფლიოში ყველაზე სერიოზული ბირთვული მოვლენის მიზეზი გახდა.

**გლობალური შიშისა და დაზაფრვის ამ ფონზე რუსეთი წარმოჩნდა როგორც ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცა, შეაჯამოს შედეგები შედარებით კომფორტულ პირობებში. რუსეთში არ არსებობს მიზეზები, რომელთაც შეუძლია რევოლუციური აქტივობა გამოიწვიოს ახლოაღმოსავლურ სტილში.**

მისი ხელმძღვანელობა ნამდვილად პოპულარულია სამშობლოში და სახალხო აჯანყების საწინააღმდეგო იმუნიტეტი პრაქტიკულად გარანტირებული აქვს, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ დრომდე. რუსეთი ახლო აღმოსავლეთის არც ერთ ომში არ არის ჩათრეული, განსხვავებით აშშ-ისგან, რომელიც ორ ომში მონაწილეობს და ყოველანაირად ცდილობს, თავი აარიდოს მესამეს — ლიბიაში. რუსეთს არ ემუქრება ლტოლვილთა ტალღა ჩრდილოეთ აფრიკიდან და მიგრანტების მოდინება თავის საზღვრებთან, რითაც ევროპაა დაზაფრული. **იაპონიის ბირთვული ინციდენტი, როგორც ჩანს, ნეგატიურად არ იმოქმედებს რუსეთზე, რადგან გაბატონებულ ქარებს რადიაცია წყნარ ოკეანეში მიაქვს, და რუსული შორეული აღმოსავლეთის ქალაქ ვლადივოსტოკს არავითარ საშიშროებას არ უქმნის.**

რუსეთი შეიძლება იქცეს ისეთ ქვეყნად, რომელიც 2011 წლის უბედურებების შედეგად მოგებული დარჩება. ჯერ ერთი, ახლო აღმოსავლეთის საერთო არასტაბილურობამ ნავთობი 18,5 პროცენტით გააძვირა. რუსეთი, მსოფლიოში ნავთობის ექსპორტიორი მეორე ქვეყანა, რომელიც შეზღუდული არ არის ოპეკის კვოტებით, სერიოზულ მოგებას მიიღებს ამ გაძვირებიდან, რაც სასურველ დამატებით ღონისძიებად მოევლინება 2009 წლის სერიოზული ეკონომიკური რეცესიის დაძლევის გზაზე. მეორე. ლიბიის არეულობამ, პრაქტიკულად, მოკვეთა 11 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის მილსადენ Greenstream-ით იტალიისთვის მიწოდება და აიძულა ევროპაში გაზის მოხმარების ოდენობით მესამე ქვეყანა, დანაკარგის კომპენსირების მიზნით, რუსეთისკენ აელო გეზი. ანალოგიურად, **იაპონიის ატომურ სადგურებზე რთულმა სიტუაციამ აიძულა ტოკიო, ეთხოვა რუსეთისთვის, დამატებით სასწრაფოდ მიეწოდებინა თხევადი გაზი ამ საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურებისათვის, საჭიროებისამებრ.**

მაგრამ, მომხდარი მოვლენებიდან გამომდინარე, ყველაზე უფრო მომგებიანი შედეგი რუსეთისთვის შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური ეფექტი, რომელიც ფუკუშიმა დაიტის ატომურ ელექტროსადგურზე შექმნილმა სიტუაციამ დასავლეთ ევროპაზე მოახდინა. გერმანიის მთავრობამ გასული კვირის სამშაბათს გამოაცხადა, რომ სამი თვით ხურავს შვიდ ბირთვულ რეაქტორს და გადახედავს გერმანიის ატომური ენერგეტიკის პერსპექტივას. გარანტირებულად ჩაიშალა იტალიის მთავრობის მცდელობა, განეახლებინა ატომური რეაქტორების გაყინული მშენებლობა. ატომური ენერგეტიკის კრიტიკამ მთელი კონტინენტი მოიცვა. ამ ფონზე ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრებმა გადაწყვიტეს, ჩაატარონ ბირთვული რეაქტორების სერიული შემოწმება სტრესტესტებით.

**ევროპის ჰიდროენერგეტიკული შესაძლებლობანი სრული სიმძლავრით არის გამოყენებული, ხოლო ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურები განიხილება, როგორც ევროპულ ტრენდთან შეუთავსებელი ტექნოლოგიები, რომლებიც მიმართულია სათბურის გაზების მოცულობის შესამცირებლად. იმ პირობებში, როცა კონტინენტი შეშფოთებულია ატომურ ენერგეტიკასთან დაკავშირებული რისკებით, ენერგიის დანაკლისს, ალბათ, შეავსებს ბუნებრივი გაზი, ყოველ შემთხვევაში, იმ დრომდე, სანამ განახლებადი ბუნებრივი ენერგოწყაროები ენერგობალანსის მნიშვნელოვან ნაწილს შეავსებს.**

**როგორც ბუნებრივი გაზის მსოფლიოში წამყვანი ექსპორტიორი და პლანეტაზე გაზის უმდიდრესი საბადოების პატრონი — რუსეთი აშკარად მოგებული დარჩება: რაც ამჟამად მსოფლიოში უარყოფითი რამ ხდება, კრემლისთვის სასიამოვნო მოვლენებად ტრანსფორმირდება.** ბუნებრივი გაზის ექსპორტი რუსეთისთვის უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ დამატებითი მოგება, რადგან დაკავშირებულია პოლიტიკურ გავლენასთან და კონტროლთან. **რაც უფრო მეტად იქნება ევროპა რუსეთზე დამოკიდებული ენერგეტიკის დარგში, მით უფრო სრულად გამოიყენებს ამ სიტუაციას კრემლი რეგიონის აშშ-ისგან იძულებით ჩამოსაცილებლად, იმ ალიანსის დასარღვევად, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა.** ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის არეულობანი კვლავ და კვლავ შეახსენებს ევროპას, რამდენად არასტაბილურია ეს რეგიონი როგორც პოლიტიკური პარტნიორი და არასანდო, როგორც ენერგოტრანსპორტიორი.

მოსკოვს ისიც აინტერესებს, თუ როგორ შეუძლია მსოფლიოს მოდებულმა კრიზისმა ენერგეტიკულ მოგებასთან ერთად პოლიტიკური წარმატებაც მოუტანოს. ჯერ ერთი, **იაპონიის ტრაგედიამ მოსკოვსა და ტოკიოს შეუქმნა იშვიათი შესაძლებლობა თანამშრომლობისთვის, რომელიც აქამდე კუნძულების საკითხით იყო დამუხრუჭებული. რუსეთი ცდილობს, დაარწმუნოს იაპონია, რომ იგი არცთუ ცუდი მეზობელია და ამიტომ მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული დახმარება გაუწია იაპონიას.**

კრიზისმა, შესაძლოა, რუსეთს მისცეს ის, რაც მას ფრიად ღირებულად მიაჩნია, — დრო. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რამაც რუსეთი ამ ათწლეულში ასე გააძლიერა, არის ის, რომ მისი კონკურენტი ამერიკა სხვა რამეზე იყო კონცენტრირებული. მოსკოვი უკანასკნელ წელიწადს ძალიან ნერვიული გახდა, რადგან დაინახა, რომ ვაშინგტონი სულ უფრო ნაკლებად ერევა ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის საქმეებში. კრემლში ამჟამად გაცხარებული კამათია იმაზე, აიძულებს თუ არა ახლო აღმოსავლეთის მოვლენები ვაშინგტონს, ყურადღება გადაიტანოს ამ რეგიონზე უფრო ხანგრძლივად, ვიდრე დაგეგმილი ჰქონდა, ანუ მისცემს თუ არა რუსეთს უფრო მეტ დროს ევროპაში პრაქტიკულად დომინირებული მდგომარეობის გასამყარებლად.

**კრემლი კმაყოფილი უნდა იყოს 2011 წლის პირველი სამი თვით, იმით, რაც ამ პერიოდმა სტრატეგიული ინტერესების კუთხით მოუტანა.**

**Russia Rises Amid Geopolitical Events**

„ნაციონალიზმის არანაირ გამოვლინებას ჩემს ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონია და ვერც ექნებოდა. პირადად ჩემ მიმართ, გამსახურდიას დროსაც კი, არანაირი მიკერძოებულობა არ მიგრძვნია. საქართველოში მუდამ თავისიანად მთვლიდნენ და, ყოველგვარი ცრუ მოკრძალების გარეშე ვიტყვი, პატივსაც მცემდნენ... კავშირი მქონდა რუსეთის სამეცნიერო ცენტრებთან, ვმონაწილეობდი მოსკოვის, ლენინგრადის, ოდესის, კიევის, მინსკის კონფერენციებში. სამწუხაროდ, ეს კავშირები დღეს გაწყდა...“

საქინფორმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ნატალია ორლოვსკაია:

# კარგი იქნებოდა რუსეთთან ძველი, მათ შორის — სამეცნიერო კავშირების, აღდგენა!

## ვფიქრობ, ოდესმე ეს რეალობად იქცევა...

**აქ ბინის ყოფილი პატრონების ინდივიდუალური და განუმეორებელი სულია შემონახული. უნიკალური აურა და სიმყუდროვე, კომფორტის შეგრძნება და დღეს ასე იშვიათი სიმშვიდე... თბილისის ძველ რაიონში, „იტალიურ ეზოში“ მდებარე ბინა არცთუ მცირე ხნისაა. მისი ამჟამინდელი მფლობელი სათუთად ინახავს ოჯახურ რელიკვიებს — ყველა კარადა, კომოდი, მაგიდა და სანათური ბინას თითქოს შორეული წარსულის ხმებით ავსებს. კითხვაზე — ამდენი წლის განმავლობაში ნუთუ არ გაგჩენიათ სურვილი, რაიმე შეგეცვალათ ინტერიერში? — პროფესორი ნატალია ორლოვსკაია უყოყმანოდ პასუხობს: არასოდეს! შემდეგ კი ფიქრიანად აღიარებს: „ერთადერთი, რაც გავბედე, დიდი ბაბუის – კონსტანტინე ორლოვსკის მასიური საწერი მაგიდისთვის ადგილის შეცვლა იყო... მამაჩემის დროს ის სხვა ოთახში იდგა. მხოლოდ ეს შევძელი. რა გაეწყობა, მიყვარს ძველი დრო“.**



ნატალია კონსტანტინეს ასული ორლოვსკაია ასაკს არ მალავს, არც სჭირდება. 90 წლის ასაკში იგი უწინდებურად მხნედ გამოიყურება და აქტიურად (!) მუშაობას განაგრძობს. მესამე მონოგრაფიას წერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლის (1945 წლიდან!). ქალბატონი ორლოვსკაია მარტო ცხოვრობს, თუმცა, განა „იტალიურ ეზოში“ იზოლირება შესაძლებელია?! იგრძნობა, როგორ უყვართ და აფასებენ აქ ჩვენს გმირს.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას მასთან დროდადრო მეზობლები შემოდიან, დაუკაკუნებლად, უბრალოდ! შემორბიან პატარებიც – საყვარელ მეზობელს – დეიდა ნატაშას რომ აკოცონ და ანგარიში ჩააბარონ. „ჩემი მოსწავლეები არიან. მარტო რუსულ ენას კი არა, ბევრ სხვა რამესაც ვასწავლი!“ – იღიმის ნატალია კონსტანტინეს ასული.

სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე მდებარე ბინას, მისი დიასახლისივით, „ასაკი“ არ ეტყობა – ნათელი, მოვლილი, სუფთა და თბილია: თურმე, როცა მეზობლებს თავიანთ ბინებში ცენტრალური გათბობა გაჰყავდათ, არც ორლოვსკაია დავიწყებიათ. მადლობა ღმერთს, თბილისის სულისკვეთება ისევ შენარჩუნებულია!

**– ნატალია კონსტანტინოვნა, თქვენთან სტუმრობისას ხვდები, რომ გენეალოგია უნდა გამოიკითხო.**

– ჩემში იმდენად ბევრი სისხლია აღრეული – რუსული, ქართული, სომხური... მამის მხრიდან ჩემთვის ცნობილი პირველი წინაპარი ჩეხი იყო – ივანე ანტონის ძე პრიბილი. რუსეთში სამხედრო ექიმად მსახურობდა, შემდეგ კი, პირველ პოლკთან ერთად, საქართველოში მოავლინეს. თბილისში 1808 წელს ჩამოვიდა და საბოლოოდ აქ დარჩა – თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის ერთ-ერთ დამაარსებლადაც იქცა. პრიბილი „ქართული მედიცინის ისტორიის“ წიგნშიცაა შესული. ივანე ანტონის ძე ფართო პროფილის ექიმი იყო, ისევე, როგორც ბევრი სხვა იმ წლებში. აქ მან ცოლად ქართველი კარაევა შეირთო, რომელიც წარმოშობით ცნობილი ქართველი ექიმების ოჯახიდან იყო. მათი უფროსი ქალიშვილი კი პოლონელ კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვზე დაქორწინდა. ჩემი დიდი ბაბუაც აქ სამუშაოდ ჩამოვიდა პოლონეთიდან. ეტყობა, კარგად მუშაობდა, რადგან თბილისის გუბერნატორობამდეც მიაღწია. 1876 წელს დიდი ოჯახის გარემოცვაში გარდაიცვალა. მისი ვაჟი, ვალერიან კონსტანტინეს ძე, სანკტ-პეტერბურგის ერთობ პრესტიჟულ უმაღლეს იურიდიულ სასწავლო დაწესებულებაში – სამართალმცოდნეობის სასწავლებელში სწავლობდა. შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და აქ სიცოცხლის ბოლომდე სპეციალობით იმუშავა. ბოლო წლებში მთელ კავკასიაში უმაღლესი სასამართლო ორგანოს – სასამართლო პალატის წევრადაც აირჩიეს. ვალერიან კონსტანტინეს ძე ღირსეულ ოჯახიშვილზე, ანა მიხეილის ასულ ალიხანოვაზე დაქორწინდა. საგულისხმო ფაქტია – ალიხანოვას ძმა თბილისის მუსიკალური სასწავლებლის, შემდეგომში კი სახელმწიფო კონსერვატორიის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. ანა მიხეილის ასულისა და ვალერიან კონსტანტინეს ძის ვაჟი – მამაჩემი – კონსტანტინე – პეტერბურგში სწავლობდა, სარკინიგზო მიმოსვლის ინსტიტუტი დაამთავრა და მთელი ცხოვრება თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სამმართველოში ინჟინრად მუშაობდა.

**– დედათქვენი რუსი იყო?**

– დედაჩემი, ტატიანა კონსტანტინეს ასული ნადეჟინა – ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა... დიახ, რუსია, მისი ოჯახი ძალიან დიდი ხნის წინათ დასახლდა კავკასიაში. მამამისი, ბაბუაჩემი კონსტანტინე ვასილის ძე, წარმოშობით იაროსლავის გუბერნიიდან იყო. მოსკოვში სწავლობდა, სამხედრო სასწავლებელში. ახალგაზრდა ოფიცერი თურქეთის 1877-1878 წლების ომში გაამწესეს. ფრონტზე დაჭრილი თბილისში მკურნალობდა და საბოლოოდ აქ დარჩა. როგორც ხედავთ, თბილისის დატოვება ვერც ერთმა ჩემმა წინაპარმა ვერ შეძლო! შემდგომში ბაბუა ყარსის ოლქში მსახურობდა, რომელიც ომის დასასრულს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. გენერლის ჩინს მიაღწია. 1914 წლის ომში კავკასიის ფრონტზე იბრძოდა. მისი მეუღლის – ანა ალექსანდროვას ოჯახი კი უფრო ადრე დამკვიდრდა კავკასიაში. ბებიამისი – ქალბატონი პოდტიაგინა, წარმოშობით მოსკოვიდან გახლდათ. 1812 წელს, როცა ნაპოლეონის არმია მოსკოვში შედიოდა, სხვა მოსკოველების მსგავსად, მან თავის ნათესავებთან ერთად დედაქალაქი დატოვა... ოჯახში ღიმილით იხსენებდნენ, რომ ფრანგი მონარქის გამო უმზითვოდ დარჩა. საქმე ისაა, რომ ნაჩქარევად გაქცევისას მზითვიანი ზანდუკი სადღაც სარდაფში დამარხეს! შემდეგ, გარკვეულ ხანს, ვორონეჟში ცხოვრობდნენ. მოსკოვში დაბრუნების საშუალება არ ჰქონდათ, რადგან მათი სახლი ცნობილი ხანძრის დროს დაიწვა. ვორონეჟში ანა ალექსანდროვას ბებია გათხოვდა და მეუღლესთან – ბუინოვთან ერთად თბილისში სამუშაოდ ჩამოვიდა. ჩამოვიდნენ და დარჩნენ... მათი ქალიშვილი ნატალია თევდორეს ასული აქ ოფიცერ ტრონოვზე დაქორწინდა. ტრონოვების ქალიშვილი გახლავთ სწორედ ბებიაჩემი დედის მხრიდან, რომელიც შემდგომში ნადეჟინს გაჰყვა ცოლად.

**– ერთადერთი ქალიშვილი ხართ?**

– ძმა მყავდა, მაგრამ ჯერ კიდევ ჩვილი გარდაიცვალა. დიდი სიყვარულით გარემოცული ვიზრდებოდი, მანებივრებდნენ და თავს მევლებოდნენ! სამი წლიდან ვცხოვრობ ამ ბინაში, რომლის კედლებმაც ჩემი დედ-მამის ხმა შემოინახეს. ეს სახლი მთელი ჩემი ცხოვრებაა.

**– ჩინებული განათლება მიგიღიათ!**

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დავამთავრე. ასპირანტურაშიც იქვე ვსწავლობდი. 1946 წელს საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი უილიამ თეკერეის შემოქმედებაზე. საკანდიდატო დისერტაცია აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ხელმძღვანელობით მოვამზადე. დიდი მეცნიერი ჩემს უფროს მეგობრად იქცა, ისევე, როგორც მთელი მისი ოჯახი. მოგვიანებით შალვას ქალიშვილმა თამარმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფაკულტეტი დაამთავრა და მამამისის თხოვნით, სწორედ მე გახლდით თამარ ნუცუბიძის ხელმძღვანელი. დღემდე მჭიდრო კავშირს ვინარჩუნებთ. სადოქტორო უკვე 1966 წელს დავიცავი თემაზე: „საქართველო XVII-XVIII საუკუნეების დასავლური ლიტერატურის ისტორიაში“. სხვათა შორის, დისერტაცია ერთი წლით ადრე წიგნად გამოიცა. მისი პირველი ნაწილი საქართველოს შესახებ მასალებს ეძღვნება, რომლებიც ევროპული ქვეყნების ლიტერატურაში მოვიძიე; მეორე ნახევარი კი ეხებოდა საკითხს, თუ რა ცნობები მოიპოვებოდა XVII-XVIII საუკუნეების ევროპაში ქართული ენის შესახებ.

**– გვიცნობდნენ?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, არცთუ ურიგოდ! მაგალითად, XVII საუკუნეში იტალიაში გამოიცა ქართული ანბანი, ლექსიკონი და გრამატიკა. ეს ნაშრომები კარგადაა ცნობილი. ჩემს წიგნში განხილულია იმ დროის მეცნიერთა დღემდე უცნობი მასალები, ასევე, კათოლიკე მისიონერთა ნაშრომები, რომლებმაც საქართველოში ყოფნისას ქართული ენის შესასწავლად დამხმარე სახელმძღვანელო შეადგინეს. სულ 200 სამეცნიერო ნაშრომი მაქვს დაწერილი და გამოქვეყნებული. ჩემი მეორე მონოგრაფია 1986 წელს გამოიცა, სახელწოდებით „დასავლეთთან საქართველოს ლიტერატურული კავშირების საკითხები“. ახლა ახალი მონოგრაფიისთვის მასალებს ვაწესრიგებ, ისიც ლიტერატურული ურთიერთკავშირების საკითხებს ეხება. როგორც უკვე მოგახსენეთ, 1945 წლიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვასწავლი! რასაკვირველია, შტატში აღარ ვარ, საკონტრაქტო საფუძველზე ვმუშაობ. XVIII-XIX საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ისტორიას ვკითხულობ ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. ადრე რუსულ სექტორში საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კურსს ვასწავლიდი. ახლა ეს საგანი „რატომღაც“ პროგრამიდან ამოიღეს... მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ვარ, წოდება ჯერ კიდევ საბჭოთა ხანაში მივიღე, ბოლო წლებში კი ღირსების ორდენით დამაჯილდოეს.

**– თქვენს ბინაში საპატიო ადგილი უკავია პიანინოს. უკრავთ თუ ეს წარსული მოდისთვის ხარკის გადახდაა?**

– მეცნიერების შემდეგ ჩემი მეორე სიყვარული მუსიკაა. კონსერვატორია დავამთავრე, ფორტეპიანოს კლასი. დღემდე თითქმის ყოველდღე ვუკრავ, განწყობილების მიხედვით.

**– ალბათ, გასული დროის ბევრ საინტერესო პიროვნებასთან ურთიერთობდით...**

– ყოველთვის საკმაოდ კარჩაკეტილად ვცხოვრობდი, ბევრს ვმუშაობდი, დედას ვუვლიდი, რომელიც ხანგრძლივად ავადმყოფობდა. საზოგადო მოღვაწეს ვერ მიწოდებ. მთელი ჩემი ცხოვრება მშვენიერი ურთიერთობები მქონდა კოლეგებთან, მეზობლებთან, გარშემო მყოფ ხალხთან. ჩემი მეგობრების წრე მუდამ მრავალეროვნული იყო — რუსები, ქართველები, სომხები... ერთი ჩემი უახლოესი მეგობარი ელენე პავლეს ასული მეტრეველი გახლდათ. ერთ აივანზე გავიზარდეთ. ელენე ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტი, აკადემიკოსი იყო. დიდხანს ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. სამწუხაროდ, დღეს ჩემ გვერდით აღარ არის...

ნაციონალიზმის არანაირ გამოვლინებას ჩემს ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონია და ვერც ექნებოდა. პირადად ჩემ მიმართ, გამსახურდიას დროსაც კი, არანაირი მიკერძოებულობა არ მიგრძვნია. საქართველოში მუდამ თავისიანად მთვლიდნენ და, ყოველგვარი ცრუ მოკრძალების გარეშე ვიტყვი, პატივსაც მცემდნენ... კავშირი მქონდა რუსეთის სამეცნიერო ცენტრებთან, ვმონაწილეობდი მოსკოვის, ლენინგრადის, ოდესის, კიევის, მინსკის კონფერენციებში. სამწუხაროდ, ეს კავშირები დღეს გაწყდა... ასე რომ, ამჟამად სამეცნიერო კავშირები, ძირითადად, ქუთაისის უნივერსიტეტთან მაქვს.

რასაკვირველია, ძალიან მინდა რუსეთთან უწინდელი, მათ შორის, სამეცნიერო კავშირების აღდგენა! ვფიქრობ, ოდესმე ეს რეალობად იქცევა...

ესაუბრა
**დიანა შერეშაშვილი**

## გამოხმაურებანი

**დათო მაღრაძე,**
**პოეტი:**



ამ ხალხთან ურთიერთობის სურვილი როგორ მექნება, როდესაც აგვისტოს ომის დროს მიწა-წყალი დაკარგეს, მაგრამ ომი „მოიგეს“? ესენი გორსაც თუ დაკარგავენ, მცხეთას ნიკოფსიას დაარქმევენ, თბილისს — დარუბანდს და გამოაცხადებენ, ხედავთ, საქართველო ისევ ნიკოფსიიდან დარუბანდამდეა გადაჭიმულიო. „ნაციონალურ მოძრაობას“ უნდა, მისი ყველა ნაბიჯი ისტორიული იყოს, მაგრამ ისტერიული გამოსდის.

*„კვირის პალიტრა“*

**შალვა ნათელაშვილი,**
**„ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარე:**



ის „ვარდების რევოლუციის“ საეიფორიო განწყობა, რომელიც ამერიკის გარკვეულ ისტებლიშმენტს თან ახლდა, მთლიანად გავლილია. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, მის ხალხსა და პოლიტიკურ ელიტას, სააკაშვილის არსებობა აბსოლუტურად არ აღელვებს.

*„კვირის ქრონიკა“*

**თამაზ წივწივაძე,**
**მწერალი:**



მიხეილ სააკაშვილი მე დღეს მაგონებს ჭადრაკის დაფიდან აღებულ მკვდარ ფიგურას, რომელიც ახლა მუყაოს ყუთში ისე უფუნქციოდ აგდია, როგორც რიყის ქვებშუა ჩამოვარდნილი დიდკენჭგადაყლაპული მომაკვდავი წერო!..

*„კვირის ქრონიკა“*

**ლუიზა შაკიაშვილი,**
**უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრი:**



ხალხი თუ იმდენს შეძლებს, რომ თვითონ გამოვიდეს, შენ რაში მჭირდები? ეს პარტიები რისთვის არიან, თუ ქვეყანაში ვერაფერს შეცვლიან? ვის რაში სჭირდება ეს ერთკაციანი პარტიები, საკუთარი ოჯახის წევრების მეტმა რომ არავინ იცის? ე.წ. ოპოზიციურ ლიდერებს ლიდერობა არ უნდათ, პასუხისმგებლობის აღება არ უნდათ, მაშინ სახლში წავიდნენ.

*„ქართული სიტყვა“*

**ზაზა ხატიაშვილი,**
**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი:**



მსოფლიოს ისტორია არ იცნობს ადვოკატის დაკავების შეთხვევას იმის გამო, რომ ადვოკატი კლიენტს სათანადოდ ვერ დაეხმარა ან პროცესი წააგო. ასეთი ფაქტები მხოლოდ „დემოკრატიის შუქურის“ მმართველობის პირობებში ხდება.

*„ასავალ-დასავალი“*

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**რიჩარდ უეიკფორდი,**
**რადიაციული ეპიდემიოლოგიის ექსპერტი:**
**„მთავარი, რაც ხელისუფლების შეშფოთებას იწვევს და რის გამოც ატომური ელექტროსადგურის ზონიდან ხალხი გახიზნეს, ეს, სერიოზული გამოფრქვევის შემთხვევაში, იოდის რადიაქტიური იზოტოპების გაჩენაა. ჩერნობილის გამოცდილებით ვიცით, რომ ყველანაირი გზით უნდა ვეცადოთ, თავიდან ავიცილოთ რადიაქტიური იოდის მოხვედრა ბავშვების ფარისებრ ჯირკვლებში“.**



# ჩერნობილის კატასტროფის გაკვეთილები იაპონიისთვის

**იაპონიის ატომურ ელექტროსადგურ ფუკუსიმაზე შექმნილი საშინელი კრიზისი თავისთავად წარმოქმნის 1986 წლის ჩერნობილის ბირთვულ კატასტროფასთან მისი შედარების აუცილებლობას. მაშინ ატომურ ელექტროსადგურზე მუშები მომენტალურად დაიხოცნენ, ადგილობრივ მოსახლეობას ათასგვარი სიმსივნე დაემართა, რადიაქტიური ფონი კი იმდენად ფართოდ გავრცელდა, რომ ბრიტანეთის ზოგიერთ ფერმაში საქონელთან დაკავშირებით ამ დრომდეც მოქმედებს შემზღუდავი ნორმები. ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე შექმნილ მდგომარეობას ფრანგული ატომური სააგენტო მეექვსე დონის სირთულის ავარიებს განაკუთვნებს (ეს ორი დონით აღემატება იმას, რაც 1979 წელს ტრიმაილ-აილენდზე მოხდა) და სიტუაცია ნამდვილად ძალზე სერიოზულია. ის პირდაპირ საფრთხეს უქმნის მათ, ვინც დაზიანებულ რეაქტორებსა და საწვავის საცავებზე კონტროლის აღსადგენად იბრძვის.**



რა სახის გაფრთხილებებიც არ უნდა მისცენ უცხოეთის ქვეყნებმა იაპონიაში მყოფ თავიანთ მოქალაქეებს, ფოკუსიმას ავარიასა და უკრაინაში მომხდარ კატასტროფას შორის არსებითი სხვაობაა, თუნდაც აშშ-ის ბირთვული დარეგულირების კომისია ფუკუსიმას ატომურ სადგურზე გამომუშავებული საწვავის შესანახ რეზერვუარებში წყლის სრულ აორთქლებაზე საუბრობდეს.

**ჩერნობილში რეაქტორი სიმძლავრის მომატების შედეგად აფეთქდა. აფეთქებამ ატომური ელექტროსადგურის სახურავი გაარღვია, გავარვარებული საწვავი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაყოფის გაცილებით უფრო რადიაქტიული ნივთიერებები აფეთქების ძალით ატმოსფეროში აიტყორცნა, ამის შემდეგ კი რადიაციული ღრუბელი ქვეყნის საზღვრებს გასცდა.**

აქტიური გრაფიტის ზონაში დაწყებული ხანძარი ატმოსფეროში რადიაციული ნივთიერებების დამატებით გამოფრქვევასა და მათ შემდგომ გავრცელებას განაპირობებდა. რეაქტორს არ ჰქონდა დამცავი გარსი, რომ მას თუნდაც შეენელებინა ატომური ელექტროსადგურიდან რადიაციის ატმოსფეროში გაჟონვა.

**ფუკუსიმაზე მდუღარე წყლის რეაქტორები 40 წლისაა. მათ კონსტრუქციაში სერიოზული ხარვეზებია, მაგრამ ისინი ხუთი დღის წინათ გათიშეს, ამიტომ ახალი რადიაქტიული ნივთიერებები მათში ცოტაა.** ყველა აქტიური ზონა ჩასმულია 20-სანტიმეტრიანი სისქის ფოლადის გარსში, რომელსაც, თავის მხრივ, რკინაბეტონის, ფოლადით გამყარებული გარეთა დამცავი კონსტრუქცია აკრავს. აქტიური ზონის დარღვევის შემთხვევაშიც კი, ეს ზომები, სულ მცირე, რადიაქტიური ნივთიერებების გაჟონვას შეზღუდავს.

ატომურ ელექტროსადგურზე მომუშავე ინჟინრები ცვლებში მუშაობენ და ხშირად იცვლებიან, რათა ნაკლებად მიიღონ დასხივება. რადიაციულობის პიკური მაჩვენებლის დაფიქსირებისას რეაქტორიდან ორთქლის გამოტყორცნისას ერთმა მუშამ მიიღო 106 მილიზივერტის ოდენობის დასხივება. ამის შესახებ იაპონიის ბირთვული და საწარმოო უსაფრთხოების სააგენტო იტყობინებოდა.

როგორც მანჩესტერის უნივერსიტეტთან არსებული დალტონის სახელობის რადიაციული ეპიდემიოლოგიის ექსპერტი რიჩარდ უეიკფორდი აცხადებს, ეს მაღალი დოზაა, მაგრამ ის ამ ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე მისი სიმსივნით დაავადების ერთ პროცენტზე ნაკლებ რისკს შეესაბამება.

მაგრამ როგორაა საქმე იმ ადამიანებთან დაკავშირებით, რომლებიც სადგურის საზღვრებს მიღმა ცხოვრობენ? **მანძილის ზრდასთან ერთად რადიაციული ნარჩენების გავრცელებისა და ზემოქმედების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება. მთავრობამ ატომური ელექტროსადგურის ირგვლივ მდებარე 20-კილომეტრიან ზონაზე აკრძალვა უკვე დააწესა. ამ ზონის მიმდებარე რაიონებში დაწესდა აკრძალვები საკვებ პროდუქტებზე და მოსახლეობას იოდიზირებული კალიუმის აბები დაურიგდა.** ამ აბებს მხოლოდ ატომური ელექტროსადგურიდან მნიშვნელოვანი გაჟონვისა და რადიაციული ნივთიერებების მოსახლეობამდე დიდი რაოდენობით მიღწევის შემთხვევაში იყენებენ.

**მოსახლეობისთვის ყველაზე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ცეზიუმ-137-ისა და იოდ-131-ის რადიაქტიური იზოტოპები**

მანძილის ზრდის პარალელურად რადიაციის დონე ეცემა, რადგან მისი ნაწილაკები იფანტება, მათი რადიაქტიულობა კი შემცირებას განაგრძობს.

ტოკიოს ტერიტორიაზე რადიაციის დონემ უკვე გადააჭარბა ჩვეულებრივი ფონის დონეს, აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალები კი ზღვის ზედაპირზე ჰაერში რადიაციულობის მომატების შესახებ იტყობინებიან. მიუხედავად ამისა, ეს დონე ბევრად უფრო ნაკლებია იმაზე, რაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხეს შექმნიდა. **საფრთხე იქმნება მხოლოდ მასშტაბური და ხანგრძლივი რადიაციული გაჟონვის შემთხვევაში.**

არსებობს კატასტროფის მთელი რიგი სცენარები, რომლებიც ხელისუფლებამ ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვოს, რადგანაც ისინი რადიაციის სერიოზულ გაჟონვას ითვალისწინებს. **ყველაზე თვალნათელი შემთხვევაა, როდესაც ერთი ან რამდენიმე რეაქტორის დნობისგან მათი დაშლა იწყება. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ საწვავის ღეროები აქტიურ ზონებში არასაკმარისად გაგრილდება, რაც თავად ამ ღეროებისა და მათი გარსების დნობას განაპირობებს.**

ეს გამდნარი მასალა წარმოქმნის მასას, რომლის გაგრილება გაცილებით უფრო რთული იქნება, ვიდრე თავად ღეროების. მასა შეიძლება სულ უფრო მეტად გახურდეს და საბოლოოდ რეაქტორის გარსი დაწვას. **თუ ამის გამო მოხდება აფეთქება და მეორადი გარსი დაირღვევა, რადიაციული ნივთიერებები პირდაპირ ატმოსფეროში გამოიფრქვევა.**

დალტონის ინსტიტუტის დირექტორის — ენდრიუ შერის თქმით, **უახლესი ენერგეტიკული ბირთვული რეაქტორები, რომლებიც ბრიტანეთში შენდება, შეიცავს აქტიური ზონის რადიაქტიური ნივთიერებების ჩაშენებულ ხაფანგს, რომელიც გამდნარი მასალის არხს წარმოადგენს.** არხი პირდაპირ მიწისქვეშა რეზერვუარში ჩაედინება.

არის კიდევ ერთი აპოკალიფსური სცენარი, რომლის თავიდან ასაცილებლადაც მუშაობენ ახლა ფუკუსიმას ინჟინრები. ამ სცენარის მიხედვით, საწვავის შესანახი წყლის უზარმაზარი რეზერვუარებიდან ერთში ან რამდენიმეში წყალი, შესაძლოა, მთლიანად აორთქლდეს და გააშიშვლოს ღეროები, რომლებიც ჰაერთან შეხების შემთხვევაში აალდება. ეს ღეროები უკიდურესად რადიაქტიურია იმ დაშლის პროდუქტების წყალობით, რომლებიც ზემოხსენებულ შემთხვევაში პირდაპირ ატმოსფეროში მოხვდება.

თუ მოვლენები რომელიმე ამ სცენარის მიხედვით განვითარდება, რადიაქტიური ნივთიერებების ახალი გამოფრქვევები გარდაუვალია. **ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ბირთვული დაშლის რეაქციის სწრაფად დაყოფადი პროდუქტები, რომლებიც გამა-გამოსხივების სახით გამოიყოფა.**

დაყოფა იმდენად სწრაფად მიმდინარეობს, რომ დიდ დაშორებაზე ეს გამოსხივება არსებით პრობლემას არ წარმოადგენს.

ნებისმიერი აფეთქების შედეგად ჰაერში შეიძლება მოხვდეს საწვავი ურანი და პლუტონი. ეს ნივთიერებები ნაწილაკების სახით ინახება და საწარმოდან ახლოს ილექება. ისინი გარემოს სერიოზულ რადიაციულ მოწამვლას განაპირობებს და დიდ მასივებს ანადგურებს. მაგრამ ადამიანისთვის ეს ნივთიერებები საფრთხეს მხოლოდ ჩასუნთქვის ან საჭმლის მომნელებელ სისტემაში მოხვედრის შემთხვევაში წარმოადგენს.

**ეპიცენტრიდან დიდი მანძილით დაშორებული მოსახლეობისთვის ყველაზე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ცეზიუმ-137-ისა და იოდ-131-ის რადიაქტიური იზოტოპები. ეს ნივთიერებები ატმოსფეროში დიდ მანძილებზე გადადის, მაგრამ, ქარით გადატანის შემთხვევაში, სახიფათო კონცენტრაციას ვერ ქმნის.**

საფრთხე ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც იოდისა და ცეზიუმის რადიაქტიური იზოტოპები მიწაზე ხვდება და შემდეგ დაბინძურებულ ბალახს საქონელი ჭამს. რადიაქტიური იოდი ძროხის რძეში კონცენტრირდება, ცეზიუმი კი — კუნთოვან ქსოვილში. ადამიანისთვის საფრთხე იქმნება მაშინ, როდესაც დაბინძურებულ რძეს ან ხორცს მიირთმევს. ორივე შემთხვევაში იმატებს სიმსივნეების გაჩენის ალბათობა. განსაკუთრებით საშიშია ამ მხრივ რადიაქტიური იოდი. იოდის აბები ორგანიზმს იმის ხარჯზე იცავს, რომ ფარისებრი ჯირკვალი სტაბილური იოდით ივსება და მის რადიაქტიურ იზოტოპებს აღარ ითვისებს.

**„მთავარი, რაც ხელისუფლების შეშფოთებას იწვევს და რის გამოც ატომური ელექტროსადგურის ზონიდან ხალხი გახიზნეს, ეს სერიოზული გამოფრქვევის შემთხვევაში იოდის რადიაქტიური იზოტოპების გაჩენაა. ჩერნობილის გამოცდილებით ვიცით, რომ ყველანაირი გზით უნდა ვეცადოთ, თავიდან ავიცილოთ რადიაქტიური იოდის მოხვედრა ბავშვების ფარისებრ ჯირკვლებში“,** — ამბობს უეიკფორდი. ატომური რადიაციის ზემოქმედების შესახებ გაეროს სამეცნიერო კომიტეტის მიერ ახლახან გამოქვეყნებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ მოსახლეობისთვის ერთადერთი არსებითი სამედიცინო შედეგი ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნით დაავადება იყო.

**„ჩერნობილის ავარია ბევრად უფრო სერიოზული იყო, ვიდრე ესაა. მაშინ საბჭოთა მთავრობამ ყველაფერი დამალა, ხალხი დასნებოვნების ზონიდან არ გაიყვანა, ევაკუაციას არასაკმარისად სწრაფად ახორციელებდნენ. ისინი ბავშვებს ძალიან მძიმედ დასხივებული რძის დალევის უფლებას აძლევდნენ, რის გამოც ბევრმა მათგანმა რადიაციის დიდი დოზა მიიღო. დოზა ფარისებრ ჯირკვალში გროვდებოდა და შედეგის სახით ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი დაავადების ათასობით შემთხვევა მივიღეთ“,** — აღნიშნავს უეიკფორდი, — **1957 წელს უელსში, უინდსკეილში, ატომურ ელექტროსადგურზე გაჩენილი ხანძრის შედეგად რადიაქტიური იოდის გაჟონვა მოხდა. მაშინ გაჟონვას თვალ-ყურს ადევნებდნენ და მთელი დასნებოვნებული რძე ლიკვიდირებულ იქნა. ჩერნობილშიც ასე რომ მოქცეულიყვნენ, პრობლემას მნიშვნელოვანწილად აიცილებდნენ თავიდან“.**

*The Guardian*



**იაპონიის მთავრობამ ატომური ელექტროსადგურის ირგვლივ მდებარე 20-კილომეტრიან ზონაზე აკრძალვა უკვე დააწესა. ამ ზონის მიმდებარე რაიონებში დაწესდა აკრძალვები საკვებ პროდუქტებზე და მოსახლეობას იოდიზირებული კალიუმის აბები დაურიგდა**



**CANVAS:**
**FREEDOM HOUSE, IRI და სოროსის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციები დგანან ნარინჯისფერი, ვარდისფერი, ტუნისური, ეგვიპტური და ყველა დანარჩენი პროტესტის უკან. იგივე ორგანიზაციები პროტესტანტებს კიდევ 50 ქვეყანაში ამზადებენ.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# იმპერიული ექსპანსიის სახელმწიფო დეპარტამენტი

**გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მისია ამბობს: „თავისუფლების გავრცობა ამერიკელი ხალხისა და საერთაშორისო საზოგადოების საკეთილდღეოდ უფრო დემოკრატიული, უსაფრთხო და აყვავებული მსოფლიოს მშენებლობისა და გამყარებისთვის ხელშეწყობის გზით შედგება სწორი სახელმწიფო მართვისგან, რომელიც რეაგირებს მოსახლეობის მოთხოვნებზე, ეწინააღმდეგება სიღატაკის გავრცობას და პასუხისმგებლობით მოქმედებს საერთაშორისო სისტემის ჩარჩოებში“. ეს საკმაოდ შორს მიმავალი და მოღალატეობრივი განცხადებაა სახელმწიფო დეპარტამენტის საწყის მიზნებთან შედარებით, რომელთა მიხედვითაც მას უცხოეთის ქვეყნებთან კავშირები და ოფიციალური ურთიერთობები უნდა განევითარებინა. რადიკალურად გადაუხვია რა ნორმებს, რომლებიც ისტორიულად მთელ მსოფლიოში საგარეო საქმეთა სამინისტროების მოვალეობებში შედის, ახლა მას აბსოლუტურად თამამად შეიძლება ეწოდოს „იმპერიული ექსპანსიის დეპარტამენტი“.**



## ახლანდელი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ყოველდღიურად ადასტურებს საკუთარ არალეგიტიმურობას

ახლა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარი და უპირველესი დანიშნულებაა ანგლო-ამერიკული კორპორატიული ჰეგემონიის მსოფლიო ექსპანსია „დემოკრატიისა“ და „ადამიანთა უფლებების“ საფარქვეშ. ახლა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისობა მისსავე საწყის მიზნებთან მოიცავს ისეთი მსოფლიოს აშენებას, რომელიც „საერთაშორისო სისტემის“ ფარგლებში „სწორად მართვადი სახელმწიფოებისგან“ შედგება, ეს კი მოღალატეობრივი მიზანია არა მხოლოდ ამერიკის სუვერენიტეტთან, არამედ ყველა იმ ქვეყნის სუვერენიტეტთან დაკავშირებით, რომლებიც მიზნების შესახებ ამ ამაზრზენი განცხადებითა და ამ მიზნების განხორციელებით შეცდომაში იქნენ შეყვანილი.

**ახლანდელი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტიკანონიერება მშვენივრად უთავსდება კონსტიტუციის გვერდისამვლელ იმპერიას, რომელშიც გამოიზარდნენ ამერიკელი რესპუბლიკელები. ახლანდელი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ყოველდღიურად ადასტურებს საკუთარ არალეგიტიმურობას. ყოველ ჯერზე, როცა კი იგი ამერიკიდან მოშორებით რომელიმე ტრიბუნასთან აღმოჩნდება, ამერიკისგანაც, მისი ხალხისგანაც და ამ ხალხის ბედისგანაც დაცინვის ობიექტს ქმნის.**

ცოტა ხნის წინათ სწორედ ჰილარი კლინტონმა გაახმიანა სახიფათოდ უპასუხისმგებლო „გაფრთხილება“ ვენესუელასა და ბოლივიის მისამართით ირანთან ამ სახელმწიფოების ურთიერთობებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკას აქვს უფლება, იშუამავლოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობებში, მაგრამ იმის მცდელობები, რომ როგორმე გავარკვიოთ, ვინ და რა აძლევს მას უფლებას, სხვა ქვეყნებს რაიმე უკარნახოს, ყოველთვის ჩიხში შედის. **ერთადერთი პასუხი ის თვითმინიჭებული იმპერიული მანდატია, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტმა საკუთარ თავს გამოუწერა.**

ამ მანდატის უფლებამოსილებით „გაფრთხილებები“ იმ კუთხით წარმოჩინდება, რომლიდანაც მშვენივრად ჩანს, რომ გლობალისტები საერთოდაც არ მიიჩნევენ ქვეყნებს სუვერენულად და თვლიან, რომ უკლებლივ ყველა ქვეყანა შესაბამისი წესით უნდა ჩაეწეროს ერთპოლარულ „საერთაშორისო სისტემაში“.

სახელმწიფო დეპარტამენტის მავნე ჩვევა, ცხვირი ჩაყოს იმ საქმეებში, სადაც არაფერი ესაქმება, მხოლოდ აბსურდული განცხადებების გახმოვანების საპასუხისმგებლო მისიის შესრულების მცდელობაში დამაშვრალი მისი მდივნების ტრიბუნებიდან ბოდვით რომ შემოიფარგლებოდეს, ყველაფერი გაცილებით მარტივი იქნებოდა. მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტი თავის აბეზარ რიტორიკას აქტიურად ამყარებს ძალზე რეალური ქმედებებით. **სხვათა საქმეებში ჩარევის უმთავრესი ელემენტი არის ფართო და მუდმივად გაფართოებადი ქსელი, რომელსაც მთელ მსოფლიოში „ფერადი რევოლუციების“ სწავლებისა და მხარდაჭერის ფუნქცია აქვს.** მართალია, კორპორაციების კუთვნილი მასობრივი საინფორმაციო საშუალებები მუდმივად ცდილობენ, რომ აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის მომცველი რევოლუციები ცალსახად სპონტანურ ადგილობრივ პროდუქტად წარმოაჩინონ, მაგრამ რეალობა ისაა, რომ **უკლებლივ ყველა ამ მეამბოხეთაგან გარკვეულწილად წარმოადგენს „მეხუთე განყოფილებას“, რომელიც ამერიკული გავლენის გაფართოებაზე ზრუნავს.**

CANVAS: Freedom House, IRI და სოროსის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციები დგანან ნარინჯისფერი, ვარდისფერი, ტუნისური, ეგვიპტური და ყველა დანარჩენი პროტესტის უკან. იგივე ორგანიზაციები პროტესტანტებს კიდევ 50 ქვეყანაში ამზადებენ.

როგორც არმიაში, ასევე ცსს-შიც, ამ როლის ადრე შემსრულებელმა სახელმწიფო დეპარტამენტის მეხუთე განყოფილებამ დააფუძნა რეკრუტირებისა და კოორდინაციის ცენტრები, რომლებიც ახალგაზრდული მოძრაობის ალიანსებადაა (AYM) ცნობილი. განსაკუთრებული შენიღბვის გარეშე მათი საიტი „Movements.org“ სიამაყით აქვეყნებს თავისი ყოველწლიური სამიტების ჩამონათვალს. ამ სამიტებზე წარმოდგენილია საზარბაზნე ხორცი ვენესუელადან ირანამდე და აქვეა ეგვიპტის 6 აპრილის ახალგაზრდული მოძრაობაც.

**შეხვედრები, მოღვაწეობა და კოორდინაცია „AYM“-ს მჭიდრო კავშირით უზრუნველყოფს. სხვა სავარჯიშო მიმართულებები ითვალისწინებს აშშ-ის მიერ სერბული „CANVAS“-ის შექმნასა და დაფინანსებას. სწორედ ამ ორგანიზაციამ ამეცადინა ფერადი რევოლუციების ლიდერები უკრაინიდან და საქართველოდან დაწყებული ტუნისითა და ეგვიპტით დასრულებული.**

არ უნდა დაგვავიწყდეს ალბერტ აინშტაინის ინსტიტუტიც, რომელიც „CANVAS“-ს სასწავლო კურსებითა და სხვადასხვა ტექნიკით ამარაგებს.

როგორც უკვე ითქვა, ახლა ეს ორგანიზაციები წარსულის გასუფთავებასა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტთან კავშირების დაფარვას ცდილობენ. ცდილობენ კავშირი დაფარონ ფორბსის მონაცემებით 500-მდე ტოპკორპორაციასთანაც, რომლებიც მათ მთელ მსოფლიოში საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებენ. ამიტომ „CANVAS“-ს სახელი გადაარქვეს და გაანადგურეს მისი მომხრეებისა და პარტნიორების სია, „AYM“-ს კი ამდენადაც არ შეუწუხებია თავი და ერთადერთი, რაც გააკეთა, თავისი „პარტნიორობა“ „წარსულში პარტნიორობად“ გადააკეთა.

საინტერესოა ისიც, რომ მთელი ზემოხსენებული კამპანია დემოკრატიის მხარდაჭერის ნაციონალური ფონდის (AYM), საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI), ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და „Freedom House“-ის გავლით ფინანსდება გადასახადების გადამხდელთა ფულით. ჯორჯ სოროსის ღია საზოგადოებრივი ფონდიც სწყალობდა სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც, თავის მხრივ, ადგილებზე რევოლუციურ ბრბოებს უწევენ მხარდაჭერას. **ეგვიპტეში მას შემდეგ, რაც სოროსისა და დემოკრატიის მხარდამჭერი ნაციონალური ფონდების მიერ ფინანსირებადმა სახელმწიფო დეპარტამენტის ახალგაზრდულმა ბრიგადებმა თავიანთი როლი შეასრულეს, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ეგვიპტის ახალი კონსტიტუციის შექმნაზე დაიწყეს მუშაობა.**

უნდა აღინიშნოს, რომ **მაშინ, როდესაც ჯორჯ სოროსი, ისევე, როგორც დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებებისთვის მებრძოლი ორგანიზაციები, თავს „მემარცხენედ“ წარმოაჩენს, ნეოკონების დიდი ნაწილი მეთაურთა რიგებშია და „ფერადი რევოლუციების“ არმიის მთელ პოლიტიკას განსაზღვრავს.**

ამ ყველაფრის გარდა არსებობს კონგრესის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც გახსნილად აფინანსებს სახელმწიფო დეპარტამენტის დამანგრეველ მიზნებს. 2006 წელს ირანში რეჟიმის შეცვლის მხარდასაჭერად მიიღეს ირანის თავისუფლების მხარდასაჭერი კანონი. **სულ ახლახან, 2011 წელს, დაინახეს რა, რომ აშშ-ის მიერ ორგანიზებული „ფერადი რევოლუცია“ ეგვიპტეში ბოლომდე იქნა მიყვანილი, ეროვნული არჩევნების წინ ფული გამოიყო ეგვიპტის „სწორი“ ოპოზიციური დაჯგუფებების მხარდასაჭერად.**

ცალკე თემაა სახელმწიფო დეპარტამენტის პროპაგანდისტული მანქანა. მართალია, დემოკრატიის მხარდამჭერი ნაციონალური ფონდისა და „Freedom House“-ის მსგავსი ორგანიზაციები თავიანთი ოპერაციების მხარდასაჭერად ვრცელ თეზისებს გამოსცემენ, სახელმწიფო დეპარტამენტმა განსაკუთრებული მექანიზმების იურისდიქცია მაუწყებლობის გუბერნატორთა საბჭოს გადასცა. ამ საბჭოში შედის „Voice of America“, „Radio Free Europe“, „Radio Free Asia“, „Alhurra“ და „Radio Sawa“. საინტერესოა, რომ **ახლანდელი სახელმწიფო მდივანი თავად თათბირობს გუბერნატორთა საბჭოში იმ სამარცხვინო 500 კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც, ფორბსის ვერსიით, კორპორაციების კუთვნილ მასმედიის საშუალებებს წარმოადგენენ.**

რადიო „თავისუფალი ევროპის“ უკანასკნელი სათაურების მიხედვით („ლიბერმანი: ბელარუსთან დაკავშირებით დასავლეთის პოლიტიკა სამარცხვინოდ ჩაფლავდა“; „აზერბაიჯანელი ახალგაზრდა აქტივისტები ერთი თვით დააპატიმრეს“), ჯერ კიდევ არის იმედი, რომ ბელარუსსა და აზერბაიჯანში ფერადი რევოლუციების ცეცხლი გაჩაღდება და ნატო რუსეთის ირგვლივ მცოცავ მოღვაწეობას განაგრძობს. ბელარუსი წლევანდელ „Globsec“-ზე განსახილველი ერთ-ერთი თემა იყო, როგორც ევროკავშირისა და ნატოს ერთ-ერთი საფრთხე, რომელიც ნატოზე უარს მოსკოვთან მჭიდრო ურთიერთობების გამო აცხადებს.

**ვენესუელის ირანთან კავშირის გამო კლინტონის გამაფრთხილებელ განცხადებებს თუ დავუბრუნდებით, ალბათ, არავის გაუკვირდება, რომ გლობალისტების პოლიტიკის გამტარებელი მეხუთე განყოფილების უკლებლივ ყველა ორგანიზაცია, კარგა ხანია, უგო ჩავესის ჩამოგდებისთვის იღვწის.**

გასაკვირი არაფერია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის ახალგაზრდულ მოძრაობათა ალიანსი პროვენესუელური ოპოზიციაა და დეტალურად აღწერს „კამპანიებს“ ახალგაზრდობის „განსწავლის“ და მათში პოლიტიკური აქტივობის გაღვივების მხრივ. ჩავესის ხელისუფლებამ აღიარა, რომ სტუდენტების შიმშილობასა და გაფიცვაში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მონაწილეობდა და რომ აშშ დაჟინებით მოითხოვს, ჩავესის სავარაუდო დარღვევების „ინსპექტირება“ ამერიკათშორისმა ადამიანის უფლებათა კომისიამ განახორციელოს. ვენესუელას საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიკოლას მადურომ განაცხადა კიდეც: **„როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებულ შტატებს აქ ვირტუალური ეგვიპტის დაწყება სურთ“.**

## გლობალისტების პოლიტიკის გამტარებელი მეხუთე განყოფილების უკლებლივ ყველა ორგანიზაცია, კარგა ხანია, უგო ჩავესის ჩამოგდებისთვის იღვწის

*mixednews.ru*

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## ცხვირის გასწორების ელექტროხელსაწყო

**იაპონელმა მეცნიერებმა ცხვირის კორექტირების ელექტროხელსაწყო გამოიგონეს და ამიერიდან ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ყოველგვარი პლასტიკური ქირურგიის გარეშე, თავად შეილამაზოს სახის ეს უმნიშვნელოვანესი ნაწილი.** ხელსაწყო 25 გრამს იწონის და ელემენტებზე მუშაობს. ის ყოველდღე ცხვირზე 3 წუთით უნდა გაიკეთოთ და სასურველ შედეგს მალევე მიიღებთ. ეგრეთ წოდებული „ელექტრო ვიბრაციები" ცხვირის ხრტილს ასტიმულირებენ, რის შედეგადაც მისი ფორმა იცვლება. ხელსაწყო სულ რაღაც 144 აშშ დოლარი ღირს.




# მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ქუჩები



## პარიზი, ელისეის მინდვრები

**პარიზი მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმულ ქალაქებს განეკუთვნება, მისი ელისეის მინდვრები კი ამ ქალაქის ყველაზე პოპულარული ბულვარია.** მარია მედიჩის მიერ 1616 წელს აშენებულ ბულვარზეა ქალაქის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსშესანიშნაობა — ტრიუმფალური თაღი. ალბათ, სწორედ ამის გამოა, რომ ელისეის მინდვრებს მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ქუჩების რეიტინგში პირველი ადგილი უჭირავს.



## მადრიდი, გრან ვია

**ეს ესპანეთის დედაქალაქის ყველაზე ცნობილი სავაჭრო ქუჩაა.** მისი მშენებლობა 1904 წლიდან დაიწყო და 1929 წლამდე გრძელდებოდა. სამაგიეროდ, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა.



## ნიუ იორკი, მეხუთე ავენიუ

ამ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სავაჭრო ქუჩის დევიზია „იყიდე, ვიდრე არ დაეცემი". შოპინგის მოყვარულთათვის ეს ნამდვილი სამოთხეა.



## სან-ფრანცისკო, ლომბარდ-სტრიტი

**ეს არის თანამედროვე, დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ქუჩა.** მასზე მოძრაობა მხოლოდ ზევიდან ქვევითაა ნებადართული. ამ შემთხვევაშიც კი, ამ ქუჩაზე გავლის მსურველი მძღოლი მართვის დიდოსტატი უნდა იყოს.



## რომი, აპიის გზა

**ეს ანტიკური არქიტექტურის შედევრია.** აპიის გზა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 312 წელს ააგეს იმისათვის, რომ რომი ბრინდიზისთან — იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქთან დაეკავშირებინათ.



## ბუდაპეშტი, ვაცი-ქუჩა

**ამ ქუჩაზე უნგრელები საუკუნეების მანძილზე ყიდულობდნენ ყველაფერს, რაც კი ჩვეულებრივ მოკვდავს შეიძლება დასჭირდეს.** გარდა სავაჭრო ობიექტების სიუხვისა, ქუჩა მე-19 საუკუნის არქიტექტურის უმშვენიერესი ნიმუშებითაც იზიდავს მნახველთ.



## ჩიკაგო, შესანიშნავი მილია

ამ ქუჩის შესახებ სათქმელი ბევრი არაფერია, მხოლოდ ისიც კმარა, რომ მას ელისეის მინდვრების ამერიკულ ანალოგს უწოდებენ.




## ნიუ იორკი, უოლ-სტრიტი

**უკვე ას წელიწადზე მეტია, უოლ-სტრიტი მსოფლიოს ფინანსური დედაქალაქია.** Nნიუ იორკის სახელგანთქმული საფონდო ბირჟაც სწორედ აქაა განთავსებული.



## ფრანკფურტი, ცეილი

**ეს გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე ხალისიანი რაიონია. აქ განლაგებული უამრავი სავაჭრო ცენტრის გამო ქუჩებში მუდმივი მოძრაობაა.** მაგრამ ცეილის ქუჩა მაინც გამორჩეულია — 1992 წელს მასზე სახელგანთქმული სპირალური სავაჭრო ცენტრი გაიხსნა. სპირალური ფორმის წყალობით, სავაჭრო ცენტრის ათივე სართულის შემოვლა კიბისა და ესკალატორის გამოუყენებლადაც შესაძლებელია.



## ბარსელონა, ლა რამბლა

ეს ბულვარი სახელგანთქმული მეზღვაურის — ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლს ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კატალონიის მოედანთან აერთებს.



ტიუბინგენში კედელში ნაპრალით გამოსახეს მიკრობიოლოგიის გერმანული ინსტიტუტი.



საბოლოოდ ვერ დადგინდა, ეს არსება მამაკაცია თუ ქალი. გარკვევით არც ისაა ცნობილი, ვის განასახიერებს ეს ქანდაკება — არასრულფასოვან მასხარას თუ მახინჯ მოცეკვავე გოგონას.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# მსოფლიოს ყველაზე უცნაური სკულპტურები

შემოქმედებით ადამიანებს მუდამ ფანტაზიების სიუხვით აფასებდნენ, მაგრამ ხანდახან მათი გამონაგონები ყველანაირ გონივრულ საზღვრებს სცილდება. შედეგად, ხელოვნების ნიმუში მნახველში აღფრთოვანების ნაცვლად განცვიფრებას და გაუგებრობას იწვევს. მსოფლიოში ყველაზე უცნაური სკულპტურების რეიტინგში 13 ასეთი „შედევრი“ მოხვდა.



საპატიო პირველი ადგილი დაიმსახურა ქანდაკებამ, რომელსაც სავსებით სამართლიანად და ლოგიკურად ჰქვია „თავდაყირა“. ეს ქმნილება ავსტრალიის მცხოვრებთა და სტუმართა თვალს „ახარებს“.



ამ ძეგლს ლონდონის უკლებლივ ყველა მცხოვრები ერთი და იმავე სახელით მოიხსენიებს და სწორედ იმას უწოდებს, რისი ასოციაციაც მისი ფოტოს ხილვისას გაგიჩნდათ.



კალგერში ააშენეს ნაგებობა, რომელიც ბოროტების აღმოსაფხვრელად განკუთვნილი მოწყობილობის პროტოტიპია.



ლონდონში აღმოცენებული ამ შუქნიშნების ხის დანიშნულება ან მისი შემოქმედის ჩანაფიქრი ამ დრომდე ვერავინ ამოხსნა.



პრაღის სკულპტურა, რომელიც ჩონჩხს გამოსახავს არა მხოლოდ აშინებს მნახველებს, არამედ აოცებს კიდეც თავისი უაზრობით.



ეს პრაღის კიდევ ერთი უაზრო „შედევრია“.



ვანკუვერში ამას საქორწინო ბეჭდებს უწოდებენ.



პარიზელი ბიჭი. უკომენტაროდ.



საფრანგეთში სპილო, რატომღაც, თავდაყირა დააყენეს, თანაც ხორთუმზე. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, არავინ იცის, რატომ უწოდეს ამ სკულპტურას „18 ათასი კილომეტრი დედამიწიდან“.



ამ ჩონჩხების შემხედვარე ტაილანდის სტუმრებს „კუბოს ფიცრამდე სიყვარულის“ სურვილი კარგა ხნით ეკარგებათ.

# ჭეშმარიტად პირველად საქართველოში

**რადიოლოგიის შესახებ მოკლედ შეიძლება ასე ითქვას: ეს არის მედიცინის დარგი, ურომლისოდაც დღეს პრაქტიკულად წარმოუდგენელია სწორი დიაგნოსტიკა და, მაშასადამე, მკურნალობაც.**




რატომ გავიხსენე რადიოლოგია?

იმიტომ, რომ აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა, ვისი წარმატებული მოღვაწეობა სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი სფეროების უმაღლეს დონეზე საყოველთაოდ ცნობილია, ამასთან ერთად არის საქართველოს რადიოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი. **მისი და ამ ასოციაციის „დიდი დამსახურებაა, რომ რადიოლოგიისა და თერაპიის დარგები: მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, ბირთვული მედიცინა და რადიოთერაპია ერთ დისციპლინად — სამედიცინო რადიოლოგიად გაერთიანდა“,** — ასე წერს ჟურნალი **ECR TODAY**, რომელმაც რადიოლოგთა ვენის კონგრესისადმი (2011 წლის 3-8 მარტი) მიძღვნილ გამოცემაში სპეციალური წერილი გამოაქვეყნა სათაურით **„რადიოლოგიის განვითარების სიახლეები საქართველოში“.**

— მსოფლიოში რადიოლოგთა ორი კონგრესი ტარდება: ერთი ჩიკაგოში (80-იანი წლების დასაწყისიდან ყოველწლიურად), რომელშიც 75 ათასი დელეგატი მონაწილეობს; მეორე — ვენაში (15 ათასი დელეგატი). — **თქვა „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში ბატონმა ფრიდონმა,** — ამავე დროს ეწყობა მსოფლიოში უდიდესი სამედიცინო ტექნოლოგიების გამოფენა. ტრანსეროვნული კომპანიები: „სიმენსი“, „ტოშიბა“, „ჯენერალ ელექტრიკი“, „ფილიპსი“, აგრეთვე, სხვა ფირმები 4-5 დღით ქირაობენ საგამოფენო ფართს, რისთვისაც დროის ამ მონაკვეთში 20 მილიონ დოლარს იხდიან. აქედან ცხადია, თუ რამდენად პრესტიჟულია ამ გამოფენაში მონაწილეობა. ნიშანდობლივია, რომ ერთხელ გამოტანილი ტექნოლოგიები მომდევნო წელს აღარ გამოიფინება — მხოლოდ უახლესი აპარატურა უნდა იყოს წარმოდგენილი, უახლესი მოდიფიკაციის.

მეორე პრესტიჟული გამოფენა და კონგრესი ვენაში იმართება. წლეულსაც აქ მოეწყო. ის სტატია, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, საქართველოში რადიოლოგიის განვითარებას მიეძღვნა.

აქვე ვთქვათ, რომ **საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი ქვეყანა იყო, სადაც 1995 წელს ფრიდონ თოდუას კლინიკური მედიცინის კვლევითმა ინსტიტუტმა დააარსა რადიოლოგთა ასოციაცია. პირველი ჩვენ გავერთიანდით ევროპის რადიოლოგთა ასოციაციაში.**

— ამის აღსანიშნავად საქართველოს დროშა რომ აღმართეს, — **იხსენებს ბატონი ფრიდონი,** — სიხარულის ცრემლები წამომივიდა. ჩვენი ინსტიტუტიდან კონგრესში ყოველწლიურად 10 კაცი მაინც მონაწილეობს, რამდენიმე — სხვა სამედიცინო დაწესებულებებიდან. ვენის კონფერენციაზე 2 მოხსენება წარვადგინეთ. დაინტერესება ევროპელთა მხრიდანაც არის: ამასწინათ ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი მაქსიმილიან რაიზერი ჩამოვიდა თბილისში, გაეცნო და მოიწონა ჩვენი საქმიანობა. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტმა იგი საპატიო დოქტორად აირჩია. საქართველოს 200-მდე რადიოლოგმა გაიარა სტაჟირება მსოფლიოს წამყვან კლინიკებში.

საქართველოში რადიოლოგიის მიღწევების დადასტურებაა ისიც, რომ დღეს უკვე შესაძლებელი გახდა, წელიწადში ორჯერ საქართველოში ევროპელმა რადიოლოგებმა ჩაატარონ გამოცდები და ჩვენს ექიმებს მისცენ ევროპული დიპლომები, რაც გზას უხსნის ქართველ სპეციალისტებს ნებისმიერ ევროპულ კლინიკაში სამუშაოდ.

**„მეცნიერულ კვლევებს დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის საქმიანობაში.** — წერს ECR TODAY, — **ბევრ სპეციალისტს მიენიჭა სამეცნიერო ხარისხი და ბევრმა ახალგაზრდამ მოიპოვა გრანტი... ექიმი-რადიოლოგი ამჟამად კარგად ფლობს რადიოლოგიის ყოველ მიმართულებას, შემდეგომ კი იწყებს მისთვის სასურველ სპეციალიზაციაში სრულყოფას. კლინიკურ პრაქტიკაში ხშირად გვხვდება პედიატრიის პრობლემები, ცხადია, არსებობენ პედიატრი-რადიოლოგები, მაგრამ, როგორც წესი, ბავშვებს იკვლევენ რადიოლოგები, რომლებსაც არ აქვთ გავლილი სასწავლო კურსი პედიატრიაში. საქართველოს რადიოლოგიის ასოციაციის ყურადღება მიმართულია ასეთი სპეციალისტების მომზადებისკენ. შეიძლება იგივე ითქვას ინფექციური დაავადებების ვიზუალიზაციის პრობლემებზეც.**

**რადიოლოგია მედიცინის ყველაზე ძვირადღირებული დარგია. მისი განვითარება დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციამ მიზნად დაისახა საქართველოს უახლესი სამედიცინო ტექნიკით აღჭურვა და თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოდერნიზაცია“.**

დაისახა და განხორციელა კიდეც, აღნიშნავს ECR TODAY და საქართველოს რადიოლოგების მიღწევებს როგორც სამაგალითოსა და მისაბაძს წარმოაჩენს.

**არმაზ სანებლიძე**

## უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

**საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო**

საქინფორმი

www.saqinform.ge

## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246



თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

საქართველო და მსოფლიო **ესტუმრეთ ჩვენს საიტს**

**http://www.geworld.net**

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net